

მაია ახალაძე

## უსაფუძვლო გამდიდრება

(2005-2018 წლის I ნახევარი)

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატის პრაქტიკის ანალიზი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ეროვნული სასამართლო  
პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილება

თბილისი 2019

რედაქტორი  
საცდრო ჯორგენაძე

სტილისტ-რედაქტორი  
სოფიო მამულაშვილი

ტექნიკური რედაქტორი  
მარია მაღალაშვილი

© საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2019

ISBN 978-9941-8-0909-5

## **შემოკლებანი**

- |               |   |  |
|---------------|---|--|
| <b>ა.შ.</b>   | - | ასე შემდეგ   |
| <b>გვ.</b>    | - | გვერდი   |
| <b>მუხ.</b>   | - | მუხლ(ებ)ი  |
| <b>სკ</b>     | - | საქართველოს სამოქალაქო კოდექსი                               |
| <b>სსკ</b>    | - | საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი                     |
| <b>სუს(გ)</b> | - | საქართველოს უზენაესი სასამართლოს (გადაწყვეტილება, განჩინება) |

## **საპირალი**

### **თავი I**

შესავალი ..... 5

### **თავი II**

მესრულების კონდიციის (მუხ. 976-981) ..... 9

### **თავი III**

ხელყოფის კონდიციის (მუხ. 982-985) ..... 98

### **თავი IV**

განეული ხარჯების კონდიციის (მუხ. 986-987) ..... 136

### **თავი V**

სამი პირის ურთიერთობები (მუხ. 988-990) ..... 154

### **თავი VI**

გენერალური დათქმა (მუხ. 991) ..... 165

### **თავი VII**

სამართლებრივი დასკვნა ..... 171

## თავი I

### შესავალი

ვალდებულებითი სამართლის ერთ-ერთ ინსტიტუტს უსაფუძვლო გამდიდრება წარმოადგენს. უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის ინსტიტუტს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კონტინენტური ეპ-როცის სამოქალაქო მართლწესრიგებში. ის, რასაც შემსრულებელი მიმღებს გადასცემს უსაფუძვლოდ, მაგალითად, არანამდვილი ხელშეკრულების საფუძველზე, მიმღებმა უნდა დაუბრუნოს გამცემს შესრულების კონდიქციით, ასევე, სხვის უფლებებში ჩარევის გზით მითვისებულიც მიმთვისებელმა უნდა დააბრუნოს ხელყოფის კონდიქციით. შესრულებისა და ხელყოფის კონდიქციები ის მთავარი ინსტრუმენტებია, რომლებიც ემსახურება ქონების უსაფუძვლო მოძრაობის უკუქცევას.<sup>1</sup>

უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი ფესვებს რომის სამართლი-დან იღებს. ამ პრინციპის კლასიკური ფორმულირება, **სამართლი-ანობის ბუნებიდან გამომდინარე არავის აქვს სხვის ხარჯზე გამდიდრების უფლება, ეკუთვნის რომაელ იურისტს – პომპონიუსს.** ამ ფართო ფორმულირების ფარგლებში ეს სხვა არაფერია თუ არა სამართლიანობის ზოგადი წესი. ამის მიხედვით განვითარებული ცალკეული მოთხოვნის უფლებებსა დღესაც რომის სამართალში გათვალისწინებული საპროცესო სახეების მიხედვით (*legis actio per condicioneum*), „კონდიქციებს“ (უსაფუძვლო გამდიდრები-დან წარმოშობილი მოთხოვნა) უწოდებენ.<sup>2</sup> კრედიტორის მოთხოვნის უფლება არ არის დაფუძნებული მოვალის მიერ რომელიმე ხელშეკრულების დარღვევაზე. იგი შედარებით აბსტრაქტულია. ამიტომ ძველი რომის სამოქალაქო სამართალში ცნობილ აბსტრაქტულ სარჩელებთან მსგავსების გამო, უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად წარმოშობილ ვალდებულებებსაც ლიტერატურაში კონდიქციის ვალდებულებებს უწოდებენ.<sup>3</sup>

<sup>1</sup> რუსიაშვილი გ., უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი, შესრულების კონდიქცია, თბ, 2017, 16.

<sup>2</sup> შნიტგერი ჰ., შატბერაშვილი ლ., უსაფუძვლო გამდიდრების ნორმათა კომენტარი, 976, 1, GCCC.GE, 27.06.2018.

<sup>3</sup> შენგელია რ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მეოთხე წიგნი, ტომი 2, 353.

ყველა მართლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კეთილ-სინდისიერების პრინციპზე აფუძნებს და ამ პრინციპს ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს. კეთილსინდისიერების ინსტიტუტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამოქალაქო სამართლისათვის და იგი მთლიანად კერძო სამართლის უმთავრეს პრინციპს წარმო-ადგენს. ამისი ნათელი დადასტურებაა სამოქალაქო კოდექსის (შემ-დგომში: სკ-ის) მე-8 მუხლის მესამე პუნქტის დანაწესი, რომლის შესაბამისად სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდე-ბული არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფ-ლებები და მოვალეობანი. გარდა აღნიშნულისა, კერძო სამართლებ-რივ ურთიერთობათა კეთილსინდისიერად წარმართვის ვალდებუ-ლებას სამოქალაქო კოდექსის არაერთი ნორმა ზოგჯერ პირდაპირ ადგენს, ხოლო წორმათა უმრავლესობა, მართალია, პირდაპირ არ უთითებს მასზე, მაგრამ მაინც მას ეფუძნება. კეთილსინდისიერე-ბის პრინციპის ძირითადი ფუნქცია სამართლიანი შედეგების მი-ლება და ამავე დროს, აშკარად უსამართლო შედეგის თავიდან აცი-ლებაა, რაც პირდაპირ უკავშირდება სამოქალაქო ურთიერთობათა სტაბილურობასა და სიმყარეს. **სწორედ კეთილსინდისიერების პრინციპს ემყარება უსაფუძვლოდ გამდიდრების ინსტიტუტი,** რომლის მიზანს წარმოადგენს საფუძვლის გარეშე, უსამართლოდ შეძენილი ქონების (ნამატი, უპირატესობა, უფლება, შეღავათი) ამოღება, ანუ სამართლებრივი წონასწორობის აღდგენა. ამ ინსტი-ტუტის უმთავრესი ნიშანია „ვითომ-კრედიტორის“ მიერ ქონების მიღება და, შესაბამისად, მისი გამდიდრება სამართლებრივი სა-ფუძვლის გარეშე.

ქართული სამართლის კონდიციების სისტემა ყველაზე მეტად გერ-მანულ მოდელს ენათესავება, რაც, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის. ქართული უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი წარმო-ადგენს თითქმის უცვლელ ასლს 1981 წელს პაიდელბერგის უნი-ვერსიტეტის პროფესორ დეტლეფ კონიგის მიერ შემუშავებული პროექტისა, თუმცა გერმანიაში ის ძალაში არ შესულა. ქართველმა კანონმდებელმა ეს პროექტი თითქმის უცვლელად გადმოიღო.<sup>4</sup>

უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი კონიგის პროექტში დაყო-ფილია ოთხ ნაწილად. პირველი ნაწილი ეძღვნება შესრულების კონ-

<sup>4</sup> რუსიაშვილი გ., უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი, შესრულების კონდიცია, თბ, 2017, 80.

დიქციას, მეორე ნაწილი ხელყოფის კონდიქციას, მესამე ნაწილი ხარჯების კონდიქციას (ხარჯების კონდიქცია ნარმოადგენს გვა-რეობით ცნებას დანახარჯებისა და რეგრესის კონდიქციისთვის), ხოლო უკანასკნელ ნაწილში მოწესრიგებულია სამ პირს შორის ნარ-მოშობილი კონდიქციური ურთიერთობა.<sup>5</sup>

შესრულების კონდიქცია, შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც არანამ-დევილი შესრულების შედეგების უკუქცევის ინსტრუმენტი (სკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილი), ხელყოფის კონდიქცია აბსოლუტური სამართლებრივი სიკეთების დაცვის ინსტრუმენტი (სკ-ის 982-ე მუხლის 1-ლი ნაწილი), დანახარჯების კონდიქცია, სხვის ნივთზე განეული დანახარჯების ანაზღაურების ინსტრუმენტი (სკ-ის 987-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) და რეგრესის კონდიქცია, როგორც სხვისი შეცდომით დაფარული ვალის უკან მოთხოვნის საშუალება (სკ-ის 986-ე მუხლი).

შესრულების კონდიქცია ანესრიგებს არანამდვილი ხელშეკრულების უკუქცევას და ამგვარად წარმოადგენს სახელმეკრულებო სამართლის დანამატს. ხელყოფის კონდიქცია არის დელიქტური და ვინდიკაციური სამართლის დანამატი, ხოლო დანახარჯებისა და რეგრესის კონდიქცია კონკურირებს დავალების გარეშე სხვისი საქმების შესრულებასთან და ასევე მის დანამატს. პროექტის ბოლო დანაწესში მოწესრიგებულია სამ პირს შორის ნარმოშობილი კონდიქციური ურთიერთობები (სკ-ის 988-990-ე მუხლები) და გენერალური დათქმა (სკ-ის 991-ე მუხლი), რომელიც იმ გამონაკლის შემთხვევებში გამოიყენება, როდესაც სხვა დანაწესის გამოყენების სფეროში არ ექცევიანა.<sup>6</sup>

წინამდებარე კვლევა უსაფუძვლო გამდიდრების ნორმათა დანაწესის (გამიჯვნის პრინციპის) გათვალისწინებით, ასევე, მეტი სიცხადისა და ოვალსაჩინოებისთვის, სწორედ მითითებული სტრუქტურის მიხედვით, აზოგადებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005-2018 წლების პირველი ნახევრის გადაწყვეტილებებს.

სასამართლო პრაქტიკა არ არის განებივრებული უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მატერიალურ-სამართლებრივი საფუძ-

<sup>5</sup> იქვე, 81.

<sup>6</sup> იქვე, 81.

ვლებით აღძრული სარჩელებით, რაც განპირობებულია არა ამგვა-  
რი ხასიათის დავების იშვიათობით, არამედ იმ გარემოებით, რომ ამ  
ნორმებს, მისი შინაარსის არაერთგვაროვანი განმარტების გამო,  
მოსარჩელე მხარე მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში მიმართავს.<sup>7</sup>  
გასათვალისწინებელია, რომ უსაფუძვლო გამდიდრების სამარ-  
თლის რთული თემატიკა ყოველთვის არ ტოვებს ადგილს მარტი-  
ვად აღქმადი დანაწესებისათვის.<sup>8</sup>

მითითებულ მიზეზთან ერთად, ქართული სამოქალაქო კოდექსის  
საქმიანდ „ახალგაზრდა ასაკისა“ და ქვეყანაში სამოქალაქო ბრუნ-  
ვის განვითარების დინამიკის გათვალისწინებით უსაფუძვლო გამ-  
დიდრების ნორმათა გამოყენების შესახებ ქართული სასამართლო  
პრაქტიკა შედარებით მწირია და ამ სფეროში ბევრ სამართლებრივ  
პრობლემას, რომლის გასაღები სასამართლო პრაქტიკის ხელშია  
არ ან ვერ პასუხობს.

ურთიერთობის სამართლებრივი კვალიფიკაცია სასამართლოს პრე-  
როგატივაა. მოსამართლე ვალდებულია, სამართლებრივად სწორად  
შეაფასოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები. სასამართლო პრაქ-  
ტიკის განზოგადების საფუძვლზე ისეთი საკითხების კვლევა რო-  
გორიცაა: უსაფუძვლო გამდიდრების ცნება, შესრულებისა და ხელ-  
ყოფის კონდიქცია, უკუქცევის ფარგლები, სასყიდლიანი და უსას-  
ყიდლო განკარგვა, სხვის ქონებაზე ხარჯების გაწევა, უსაფუძვლო  
გამდიდრებიდან გამომდინარე დავებზე მოთხოვნათა ადეკვატუ-  
რი მატერიალურ-სამართლებრივი კვალიფიკაცია, მოთხოვნის სა-  
ფუძველთა კონკურენცია და სხვა, ხელს შეუწყობს სწორი და ერ-  
თგვაროვნი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას, რაც საპო-  
ლოოდ სწრაფი, ეფექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების  
განხორციელებას განაპირობებს.

<sup>7</sup> ბერეკაშვილი დ., უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის მომწესრიგებელ  
ნორმათა ინტეგრაცია სასამართლო პრაქტიკაში, 2008, 3.

<sup>8</sup> რუსიაშვილი გ., უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი, შესრულების  
კონდიქცია, თბ, 2017, 82.

## თავი II

### შესრულების კონდიცია (მუხ. 976-981)<sup>9</sup>

ერთ-ერთი საქმის<sup>10</sup> ფაბულის მიხედვით, მოსარჩელესა (მენარდე) და მოპასუხეს (შემკვეთი) შორის არსებობდა ნარდობის ხელშეკრულება. მოსარჩელემ მოპასუხეს სატვირთო ვაგონი შეაკეთა. მოგვიანებით მოპასუხემ მოსარჩელის ტერიტორიაზე რეკლამაციური მიზეზით (ექსპლოატაციაში გამოვლენილი წუნი) შეიყვანა იმავე ნომრის მქონე სატვირთო ვაგონი (შემდეგში: რეკლამაციური სატვირთო ვაგონი).

მხარეებმა შეადგინეს მიღება-გადაცემის აქტი, რომლის მიხედვითაც მოპასუხეს მიერ მოსარჩელისთვის გადაცემული რეკლამაციური ვაგონი არსებითად განსხვავდებოდა ადრე შეკეთებული ვაგონისაგან და იყო ორი სხვადასხვა ვაგონი, რის საფუძველზეც, რეკლამაციური ვაგონი შეუკეთებლად დაუბრუნდა მოპასუხეს.

რეკლამაციურ ვაგონზე, მოპასუხემ მოსარჩელეს, გადაცემიდან დაბრუნებამდე პერიოდზე დაარიცხა 24 საათზე მეტი მომსახურების საფასური, რომელიც უაქცეპტო ფორმით ჩამოიწერა მოსარჩელის ანგარიშიდან და გადაერიცხა მოპასუხეს.

მოსარჩელემ მოპასუხეს მიერ კომპანიაზე ე.ნ. „რეკლამაციური მიზეზით ახსნილ“ ვაგონზე 24 საათზე მეტი მომსახურების სახით

<sup>9</sup> შესრულების კონდიციის შემთხვევაში პირს, რომლის ქონებაც შემცირდა, შესრულებით სურდა თავისი ვალდებულებით-სამართლებრივი ვალდებულების შესრულებას. შესრულების მიმღები იმან გამდიდრდა უსაფუძვლოდ, რადგან არ არსებობდა ან გაუქმდა ვალდებულებითსამართლებრივი ვალდებულება. ვინაიდან არ არსებობს ხელშეკრულებიდან გამომდინარე უსაფუძვლოდ მიღებული ქონებრივი სიკეთის დაბრუნების მოთხოვნის უფლება, მსგავსი მოთხოვნის უფლების არსებობა საჭიროებს კანონისმიერ მოწესრიგებას. ხელშეკრულების უკუქცევის სხვა გზას ნარმოადგენს წესები ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ერთმანეთს არ ენინაალმდეგბოდეს ერთი მხრივ, ხელშეკრულებიდან გასვლის წესების მიხედვით უკუქცევა (მუხ. 352) და მეორე მხრივ, უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის მიხედვით გამდიდრების დაბრუნება. მთითებულია შინტგერი ჰ., შატბერაშვილი ლ., უსაფუძვლო გამდიდრების ნორმათა კომენტარი, 976, 1, ველი 6,4., GCCC.GE, 27.06.2018.

<sup>10</sup> სუს განჩინება, 2 მაისი, 2017, №ას-419-392-2017.

დარიცხული თანხის უკან დაბრუნება მოითხოვა, იმ საფუძვლით, რომ რეკლამაციური ვაგონი არ წარმოადგენდა ნარდობის ხელშეკრულების საგანს (შეკეთებულ ვაგონს), რის გამოც არ არსებობდა მითითებული თანხის მოპასუხისათვის გადახდის საფუძველი. საკასაციო პალატამ სააპელაციო სასამართლოს დასკვნები არსებითად სწორად მიიჩნია და აღნიშნა, რომ, ვინაიდან არ დადასტურდა მხარეთა შორის ნარდობის ხელშეკრულების ფარგლებში სადავო ვაგონის ხარვეზიანი შეკეთების ფაქტი, შესაბამისად, რეკლამაციაც განხორციელდა არასწორად. მოპასუხები მოსარჩელის ანგარიშიდან 130 162 ლარი ვალდებულებით-სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ჩამონერა (არ არსებობდა ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული 24 საათზე მეტი მომსახურების დარიცხვის ფაქტობრივი საფუძველი), რის გამოც მოპასუხე უსაფუძვლოდ გამდიდრდა. საკასაციო სასამართლო დაეთანხმა საპელაციო სასამართლოს უეულ კვალიფიკაციას, რომ თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნა სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან (პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესახრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია, მოსთხოვოს ვითომ კრედიტორს (მიმღებს) მისუკან დაბრუნება, თუ ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში) და ამავე კოდექსის 979-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარეობს (უკან დაბრუნების მოთხოვნა კრულდება შეძენილზე, მიღებულ სარგებელზე, ასევე, სხვა ყველა ფერზე, რაც მიმღებმა შეიძინა მიღებული საგნის განადგურების, დაზიანების ან ჩამორთმევის სანაცვლო ანაზღაურების სახით).

საინტერესოა სასამართლო პრაქტიკა შესრულების კონდიქციის მომწესრიგებელი ნორმების გამოყენების თაობაზე იმ დავებში, სადაც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება საბანკო გარანტია.

სასამართლომ, ერთ შემთხვევაში მიიჩნია რა პრინციპალის ვალდებულება შესრულებულად, შესრულების კონდიქციის მომწესრიგებელი ნორმების საფუძველზე ბენეფიციარს, პრინციპიპალის სასარგებლოდ, დააკისრა ამ უკანასკნელის მიერ გარანტისათვის გადახდილი თანხა, ხოლო, მეორე შემთხვევაში, ვალდებულების არაჯეროვნად შემსრულებელ პრინციპალს, უარი უთხრა მის მიერ გადახდილი თანხის დაბრუნებაზე. (ქვე-მოთხოვნილულია ეს საქმეები).

სხვა საქმის<sup>11</sup> მიხედვით, ხელშეკრულების საფუძველზე მხარეებს შორის წარმოიშვა ნასყიდობის სამართლებრივი ურთიერთობა (სსკ-ის 477-ე მუხლი), რაც მათ ანიჭებდა საქონლის მიწოდებისა და საზღვრის ანაზღაურების უფლება-ვალდებულებას.<sup>12</sup> გამყიდველმა (მიმწოდებელმა, პრინციპალმა) მყიდველს (შემსყიდველს, ბენეფიციარს) წარუდგინა საბანკო გარანტია. გარანტორმა ბენეფიციარის მოთხოვნა, პრინციპალის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის გამო, საგარანტიო თანხის ჩარიცხვის თაობაზე დააკმაყოფილა და შემდეგ რეგრესის წესით პრინციპალისგან მოითხოვა გადახდილი თანხის ანაზღაურება. პრინციპალმა მოთხოვნა დააკმაყოფილა, შემდეგ კი, სარჩელი აღძრა ბენეფიციარის მიმართ მის მიერ გარანტისათვის გადახდილი თანხის დაკისრების მოთხოვნით, იმ საფუძვლით, რომ ვალდებულება ჯეროვნად შესრულდა. ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა სარჩელი დააკმაყოფილეს. საკასაციო სასამართლომ ბენეფიციარის საკასაციო საჩივარი განუხილველად დატოვა დაუშვებლობის გამო და აღნიშნა, რომ ბენეფიციარის სამართლებრივი პრეტენზია, გარანტიის ამოქმედებისათვის პრინციპალის მხრიდან ვალდებულების დარღვევაზე მითითებით, უმართებულოა (სკ-ის 361.3, 879-ე, 880-ე მუხლები), რადგან პრინციპალის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებები არ დარღვეულა. საკასაციო პალატმა განმარტა, რომ სკ-ი საბანკო გარანტიას განიხილავს, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის ერთ-ერთ საშუალებას, რომელიც სხვა უზრუნველყოფის საშუალებებისაგან განსხვავდება თავისი დამოუკიდებლობით, არააქცესორულობით, რაც გულისხმობს იმას, რომ ძირითადი ვალდებულება-ხელშეკრულება, რომლის უზრუნველსაყოფადაც საბანკო გარანტია გაიცა, გავლენას ვერ ახდენს ამ უკანასკნელზე. საბანკო გარანტია შესასრულებელია გაცემული პირობების ფარგლებში ბენეფიციარის მოთხოვნისთანავე, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე შესაგებელი. პალატის მითითებით, მოცემულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოება პრინციპალის მხრიდან ნაკისრი ვალდებულების ჯეროვანი შესრულების თაობაზე, აგრეთვე, გარანტორის მიერ საგარანტიო პირობების დაცვა (ვადა, წარდგენის ფორმა, შესაგებლის გამოყენების შეუძლებ-

<sup>11</sup> სუს განჩინება, 10 ოქტომბერი, 2017, საქმე №ას-1217-1176-2016.

<sup>12</sup> სუს განჩინება, 10 ოქტომბერი, 2017, საქმე №ას-1217-1176-2016.

ლობა) საგარანტიო თანხის გადახდა და აღნიშნული თანხის რეგ-  
რესული წესით უკუმოთხოვნა (სსკ-ის 890-ე), ქმნის ვარგის სამარ-  
თლებრივ საფუძველს ბენეფიციარის მხრიდან უსაფუძვლოდ მი-  
ღებულის უკან დასაბრუნებლად სკ-ის 385-ე, 976.1. „ა“, 991-ე  
მუხლების საფუძველზე.

სხვა საქმეში,<sup>13</sup> მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის დაიდო მოძ-  
რავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება. მოსარჩელემ (გამ-  
ყიდველმა) თავისი ვალდებულება მოპასუხის (მყიდველის) ნი-  
ნაშე უზრუნველყო საპანკო გარანტიით. ხელშეკრულება მიწო-  
დების ვადების დარღვევისათვის შეიცავდა შეთანხმებას პირგა-  
სამტებლოს გადახდის შესახებ, კერძოდ, ყოველ ვადაგადაცილე-  
ბულ დღეზე ხელშეკრულების ლირებულების 0.2%-ს. მოსარჩელემ  
გადააცილა ვალდებულების შესრულების ვადას, თუმცა საბოლო-  
ოდ შეასრულა ვალდებულება და პირგასამტებლოც გადაიხადა.  
მოპასუხემ, ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულების გამო,  
ბანქს მოსთხოვა საპანკო გარანტიის თანხის გადარიცხვა, რაც ამ  
უკანასკნელმა დააკმაყოფილა.

სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანის დროს  
სარჩელის დაკმაყოფილების მიზნებისათვის იხელმძღვანელა სკ-  
ის 976-ე მუხლით და მიიჩნია, რომ, ვინაიდან მოსარჩელემ მხო-  
ლოდ მიწოდების ვადა დაარღვია, რისთვისაც გადაიხადა პირგა-  
სამტებლო, ამით მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობა  
შეწყდა და საპანკო გარანტიის თანხის მიღებით მოპასუხე უსა-  
ფუძვლოდ გამდიდრდა. **სააპელაციო სასამართლოს აზრით,** სა-  
ბანქო გარანტიის გადახდა ენინააღმდეგება სამართლიანობისა და  
თანასწორობის პრინციპს და ინკვეს მოპასუხის უსაფუძვლოდ გამ-  
დიდრებას. მიუხედავად იმისა, რომ საპანკო გარანტია გამოუთხო-  
ვად ვალდებულებას წარმოადგენს და გარანტორს ეკისრება ბენე-  
ფიციარის წინაშე მისი შესრულების ვალდებულება, თუკი ბენეფი-  
ციარის დაქმაყოფილების შემდეგ აღმოჩნდება, რომ ბენეფიციარ-  
სა და პრინციპალს შორის არსებული ხელშეკრულებიდან გამომ-  
დინარე ბენეფიციარის მოთხოვნა შესრულდა (პრინციპალმა დააკ-  
მაყოფილა ბენეფიციარის მოთხოვნა), შეწყდა სხვა საფუძვლით ან  
ბათილია, წარმოიშობა ვითარება, როდესაც ბენეფიციარი საპანკო  
გარანტიიდან იღებს დაკმაყოფილებას ისე, რომ საერთოდ არ გა-

<sup>13</sup> სუს გადაწყვეტილება, 01 თებერვალი, 2017, საქმე №ას-1038-999-2016.

აჩნია ძირითადი ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის სა-  
მართლებრივი საფუძველი. საბანკო გარანტიის არააქციესორული  
ხასიათი არ ნიშნავს იმას, რომ ბენეფიციარი უფლებამოსილია, და-  
იტოვოს მსგავსი შესრულება. ასეთ შემთხვევაში დგება უსაფუძ-  
ვლოდ გადახდილის უკან დაპრუნების საკითხი, რომლის მოთხოვ-  
ნის უფლებაც პრინციპალს გააჩნია სკ-ის 976 „ა“ მუხლის საფუძ-  
ველზე.

საკასაციო პალატამ ახალი გადაწყვეტილებით არ დააქმაყოფილა  
რა სარჩელი, არ გაიზიარა ქვემდგომი სასამართლოს მოტივა-  
ცია მოპასუხის უსაფუძვლო გამდიდრებასთან დაკავშირებით.  
პალატამ განმარტა, რომ კანონმდებლობა საბანკო გარანტიას გა-  
ნიხილავს, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის ერთ-ერთ საშუ-  
ალებას, რომელიც სხვა უზრუნველყოფის საშუალებებისაგან გან-  
სხვავდება თავისი დამოუკიდებლობით-არააქციესორულობით, რაც  
გულისხმობს იმას, რომ ძირითადი ვალდებულება-ხელშეკრულე-  
ბა, რომლის უზრუნველსაყოფადაც საბანკო გარანტია გაიცა, გავ-  
ლენას ვერ ახდენს ამ უკანასკნელზე. საბანკო გარანტია შესასრუ-  
ლებელია გაცემული პირობების ფარგლებში ბენეფიციარის მოთ-  
ხოვნისთანავე, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ძირითადი  
ვალდებულებიდან გამომდინარე შესაგებელი. საბანკო გარანტიის  
დამოუკიდებლობას ძირითადი, უზრუნველყოფილი ვალდებულე-  
ბისაგან (პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის არსებული ვალდე-  
ბულება), განაპირობებს მისი არააქციესორული ბუნება. თავად სა-  
ბანკო გარანტია წარმოადგენს დამოუკიდებელ ვალდებულებას  
(სკ-ის ის 881-ე მუხლი). პრინციპალის ძირითადი ვალდებულების  
გაბათილება, შეწყვეტა ან სამართლებრივი ვითარების სხვაგვარი  
შეცვლა, თავისთავად არ გამოიწვევს საბანკო გარანტიის მოქმე-  
დების შეწყვეტას, ამიტომაც საბანკო გარანტიაში მკაფიოდ უნდა  
აისახოს მისი დაკამაყოფილების წინაპირობები.

განსახილველ საქმეში, გარანტი ბენეფიციარის წინაშე კისრულიბ-  
და უპირობო ვალდებულებას, „მიმზოდებლის მიერ ხელშეკრულე-  
ბის პირობების დარღვევის საფუძველზე შემსყიდველის პირველი-  
ვე წერილობითი მოთხოვნისთანავე 5 საბანკო დღის განმავლობა-  
ში გადაეხადა გარანტიით გათვალისწინებული თანხა. საბანკო გა-  
რანტია რაიმე დათქმას პირგასამტებლოს ჩათვლის ან გაქვით-  
ვის შესახებ არ ითვალისწინებდა.

პალატამ მიიჩნია, რომ ბენეფიციარმა გარანტიის მოქმედების ვა-

დაში წარუდგინა გარანტს წერილობითი მოთხოვნა პრინციპიპალის მიერ ძირითადი ვალდებულების ჯეროვანი შესრულების დარღვევის გამო და მოითხოვა საგარანტიო თანხის ანაზღაურება, რითაც შეასრულა გარანტით გათვალისწინებული ვალდებულება (სკ-ის 885-ე მუხლის პირველი ნაწილი). ამდენად, ვლინდება საბანკო გარანტით ნაკისრი ვალდებულების შესრულების განმაპირობებელი ყველა წანამდვრარი:

- ა) საბანკო გარანტით ხელშეკრულების არსებობა, რომლითაც ბანკი უზრუნველყოფდა ხელშეკრულების შესრულებას პრინციპალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში;
- ბ) პრინციპალის მიერ ნაკისრი ვალდებულების დარღვევის ფაქტი, რაც საკმარისი საფუძველია საბანკო გარანტიის ამოქმედებისათვის;
- გ) საბანკო გარანტით დადგენილ ვადაში ბენეფიციარის მოთხოვნის წარდგენა გარანტორისათვის.

საკასაციო პალატის მითითებით, პირგასამტებლოს ანაზღაურება პრინციპალის მიერ არ წარმოადგენს საბანკო გარანტიის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს, რადგან ამგვარ შეთანხმებას გარანტია არ ითვალისწინებდა და იგი არც საბანკო გარანტიის იურიდიული ბუნებიდან არ გამომდინარეობს.

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა რა სკ-ის 385-ე, 976.1. „ა“, 991-ე მუხლებით, მოსარჩელის მითითება მოპასუხის უსაფუძვლო გამდიდრებისა და მისი მხრიდან მიღებული თანხის დაბრუნების თაობაზე უვარგის სამართლებრივ საფუძვლად მიიჩნია.

მნიშვნელოვანი და არაერთგვაროვანია უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა უსაფუძვლო გამდიდრების, კერძოდ, შესრულების კონდიქციის მომწესრიგებელი ნორმებით იმ ურთიერთობების სამართლებრივი კვალიფიკაციის თაობაზე, რომელიც ჩატარების ან ნასყიდობის ხელშეკრულებათა საფუძველზე ქონების იძულებით გადაცემას უკავშირდება. აღსანიშნავია დავები, სადაც მოსარჩელები (როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები) მოპასუხე-სახელმწიფოსაგან იძულების გამო საჩუქრად გადაცემული ქონების დაბრუნებასა და ზიანის ანაზღაურებას მოითხოვენ. საქმეთა ფაბულა მსგავსია და განხილ-

ვის შედეგი თითქმის ერთი და იგივეა იმ თვალსაზრისით, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნა დაკმაყოფილდა. კერძოდ, უსაფუძვლოდ გადაცემული ქონება დაუბრუნდა მოსარჩელეებს, ხოლო ქონების დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში მოპასუხეს დაეკისრა მისი ღირებულება. მხოლოდ სამართლებრივი კვალიფიკაცია არცოუ თანმიმდევრულია. როგორც წესი, უმრავლეს შემთხვევაში სასამართლომ გადაწყვეტილება დააფუძნა სკ-ის 54-ე, 976.1. „ა“, 979.2.-ე, 978-ე მუხლებზე. არათანმიმდევრულობა გამოიხატა იმაში, რომ სადავო გარიგების ბათილად ცნობის სამართლებრივ საფუძვლად ერთ საქმეში სასამართლომ მიუთითა მხოლოდ სკ-ის 54-ე მუხლი (თუმცა აღნიშნა, რომ ასევე განხორციელებულია სკ-ის 85-ე-86-ე მუხლების შემადგენლობა, მაგრამ, საკასაციო პალატის მოსაზრებით, გამოყენებული უნდა იქნას სკ-ის 54-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი დანაწესი), სხვა საქმეში განაცხადა, რომ სადავო გარიგების ბათილობის მიზნებისათვის იკვეთება, როგორც იძულება (სკ-ის 85-ე და 86-ე მუხლები) ისე ამორალურობა (სკ-ის 54-ე მუხლი).<sup>14</sup>

სამოქალაქო საქმეში<sup>15</sup> სარჩელის საგანს ჩუქების ბათილობა და ზიანის ანაზღაურება წარმოადგენდა. სადავო ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე მოსარჩელემ სახელმწიფოს უსასყიდლოდ საკუთრებაში გადასცა ხაზობრივი ნაგებობა – გაზიადენი. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ჩუქების ხელშეკრულებით დაირღვა, როგორც კანონით დადგენილი წესები და აკრძალვები, ასევე-საჯარო წესრიგი, ვინაიდან გარიგება დაიდო არა თავისუფალი ნების პირობებში, არამედ საჯარო მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების შედეგად.

სასამართლომ აღნიშნა, რომ, ვინაიდან ჩუქების საგანი აღარ ირიცხება სახელმწიფოს საკუთრებად და იგი კერძო პირის საკუთრებაა. შესაბამისად, ვერ პირვანდელი მდგომარეობა ვერ აღდგება. სასამართლომ გადაწყვეტილების სამართლებრივ საფუძვლად გამოიყენა სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტი, ასევე, სკ-ის 979-ე მუხლის მეორე ნაწილი (თუ უკან დაბრუნება შეუძლებელია გადაცემული საგნის მდგომარეობის გამო ან, თუ

<sup>14</sup> იხილე ქვემოთ კვლევაში კონკრეტული შემთხვევები.

<sup>15</sup> სუს განჩინება, 25 მაისი, 2016, საქმე №ას-225-215-2016.

მიმღებს რაიმე მიზეზით არ შეუძლია საგნის უკან დაბრუნება, მაშინ მან უნდა აანაზღაუროს მისი საერთო ლირებულება) და მოპასუხე-ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დააკისრა ჩუქების ხელშეკრულების საგნის ლირებულება მო-სარჩელის სასარგებლოდ.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო სასამარ-თლოს დასკვნები საქმის ფაქტობრივ გარემოებებსა და სამარ-თლებრივ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით და მიუთითა, რომ აიძულეს ჩუქების ხელშეკრულების დადება მოსარჩელეს იძულე-ბას, რომელიც ამავდროულად, მართლსაწინააღმდეგო მოქმედე-ბაცაა, რადგანაც ამ დროს ირღვევა საჯარო წესრიგი-სამოქალაქო ბრუნვის ფუნდამენტური პრინციპები (სკ-ის 54-ე მუხლი). მოცე-მულ შემთხვევაში, შეილახა მოსარჩელის საკუთრების უფლება – მისი კუთვნილი, ხაზობრივი ნაგებობა – გაზსადენი, გადავიდა სა-ხელმწიფო საკუთრებაში. ამდენად, მართალია, სკ-ის 54-ე და 85-86.1.-ე მუხლებით გათვალისწინებული ორივე შემადგენლობა განხორციელებულია, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში, საკასა-ციო პალატის მოსაზრებით, გამოყენებული უნდა იქნეს სკ-ის 54-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი დანაწესი.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ კონდიქციური ვალდებულე-ბის წარმოშობისათვის უნდა გამოიკვეთოს ერთი პირის გამ-დიდრება მეორის ხარჯზე და ასეთი გამდიდრება სამართლებ-რივ საფუძველს მოკლებულია, რომელიც ან თავიდანვე არ არსებობდა, ან შემდგომში მოიშალა. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას, თუ რისი შედეგია უსაფუძვლო გამდიდრების ფაქ-ტი – თავად დაზარალებულის მოქმედების, გამდიდრებულის მოქ-მედების თუ მესამე პირთა მოქმედების შედეგად მათი ნების საწინააღმდეგოდ, ასევე, არ აქვს მნიშვნელობა ამ სამართალურთიერ-თობაში მონაწილე სუბიექტთა ბრალეულობას, კეთილსინდისიერე-ბასა და მათ მიერ განხორციელებული მოქმედებების მართლზო-მიერებასა თუ მართლწინააღმდეგობას. კონდიქციური ვალდებუ-ლების არსებობის სამართლებრივი საფუძვლით, სარჩელის დასაკ-მაყოფილებლად მნიშვნელოვანია, დადგინდეს მხოლოდ ობიექტუ-რი შედეგი, რაც გულისხმობს ერთი პირის მიერ მეორე პირის ხარ-ჯზე რაიმე სამართლებრივი სიკეთის შეძენას (დაზოგვას) შესაბა-მისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის გარეშე, ასევე, აუ-ცილებელია გამდიდრება სხვის ხარჯზე, რის შედეგადაც ერთი პი-რის ქონება მეორე პირის ქონების შესაბამისი შემცირების ხარჯზე

იზრდება.

საკასაციონ პალატის აზრით, უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის ნორმები აღჭურვილია დაცვითი ფუნქციით, უზრუნველყოფს რა არაუფლებამოსილი სუბიექტისაგან უსაფუძვლოდ მიღებული ქონების ამოღებას და მისი უფლებამოსილი პირისათვის გადაცემას. შედეგობრივი თვალსაზრისით, სამართლისათვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, თუ რა საშუალებით გამდიდრდა პირი – მიიღო თუ დაზოგა ქონება. ფაქტი ერთია – ვითომ კრედიტორის ქონებრივ სფეროში აღმოჩნდა ქონება, რომელსაც იქ არსებობის სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია და, აქედან გამომდინარე, ექვემდებარება უფლებამოსილი პირისათვის დაბრუნებას.

საკასაციონ პალატამ მიიჩნია, რომ უსაფუძვლო გამდიდრების მიზანი არის სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შეძენილი ქონების (რომელშიც უნდა ვიგულისხმოთ უფლების ან გარკვეული შეღავათის, უპირატესობის) ამოღება, რითაც უნდა უზრუნველყოფილ იქნეს სამართლიანობის აღდგენა, ანუ იმ მდგომარეობის აღდგენა, რომელიც იარსებებდა არაუფლებამოსილი პირის მიერ დაზარალებულის ხარჯზე გარკვეული შეღავათის, უფლების, უპირატესობის მიღებამდე. შესაბამისად, შეცილების განხორციელების მომენტიდან, მოსარჩელის მიერ ნების გამოვლენა ითვლება ბათილად, რაც გულისხმობს იმ სამართლებრივი შედეგის გაუქმებას, რაც ამ გარიგებას მოჰყვა. სარჩელის დაკმაყოფილების მიზნებისათვის არსებითია სკ-ის 978 მუხლი („პირს, რომელიც მეორე პირს გადასცემს რაიმეს არა ვალდებულების შესასრულებლად, არამედ იძულების ან მუქარის საფუძველზე, შეუძლია, მოითხოვოს მისი უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მიმღებს უფლება პქონდა გადაცემულზე“) და 979-ე მუხლის მე-2 ნაწილი (თუ უკან დაბრუნება შეუძლებელია გადაცემული საგნის მდგომარეობის გამო ან... მაშინ მან უნდა აანაზღაუროს მისი საერთო ღირებულება...).

აღსანიშნავია, რომ მოცემულ დავაში მოპასუხემ წამოაყენა მოთხოვნის შემაფერხებელი შესაგებელი და მიუთითა მოთხოვნის ხანდაზმულობაზე, რაც საკასაციო პრეტენზიის საგანიც იყო. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ გარიგების ბათილობის ხანდაზმულობაზე კასატორის მსჯელობა არ წარმოადგენს, სამართლებრივად ვარგის პრეტენზიას, გამომდინარე იქიდან, რომ შეცილებისა და ხანდაზმულობის ვადები განსხვავებული სამართლებრივი ცნებე-

ბია. არც სკ-ის 54-ე მუხლით გათვალისწინებული უცილოდ ბათილი გარიგების ბათილად ცნობას, არც უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე უკუმოთხოვნას არ გააჩნია სამოქალაქო კოდექსის სახელშეკრულებო, უძრავ ნივთებთან დაკავშირებული ან სხვა რაიმე სპეციალური ხანდაზმულობის ვადები. შესაბამისად, მათ მიმართ მოქმედებს ხანდაზმულობის საერთო – 10-წლიანი ვადა, რაც მოსარჩელეს ჩუქების ხელშეკრულების დადებიდან სარჩელის აღმოჩენამდე, დაცული აქვს.

ზემოთ მითითებული საქმის ანალოგიურად გადაწყდა მსგავსი და-ვა<sup>16</sup> ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა (მობასუხე) და მოსარჩელეს შორის, რომელშიც ეს უკანასკნელი, სამინისტროსათვის მუქარის გავლენით გადაცემული გაზსადენის ჩუქების გამო, მიყენებული ზიანის ანაზღაურებას ითხოვდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ჩუქების ხელშეკრულების დადებისას მოსარჩელეს ფაქტობრივად არ სურდა ნივთის განკარგვა, ხოლო გარეგნულად გამოვლენილი ნება არ ასახვდა ნების გამომვლენის ნამდვილ, შინაგან, მოტივირებულ ნებას, რაზეც მიუთითებდა ის გარემოება, რომ გარიგება დაიდო საჯარო მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების შედეგად. ჩუქების ხელშეკრულების დადების მიზნით მოსარჩელის იძულების ფაქტი კი, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ადასტურებს მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას, რომლითაც ირდვევა საჯარო წესრიგი. პალატამ დაადგინა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, შეიღახა მოსარჩელის საკუთრების უფლება – მისი კუთვნილი უძრავი ქონება გადავიდა სახელმწიფოს საკუთრებაში. სააპელაციო სასამართლოს აზრით, გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულების ბათილობა და აღნიშნული ბათილი გარიგების საფუძველზე მოსარჩელის საკუთრებიდან უძრავი ნივთის გასვლა უდავოდ მეტყველებს, რომ მოსარჩელეს, უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებიდან გამომდინარე, უნდა წარმოშობოდა ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება, თუმცა რამდენადაც მითითებული ნივთი განკარგულია მესამე პირთა სასარგებლოდ, ე.ი. შეუძლებელია მისი დაბრუნება, სკ-ის 979-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე, იგი უფლებამოსილია, მოითხოვოს ნივთის საერთო ღირებულების ანაზღაურება. **პირველი ინ-**

<sup>16</sup> სუს განჩინება, 31 იანვარი, 2017, №ას-761-729-2016.

სტანციის სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი და გადაწყვეტილების სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა სკ-ის 54-ე, 976.1. „ა“, 979.2.-ე მუხლებზე. გადაწყვეტილება უცვლელად და-ტოვა როგორც სააპელაციო, ასევე - საკასაციო სასამართლომ.

ერთ-ერთ საქმეში<sup>17</sup> მოსარჩელემ უძრავი ქონება აჩუქა სახელმწიფოს (ხელშეკრულება გაფორმდა საკრებულოს წარმომადგენელთან). მოგვიანებით კი, სარჩელი აღძრა მუნიციპალიტეტის მიმართ ჩუქების ბათილად ცნობისა და სადავო უძრავ ქონებაზე საკუთრების აღდგენის მოთხოვნით. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. დადგენილი ფაქტობრივი ვარემოქების სამართლებრივი შეფასებისას სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სკ-ის 54-ე, მე-8.3 მუხლებით და მიიჩნია, რომ ყოველთვის, როცა გარიგების ერთ-ერთი მონაწილე არის სახელმწიფო, რომელიც, მისი სტატუსიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მიიჩნევა გარიგებაში ე.წ. „ძლიერ მხარედ“, ამ გარიგების დადებისას მხარეთა შორის ურთიერთობაში ნდობისა და კეთილსინდისიერების სტანდარტი ძალიან მაღალი უნდა იყოს, განსაკუთრებით მაშინ, როცა აშკარაა, რომ უმეტესწილად სწორედ სახელმწიფო იღებს სარგებელს გარიგებიდან, „სუსტი მხარისაგან“ გარიგების ბათილობაზე მითითებისას, სწორედ სახელმწიფოს ეკისრება მტკიცების ტვირთი - დაადასტუროს, რომ გარიგება შეესაბამება კანონით დადგენილ წესს (ანუ - დაცულია მხარეთა კერძო ავტონომიის პრინციპი და უზრუნველყოფილია სკ-ის 319-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განმტკიცებული, ხელშეკრულების დადებისა და მისი პირობების თავისუფლად განსაზღვრის უფლება), არ ენინააღმდეგება საჯარო წესრიგს (ანუ - საზოგადოებრივი მართლწესრიგის შემადგენელ ფუნდამენტურ, სოციალური და ეკონომიკური სამართლინობის და სტაბილურობის განმაპირობებელ სიკეთეებს) და ზნეობის ნორმებს (ანუ - საზოგადოებაში საყოველთაოდ აღიარებულ ფასეულობებს და გონიერი, სამართლიანი, ობიექტური ადამიანისათვის დამახასიათებელ ქცევის წესებს). მოპასუხემვერ და-ამტკიცა, რომ იგი, სადავო ჩუქების დადებისას, მოქმედებდა კეთილსინდისიერად, კანონით დადგენილი წესების შესაბამისად, და რომ, მოსარჩელეს ნამდვილად სურდა „სადავო ქონების“ მისთვის უსასყიდლოდ გადაცემა.

<sup>17</sup> სუს განჩინება, 28 აპრილი, 2017, №ას-224-213-2017.

საკასაციო სასამართლომ დაუშვებლად ცნო რა მოპასუხის (მუნი-ციპალიტეტის) საკასაციო საჩივარი, გაიზიარა სააპელაციო სასა-მართლოს მოსაზრება, რომ სასარჩელო მოთხოვნის, რასაც ჩუქე-ბის ხელშეერულების ბათილად ცნობა წარმოადგენდა, დაკმაყოფილებას საფუძვლად დაედო მესაკუთრის ნამდვილი ნების არარ-სებობა, შესაბამისად, სასამართლომ სწორად იხელმძღვანელა სკ-ის 54-ე მუხლით მისი ბათილად ცნობის მიზნებისათვის.

საკასაციო პალატამ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა ჩუქების ხელშეერულების დადების მიზნით მოსარჩელზე იძულე-ბის განხორციელების თაობაზე და განმარტა, რომ სადავო გარი-გების ბათილობის მიზნებისათვის იკვეთება, როგორც იძულე-ბა (სკ-ის 85-ე და 86-ე მუხლები) ისე, ამორალურობა (54-ე მუხ-ლი) და მიიჩნია, რომ ბათილად ცნობის შედეგად, სადავო უძ-რავი ქონების უკან დაპრუნების სამართლებრივ ნაწილში, მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს კონდიქციური ვალდებუ-ლების მომწესრიგებელი ნორმების დაცვითი ფუნქციის ფარ-გლებში (სკ-ის 978-ე მუხლი).

ეროვნული სასამართლო პრაქტიკის განზოგადების თვალსაზრი-სით, არაერთ საინტერესო დასკვნასა და მოსაზრებას (მათ შორის უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების გამოყენებასთან დაკავში-რებით) შეიცავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პა-ლატის გადაწყვეტილება.<sup>18</sup>

რეზონანსულ საქმეში, რომელიც დიდი პალატის განხილვის საგა-ნი გახდა, მოსარჩელეთა მოთხოვნას ტელეკომპანიის წილებზე იძულებით დადებული ნასყიდობის ხელშეერულებების ბათილად ცნობა და საკუთრების უფლების აღდგენა/დაპრუნება წარმოად-გენდა. დიდი პალატის გადაწყვეტილებით მოსარჩელეთა მითითე-ბული მოთხოვნა დაკმაყოფილდა, სასამართლომ გაუქმა სადავო წილებზე მოპასუხეთა რეგისტრაცია და მათ მესაკუთრედ მოსარ-ჩელები ცნო.

სამივე ინსტანციის სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელეთა მოთხოვნა, თუმცა მათ მოთხოვნის დაკმაყოფილების სხვადასხვა სამართლებრივ საფუძვლებზე მიუთითეს.

<sup>18</sup> სუს დიდი პალატის გადაწყვეტილება, 2 მარტი, 2017, №ას-664-635-2016.

სააპელაციო სასამართლომ, სკ-ის 8.3, 319.1 მუხლებზე მითითებით, აღნიშნა, რომ **სკ-ის 54-ე მუხლი** ამორალურ გარიგებებთან მიმართებით შეიცავს მხოლოდ იმ დათქმას, რომ იგი არის გარიგება, რომელიც არღვევს ზნეობის ნორმებს. განსხვავებით გავლენის ბოროტად გამოყენების შედეგად ან იძულებით დადებული გარიგებისაგან (სკ-ის 55-ე, 85-ე მუხლები), გარიგების ამორალურად მიჩნევისათვის აუცილებელი არ არის იმ გარემოებათა დადგენა-დადასტურება, რამაც განაპირობა ამ გარიგების დადება. საკმარისია, არსებობდეს ლისპროპორცია ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შორის, რომ სასამართლო იგი მიიჩნიოს ამორალურ გარიგებად. შესაბამისად, შეუძლებელია, გარიგების ამორალური ბუნების გამორიცვა იმის გამო, რომ არ დგინდება ერთ მხარეზე მეორე მხარის მიერ განხორციელებული იძულების ფაქტი.<sup>19</sup>

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოიყენებინა, კერძოდ, სკ-ის 976-991-ე მუხლები უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ. „ზოგადი წესის მიხედვით, გარიგების მონაწილეებმა ერთმანეთს უნდა დაუბრუნონ ყველაფერი, რაც მათ ბათოლი გარიგებით მიიღეს, თუმცა ამ წესიდან მრავალი გამონაკლისი არსებობს, ამიტომ სამოქალაქო კოდექსი ამ საკითხებს აწესრიგებს უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების საფუძველზე“.<sup>20</sup>

**დიდმა პალატამ მოსარჩელეთა მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად კონდიქციური სამართლის ნორმების გამოყენება უსაფუძვლოდ ჩათვალა.** პალატამ აღნიშნა, რომ, განსახილველ შემთხვევაში, ზიანი გამოვლენილია და ის გამოწვეულია მოსარჩელეთა საკუთრების ხელყოფით. ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა სარჩელში მითითებულ ფაქტებსა და მოსარჩელეთა ახსნა-განმარტებებს არ მისცეს სწორი იურიდიული კვალიფიკაცია. მოსარჩელემ, როგორც სარჩელში, ისე სასამართლო განხილვის დროს, დაწვრილებით აღწერა მასზე განხორციელებული იძულება და ნების გამოვლენაში აშკარა და უხეში ჩარცევის შედეგად მოსარჩელე-

<sup>19</sup> სუს დიდი პალატის გადაწყვეტილება, 2 მარტი, 2017, საქმე №ას-664-635-2016. &99.14.

<sup>20</sup> სუს დიდი პალატის გადაწყვეტილება, 2 მარტი, 2017, საქმე №ას-664-635-2016. &99.16.

თა „უპირობოდ დაცული ფასეულობის“, საკუთრების ხელყოფის გარემოებები.<sup>21</sup>

დიდმა პალატამ განმარტა,<sup>22</sup> რომ ის სამართლებრივი შედეგი, რომ-ლის მიღწევაც სურს მოსარჩელეს (ტელეკომპანიის წილებზე სა-კუთრების უფლების აღდგენა/დაბრუნება), ამ უკანასკნელის მი-ერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სკ-ის 992-ე („პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახიან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალ-დებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი“), 998-ე (“თუ ზიანის დადგო-მაში მონაწილეობს რამდენიმე პირი, ისინი პასუხსაგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები. ზიანისათვის პასუხსაგებებს არა მარტო ის, ვინც იგი უშუალოდ მიაყენა, არამედ ისიც, ვინც ის დაიყოლია ან მისი ხელშემწყობი იყო, ასევე ისიც, ვინც შეგნებულად ისარგებლა სხვისთვის მიყენებული ზიანით“) და 408.1-ე („იმ პირმა, რომელიც ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომა-რება, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურე-ბის მავალდებულებელი გარემოება“) მუხლების შემადგენლობი-დან გამომდინარეობს.

დიდმა პალატამ არ გაიზიარა რა სააპელაციო სასამართლოს შეფა-სება სკ-ის 54-ე მუხლის განმარტების თაობაზე, აღნიშნა, რომ ამ ნორმას ავტონომიური ფუნქცია არ გააჩნია, ის დეფინიცი-ურიადა კონკრეტულ სამართლებრივ შედეგს არ ითვალისწი-ნებს.<sup>23</sup> გასაჩივრებული განჩინებით, სააპელაციო სასამართლომ ზნეობის სანინააღმდეგოდ, გასაკიცხ ქმედებად მიიჩნია მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებები ნასყიდობის ფასის შეუ-საბამობის გამო. დიდი პალატის განმარტებით, მარტოოდენ გარი-გების ამორალურობის ზოგადი ნორმის გამოყენება არასაკმარისია და ამ ნორმის სააპელაციო სასამართლოსეული ინტერპრეტაცია არადამაჯერებელი, რადგანაც ეწინააღმდეგება სამოქალაქო ბრუნ-ვის პრინციპებს. დიდი პალატის აზრით, მცდარია სააპელაციო სა-სამართლოს შეფასება, რომ სკ-ის 54-ე მუხლი, ამორალურ გარიგე-ბებთან მიმართებით, შეიცავს მხოლოდ იმ დათქმას, რომ იგი არის

<sup>21</sup> სუს დიდი პალატის გადაწყვეტილება, 2 მარტი, 2017, საქმე №ას-664-635-2016. &190.

<sup>22</sup> იქვე, &184.

<sup>23</sup> სუს დიდი პალატის გადაწყვეტილება, 2 მარტი, 2017, საქმე №ას-664-635-2016. &208.

გარიგება, რომელიც არღვევს ზნეობის ნორმებს და გავლენის ბოროტად გამოყენების შედეგად ან იძულებით დადებული გარიგებებისაგან (სკის 55-ე და 85-ე მუხლებისაგან) განსხვავებით, მისი ამორალურად მიჩნევისათვის აუცილებელია არ არის იმ გარემოებათა დადგენა-დადასტურება, რამაც განაპირობა მისი დადება. ასეთი განმარტება ენინაალმდეგება ხელშეკრულების დადებისა და მისი შინაარსის განსაზღვრის თავისუფლების პრინციპს. სააპელაციო სასამართლოს იმ დასკვნის გაზიარება, რომ „საკმარისია, არსებობდეს დისპროპორცია ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შერის“, რათა გარიგება ამორალურად იქნეს მიჩნეული, ხელს შეუშლის სამოქალაქო ბრუნვის ნორმალურ განვითარებასა და სტაბილურობას, რადგანაც ხელშეკრულების არაკეთილსინდისიერ მხარეს, სათანადო წინაპირობების არარსებობის პირობებშიც კი, შეეძლება, უარი თქვას ხელშეკრულებაზე.<sup>24</sup>

დიდმა პალატამ აღნიშნა, რომ მესაკუთრის მიერ ნივთზე საკუთრების (მფლობელობის) დაკარგვისას, მისი კანონით დაცული ინტერესების დაცვა შესაძლოა, როგორც სანივთო (სავინდიკაციო), ისე ვალდებულებით – სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო (დელიქტური) ან კონდიქციური სარჩევლებით.<sup>25</sup> (მოთხოვნის საფუძველთა კონკურენცია). მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის დროს, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთაგან ერთერთის გამოყენება სასამართლოს უფლებამოსილება და ვალებულებაა<sup>26</sup>.

<sup>24</sup> სუს დიდი პალატის გადაწყვეტილება, 2 მარტი, 2017, საქმე №ას-664-635-2016. &208.

<sup>25</sup> სუს დიდი პალატის გადაწყვეტილება, 2 მარტი, 2017, საქმე №ას-664-635-2016. &222.

<sup>26</sup> სუს დიდი პალატის გადაწყვეტილება, 2 მარტი, 2017, საქმე №ას-664-635-2016. &220. იქვე მითოთებულია: ლ. ჭანტურია, „სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი“, თბ., 2011, 132; ჰ. ბიოლინგია/პ.ლუტრინგპაუსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი“, თბილისი-ბრემინი, 2004-2009, 14, ქ. ქოჩაშვილი, „მოთხოვნის საფუძველთა კონკურენცია უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხვისას“, თბ., 2012, 280; ს.ჩაჩავა, „მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია ეკრძო სამართალში“, სად-ნაშრ., თსუ, 2010, 39; ს.პებძელი, „სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდება“, თბ., 2009, 84; ბ.ზოიძე, „სახელშეკრულები და არასახელშეკრულები პასუხისმგებლობა სამოქალაქო სამართლებრივი რეგულირების მექანიზმი“, თბ., 1984, 194.

დიდი პალატის აზრით,<sup>27</sup> „თუკი იძულებისა და მოტყუების საფუძველზე, შემცილებელ პირს ადგება ზიანი, ასეთ შემთხვევაში, როგორც იძულება, ისე, მოტყუება უნდა განვიხილოთ არა მარტო, როგორც გარიგების ბათილობის სახელშეკრულებო გარემოებანი, არამედ, როგორც დაუშვებელი მოქმედებანიც...“, „იძულება იმდენად აშკარად და უხეშად ხელყოფს წების თავისუფლების მდგომარეობას, რომ ზოგჯერ იგი დელიქტის სახესაც ღებულობს“, „...შესაბამისად, უნდა გამოვიყენოთ 408-ე და 992-ე მუხლების წესები. ზიანის ანაზღაურება უნდა მოხდეს მისგან დამოუკიდებლად, ნების გამოვლენა შეცილებულია თუ არა. ამდენად, მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებაზე შეიძლება წარდგენილი იქნეს ერთწლიანი ვადის გასკლის შემდეგაც“.<sup>28</sup> დიდმა პალატამ მიიჩნია, რომ კანონით დადგენილ ვადაში შეცილების განუხორციელებლობის შემთხვევაშიც, თუკი იკვეთება პირის ნების თავისუფალ ფორმირებაში აშკარა და უხეში ჩარევა, დაზარალებულს უფლება აქვს, ზიანის ანაზღაურებაზე მოთხოვნა დააფუძნოს დელიქტურ ნორმების.<sup>29</sup>

დიდი პალატის დასკვნით, მოსარჩელეებს უფლება აქვთ, წილის რეგისტრირებულ მესაკუთრეებს, რომლებიც სოლიდარული მოვალეები არიან, მოსთხოვონ ზიანის ნატურით ანაზღაურება (სკ-ის 465-ე და 998.2-ე მუხლები).<sup>30</sup>

მოსარჩელეების მოთხოვნის (წილებზე საკუთრების უფლების აღდგენა (დაბრუნება)), გათვალისწინებით, დიდმა პალატამ სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით<sup>31</sup>/<sup>32</sup> აღნიშნა, რომ აღძრულია მიკუთვნებითი (აღსრულებითი) სარჩელი. მოთხოვნის საფუძვლების დადგენისა და შემოწმების შემდეგ გარიგებების ბათილობა ფაქ-

<sup>27</sup> სუს დიდი პალატის გადაწყვეტილება, 2 მარტი, 2017, საქმე №ას-664-635-2016. &202.

<sup>28</sup> ზოიძე ბ., „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი“, წიგნი პირველი, ობ, 2001, 246, 252.

<sup>29</sup> სუს დიდი პალატის გადაწყვეტილება, 2 მარტი, 2017, საქმე №ას-664-635-2016. &213.

<sup>30</sup> სუს დიდი პალატის გადაწყვეტილება, 2 მარტი, 2017, საქმე №ას-664-635-2016. &228.

<sup>31</sup> სუს დიდი პალატის 2016 წლის 17 მარტის განჩინების დასკვნები 55-56-ე პუნქტებში, საქმე №ას-121-117-2016.

<sup>32</sup> სუს დიდი პალატის გადაწყვეტილება, 2 მარტი, 2017, საქმე №ას-664-635-2016. &233.

ტობრივ წინაპირობად უნდა იქნეს მიჩნეული და არა დამოუკიდებელ მოთხოვნად. შესაბამისად, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში სწორედ აღსრულებითი სარჩელის განხილვის შედეგი და არა კონკრეტულ გარიგებათა ბათილად ცნობა მიეთითება, რადგან თავისთავად გარიგების ბათილად ცნობა არ იწვევს რაიმე იურიდიულ შედეგს, თუკი წმინდა სამართლებრივი თვალსაზრისით აღიარებითი სარჩელი არ იხილება.

მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის შემოწმება სასამართლოს პრეროგაცივაა, შესაბამისად, სასამართლოს მიერ კანონის ნორმის მოძიება, რომელიც განსაზღვრული შემადგენლობის ნიშნების არსებობისას ერთ მხარეს ანიჭებს უფლებას, მეორე მხარისაგან მოითხოვოს შესრულება, მოქმედება ან თავის შეკავება, არ საჭიროებს ამ მოთხოვნის იურიდიული შედეგის მიღწევის თვალსაზრისით, კონკრეტული გარიგებისა თუ აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნის დამოუკიდებლად დაყენებას.<sup>33</sup>

საქმის ფაბულის მიხედვით,<sup>34</sup> სესხის ხელშეკრულებით მოსარჩელემ (ფიზიკური პირი) მოპასუხეს (სანარმო) ასესხა თანხა იმ პირობით, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ, როცა ეს უკანასკნელი დაფარავდა საბიუჯეტო დავალიანებასა და საბანკო ანგარიშებს გაათავისუფლებდა, უზრუნველყოყ საკუთარი ქონების განაწილება გამსესხებელზე. წილები მსესხებელსა და გამსესხებელს შორის გადანაწილებული უნდა ყოფილიყო შენატანი თანხის პროპორციულად, რაც უნდა დადასტურებულიყო წესდებაში სათანადო ცვლილებების შეტანითა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციით.

პალატამ მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში დადებულია გარიგება ნებაზე დამოკიდებული პირობით, რომელიც სკ-ის 92-ე მუხლით ბათილია. საბოლოოდ, სარჩელი მოპასუხისათვის გადაცემული თანხის დაკისრების მოთხოვნით დაკმაყოფილდა სკ-ის 976-ე მუხლის საფუძველზე.

ერთ საქმეში<sup>35</sup> უძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის წესით სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით მოსარჩელეს იჯარით გადა-

<sup>33</sup> სუს დიდი პალატის გადაწყვეტილება, 2 მარტი, 2017, საქმე №ას-664-635-2016. &234.

<sup>34</sup> სუს განჩინება, 27 მარტი, 2014, №ას-914-872-2013.

<sup>35</sup> სუს განჩინება, 25 იანვარი, 2017, საქმე №ას-1033-994-2016.

ეცა მოპასუხის მიწის ნაკვეთი. მოგვიანებით, მხარეებს შორის ვალ-დებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა შეწყდა სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონების ნივთობრივი ნაკლის გამო. ხელშეკრულების შეყვეტის შემდეგ მოსარჩელემ მოპასუხის ანგა-რიშზე შეცდომით ჩარიცხა საიჯარო ქირა. სასამართლომ სარჩელი, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ჩარიცხული თანხის დაბრუნე-ბის მოთხოვნით, დააკმაყოფილა სკ-ის 976-ე მუხლის საფუძველზე.

სხვა საქმეზე<sup>36</sup> სასამართლომ მემკვიდრეების სარჩელი დააკმაყოფილა სკ-ის 976-ე, 385-ე მუხლების საფუძველზე და მოპასუხეს და-აკისრა მამკვიდრებლის მიერ მისთვის ჩარიცხული თანხა. საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით მოპასუხე არ უარყოფს მამ-კვიდრებლის მიერ მის პირად ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის ფაქტს, მაგრამ განმარტავს, რომ აღნიშნული თანხა მან ასესხა მამკვიდრე-ბელს, რაც მოგვიანებით ამ უკანასკნელმა გადაიხადა. სასამართლომ მხოლოდ ბანქში თანხის ჩარიცხვის დამადასტურებელი ქვითრის სა-ფუძველზე, რომელშიც ჩარიცხვის მიზნობრიობა არ იყო მითითე-ბული, სესხის სახელშეკრულებო-სამართლებრივი ურთიერთობა არ მიიჩნია დადასტურებულად. საკასაციო პალატამ სკ-ის 361-ე მუხ-ლით დაშვებული პრეზუმუფციის გაზიარების შესაძლებლობა გამო-რიცხა, რადგანაც მოსარჩელემ შეძლო ამ პრეზუმუფციის გაქარწყლე-ბა. რაც შეეხება საკითხს, შედის თუ არა სამკვიდრო მასაში სადაცო თანხა, პალატამ აღნიშნა, რომ, როდესაც შესრულების მიმღები ვერ ადასტურებს შესრულების სამართლებრივი საფუძვლით მიღებას, ბუნებრივია, შესრულებას არ გააჩნია საფუძველი და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩელეთა სასარგებლოდ მო-პასუხისთვის შესრულების კონდიქციის მარეგულირებელი ნორმე-ბით თანხის დაკისრების შესახებ უცვლელად დატოვა.

**სასამართლოს განმარტება საინტერესოა სკ-ის 980-ე მუხლთან დაკავშირებით.**

საქმის ფაბულის მიხედვით,<sup>37</sup> მოსარჩელეებმა შეიძინეს უძრავი ქონება (მიწის ნაკვეთი) და მასზე ააგეს კომერციული დანიშნულე-ბის შენობა. გამყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე სასამარ-თლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ჰქონდა მოპოვებული, რო-მელიც ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისა და შემძენის მიერ

<sup>36</sup> სუს განჩინება, 13 იანვარი, 2017, საქმე №ას-1116-1073-2016.

<sup>37</sup> სუს განჩინება, 30 სექტემბერი, 2016, საქმე №ას-318-303-2016.

ხარჯების განევის შემდეგ ბათილად იქნა ცნობილი. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, ბათილად იქნა ცნობილი ასევე გამყიდველსა და მოსარჩელებს შორის სადაცო ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება. გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში. სადაცო ქონება დაუბრუნდა ყოფილ მესაკუთრეს-სახელმწიფოს. სასარჩელო მოთხოვნა მოსარჩელეთა (მფლობელების) მიერ სადაცო ნაკვეთზე აგებული შენობის საპაზრო ღირებულების მოპასუხისათვის (სახელმწიფოსათვის) დაკისრება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა. სასამართლომ დაადგინა, რომ უძრავი ქონების შეძენისას მოსარჩელები წარმოადგენდნენ კეთილსინდისიერ შემძენებს, მათ სადაცო შენობის აშენებაზე განიერ ხარჯები, თუმცა, მოსარჩელეთა საკუთრების უფლების წარმომშობი დოკუმენტის (ნასყიდობის ხელშეკრულების) სასამართლოს მიერ ბათილად ცნობის გამო, სახელმწიფოს სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გადაეცა მფლობელების ხარჯით აშენებული კომერციული ფართი, რასაც შედეგად მიწის მესაკუთრის უსაფუძვლო გამდიდრება მოჰყვა. საკასაციო სასამართლომ მოსარჩელები კეთილსინდისიერებად მიიჩნია კასატორის პრეტენზიის საწინააღმდეგოდ და გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება იმის თაობაზე, რომ კეთილსინდისიერება წარმოადგენს სამართლის საკითხს, აქვე განმარტა, რომ დადგენა იმისა, პირი ამა თუ იმ მოვლენის მიმართ არის თუ არა კეთილსინდისიერი, სწორედ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების შეფასების შედეგად უნდა დადგინდეს. (სასამართლომ მიუთითა სკ-ის 106.პ. ქვეპუნქტზე):<sup>38</sup>

<sup>38</sup> სკ-ის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, განსახილველ დავაში მონაწილე მხარეების მიმართ სხვა სამოქალაქო საქმეზე მიღებული, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების სამოტივაციო წაზღვისათვის პრეივიდიციული ძალის მინიჭების საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ეფუძნება იმ ფაქტებს, რომლებიც იურიდიულად ასართლებრივ მას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ფაქტები პრეივიდიციულად არ მიიჩნევა და ისინა უნდა შევიდნენ მტკიცების საგანში, ასევე, გასათვალისწინებელია სკ-ის 266-ე მუხლის დათქმა, რომლის თანახმადაც, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლებს არ შეუძლიათ, ხელახლ განცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე, სადაცო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი.

ნასყიდობის ხელშეკრულება, როგორც კანონის ამკრძალავი ნორმის საწინააღმდეგოდ დადებული, სკ-ის 54-ე მუხლისა და სარკინიგზო კოდექსის სპეციალური ნორმების საფუძველზე მიჩნეულიქნა უცილოდ ბათილად (რამდენადაც კანონით დადგენილი წესის ხელყოფის შედეგად დადებული გარიგების შედეგი სავალდებულოა, მათ შორის, სასამართლოსათვის), რომლის წინააღმდეგაც შემძენი ვერ დაიცვა სკ-ის 185-ე მუხლით გათვალისწინებულმა კეთილსინდისიერების ინსტიტუტმა, რაც დასტურდება კანონიერ ძალში შესული გადაწყვეტილებით.

ამდენად, არარა ნების გამოვლენის პირობებში, საჯარო რეესტრში განხორციელებული ჩანაწერის მიმართ (რომელსაც გამსხვისებლის უფლების დამდგენ დოკუმენტად სასამართლოს გადაწყვეტილება ედო) მოსარჩელეთა სუბიექტურმა დამოკიდებულებამ ვერ შეაფერხა ნამდვილი მესაკუთრის (სახელმწიფო) უფლებების აღდგენა. სასამართლომ აღნიშნა, რომ კეთილსინდისიერება არც ფაქტის და არც სამართლებრივი ურთიერთობის კატეგორიას არ მიეკუთვნება (სსკ-ის 266-ე მუხლი), ამდენად, სკ-ის 8.3 მუხლის კონტექსტში, მიუხედავად ბათილი გარიგების შედეგების სავალდებულო ძალისა, მესამე პირის ნდობა დაცული უნდა იყოს, რაც მისთვის მეორადი მოთხოვნის უფლების რეალიზაციის შესაძლებლობაში ვლინდება.

პალატამ ნაწილობრივ გაიზიარა კასატორის სამართლებრივი არგუმენტაცია იმის თაობაზე, რომ ქვემდგომმა სასამართლომ სკ-ის 980-ე მუხლზე დაყრდნობით არასწორად დააკმაყოფილა სარჩელი. პალატის დასკვნით, სააპელაციო სასამართლომ დავის გადასაწყვეტად სწორად გამოიყენა მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა-სკ-ის 980-ე მუხლი,<sup>39</sup> მაგრამ არასწორად განმარტა იგი, რაც საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოში დაბრუნების საფუძველი გახდა.

<sup>39</sup> პალატამ განმარტა, რომ სამოქალაქო დავის სწორად გადაწყვეტას მნიშვნელოვნად განაპირობებს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის ზუსტად განსაზღვრა, რაც სასამართლოს პრეროგატივა, თუმცა, ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია სასამართლომ მართებულად დაადგინოს დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტების (მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების) ამომწურავი ჩამონათვალი, რათა მთელი სამართალ-ნარმოება საძიებელ ფაქტებზე იქნეს ორიენტირებული. სამართალ-ნოების ამ ამოცანის მიღწევა შესაძლებელია იმგვარად, რომ სასამართლომ უნდა მოძებნოს სამართლის ნორმა, რომელიც მიესადაგება განსახილველ

პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელები წარმოადგენენ ბათილი განკარგვის საფუძველზე მიღებული ნივთის კეთილსინდისიერ, თუმცა არამართლზომიერ მფლობელებს, რაც დღის წესრიგში აყენებს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის კონკურენციას: დავა გამომდინარეობს პოსესორული თუ კონდიქციური ურთიერთობიდან. სამოქალაქო კოდექსის მიხედვით მფლობელობა დიფურენცირებულია ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების მიხედვით (სკ-ის 160-ე - 164-ე მუხლები), კანონი მიჯნავს კეთილსინდისიერი მფლობელის მოთხოვნასა (160-ე-161-ე მუხლები) და მართლზომიერი მფლობელის მოთხოვნას (162-ე მუხლი), ასევე, არაუფლებამოსილი კეთილსინდისიერი მფლობელის ვალდებულებებსა (163-ე მუხლი) და არაკეთილსინდისიერი მფლობელის ვალდებულებებს (164-ე მუხლი), ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ კეთილსინდისიერი (არაკეთილსინდისიერი) მფლობელობის ინსტიტუტში, არსებობს განსხვავებები კეთილსინდისიერი მფლობელისა და არაუფლებამოსილი კეთილსინდისიერი მფლობელის უფლება-ვალდებულებებში. სკ-ის 163-ე მუხლის ძალით, როდესაც არამართლზომიერი კეთილსინდისიერი მფლობელისგან ნივთის ვინდიცირება განხორციელდება, ნივთის დაბრუნების მოთხოვნის წაყენებამდე მფლობელს ეკუთვნით ნივთისა და უფლების ნაყოფი. მასვე შეუძლია, უფლებამოსილ პირს მოსთხოვოს იმ გაუმჯობესებისა და ხარჯების ანაზღაურება, რაც ნივთზე კეთილსინდისიერი მფლობელობის დროს იქნა გაღებული და რაც არ არის კომპენსირებული ამ ნივთით სარგებლობითა და მისგან მიღებული ნაყოფით. მფლობელის ბრალით მიუღებელი ნაყოფის ღირებულება უნდა გამოიქვთოს. იგივე წესი ვრცელდება ისეთ გაუმჯობესებებზე, რომელთა შედეგადაც გაიზარდა ნივთის ღირებულება, თუკი გაზრდილი ღირებულება ნივთის დაბრუნების მომენტისათვის ჯერ კიდევ არსებობდა. რაც შეეხება კანონისმიერი ვალდებულების (კონდიქცია) ფარგლებში კეთილსინდისიერი არამართლზომიერი

---

შემთხვევას (მოსარჩელის მიერ მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს). მოთხოვნის მარეგულირებელი ნორმის აღნერილობით ნანილში მოცემული აბსტრაქტული წანამდღვრები წარმოადგენს მტკიცების საგანში შემავალი ფაქტებს ამომწურავ ჩამონათვალს, ამ გზით სასამართლომ უნდა შეამონმოს სარჩელის დასაბუთებულობა, რაც გამოიხატება შემდეგში: უნდა შემონმდეს მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები პასუხობს თუ არა გამოსაყენებელი ნორმის ელემენტებს (შემადგენლობას). აქვე საგულისხმოა, რომ დამფუძნებელი ნორმის მოძიებისას სასამართლო არ არის შეზღუდული მხარეთა სამართლებრივი მოსაზრებებით.

მფლობელის უფლებრივ მდგომარეობას, მას სკ-ის **980-ე** მუხლის პირველი ნაწილი არეგულირებს. მითითებული ნორმა ითვალისწინებს კონდიქციური ვალდებულების განსაკუთრებულ შემთხვევას, როცა ქონების უსაფუძვლოდ მიმღებს, იგი სამუდამოდ შეძენილად მიაჩნდა და ამასთან დაკავშირებით განსაზღვრული ხარჯები გაიღო ამ ქონების გაუმჯობესებისათვის ან წარმოეშვა ქონებრივი დანაკლისი. უფლებამოსილი პირის გამოჩენის შემთხვევაში, მიმღები მოვალეა, დააბრუნოს ქონება, მაგრამ მას უფლება აქვს, მოითხოვოს განეული ხარჯების ან მიღებული ქონებრივი დანაკლისის ანაზღაურება. მიმღების მიერ განეული ხარჯები ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოვალე (პირი, რომელსაც დაუბრუნდა ქონება) ამით გამდიდრდა. თუ გამდიდრების ფაქტი არ არსებობს, მაშინ მხოლოდ ხარჯების განევა არ წარმოშობს კონდიქციურ ვალდებულებას. გამდიდრების ფაქტის დასადგენად უნდა გაირკვეს, თუ რა სახით იყო ნივთი გადაცემული და რა სახით ბრუნდება იგი, ანუ უნდა დადგინდეს გამდიდრების ხარისხი. ამ ფაქტის დადგენა აუცილებელია, რადგან განეული ხარჯები უნდა ანაზღაურდეს გამდიდრების ოდენობის შესაბამისად, ამასთან, კონდიქციურმა მოთხოვნამ არ უნდა გამოიწვიოს გამდიდრებული პირის ქონების იმაზე მეტად შემცირება, რითაც იგი გამდიდრდა. ანაზღაურების ვალდებულება გამორიცხულია, თუ გადაცემული საგანი არ იძლევა იმის საფუძველს, რომ იგი მიჩნეულ იქნეს სამუდამოდ შეძენილად.

ერთ-ერთ საქმეში,<sup>40</sup> სადაც გადაცემული საგანი უძრავ ქონებას წარმოადგენდა, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ასეთი ქონება სამუდამოდ შეძენილად შეიძლება მივიწინოთ იმ შემთხვევაში, თუ მიმღები ამ ქონების მესაკუთრედ იყო რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, რადგანაც საჯარო რეესტრში უძრავი ქონების მოსარჩელის სახელზე რეგისტრაცია, იძლეოდა იმის საფუძველს, რომ მოსარჩელეს იგი სამუდამოდ შეძენილად მიეჩნია.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლად მითითებული ფაქტების გათვალისწინებით, სკ-ის **980-ე** მუხლის გამოყენებით, სააპელაციო სასამართლომ სწორად გადაჭრა მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის კონკურენციის საკით-

<sup>40</sup> სუსგ 30 ოქტომბერი, 2015, №ას-303-285-2014. ასევე, სუსგებები: 26 ივლისი, 2005, №ას-243-565-05, 31 იანვარი, 2012 ნელი, №ას-1245-1265-2011.

ხი, თუმცა არასწორად განმარტა იგი, კერძოდ, სააპელაციო სასა-მართლომ ისე დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა ქონების სა-ბაზრო ღირებულების ანაზღაურების თაობაზე, რომ არ დაუდგე-ნია გამდიდრების ფაქტის არსებობა და მისი ოდენობა, რამდენა-დაც სამართლებრივ სიკეთეთა უსაფუძვლო გადანაცვლების შედეგად ქონებრივი წონასწორობის აღდგენას კანონმდებელი უკავშირებს ფულად ანაზღაურებას, რომელიც განისაზღვრე-ბა მფლობელის (დაზარალებულის) მიერ ფაქტობრივად განე-ული დანახარჯებით გამოწვეული გამდიდრებით და არა ამ და-ნახარჯების საფუძველზე განხორციელებული გაუმჯობესების საპაზრო ღირებულებით. ამ მხრივ, სასამართლოს არ გაუთვალის-წინებია მოპასუხის მიერ შესაგებელში გამოთქმული შედავება, ისე დაეყრდნო საქმეში წარმოდგენილ ექსპერტიზის დასკვნას შენო-ბის ღირებულების განსაზღვრის თაობაზე, რაც კონდიქციური სარ-ჩელის მოთხოვნებიდან არ გამომდინარეობს.

საქმის ფაბულის მიხედვით,<sup>41</sup> მოსარჩელემ მოპასუხისგან აუქცი-ონზე შეიძინა მიწის ნაკვეთი, რაშიც გადაიხადა 10000 ლარი. მოგ-ვიანებით, სასამართლოს გადაწყვეტილებით ნასყიდობის ხელშეკ-რულება გაპათილდა. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხეზე მის მი-ერ მიწის ნაკვეთის შესყიდვისთვის გადახდილი 10000 ლარის დაბ-რუნება. ქვემდგომმა სასამართლოებმა სარჩელი შესრულების კონ-დიქციის მომწესრიგებელი წორმებით დააკმაყოფილეს. მოპასუხე მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლით პელირებდა შემძენის არაკეთილსინდისიერებაზე და მიუთითებდა, რომ მას ბრალი არ მიუძღვის ხელშეკრულების ბათილად ცნობაში. (სასამართლოს გა-დაწყვეტილებით შემძენი არ წარმოადგენდა კეთილსინდისიერს და, გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, როგორც აუქ-ციონში გამარჯვებულ პირის უფლებები ნაკვეთის შესყიდვასთან დაკავშირებით ბათილი იყო). სასამართლოს განმარტებით, კონ-დიქციური ვალდებულებისას კვლევას არ საჭიროებს გარიგე-ბის ბათილად ცნობის საფუძვლები ერთ-ერთი მხარის ბრალე-ული მოქმედების გამოვლენასთან მიმართებით, რადგან გარი-გების ბათილად ცნობის პირობებში უფლებამოსილი პირის მოთხოვნის შემთხვევაში, მიღებული უპირობო დაბრუნებას ექ-ვემდებარება.

შესრულების კონდიქციიდან გამომდინარე ვალდებულებისას,

<sup>41</sup> სუს განჩინება, 16 სექტემბერი, 2016, საქმე №ას-565-540-2016.

მოვალის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ან გამდიდრების კრედიტორის უფლების გამომრიცხველ გარემობად კანონის არცერთი დანაწესი ამ ურთიერთობის სუბიექტთა დამოკიდებულებას არ ადგენს, უფრო კონკრეტულად, კონდიქციური ვალდებულების არსებობისას, არ გაითვალისწინება არც კონტრაპენტის კეთილსინდისიერება და არც ბრალებულობა. ამ ვალდებულების მიზანი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გადანაცვლებულ მატერიალურ/არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეთა ისე აღდგენაა, რომელიც იარსებებდა, რომ არ შექმნილიყო კონდიქციური ვალდებულების მახასიათებელი წინაპირობები. ქონებრივი წონასწორობის აღდგენის მიზნით, კანონი განსაზღვრავს უსაფუძვლოდ გადაცემულის დაბრუნებას, რათა ხელი შეეწყოს სტაბილურ სამოქალაქო ბრუნვას და ბრუნვის მონაწილე რომელიმე მხარე იმგვარ მდგომარეობაში არ აღმოჩნდეს, რომელსაც სამართლებრივი წინაპირობები გამდიდრების ეტაპზე არ გააჩნია. საკასაციო პალატის შეფასებით, სააპელაციო პალატამ მართებულად მოიძია მოთხოვნის დამფუძნებელი წორმა – სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნტი, მართებულად დაადგინა მისი შემადგენელი ელემენტების არსებობა: მოპასუხის გამდიდრება, ამის შესატყვისად მოსარჩელის ქონებრივი დანაკლიის და მატერიალურ სიკეთეთა ამგვარი გადაცვლების უსაფუძვლობა.

ერთ-ერთ საქმეში<sup>42</sup> მოსარჩელემ განმარტა, რომ მან ძალაში შეუსვლელი ხელშეკრულების საფუძველზე, ერთი მხრივ, განახორციელა გარკვეული ლირებულების სარემონტო სამუშაოები, ხოლო, მეორე მხრივ, შეიძინა და დაუმონტაჟა მოპასუხეს 441 758,63 ლარის ლირებულების ნივთი. ვინაიდან განხორციელებულ შესრულებას ნამდვილი ხელშეკრულება არ ედო საფუძვლად, მოსარჩელემ მოითხოვა როგორც შესრულების, ისე გადაცემული ნივთის ღირებულების ანაზღაურება. აღნიშნულის საპირისპიროდ, მან სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე განმარტა და საკასაციო საჩივრით დაადასტურა, რომ მას საპარტო ამომრთველი არ დაუმონტაჟებია, ამასთან, მისი ქონებრივი დანაკლიის ნივთის შესაძნად განეული ხარჯი და არა ნივთია, რომლითაც მისი მიმღები გამდიდრდა. მიუხედავად ნივთით სარგებლობის ფაქტისა მოსარჩელის და-

<sup>42</sup> სუს განჩინება 9 სექტემბერი 2016, საქმე №ას-710-680-2016. (ამავე საქმეზე იხილე სუს განჩინება, 22 აპრილი, 2016, №ას-344-329-2016.)

ნაკლისს წარმოადგენს შეძენის დროისათვის გაწეული ხარჯი. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი გაწეული სამუშაოს ანაზღაურების ნაწილში დაკმაყოფილდა, ხოლო დასამონტაჟებელი საპაერო ამომრთველების ღირებულების დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა. საკასაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა რა სასაპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, მიუთითა, რომ შესრულების კონდიქციიდან გამომდინარე, გამდიდრების კრედიტორის მოთხოვნა უსაფუძვლოდ გადაცემულის უკან დაბრუნება შეიძლება იყოს, უპირველესად, უნდა შემოწმდეს რამდენადა შესაძლებელია ამ ნივთის დაბრუნება (სკ-ის 976.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი და 979.1 მუხლი) და მისი ღირებულების ანაზღაურებაზე მსჯელობა მხოლოდ მას შემდეგაა დასაშვები, თუ დამტკიცდება, რომ უკან დაბრუნება შეუძლებელია გადაცემული საგნის მდგომარეობის ან სხვა მიზეზის გამო (სკ-ის 979.2 მუხლი), ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ სკ-ის 979-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს კონდიქციური ვალდებულების ფარგლებს, ხოლო მე-2 ნაწილით მოწესრიგებულია უსაფუძვლოდ გადაცემული ქონების კომპენსაციის გადახდის ვალდებულება, თუკი თავად გადაცემული სიკეთის დაბრუნება შეუძლებელია, ასეთ შემთხვევაში, კომპენსაციის ოდენობა განისაზღვრება ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წარმოშობის დროის მიხედვით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ კონდიქციური მოთხოვნის კრედიტორმა (მოსარჩელემ) ხელშეკრულების ფარგლებში შეიძინა და დაუმონტაჟა მოვალეს ნივთი, რასაც შესაგებლით არ დაეთანხმა მოპასუხე და განმარტა, რომ ნივთის გადაცემით იგი არ გამდიდრებულა, იგი დასაწყობებულია და მას არ მოუხმარია. საკასაციო პალატამ მითითებული გარემოების გათვალისწინებით სკ-ის 976.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, 979.1 მუხლისა და სსკ-ის 102.1 მუხლის საფუძველზე დასკვნა, რომ გადაცემული ნივთის ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში მოსარჩელის მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა სწორედ იმის დადასტურება, რომ ნივთი მართლაც დაამონტაჟა, ამ დამონტაჟების შედეგად გაუმჯობესდა მოვალის ქონებრივი მდგომარეობა და მან დაზოგა შესაბამისი მატერიალური სახსრები არა უსარგებლოდ გადაცემული ნივთით, არამედ მისი ექსპლუატაციით.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ უსაფუძვლო გამდიდრე-

ბის საკითხის მარეგულირებელი არცერთი ნორმა არ ადგენს კრედიტორის უფლებადამცავ იმგვარდანაწესს, რომელიც ქონებრივი წონასწორობის აღდგენას კრედიტორის სუბიექტური ინტერესის შესაბამისად დაადგენდა (შესრულების კონდიქციის მიზანი უსაფუძვლოდ გადაცემულის დაბრუნებაა და კომპნენსაცია მხოლოდ კანონით გათვალისწინებული ობიექტური წინაპირობების არსებობისასა დასაშვები). კანონის ამგვარი ნება ემყარება სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპს, რომლის ფარგლებშიც კონტრაპენტი თავადაა განხორციელებული შესრულების ნეგატიური შედეგების რისკის მატარებელი. იმ შემთხვევაში, თუკი დადგინდება, რომ ვითომ კრედიტორს გადაცემული ქონებით არ უსარგებლია, ნივთი ობიექტურად არსებობს, რის გამოც შესაძლებელია მისი დაბრუნება, მაშინ კონდიქციური ვალდებულების არსის საპირისპიროდ, ნივთის ლირებულების დაკისრება არა უსაფუძვლო გამდიდრების გათანაბრებას, არამედ მოვალის მდგომარეობის გაუმართლებელ გაუარესებას გამოიწვევს.

სხვა საქმეში<sup>43</sup> მოსარჩელე მოპასუხისაგან ითხოვს დავალებისა და სესხის ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული თანხების ანაზღაურებას. მოპასუხემ მოთხოვნის დამაბრკოლებელი შესაგებლით სარჩელი არ ცნოდა განაცხადა, რომ მას მოსარჩელესთან მითითებული ხელშეკრულებები არ გაუფორმებია. უცხოეთიდან გადმორიცხული თანხები მისი ანგარიშიდანაა გამოტანილი და მას ეკუთვნის. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა სარჩელი არ დააკმაყოფილეს, იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა მოპასუხესთან დავალებისა და სესხის სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობა. საკასაციო სასამართლომ გაიზიარა საპელაციო სასამართლოს მსჯელობა და განმარტა, რომ პირი, რომელიც სხვის სასარგებლოდ ახორციელებს შესრულებას, ვალდებულია, დაამტკიცოს, რომ ამ შესრულებით მოწინააღმდეგე მხარეს მის მიმართ ვალდებულება წარმოეშვა. ამ წესიდან გამონაკლისი არის მხოლოდ შესრულება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, რადგან ვალდებულების არარსებობის მტკიცება, ჩვეულებრივ, ობიექტურად, შეუძლებელია.

იმისათვის, რომ სასამართლომ იმსჯელოს უსაფუძვლო გამდიდ-

<sup>43</sup> სუს განჩინება, 29 ივლისი, 2016, საქმე №ას-177-170-2016.

რებით წარმოშობილი ვალდებულების არსებობის შესახებ, აუცილებელია, მოსარჩევები თავისი მოთხოვნა, სწორედ, ამ ფაქტს დააყრდნოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, საკუთარი ინიციატივით, შეცვალოს სარჩელის სამართლებრივი საფუძველი. ეს დაარღვევს, არა მარტო დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებს, არამედ მთლიანად შეცვლის მხარეთა პროცესუალურ მდგომარეობას – **თუ ვალდებულებიდან გამომდინარე შესრულებისას მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს აკისრია, ხოლო მოპასუხეს, მხოლოდ ფაქტების მითითების ტვირთი აქვს – უსაფუძვლო გამდიდრებით წარმოშობილ ურთიერთობებში, ვალდებულების არსებობის მითითებისა და მისი მტკიცების ტვირთიც მოპასუხეს ეკისრება.** თუ მოსარჩელე მოთხოვნის საფუძვლად ვალდებულებას უთითებს, თავად არის ამ მითითებისა და, აქედან გამომდინარე, შესაბამისი სამართლებრივი შედეგების რისკის მატარებელი.

სამოქალაქო დაცვაში მოსარჩელის მოთხოვნას<sup>44</sup> წარმოადგენდა 2011 წლის 2 თებერვალს გამოვლენილი ცალმხრივი ნების (რომლის საფუძველზეც მინის ნაკვეთები გადავიდა სახელმწიფოს საკუთრებაში) ბათილობიდან გამომდინარე, სადაც მინის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების დაბრუნება. ამ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სკ-ის 978-ე მუხლი და 979-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება: „პირს, რომელიც მეორე პირს გადასცემს რაიმეს არა ვალდებულების შესასრულებლად, არამედ იძულების ან მუქარის საფუძველზე, შეუძლია, მოითხოვოს მისი უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მიმღებს უფლება ჰქონდა გადაცემულზე“ ... „უკან დაბრუნების მოთხოვნა ვრცელდება შეძენილზე...“..

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საკმარისად არ გამოიკვლია მოსარჩელის ნების ნამდვილობის წინაპირობები, კერძოდ, დაცული იყო თუ არა ნების გამოვლენის თავისუფლების უზრუნველყოფისათვის შესაბამისი პირობები, პროკურატურა მოსარჩელეზე ფსიქოლოგიურად ხომ არ ზემოქმედებდა და ქონებაზე უარი შექმნილმა ვითარებამ ხომ არ განაპირობა? საკასაციო სასამართლო არ დაეთანხმა სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ, რადგანაც მუქარა და ძალადობით ქონების დათმობის

<sup>44</sup> სუს განჩინება 28 ივნისი, 2016, №ას-42-42-2016.

იძულება სისხლის სამართლის წესით დასჯადი ქმედებაა, სამოქა-ლაქო სამართალნარმოების ფარგლებში და გამამტყუნებელი გა-ნაჩენის არ არსებობის პირობებში, ამ გარემოებების დადგენა შე-უძლებელია. რასაკვირველია, კანონიერ ძალაში შესული განაჩე-ნის არსებობის შემთხვევაში, მოსარჩელე დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას მოითხოვდა გამარტივებული წარმოების წე-სით [სკ-ის გვ. 1000] და მას სამტკიცებელი ექნებოდა მხოლოდ მიყენებული ზიანის მოცულობა, რადგანაც ყველა სხვა გარემოება ისედაც დამტკიცებულად ჩაითვლებოდა [სკ-ის გვ. 1000]. 2 მუხლი], მაგრამ, მოცულებულ შემთხვევაში, მისი მოთხოვნა არა დელიქტს, არა-მედ უსაფუძვლო გამდიდრებას ეფუძნება და, აქედან გამომდინა-რე, სწორედ სამოქალაქო სამართალნარმოების წესით უნდა დად-გინდეს სკ-ის 978-ე მუხლით გათვალისწინებული ის ფაქტობრივი წანამდლორები რომელთა განხორციელებაც სარჩელით მოთხოვნილ სამართლებრივ შედეგს განაპირობებს. პალატის აზრით, თუ დად-გინდება, რომ სადაცვო მინის ნაკვეთებზე საკუთრება მოპასუხებ მესამე პირთა არამართლზომიერი მოქმედების შედეგად დაკარგა, ანუ მას ჰქონდა უფლება გადაცემულზე, მაშინ სკ-ის 978-ე მუხ-ლის ბოლო წინადადების საფუძველზე მოთხოვნა თავისთავად გა-მოირცხება.

ერთ-ერთ საქმეში,<sup>45</sup> სადაც დავის საგანია ფულადი ვალდებულე-ბის შესრულება მოსარჩელეებმა მოითხოვეს მოპასუხეთათვის იმ თანხის დაკისრება, რომელსაც ბიზნეს-საქმიანობის ხელშესაწყო-ბად ურიცხავდნენ მათ. მოსარჩელეებმა გადარიცხული თანხების დაბრუნების სამართლებრივ საფუძვლად დაასახელეს სესხის ხელ-შეკრულებიდან გამომიღინარე ვალდებულებისამართლებრი-ვი ურთიერთობა.

ქვემდგომმა სასამართლოებმა სარჩელი დააკმაყოფილეს. საა-პელაციო სასამართლომ მოსარჩელეთა მიერ მოპასუხებისათ-ვის სხვადასხვა დროს თანხების გადაცემა სესხის ხელშეკრულე-ბიდან გამომდინარე ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთო-ბად შეაფასა. ფულადი ვალდებულების არსებობის/თანხის დაბრუ-ნების მოთხოვნის მიზნებისათვის კი, სააპელაციო პალატამ იხელ-მძღვანელა სკ-ის 361-ე მუხლის მეორე ნაწილისა და 427-ე მუხ-ლით და მიიჩნია, რომ მოპასუხებს ჰქონდათ სარჩელით მოთხოვ-

<sup>45</sup> სუს განჩინება, 25 მაისი, 2016, №ას-74-71-2016.

ნილი დავალიანება.

საკასაციონ სასამართლომ მიიჩნია, რომ კასატორთა მიერ სსკ-ის 393-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დასაშვები (დასაბუთებული) საკასაციონ პრეტენზია წარდგენილი, **რაც სააპელაციო სასამართლოს მიერ სკ-ის 623-ე მუხლის არასწორ გამოყენებასა და განმარტებაში გამოიხატა.**

საქმის მასალებით დადგენილია მოსარჩელეთა მიერ მოპასუხეთათვის სადავო თანხების ჩარიცხვის ფაქტი. გადარიცხვის დანიშნულება-მიმდინარე ხარჯები. ფული დაბრუნებული არ არის. სადავოა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძველი. საკასაციონ სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხეებთან სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის არსებობის მტკიცების ტყირთი მოსარჩელეებს ეკისრებოდათ, მით უფრო, რომ იმ პირობებში, როდესაც მოპასუხემ დაადასტურა თანხის სარჩელში მითითებული ოდენობით მიღების ფაქტი და სადავოდ გახადა მხოლოდ თანხის გადაცემის მიზნობრიობა (სასესხო ურთიერთობის არსებობა).

საკასაციონ სასამართლომ აღნიშნა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელეებმა წარმოადგინეს სადავო თანხის გადმოგზავნის გზით მოპასუხეებისათვის თანხის გადაცემის დამადასტურებელი მტკიცებულება (ფულადი გზავნილის გადარიცხვის ამსახველი ამონანერი), თუმცა მასში რაიმე მინიშნება/მითითება არ არის მხარეთა შორის სასესხო ვალდებულების არსებობაზე. პირიქით, გადახდის დანიშნულებად მითითებულია – მიმდინარე ხარჯები. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც სადავოა თანხის გადაცემის დანიშნულება (სამართალურთიერთობის კვალიფიკაციისათვის) მხოლოდ მოპასუხეთა სახელზე სადავო თანხის გადმოგზავნისა და ამ თანხის მიღების ფაქტით, არ შეიძლება, დადასტურდეს მხარეთა შორის სასესხო ვალდებულების არსებობა.

საკასაციონ პალატის მოსაზრებით, სესხის ზეპირი ხელშეკრულების არსებობაზე მითითებისას უნდა ვლინდებოდეს არა მხოლოდ თანხის გადაცემა, არამედ ის ფაქტობრივი გარემოებაც, რომ თანხის მიმღებმა მისი დაბრუნების ვალდებულება იკისრა. სწორედ ამ გარემოების არსებობა განაპირობებს ხელშეკრულებიდან გამომდინარე საპირისპირო ვალდებულების – სესხის ანაზღაურების

მოთხოვნის უფლებას. საკასაციო სასამართლომ უმართებულოდ მიიჩნია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ მოსარჩელის მტკიცების ტვირთს შეადგენდა მოპასუხისათვის თანხის გადაცემის დადასტურება, რაც თავად ვალდებულების არსებობას გულისხმობს (სკ-ის 361-ე მუხ.).

საკასაციო სასამართლომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოება-თა გათვალისწინებით, რომლის წინააღმდეგ საპროცესო ნორ-მების დარღვევის თვალსაზრისით წარდგენილი არ არის დასაშვები საკასაციო პრეტენზია, მიიჩნია, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნის დაკავყოფილების მატერიალურსამართლებრივ საფუძველს სწორედ მოპასუხეთა უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტი და, აქედან გამომდინარე, სკ-ის 976-ე მუხლის შესაბამისად, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მიღებულის უკან დაპრუნება წარმოადგენს. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ კონდიქციური ვალდებულების წარმოშობისათვის ერთი პირი უნდა მდიდრდებოდეს მეორის ხარჯზე სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, რომელიც ან თავიდანვე არ არსებობდა, ან შემდგომში მოიშალა. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას თუ, რის შედეგად წარმოიქმნა უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტი – თავად დაზარალებულის მოქმედების, გამდიდრებულის მოქმედების თუ მესამე პირთა მოქმედების შედეგად ან განხორციელდა იგი მათი ნების საწინააღმდეგოდ. ასევე, არა აქვს მნიშვნელობა ამ სამართლურთიერთობაში მონაწილე სუბიექტთა ბრალეულობას, კეთილსინდისიერებასა და მათ მიერჩადენილი მოქმედებების მართლზომიერებასა თუ მართლწინააღმდეგობას. კონდიქციური ვალდებულების არსებობის სამართლებრივი საფუძვლით, სარჩელის დასაკმაყოფილებლად მნიშვნელოვანია, დადგინდეს მხოლოდ ობიექტური შედეგი, რაც გულისხმობს ერთი პირის მიერ მეორე პირის ხარჯზე რაიმე სამართლებრივი სიკეთის შექნას (დაზოგვას) შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის გარეშე, ასევე, აუცილებელია, რომ გამდიდრება მოხდეს სხვის ხარჯზე, რის შედეგადაც ერთი პირის ქონება მეორე პირის ქონების შესაბამისი შემცირების ხარჯზე იზრდება.

უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის ნორმები აღჭურვილია დაცვითი ფუნქციით, უზრუნველყოფს რა არაუფლებამოსილი სუბიექტისაგან უსაფუძვლოდ შიღებული ქონების ამოღებას და მისი უფლებამოსილი პირისათვის გადაცემას. შედეგობრივი თვალსაზრისით, სამართლისათვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, თუ რა

საშუალებით გამდიდრდა პირი – მიიღო თუ დაზოგა ქონება. ფაქტი ერთია – ვითომ კრედიტორის ქონებრივ სფეროში აღმოჩნდა ქონება, რომელსაც იქ არსებობის სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია და, აქედან გამომდინარე, ექვემდებარება უფლებამოსილი პირისათვის დაბრუნებას.

საკასაციო პალატის აზრით, უსაფუძვლო გამდიდრების მიზანი არის სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შეძენილი ქონების (უფლების ან გარკვეული შეღავათის, უპირატესობის) ამოღება, რითაც უნდა უზრუნველყოფილ იქნეს სამართლიანობის აღდგენა ანუ იმ მდგომარეობის აღდგენა, რომელიც იარსებებდა არაუფლებამოსილი პირის მიერ დაზარალებულის ხარჯზე გარკვეული შეღავათის, უფლების, უპირატესობის მიღებამდე.

ამდენად, სკ-ის 976-ე მუხლი ანესრიგებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც შემსრულებელი ასრულებს ფაქტობრივად არარსებულ ვალდებულებას, რაც იწვევს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას მითითებული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე.

საბოლოოდ, **საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების** ერთობლივი შეფასების შედეგად, საკასაციო პალატამ დაასკვნა, რომ, განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხები უსაფუძვლოდ გამდიდრდნენ, ხოლო სარჩელის დაკმაყოფილებას წარდგენილი შესაგებელი არ აპრკოლებს, რადგანაც მასში არაა მითითება დაბრუნების კონდიქციის შემაფერხებელ სკ-ის 976-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებში მითითებული რომელიმე ნანამდლვრების არსებობაზე.

სხვა დავაში<sup>46</sup> მოსარჩელე ითხოვს მისი პირადი საბანკო ანგარიში-დან გადარიცხული თანხის მოპასუხისათვის დაკისრებას. მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ მხარეებს შორის სანოტარო ბიუროში გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც მოპასუხებ 23,500 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ შეიძინა ბინა. უძრავი ქონება საფუძვლით რეესტრში აღირიცხა მოპასუხის საკუთრების უფლებით. ხელშეკრულების 3.1 მუხლის მიხედვით, მყიდველმა გამყიდველს ნასყიდობის ფასი სრულად გადაუხადა ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებამდე, გამ-

<sup>46</sup> სუს განჩინება, 20 მაისი, 2016, №ას-184-171-2015.

ყიდველმა კი, მიიღო ნასყიდობის ფასი. ხელშეკრულება ხელმოწერილია უშუალოდ მხარეთა მიერ, ასევე, დადგენილია, რომ ნასყიდობის საფასური (23,000 აშშ დოლარი) ნაღდი ანგარიშსწორების გზით სწორედ ხელშეკრულების გაფორმების დღეს ჩაირიცხა გამყიდველის ანგარიშზე. შემოსავლის ორდერში თანხის შემტან პირად დაფიქსირებულია მოსარჩევე. სარჩელითა და საკასაციო საჩივრით მოსარჩევე სადავოდ ხდის გამყიდველის ანგარიშზე შეტანილ 23,000 აშშ დოლარზე (ნასყიდობის საფასური) საკუთრების უფლებას და აღნიშნავს, რომ სადავო თანხის გარკვეული ნაწილი თავისი დანაზოგს, ხოლო სხვა ნაწილი – პირველი მეულისაგან დანატოვარი.

სააპელაციო პალატამ დაასკვნა, რომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ ქმნიდა თანხის დაპრუნების და, შესაბამისად, სარჩელის დაკმაყოფილების სკ-ის 978-ე, 991-ე მუხლებით გათვალისწინებულ ფაქტობრივ-სამართლებრივ საფუძველს. სახელდობრ, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, იმ პირობებში, როდესაც ნაყიდი უძრავი ქონება შეიძინა მოპასუხემ, არ დგინდებოდა, რომ რეალურად უძრავი ნივთის ნასყიდობისას გარიგების ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენდა მოსარჩევე და ბინის გამყიდველისათვის საბანკო ოპერაციით გადარიცხულ თანხაზე ვრცელდებოდა მოსარჩელის საკუთრების უფლება, მარტო დენარიუმის მონანილეობა კი, არ იყო სარჩელის დაკმაყოფილებისა და მოპასუხისათვის ამ თანხის დაკისრების საკმარისი საფუძველი, რაც სარჩელს წარუმატებელს ხდიდა.

საკასაციო პალატის განმარტებით, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოების კერძოდ, იმის გათვალისწინებით, რომ – 23,000 აშშ დოლარი ნაღდი ანგარიშსწორების გზით ხელშეკრულების გაფორმების დღეს ჩაირიცხა გამყიდველის ანგარიშზე, ხოლო შემოსავლის ორდერში თანხის შემტან პირად დაფიქსირებულია მოსარჩევე – ამოქმედდა პრეზუმაცია სადავო თანხის კუთვნილების შესახებ მოსარჩელის სასარგებლოდ. შესაბამისად, საპირისპირო მტკიცების ტვირთი, რომლითაც გამოირიცხებოდა სადავო თანხაზე მოსარჩელის საკუთრების უფლება, მოპასუხის მხარეზეა, რომელიც სადავო თანხის მოსარჩელის პირად ანგარიშზე მოხვედრის გარემოებას არასარწმუნოდ ხსნის. საკასაციო პალატამ მიიაჩინა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, კასატორმა დასაბუთებული (დასაშვები) საკასაციო პრეტენზია წარადგინა, რაც საქმის განმხილველი სააპელაციო

სასამართლოს შემადგენლობის მიერ სკ-ის 991-ე მუხლის არას-ნორ გამოყენებასა და განმარტებაში გამოიხატა.

საკასაციო პალატამ მიუთითა სკ-ის 317-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეობა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან. ამავე კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით კი, დადგენილია ქცევის იმგვარი წესი, რომლის თანახმად, პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია, მოსთხოვოს ვითომეკრედიტორს (მტმდებს) მისი უკან დაბრუნება, თუ: ვალდებულება, გარიგების ბათოლობის ან სხვა საფუძვლის გამო, არ არსებობს, არ წარმოიშობა, ან შეწყდა შემდგომში. ნორმის მიზნიდან გამომდინარეობს ერთმნიშვნელოვანი დასკვნა იმის თაობაზე, რომ კონდიქციური ვალდებულების წარმოშობისათვის ერთი პირი უნდა მდიდრდებოდეს მეორის ხარჯზე სამართლებრივი საფუძვლის გარეშე.

საკასაციო სასამართლომ მიიღო რა სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების გადაწყვეტილება, აღნიშნა, რომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების, სახელდობრ, იმის გათვალისწინებით, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მოპასუხემ 23,500 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ შეიძინა უძრავი ქონება, რომელიც საჯარო რეესტრში აღირიცხა მოპასუხის საკუთრების უფლებით; აგრეთვე, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ხელშეკრულების მიხედვით, მყიდველმა გამყიდველს ნასყიდობის ფასი სრულად გადაუხადა ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებამდე, გამყიდველმა კი, მიიღო ნასყიდობის საფასური (23,000 აშშ დოლარი), რომელიც უნაღდო ანგარიშს ნორების გზით მის საბანკო ანგარიშზე ჩაირიცხა 2013 წლის 25 თებერვალს; შემოსავლის ორდერში თანხის შემტეან პირად დათიქსირებულია მოსარჩელე, გამოსაკვლევია, მოსარჩელის საბანკო ანგარიშიდან გადარიცხული სადავო თანხის (23,000 აშშ დოლარის) დაბრუნების კონდიქციის არსებობა, უსაფუძვლო გამდიდრების მომნესრიგებელი სსკ-ით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლით.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ იმ გარემოების გათვალის-

წინებითაც, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი მყიდველის ვალდებულება ნასყიდობის საფასურის სრულად გადახდის შესახებ (სკ-ის 477-ე მუხლი) შესრულდა მოსარჩელის პირადი საბანკო ანგარიშიდან თანხის გადარიცხვით, ხოლო მხარეებს სადავოდ არ გაუხდით ნასყიდობის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი იურიდიული შედეგი (ანუ ნასყიდობის საგანზე მოპასუხის საკუთრების უფლების წარმოშობა), საქმის განმხილველმა სააპელაციო სასამართლოს შემადგენლობამ უნდა შეამოწმოს ხომ არ გამოიკვეთა სკ-ის 371-ე მუხლის შემადგენლობა, რომლის საკანონმდებლო დანაწესი ითვალისწინებს უფლებამოსილი პირის მიმართ ვალდებულების შესრულებას მესამე პირის მიერ, ამ ურთიერთობის მომწესრიგებელ დამფუძნებელ ნორმებთან ერთობლივად. ამასთან, დასადგენია ფაქტობრივი გარემოები, რომლებიც შექმნის ობიექტურ, რეალურ სურათს სადაც თანხის მოპასუხის ვალდებულების შესასრულებლად გადარიცხვასთან დაკავშირებით. გამომდინარე იქიდან, რომ ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას (სკ-ის 361-ე მუხლი), თუ არ დგინდება მხარეთა შორის ვალდებულების არსებობა (სკ-ის 317-ე მუხლი) და აღნიშნული არც სახელშეკრულებო ურთიერთობის არსიდან გამომდინარებს, მაშინ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის კვლევისათვის არსებითია უსაფუძვლო გამდიდრების სამართლებრივი საფუძვლების ძიება.

პრაქტიკულ შემთხვევაში,<sup>47</sup> სასამართლომ დაადგინა მხარეთა შორის ფორმადაუცველი გარიგების, უძრავი ნივთის ნასყიდობის, დადების ფაქტი. სასამართლომ ასეთი გარიგება დადების მომენტიდან ბათილად მიიჩნია [სკ-ის 59.1-ე, 61.1.-ე, 328-ე და 183-ე მუხლები] და აღნიშნა, რომ მოსარჩელემ მოპასუხის ნინაშე შეასრულა არარსებული ვალდებულება – სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გადასცა მას 12 500 აშშ დოლარი. საკასაციო სასამართლოს აზრით, გარიგება ნამდვილი გახდებოდა, თუ მას დაასტურებდნენ მხარები, რადგანაც იგი არ ენინააღმდეგებოდა ზნეობის ნორმებსა და საჯარო წესრიგის მოთხოვნებს, მაგრამ არ დადასტურებულა, მოპასუხის მხრიდან საბასუხო ნების არარსებობის გამო, მაშინ როდესაც მოსარჩელე მზად იყო, დაედასტურებინა ბათილი გარიგება, რასაც, ბუნებრივია, შედეგად მოჰყვებოდა არსებული სამართლებრივი ხარვეზის გამოსწორება (სკ-ის 61-ე მუხლის მეოთხე ნა-

<sup>47</sup> სუს განჩინება, 11 მარტი, 2016, №ას-1005-949-2015.

ნილი). მოსარჩეულები მოთხოვნის გამომრიცხველი გარემოებების არარსებობის პირობებში (სკ-ის 976-ე მუხლის მეორე ნაწილი) სავ-სებით მართებულად მოითხოვა გადაცემულის უკან დაბრუნება, რადგანაც ამის შედეგად მოპასუხე გამდიდრდა (სკ-ის 976-ე მუხ-ლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და 979-ე მუხლის პირველი ნაწილი). შესაბამისად, ზემოთ მითითებული საფუძვლით სარჩელი დაკმაყოფილდა. მოპასუხეს დაეკისრა მოსარჩელის მიერ სახლის შესაძენად გადაცემული 12500 აშშ დოლარის გადახდა. ამავე საქ-მეში საყურადღებოა, რომ სასამართლო უსაფუძვლოდ ჩათვალა მოპასუხის მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგე-ბელი და მიუთითა, რომ მოსარჩელეს მოთხოვნის უფლება წარმო-ეშვა ამ მომენტიდან, როცა მისთვის ცნობილი გახდა, რომ მოპასუ-ხე კანონისმიერი შემკვიდრეობის უფლების საფუძველზე უძრავი ქონების მესაკუთრედ აღრიცხვის მიუხედავად, დანაპირების შეს-რულებასა და მოპასუხისათვის კანონით დადგენილი წესით უძრავ ნივთზე საკუთრების გადაცემას არ აპირებდა. (სკ-ის 130-ე მუხ-ლი). საქმის მასალების მიხედვით სარჩელი წარდგენის გათვალის-წინებით მოთხოვნა არაა ხანდაზმული და, აქედან გამომდინარე, განხორციელებადია.

სამოქალაქო საქმეში<sup>48</sup> მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის ბანკის მეშვეობით გადარიცხული 9200 ევროს დაკისრება. მოპა-სუხემ თანხა მიიღო. ამ უკანასკნელმა, ზეპირი განმარტების გარ-და, ვერ წარადგინა მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებ-და მხარეთა შეთანხმებას, რომ მოსარჩელის მიერ გადარიცხული თანხა წარმოადგენდა ე.წ. „ლატარიის“ (ყოფით ურთიერთობებში, ურთიერთდახმარების მიზნით, პირთა მიერ თანხის შეგროვება და მისი გაცემალატარიის მოთამაშე (მონაწილე) პირებზე, მათივე შე-თანხმებით, რიგითობით) შედეგს და ის არ უნდა დაბრუნებულიყო. ამასთან, მხარეებმა ვერც ის გარემოება ვერ დაადასტურეს, რომ სადაცო თანხა სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარეობდა. სა-სამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხის მეუღლეს, რომელიც ჩაბ-მულ იქნა საქმის განხილვაში მესამე პირად, დამოუკიდებელი მოთ-ხოვნის გარეშე, ჰქონდა საპროცესო შესაძლებლობა, წარედგინა მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ სადაცო თანხა თავად ეკუთ-ვნოდა. მიუხედავად ამისა, ვერც მოპასუხემ და ვერც მისმა მეუღ-ლებ სასამართლოს ვერ წარუდგინეს მტკიცებულებები თანხის

<sup>48</sup> სუს განჩინება, 29 დეკემბერი, 2015, №ას-1051-991-2015.

კუთვნილებასთან დაკავშირებით. მოსარჩელემ მოპასუხედ დაასახელა პირი, რომელმაც უშუალოდ მიიღო მოსარჩელის მიერ, პანკის მეშვეობით, გადარიცხული თანხა, შესაბამისად, **სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე იყო ის პირი, ვისაც უნდა ემტკიცებინა თანხის მიღების სამართლებრივი საფუძველი**, რადგან სხვა გარემოებები, მაგალითად, სესხის ხელშეკრულების არსებობა მოსარჩელესა და მოპასუხის მეუღლეს შორის ან ამ უკანასკნელისათვის თანხის კუთვნილება, არ იყო დადასტურებული საქმის მასალებით. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი მოცემულობა: 1) მოპასუხის მიერ აღიარებული იყო მოსარჩელისაგან სადაც თანხის მიღების ფაქტობრივი გარემოება. 2) მოპასუხემ სსკ-ის მე-4, 102-ე მუხლის შესაბამისად, თავისი მტკიცების ფარგლებში, ვერ დაადასტურა თანხის კუთვნილების ფაქტი და 3) არ დგინდებოდა მოპასუხის მიერ მოსარჩელისაგან 3900 ეროვნულის მიღების ვალდებულებითსამართლებრივი საფუძველი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნის მატერიალურსამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა მოპასუხის უსაფუძვლო გამდიდრება, კერძოდ, სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, რომელიც ანესრიგებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც შემსრულებელი ახორციელებს ფაქტობრივად არარსებულ ვალდებულებას, რაც იწვევს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას. განსახილველ შემთხვევაში კი, მოპასუხე სამართლებრივი საფუძვლის გარეშე თანხის მიღებით უსაფუძვლოდ გამდიდრდა.

საქმის მასალების მიხედვით,<sup>49</sup> მოსარჩელემ მოპასუხეთა მიმართ აღძრული სარჩელით 8000 აშშ დოლარის ანაზღაურება, ხოლო თანხის გადახდამდე უძრავი ნივთით სარგებლობის უფლების მინიჭება მოითხოვა. მოსარჩელის განმარტებით, მან პირველი მოპასუხისგან შეიძინა სადაც უძრავი ნივთი ზეპირი გარიგების საფუძველზე რისთვისაც მას 8000 აშშ დოლარი გადაუხადა. მოსარჩელე ზეპირი ნასყიდობის გარიგების დადების შემდეგ დაეუფლა ბინას, მიაშენა და ჩაატარა კაპიტალური რემონტი. მოგვიანებით, პირველმა მოპასუხემ სადაც ბინა მეორე მოპასუხეს მიჰყიდა. ქვემდგომი სასამართლოების გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, კერძოდ, პირველ მოპასუხეს (ყოფილი მესაკუთრე) დაეკისრა მოსარჩელის მიერ გადაცემული თანხის 8000 აშშ დოლა-

<sup>49</sup> სუს განჩინება, 23 დეკემბერი, 2015, №ას-329-314-2015.

რისა და მიშენებისა და კაპიტალური რემონტის ხარჯის, 7000 აშშ დოლარის. შესაბამისი ლარის ანაზღაურება, სარჩელი მეორე მოპასუხისათვის მიშენებისა და რემონტის ხარჯის დაკისრებისა და ბინით სარგებლობის უფლების მინიჭების თაობაზე არ დაქმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლომ უძრავი ნივთის ნასყიდობის ზეპირი გარიგება სკ-ის 183-ე, 59-ე მუხლების საფუძველზე ბათილად ჩათვალა და პირველი მოპასუხისათვის სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გადაცემული თანხის, 8000 აშშ დოლარის დაბრუნების მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმად სკ-ის 976-ის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი მიიჩნია. რაც შეეხება დანახარჯების ანაზღაურებას, სასამართლომ მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმად 987-ე მუხლი განსაზღვრა. **საკასაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და გაიზიარა მისი მოსაზრება მეორე მოპასუხის (სადავო ბინის ამჟამინდელი მესაკუთრის) მიმართ მოსარჩელის პრეტენზიების უსაფუძვლობაზე.** სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ მეორე მოპასუხებ (ბინის შემძენმა) სადავო ქონება მისი საბაზრო ღირებულების შესაბამის ფასად შეიძინა მას შემდეგ, რაც ბინის რეკონსტრუქცია და რემონტი უკვე ჩატარებული იყო. აღნიშნული ნიშნავს, რომ მოსარჩელეს შემძენის ქონებაზე არ გაუწევია ხარჯი და ეს უკანასკნელი ამ ხარჯით არ გამდიდრებულა. შესაბამისად, ბინის ამჟამინდელი მესაკუთრისათვის, მოსარჩელის სასარგებლოდ, თანხის და კისრების საფუძვლები არ არსებობდა. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სკ-ის 163-ე მუხლის მესამე ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილება პირმა შეიძლება, გამოიყენოს მხოლოდ ანაზღაურებაზე ვალდებული პირის მიმართ. მითითებულიდას გამომდინარე, მეორე მოპასუხე (მესაკუთრე) არ არის ვალდებული, მოსარჩელეს თანხა გადაუხადოს და, შესაბამისად, მის მიმართ მოსარჩელე ე.წ. დაკავების უფლებას ვერ გამოიყენება.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, ასეც რომ არ იყოს, დაკავების უფლება აქვს ნივთის კეთილსინდისიერ მფლობელს. კეთილსინდისიერი მფლობელი კი არის პირი, რომელმაც არ იცოდა და არც შეიძლებოდა, სცოდნოდა სამართლებრივი საფუძვლის ხარვეზის არსებობა. პირი, რომელიც ქონებას უცილოდ ბათილი გარიგების საფუძველზე იძენს, არ შეიძლება კეთილსინდისიერ მფლობელად ჩაითვალოს, რადგან მისთვის გარიგების ნაკლი იმთავითვე, ობიექტურად ცნობილია, ამიტომ მოსარჩელე სადავო ქონე-

ბის კეთილსინდისიერი მფლობელი არ არის და იგი ნივთის დაკავების უფლებასაც ვერ გამოიყენებს.

განსახილველ საქმეში,<sup>50</sup> სასამართლომ დადგენილად მიიჩნია მხარეთა შორის სასესხო ურთიერთობის არსებობა, რომლის ფარგლებშიც მოსარჩევეს (მსესხებელს) ნაკისრი ვალდებულება არ შეუსრულებია. **მხარეები შეთანხმდნენ სადავო ქონების გადაცემის გზით ვალდებულების გაქვითვაზე, რის შედეგადაც გაფორმდა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება.** გამსესხებელმა შეიძინა მსესხებლის უძრავი ქონება, რომელიც შემდეგში გაასხვისა მესამე პირზე. სასამართლომ მიუთითა, რომ აღნიშნული ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის ბათილობაც იყო სარჩელით მოთხოვნილი, ნარმოადგენდა კანონის მოთხოვნათა შესაბამისად დადებულ ნამდვილ გარიგებას და არ არსებობდა მისი სკ-ის 56-ე მუხლით ბათილად ცნობის საფუძველი, თავის მხრივ, ამ გარიგების ნამდვილობა უსაფუძვლის ხდიდა სასარჩელო მოთხოვნას მოპასუხეებს (გამსესხებელსა და მესამე პირს) შორის დადებული გარიგების ბათილად ცნობის შესახებ.

საკასაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და არ გაიზიარა მოსარჩელის (კასატორის) მოსაზრება, რომ არატოლფასი ლირებულების სიკეთეთა გადანაცვლება არ შეიძლებოდა, ნამდვილ გარიგებად მიწნეულიყო. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სკ-ის 427-ე მუხლით დადგენილია ვალდებულების შეწყვეტის ზოგადი წესი კრედიტორის სასარგებლოდ შესრულება, ამავე კოდექსის 428-ე მუხლი კი, ითვალისწინებს ვალდებულების შეწყვეტას კრედიტორის მიერ სხვა შესრულების მიღებით. ასეთ შემთხვევაში, სავალდებულოა კრედიტორის თანხმობა სხვა შესრულების მიღებაზე. მითითებული ნორმა არ ენინააღმდეგება სკ-ის 319-ე მუხლის პირველი ნაწილით განმტკიცებულ ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს-კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ, კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ, დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ენინააღმდეგება მას. თუ საზოგადოების ან პიროვნების არსებითი ინტერესების

<sup>50</sup> სუს განჩინება, 11 დეკემბერი, 2015, №ას-881-831-2015.

დაცვისათვის ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია სახელმწიფოს ნებართვაზე, მაშინ ეს უნდა მოწესრიგდეს (კალკე კანონით. თავის მხრივ, ნების გამოვლენა (რომელიც, მოცემულ შემთხვევაში, სხვა შესრულების მიღებაზე კრედიტორის თანხმობაა), ამავე კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად, გარიგებაა, რომელიც სრულად ექცევა ზემოხსენებული ნორმების მოწესრიგების სფეროში.

საკასაციო პალატამ სსკ-ის 248-ე მუხლზე დაყრდნობით (სასამართლოს უფლება არა აქვს, მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა), აღნიშნა, რომ, ვინაიდნა მოცემულ შემთხვევაში, სასამარჩელო მოთხოვნა გარიგების ბათილად ცნობაა და სასამართლო ამ მოთხოვნის ფარგლებს ვერ გასცდება, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ პროცესის ძირითადი პრინციპების: დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის (სსკ-ის მე-3 და მე-4 მუხლები) დაცვით, თუკი დამტკიცდება არატოლფასი ლირებულების სიკეთეთა გადანაცვლების (დარღვეული ვალდებულებისა და გადაცემული ქონების ლირებულება) გზით კრედიტორის უსაფუძვლოდ გამდიდრება, კონდიქციური ვალდებულების მარეგულირებელი შესაბამისი საფუძვლიდან გამომდინარე, მოსარჩელეს გააჩინა შესაძლებლობა, მოითხოვოს უსაფუძვლოდ განეული დანახარჯების ანაზღაურება (სსკ-ის 976-991-ე მუხლები).

პრაქტიკულ მაგალითში,<sup>51</sup> მოსარჩელემ სამი მოპასუხის წინააღმდეგ აღძრული სარჩელით მოითხოვა მას და მეორე და მესამე მოპასუხეს შორის ვალის აღიარების ხელშეკრულების ბათილად ცნობა, მას და პირველ მოპასუხეს შორის დავალების ხელშეკრულების შეწყვეტილად ცნობა და პირველი მოპასუხისათვის გადაცემული თანხის დაბრუნება. მეორე და მესამე მოპასუხე ერთობლივ საქმიანობას ენერგენენ და ძირითადად აშენებდნენ საცხოვრებელ ფართებს. პირველი მოპასუხე არ წარმოადგენდა ერთობლივი საქმიანობის მონაწილეს. სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა რა სარჩელი პირველი მოპასუხისათვის მოსარჩელის მიერ გადაცემული თანხის დაკისრების მოთხოვნით, დაადგინა, რომ მოსარჩელემ პირველ მოპასუხეს გადასცა 50 000 აშშ დოლარი, რასაც პირველი მოპასუხეც აღიარებს. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ არ დასტურდება პირველი მოპასუხის მიერ მოსარჩელისაგან მი-

<sup>51</sup> სუს განჩინება, 9 ივნისი, 2016, №ას-920-870-2015.

ღებული 50 000 აშშ დოლარის მეორე და მესამე მოპასუხეებზე გა-  
დაცემის ან სამშენებლო მიზნით გამოყენების ფაქტი.

საკასაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა სააპელაციო სასა-  
მართლოს გადაწყვეტილება და აღნიშნა, რომ იმ პირობებში, რო-  
დესაც მოსარჩელე უთითებს, რომ მან პირველი მოპასუხეს 50 000  
აშშ დოლარი მშენებლობისათვის გადასცა და პირველი მოპასუხეც  
არ უარყოფს ამ თანხის მიღებას, პირველი მოპასუხის მტკიცების  
ტვირთს წარმოადგენს იმ გარემოების დადასტურება, რომ მისთვის  
გადაცემულ თანხას ჰქონდა სხვა დანიშნულება, კერძოდ, წარმო-  
ადგენდა არა სამშენებლო მიზნით გადაცემულ, არამედ, სკ-ის 371-  
ე მუხლის შესაბამისად, მის მიმართ მეორე და მესამე მოპასუხეე-  
ბის ვალდებულების შესასრულებლად გადახდილ თანხას. მეორე  
და მესამე მოპასუხეების მიერ მოსარჩელის ან პირველი მოპასუ-  
ხის სასარგებლოდ ვალის აღიარება ამ გარემოების (მათი დავალე-  
ბით მოსარჩელის მიერ პირველი მოპასუხისათვის თანხის გადაცე-  
მის) დამადასტურებელ მტკიცებულებას არ წარმოადგენს, რად-  
გან ვალის არსებობის აღიარებით ახალი ხელშეკრულება იდება,  
რაც იმას ნიშნავს, რომ ვალის აღიარების ხელშეკრულებით დგინ-  
დება ახალი დამოუკიდებელი ვალდებულებითსამართლებრივი ურ-  
თიერთობა, წარმოიშობა ახალი მოთხოვნა, მიუხედავად ძველი  
ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის არსებობისა თუ  
ნამდვილობისა. ახალი ვალდებულებითსამართლებრივი ურ-  
თიერთობის სამართლებრივი ძალა არ არის დამოკიდებული ძველი ურ-  
თიერთობის სამართლებრივ ძალასა და შინაარსზე.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს  
დასკვნა, რომ პირველმა მოპასუხემ მოსარჩელისაგან 50 000 აშშ  
დოლარი შესაბამისი ვალდებულებით-სამართლებრივი საფუძვლის  
გარეშე მიიღო და აღნიშნა, რომ მოსარჩელის მიერ პირველი მოპა-  
სუხისათვის თანხის გადაცემის ფაქტი ექცევა სკ-ის 976-ე მუხლის  
პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მოწესრიგების რეჟიმში და მი-  
ღებული შესრულება ექვემდებარება დაბრუნებას სკ-ის 976-ე მუხ-  
ლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული ნორმის დანაწესიდან  
გამომდინარე, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებე-  
ლია, რომ ერთი პირი გამდიდრდეს მეორის ხარჯზე და ასეთი  
გამდიდრება მოკლებული იყოს იურიდიულ საფუძველს, რო-  
მელიც ან თავიდანვე არ არსებობს, ან შემდგომში იშლება. ამას-

თან, მნიშვნელობა არ აქვს რისი შედეგია უსაფუძვლო გამდიდ-რების ფაქტი – თავად დაზარალებულის მოქმედების, გამდიდ-რებულის მოქმედების, თუ მესამე პირთა მოქმედების ან გან-ხორციელდა თუ არა მათი ნების საწინააღმდეგოდ. ასევე არ აქვს მნიშვნელობა ამ სამართალურთო თობაში მონაწილე სუ-ბიექტთა ბრალეულობას, კეთილსინდისიერებასა და მათი მოქ-მედებების მართლზომიერებას თუ მართლწინააღმდეგობას. სარჩელის დასაკმაყოფილებლად მნიშვნელოვანია მხოლოდ ობიექტური შედეგი – ერთი პირის მიერ მეორე პირის ხარჯზე რაიმე სამართლებრივი სიკეთის შეძენა (დაზოგა) შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის გარეშე. აუცილებე-ლია, რომ გამდიდრდეს სხვის ხარჯზე, რის შედეგადაც, ერთი პირის ქონება იზრდება მეორე პირის ქონების შემცირების ხარ-ჯზე.

უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტის არსებობის შემთხვევაში, იგულისხმება, რომ პირმა ქონება მიიღო (შეიძინა) შესაბამისი იურიდიული საფუძვლის გარეშე, რის გამოც აღნიშნული შენა-ძენი ექვემდებარება უფლებამოსილი პირისათვის დაბრუნებას. უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ ნორმები აღჭურვილია დაცვითი ფუნქციით, უზრუნველყოფს რა არაუფლებამოსილი სუბიექტისაგან უსაფუძვლოდ მიღებული ქონების ამოღებას და მისი უფლებამოსილი პირისათვის გადაცემას. შედეგობრივი თვალსაზრისით, სამართლისათვის არ არის მნიშვნელოვანი, რა საშუალებით გამდიდრდა პირი – მიიღო თუ დაზოგა ქონება. ფაქტი ერთია, ვითომ კრედიტორის ქონებრივ სფეროში აღმოჩ-ნდა ქონება, რომელსაც იქ არსებობის იურიდიული საფუძვე-ლი არ გააჩნია და, აქედან გამომდინარე, ექვემდებარება უფ-ლებამოსილი პირისათვის დაბრუნებას.

მოცემული დავის<sup>52</sup> ფარგლებში მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუ-ხეთათვის თანხის დაკისრება იმ საფუძვლით, რომ მხარეთა შორის ერთობლივი საქმიანობა შეწყდა და თანხის ნაწილი წარმოადგენს ერთობლივი საქმიანობის წილს, ხოლო თანხის გარკვეული ნაწილი მოპასუხეებს სესხად გადაეცათ. მოსარჩელეთა მოთხოვნით მო-პასუხეებს უნდა დაჰკისრებოდათ მიუღებელი შემოსავალიც. ქვემ-დგომი სასამართლოების მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა.

<sup>52</sup> სუს განჩინება, 9 ოქტომბერი, 2015, საქმე №ას-873-835-2014.

გასაჩივრებული განწინების დასკვნები ემყარება იმ გარემოებებს, რომ მოსარჩელის მიერ თანხების საქართველოში გადმორიცხვისა და ადრესატების მიერ მათი მიღების ფაქტი სადაცოს არ წარმოადგენდა. მოსარჩელე სარჩელს აფუძნებდა მხარეთა შორის ერთობლივი საქმიანობისა და სესხის სამართლებრივ ურთიერთობებზე. ერთობლივ საქმიანობაში მოსარჩელის შენატანს წარმოადგენდა ფულადი ვალდებულების შესრულება, ხოლო მოპასუხეების შენატანს- ძირითადად სამუშაოს შესრულება, ასევე, მოსარჩელის მიერ სესხად გადაცემული თანხის ამხანაგობაში შეტანა. მოპასუხეებმა დაადასტურეს თანხის მიღების ფაქტი, მათი განმარტებით, მოსარჩელის მიერ გადმორიცხული თანხა არა სესხისა და ერთობლივი საქმიანობის, არამედ მხარეთა შორის აშშ-ში პიზნესაქმიანობის წილის ნასყიდობის საფასური იყო. სააპელაციო პალატის დასკვნით, მოპასუხეებმა ვერ დაადასტურეს შესაგებელში მითითებული გარემოებები (წილის ნასყიდობის ხელშეკრულების დადება და თანხის ამ ნასყიდობის საფასურში გადარიცხვა), ხოლო, რადგანაც ერთობლივი საქმიანობა შეწყდა, სასამართლომ ჩათვალა, რომ არსებობდა უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების საფუძვლზე ვითომ-კრედიტორების მიერ მიღებული შესრულების დაბრუნების წინაპირობები.

საკასაციო პალატამ გაიზიარა ქვემდგომი სასამართლოების მსჯელობა მოთხოვნის საფუძვლიანობის თაობაზე და მიიჩნია, რომ გამოვლინდა შესრულების კონდიქციიდან გამომდინარე თანხის დაკისრების წინაპირობები, შესაბამისად, სასამართლომ მართებულად იხელმძღვანელა სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით. ამავე კოდექსის 981-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, თუ მიმღები არ იღებს სარგებელს, რომელიც მას შეეძლო, მიეღო მეურნეობის სათანადოდ გაძლილის შედეგად, მაშინ ანაზღაურების მოვალეობა ეკისრება იმ შემთხვევაში, თუ მას ბრალი მიუძღვის. ფულად ვალზე გადახდილ უნდა იქნეს პროცენტი. საგნიდან მიღებული შემოსავალი უნდა დაბრუნდეს. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სკ-ის 981-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადებით გათვალისწინებულ ფულად ვალზე პროცენტის გადახდის ვალდებულების წარმოშობის დროს არსებობს კანონის იმპერატიული დათქმა, რომელიც დაკავშირებულია ამ ქონების (ფულის) თავისებურებებთან, ფულადი ვალდებულებისას უნდა გათვალისწინდეს ამ ქონების უნიკალური თვისება, რაც წინავს იმას, რომ ფულადი სახსრე-

ბი, როგორც საყოველთაო ეკვივალენტი, შესაძლებელია, გაცვლილ იქნეს ქონებრივი ურთიერთობების თითქმის ნებისმიერ ობიექტზე, რასაც აქვს სასყიდლიანი ხასიათი ანუ ფულადი სახსრების საშუალებით შეიძლება, დაიფაროს თითქმის ყველა ვალი. ზუსტად ამ თვისებიდან გამომდინარე, ივარაუდება, რომ ფულად საშუალებებს ყოველვის შეუძლია, მოუტანონ სარგებელი მის მესაკუთრეს. ამგვარი ქონების მიღებისას, უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის მიხედვით, მისმა მიმღებმა, სკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უნდა დაადასტუროს, რომ ამ ქონებამ (ფულმა) მას არანაირი სარგებელი არ მოუტანა, რაშიც მას ბრალი არ მიუძღვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ივარაუდება, რომ შესაძლებელი იყო ფულად სახსრებს მოეტანა მიმღებისათვის სარგებელი, რაც მან ბრალეულად არ მიიღო მისი არასათანადოდ გაძლოლის შედეგად. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, სააპელაციო პალატამ, ფულად ურთიერთობაში თავად ფულის განსაკუთრებული უნარის გათვალისწინებით, სავსებით მართებულად განსაზღვრა პროცენტის დაკისრების საკითხი, ხოლო კასატიონთა მითითება ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპზე არ გაიზიარა, რადგანაც სკ-ის 394-ე, 408-ე, 992-ე, 411-ე და 412-ე მუხლები სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევას ან დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას არეგულირებენ. როგორც ერთი, ისე მეორე შემთხვევა განსხვავდება კონდიქციური ვალდებულებისაგან, სადაც პასუხისმგებლობა მითითებული ნორმებისაგან განსხვავებულად წესრიგდება.

გასაჩივრებული გადაწყვეტილებით<sup>53</sup> სააპელაციო პალატამ, როგორც ძირითად, ისე შეგებებულ სარჩელზე დაადგინა, რომ, სკ-ის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მხარეთა ვალდებულება უსაფუძვლო გამდიდრების სამართლებრივი ურთიერთობითან გამომდინარეობდა, კერძოდ, მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა არ დასტურდებოდა, ასევე, დადგენილად (კნო, რომ შეგებებული სარჩელის ავტორს (მოპასუხეს) სესხის ხელშეკრულების ფარგლებში არ გადაუცია მოთხოვნილი თანხები მოსარჩელისათვის.

საკასაციო სასამართლომ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების ფორმალური საფუძვლიანობის შესწავლის გზით, და-

<sup>53</sup> სუს განჩინება, 2 ოქტომბერი, 2015, №ას-1068-1021-2014.

უშვა ვარაუდი, რომ შესაძლოა, იკვეთება შესრულების კონდიქციიდან გამომდინარე თანხის დაკისრების მოთხოვნა და აღნიშნა, რომ ამ კუთხით სააპელაციო პალატამ მართებულად მიუთითა სკ-ის 976-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე. საკასაციო პალატის მოსაზრებით, შესრულების კონდიქციის მიზნებისათვის, შესრულებაში იგულისხმება სხვა პირის ქონების შეგნებულად და მიზანმიმართულად გაზრდა, ვინაიდან ამით ვალდებულება უნდა შესრულდეს. შესრულების კონდიქციისას შემსრულებელი ახორციელებს არარსებული, ბათილი ან არშემდგარი ვალდებულების შესრულებას. ასეთ შემთხვევაში, მოსარჩევემ უნდა მიუთითოს და დაამტკიცოს ფაქტობრივი გარემოებები იმის თაობაზე, რომ ვლინდება მოთხოვნის მარეგულირებელი ნორმის შემდეგი ელემენტები: შესრულება (სამართლებრივი სიკეთის ვითომ-კრედიტორისათვის გადაცემა). ამ შესრულების განხორციელების ფაქტობრივი საფუძველი, ანუ რა ვალდებულებას მოიაზრებდა მოსარჩელე, როდესაც მიმღებს გადასცემდა ქონებას. გადაცემის ფაქტობრივი საფუძვლის არარსებობა/შეწყვეტა.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, უდავოდაა გასათვალისწინებელი ის გარემოება, რომ უსაფუძვლო გამდიდრების ნორმები გამოიყენება მოთხოვნის სხვა საფუძვლებთან სუბსიდიურად.<sup>54</sup> სასამართლომ მიუთითა, რომ, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად აბათილებს და უარყოფს მოპასუხე შესაგებლით მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ეს არ ათავისუფლებს მოსარჩელეს, ამტკიცოს შესრულების კონდიქციის ფაქტობრივი შემადგენლობა, ანუ მოსარჩელემ სარწმუნოდ უნდა მიუთითოს და დაამტკიცოს ფაქტობრივი გარემოება, თუ რა სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარებდა მისგან თანხების გადინება, სხვაგვარად რომ ვთქვათ, არსებულ ვითარებაში მოსარჩელემ უნდა გააქარწყლოს სკ-ის 361-ე მუხლის პირველი ნაწილით დაშვებული კანონისმიერი პრეზუმიცია, რომლის თანახმადაც ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას. საკასაციო სასამართლომ სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე საქმე დააბრუნა სააპელაციო

<sup>54</sup> რაც იმას ნიშნავს, რომ, თუ არსებობს სასამარჩელო მოთხოვნის შესაძლო დაკმაყოფილების სახელშეკრულებო ან სხვა კანონისმიერი საფუძველი (მოთხოვნათა კონკურენცია), უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის ნორმების, როგორც მოთხოვნის საფუძვლის გამოყენება, ბოლოს უნდა განხორციელდეს, ანუ მას შემდეგ, რაც გამოირცხება მოთხოვნის დაკმაყოფილება სახელშეკრულებო ან სხვა კანონისმიერი საფუძვლებიდან.

სასამართლოში იმ მოტივაციით, რომ საპელაციო სასამართლომ თანხების სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გადაცემის ფაქტის დადგენისას, სკ-ის 105-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, არ გა-უსწავლია საქმის მასალები, არ გამოუკვლევია და დამაჯერებლად არ უარყოფით ფაქტობრივი გარემოება მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობის არსებობის თაობაზე.

ერთ საქმეში<sup>55</sup> მოსარჩელე მოპასუხისათვის თანხის დაკისრებას ითხოვდა იმ საფუძვლით, რომ 200 000 ლარი მოპასუხის მიერ გარანტისაგან მიღებულ იქნა უსაფუძვლოდ. სარჩელი უარყოფილი იქნა. სკ-ის 385-ე, 976.1. „ა“. და 991-ე მუხლების დეფინიციიდან გამომდინარე, სასამართლომ მიუთითა, რომ კონდიქციური სარჩელის საფუძვლიანობის შეფასებისას უნდა დადგინდეს: არსებობდა თუ არა შესრულების მიღების საფუძველი. სასამართლომ აღნიშნა, რომ რადგან დადგენილია პრინციპალის (გამყიდველს მხრიდან) ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის ფაქტი, დგინდებოდა, რომ, ბენეფიციარის მიერ გარანტისაგან გარანტიის ვადაში მოთხოვნილი 200 000 ლარი გარანტის მიერ გადახდილი იყო შესაბამისი საფუძვლით. ამდენად, არ არსებობდა კონდიქციური მოთხოვნის დაკმაყოფილების წინამდლვრები.

პალატამ დამატებით მიუთითა სკ-ის 881-ე მუხლზე (რომლის თანახმად, საბანკო გარანტიით გათვალისწინებული გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე მათ შორის ურთიერთობისას არ არის დამოკიდებული იმ ძირითად ვალდებულებაზე, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც არის ის გაცემული, მაშინაც კი, როცა გარანტია შეიცავს მითითებას ამ ვალდებულებაზე) და განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსი საბანკო გარანტიას განიხილავს, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის ერთ-ერთ საშუალებას, რომელიც სხვა უზრუნველყოფის საშუალებებისაგან განსხვავდება თავისი დამოუკიდებლობით – არააქცესორულობით, რაც გულისხმობს იმას, რომ ძირითადი ვალდებულება – ხელშეკრულება, რომლის უზუნველსაყოფადაც საბანკო გარანტია გაიცა, გავლენას ვერ ახდენს ამ უკანასკნელზე. საბანკო გარანტია შესასრულებელია გაცემული პირობების ფარგლებში ბენეფიციარის მოთხოვნისთანავე, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ძირითადი ვალდებულე-

<sup>55</sup> სუს განჩინება, 28 სექტემბერი, 2015, №ას-871-833-2014.

ბიდან გამომდინარე შესაგებელი.

შესაბამისად, თუ არსებობს დადგენილი ოდენობით თანხაზე შე-  
თანხმებული საბანკო გარანტია და შეთანხმება მის გადახდა-  
ზე პრინციპალის მიერ ნებისმიერი ვალდებულების დარღვევი-  
სას, ასევე, ვლინდება პრინციპალის მიერ ვალდებულების დარ-  
ღვევა, გარანტის არ ევალება და არა აქვს უფლება, შეაფასოს  
დარღვევის სიმძიმე და თავად განსაზღვროს დარღვევის თანა-  
ზომიერი თანხის ოდენობა ბენეფიციარისათვის გადასახდე-  
ლად.

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ დადგენი-  
ლად მიიჩნია, რომ საბანკო გარანტიის მოქმედების ვადაში ბენე-  
ფიციარის მიერ წარდგენილი მოთხოვნის საფუძველზე გარანტია  
მართებულად გასცა საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა  
200 000 ლარი და არ არსებობს ამჟამად ბენეფიციარისაგან ამ თან-  
ხის უკან მოთხოვნის საფუძველი. რადგან არ არსებობს ამ ძირითა-  
დი მოთხოვნის დაკამაყოფილების წინამძღვრები, საფუძველს მოქ-  
ლებულია სარჩელი 160 000 ლარზე დარიცხული წლიური პროცენ-  
ტის დაკისრების ნაწილშიც.

სამოქალაქო დავაში<sup>56</sup> მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის პე-  
რიოდულად სესხად გადაცემული თანხების დაკისრება. მოპასუ-  
ხები სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ სადაცო თანხები მას მო-  
სარჩელემ გადასცა საჩუქრად, რის გამოც მათი უკან დაბრუნების  
საფუძველი არ არსებობდა. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ  
სასესხო ურთიერთობის სადაცობის შემთხვევაში, უნდა ვლინდე-  
ბოდეს არა მხოლოდ თანხის გადაცემა, არამედ, ის ფაქტობრივი  
გარემოებაც, რომ თანხის მიმღებმა მისი დაბრუნების ვალდებუ-  
ლება იკისრა. საკასაციო პალატის მოსაზრებით, როდესაც დადგე-  
ნილია თანხის გადაცემის ფაქტი და არ დგინდება მისი დაბრუნე-  
ბის ვალდებულება, უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებით გამოთ-  
ხოვა გამორიცხულია და მოპასუხის პოზიციის სასარგებლოდ  
მოქმედებს სკ-ის 361-ე მუხლით დადგენილი ვალდებულების  
არსებობის პრეზუმაცია (ყოველი შესრულება გულისხმობს ვალ-  
დებულების არსებობას), რომლის გაბათილებაც მოსარჩელემ, მო-  
ცემულ შემთხვევაში, ვერ შეძლო. აქედან გამომდინარე, საკასა-

<sup>56</sup> სუს გადაწყვეტილება, 01 ივლისი, 2015, საქმე №ას-6-6-2015.

ციონ პალატამ უსაფუძვლოდ მიიჩნია სარჩელი, როგორც სახელშეკრულებო, ასევე ვალდებულების გარეშე (სკ-ის 976-ე – 991-ე მუხ.) გადაცემულის მოთხოვნის საფუძვლითაც.

საკასაციონ პალატამ ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის საფუძველზე დაასკვნა, რომ მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა ყალიბდებოდა წლების განმავლობაში და ეფუძნებოდა ახლობლური, თითქმის ოჯახური ურთიერთობების პრინციპს. ამის გათვალისწინებით, საკასაციონ პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს გააჩნდა საკმარისი მორალური საფუძველი, გამოეხატა მოპასუხის მიმართ კეთილგანწყობილი დამოკიდებულება და აღნიშნული აესახა თუნდაც ჩუქების ხელშეკრულების დადებაში (სკ-ის 524-ე მუხ.), რაც გამორიცხავს საპასუხო შესრულების ვალდებულებას და თავის-თავად მისი უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლებასაც.

სამოქალაქო დავაში<sup>57</sup> მხარეები არიან და-ძმა. მოსარჩელემ (და) მოპასუხეს (ძმა) გადასცა 10 000 ლარი. უფლის გადაცემის მიზანს წარმოადგენდა საცხოვრებელი ბინის შეძენა. მოპასუხემ გადაცემული თანხით შეიძინა საცხოვრებელი ბინა, რომელშიც ცხოვრობს მოსარჩელე მოპასუხის ქალიშვილთან ერთად.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი მოპასუხისათვის გადაცემული თანხის დაბრუნების შესახებ დაკმაყოფილდა შესარულების კონდიქციის მარეგულირებელი ნორმებით. საკასაციონ სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნები და მოსაზრებები საქმის ფაქტობრივ გარემოებებსა და სამართლებრივ საფუძვლებზე და გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა.

საქმის მასალების მიხედვით მოსარჩელე სარჩელში უთითებს, რომ მხარეთა შორის დაიდო დავალების ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მან მოპასუხეს გადასცა 10 000 ლარი, რათა ამ უკანასკნელს მოსარჩელისთვის შეეძინა ბინა, ხოლო მოპასუხემ თავისი შესაგებელი დააფუძნა იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელემ მას 10 000 ლარი გადასცა საჩუქრად იმ მიზნით, რომ მოპასუხეს თავისთვის ეყიდა ბინა, სადაც სიცოცხლის ბოლომდე იცხოვრებდა მოსარჩელე.

<sup>57</sup> სუს განჩინება, 01 ივლისი, 2015, №ას-507-481-2015.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში შესაძლოა, არსებობდეს მოთხოვნის დაკმაყოფილების როგორც სახელშეკრულებო, ისე კანონისმიერ საფუძველი, თუმცა მოთხოვნათა კონკურენციის პრინციპიდან გამომდინარე, უპირველეს ყოვლისა, გამოკვლეულ უნდა იქნეს მოთხოვნის სახელშეკრულებო საფუძვლები.

სკ-ის 361-ე მუხლის პირველი ნაწილის, 709-ე, 715-ე მუხლების მიხედვით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში უდავოთ თანხის გადაცემის ფაქტი და გადაცემის მიზანი, ხოლო სადავოა, ვისთვის უნდა შეძენილყო ბინა (ვის საკუთრებად უნდა აღრიცხულიყო შეძენილი ბინა).

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელემ ვერ უზრუნველყო მისი მტკიცების ტვირთის სათანადოდ რეალიზება და შესაბამის მტკიცებულებებზე მითითებით ვერ დაამტკიცა ზე-მოაღნიშნული სადავო ფაქტობრივი გარემოება, თუმცა, მიუხედავად აღნიშნულისა, მოსარჩელის მოთხოვნა თანხის დაკისრების თაობაზე, შესაძლოა, განხორციელდეს უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოპასუხე დაამტკიცებს მხარეთა შორის სხვა სახელშეკრულებო ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობას.

სკ-ის 524-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ მოსარჩელემ მოპასუხეს 10 000 ლარი საჩუქრად გადასცა, ამ უკანასკნელის მხარეზეა, რაც მოპასუხებ კვალიფიციურად ვერ განახორციელა. იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელე ცხინვალიდან დევნილი 86 წლის ქალბატონია, რომელსაც არ გააჩნია საკუთარი საცხოვრებელი სახლი და რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, ჰყავს ობოლი შვილიშვილები, სააპელაციო პალატამ მოპასუხისთვის 10 000 ლარის ჩუქების ფაქტი სარწმუნოდ არ ჩათვალა, მით უმეტეს, რომ სადავო ბინაში შეძენიდან ცხოვრობს მოსარჩელე.

სასამართლოს მითითებით, იმის გათვალისწინებით, რომ მხარეთა მხრიდან სათანადოდ ვერ დამტკიცდა სახელშეკრულებო საფუძვლები, სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებზე დაყრდნობით უნდა განხორციელდეს.

სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ უსაფუძვლო გამდიდრება სუბსიდიური ხასიათისაა.<sup>58</sup> გარდა ამისა, მითითებული საფუძვლით პირის მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის უნდა არსებობდეს გარკვეული კუმულაციური წინაპირობები.<sup>59</sup>

სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ მოსარჩევეს მოპასუხისათვის თანხის გადაცემის ვალდებულება არ გააჩნდა, შესაბამისად, მოპასუხე გადაცემული 10 000 ლარით უსაფუძვლოდ გამდიდრდა, რის გამოც ამ უკანასკნელმა მიღებული უკან უნდა დააბრუნოს.

ერთ-ერთ საქმეში<sup>60</sup> მხარეთა შორის დადებული ე.წ. თანხის სესხების შესახებ ხელშეკრულება ორი პუნქტისაგან შედგებოდა. ხელშეკრულების 1.1. პუნქტის მიხედვით, შპს თანახმა იყო, კომერციული საქმიანობის გაფართოებისა და შემდგომში სტაბილური მუშაობის გარანტიის მიზნით, ესესხა თანხა ფიზიკური პირისაგან. გარიგების მეორე ნაწილის მიხედვით, გამსესხებელი მოთხოვდა გარკვეული პერიოდის შემდგომ, კერძოდ: როცა დაიფარებოდა შპს-ს საბიუჯეტო დავალიანება და სათანადო საბანკო ანგარიშების განთავისუფლება, უზრუნველყოყო საკუთარი ქონების განაწილება გამსესხებელზე. წილები მსესხებელსა და გამსესხებელს შორის უნდა გადანაწილებულიყო შენატანი თანხის პროპორციულად, რაც დადასტურდებოდა წესდებაში სათანადო ცვლილებების შეტანითა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციით. მოსარჩელემ (გამსესხებელმა) მოითხოვა მოპასუხისათვის (მსესხებელი-შპს) გადაცემული თანხის დაკისრება.

პალატის მოსაზრებით, მხარეთა შორის დადებული ზემოხსენებული გარიგება სკ-ის 92-ე მუხლით გათვალისწინებულ ბათილ გარიგებას წარმოადგენდა, რადგან იგი მხარეთა ნებაზე იყო დამოკიდებული.

<sup>58</sup> იხ. 54-ე სქოლიო.

<sup>59</sup> კერძოდ: მოპასუხის გამდიდრება; მოპასუხის გამდიდრების შესატყვისად მოსარჩელის ქონებივი დანაკლის; მატერიალურ სიკეთეთა ამგვარი გადანაცვლების უსაფუძვლობა. რომელიმე ამ პირობის არარსებობა გამორიცხავს უსაფუძვლო გამდიდრების საფუძველზე პირის მოთხოვნის დაკმაყოფილებას, ამიტომ, მას შემდეგ, რაც გამოირიცხება სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების სახელშეკრულებო ან სხვა კანონისმიერი საფუძველი, თითოეული მათგანის არსებობა ერთობლივად უნდა დადგინდეს.

<sup>60</sup> სუს განჩინება, 27 მარტი, 2014, №ას-914-872-2013.

პალატამ განმარტა, რომ განსხვავებით ასეთი სახის გარიგებისა-გან ნამდვილი პირობითი გარიგება სამომავლო და უცნობ მოვლე-ნაზე იყო დამყარებული (სკ-ის 90-ე მუხლი) და მისი შესრულებაც და შეუსრულებლობაც უშუალოდ იყო დაკავშირებული ამ მოვლე-ნასთან. ასეთ დროს გარიგების მხარებს პირობის მართვა არ შე-ეძლოთ, რაც დამახასიათებელი იყო ნებაზე დამოკიდებული გარი-გებისათვის. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ შეუძლე-ბელი იყო სამომავლო და უცნობ მოვლენად მიჩნეულიყო განსა-ხილველ ხელშეკრულებაში მითითებული დებულებები იმის თაო-ბაზე, რომ ნასესხები თანხით შეძენილ ქონებას მპს მხოლოდ მა-შინ გაუნანილებდა გამსესხებელს, როცა მას აღარ ექნებოდა საგა-სახადო ვალდებულებები, ამასთან, გაათავისუფლებდა თავის სა-ბანკო ანგარიშებსაც.

პალატამ აღნიშნა, რომ ნამდვილი პირობითი გარიგების დროს მხა-რებს სამომავლო და უცნობი მოვლენის მართვა არ შეუძლიათ, ამასთან, სავალდებულო იყო ორივე პირობის კუმულაციურად არ-სებობა, ხოლო მხარეთა ნებაზე დამოკიდებული პირობითი გარი-გების მართვა კი ხელშეკრულების მონაწილე მხარებს შეეძლოთ, ამიტომაც ამგვარ გარიგებას კანონმდებელი ბათილ გარიგებად მი-იჩნევდა.

გამომდინარე იქედან, რომ მხარეებმა ურთიერთშორის ბათი-ლი გარიგება დადგეს, პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს უნ-და დაპრუნებოდა ის, რაც მან ამ გარიგების საფუძველზე გა-დასცა ვითომ კრედიტორს, ანუ მიმღებს სკ-ის 976.1.ა. მუხლის საფუძველზე.

სხვა დავაში<sup>61</sup> თანხის გამცემი მოსარჩელე ითხოვს, გადაცემულის უკან დაბრუნებას, იმ მოტივით, რომ მას მოპასუხის მიმართ რაიმე შესრულების ვალდებულება არ გააჩნდა. მოცემულ დავაში ვერც მოსარჩელე ამტკიცებს თანხის გასესხებას კანონით გათვალისწი-ნებული მტკიცებულებებით (სკ-ის 624-ე მუხლი) და ვერც მოპასუ-ხე ვერ ამტკიცებს მოსარჩელისგან სადაცო თანხის მათ შორის არ-სებული ვალდებულების შესრულების მიზნით მიღებას (სკ-ის 624-ე მუხლი, 429-ე-431-ე მუხლები). აღნიშნულიდან გამომდინარე, სა-კასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო პალატის დას-კვნა მხარეთა შორის სასესხო ვალდებულებითსამართლებრივი ურ-

<sup>61</sup> სუს განჩინება, 24 მაისი, 2011, №ას-23-18-2011.

თიერთობის არსებობის შესახებ.

საკასაციონ სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ დავაში მხარეთა მორის ვალდებულება უსაფუძვლო გამდიდრებიდან, კერძოდ, სკ-ის 976.1.ა. მუხლის საფუძველზე წარმოშობილი. მოსარჩევები მოპასუხეს სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გადასცა 1999 ეპრო. ვინაიდან მოპასუხე ვერ ადასტურებს თანხის მიღების კანონიერ საფუძველს და ამ ფაქტის მტკიცების ტვირთი კანონით მას ევალებოდა, ხოლო თანხის გადაცემის ფაქტი უდავოა, მოპასუხეს უნდა დაეკისროს უსაფუძვლოდ მიღებული თანხის უკან დაბრუნება.

საქმის მასალებით<sup>62</sup> დადგენილია, რომ მოსარჩევები 2004 წელს, ბინის ნასყიდობის მიზნით, მოპასუხეს გადასცა 5000 აშშ დოლარი. მოსარჩევები დაიწყო ბინით სარგებლობა და განია გარკვეული ხარჯები. მოგვიანებით, 2008 წელს, მოპასუხემ გადაიფიქრა ბინის გაყიდვა და სადაცო ბინა თავის სახელზე დაირეგისტრირა საჯარო რეესტრში. მოსარჩევები მოითხოვა მოპასუხისათვის გადაცემული ბინის ნასყიდობის თანხის, ამ უკანასკნელის ქონების გაუმჯობესებისათვის განეული ხარჯებისა და გადაცემული თანხის, 5000 აშშ დოლარის 2,5%-ის, როგორც მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩევი დააკმაყოფილა. სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ გააუქმა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და მოსარჩევეს უარი უთხრა მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე.

პალატამ სრულად გაიზიარა აპელანტის პრეტენზია მოცემულ სამართალურთიერთობაზე სკ-ის 981-ე მუხლის მეორე პუნქტის არასწორად შეფარდებასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ მითითებული ნორმა უნდა განიმარტოს ამ მუხლის პირველ პუნქტთან ერთად, რომელიც აღნიშნული ვალდებულების წარმოშობას უკავშირებს ქონების მიმღების ბრალს – განზრახვას ან უხეშ გაუფრთხილებლობას. ასეთ შემთხვევაში წარმოიშობა ვალდებულება ზიანის მიყენებისათვის და არა ქონების უსაფუძვლო შეძენის ან დაზოგვისათვის. სწორედ ზემოაღნიშნული ედება საფუძვლად განსახილველი მუხლის პირველი ნაწილის ნორმას, რომლის მიხედვითაც ქო-

<sup>62</sup> სუს განჩინება, 11 ივლისი, 2011, №ას-188-177-11.

ნების უსაფუძვლოდ მიმღებს ზიანის ანაზღაურებისათვის პასუხისმგებლობა მხოლოდ მაშინ დაეკისრება, თუ ქონების მიღებისას იცოდა ან უხეში გაუფრთხილებლობის გამო, უცნობი იყო ქონების სამართლებრივი საფუძვლის ხარვეზის არსებობა და ამის შესახებ მოვიანებით შეიტყო. სააპელაციო სასამართლოს აზრით, მოცემულ შემთხვევაში, მითითებული წინაპირობები არ არსებობს, რადგან მოპასუხე ვარაუდობდა, რომ მას მოსარჩელემ გადაუხადა ბინის ნასყიდობის საფასური. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ, კონკრეტულ შემთხვევაში, არ არსებობს სკ-ის 981-ე მუხლის მეორე პუნქტით მოწესრიგებული ურთიერთობა, რადგან მოსარჩელეს მოპასუხისათვის 5000 აშშ დოლარი არ გადაუცია უნაცვალებოდ, მან ეს თანხა მოპასუხეს გადასცა გარიგების საფუძველზე, რის საფუძველზეც მფლობელობაში მიიღო მოპასუხის კუთვნილი საცხოვრებელი ბინა. პალატამ აღნიშნა, რომ უსაფუძვლოა სარჩელის მოთხოვნაც მოპასუხისათვის მიუღებელი შემოსავლის სახით მითითებული თანხის იმ საპროცენტო განაკვეთის დაკისრების შესახებაც, რასაც მოსარჩელე მიიღებდა ამ თანხის ბაქში შეტანით, შესაბამისად, არასწორად იქნა გამოყენებული სკ-ის 411-ე და 412-ე მუხლებიც. პალატის დასკვნით, უსაფუძვლოა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოპასუხეს უნდა გაეთვალისწინებინა, რომ, ვალდებულების გარეშე თანხის განკარვის გამო, მოსარჩელეს მიადგებოდა ზიანი, რადგან ის სხვაგვარად გამოყენებდა თანხას და მიიღებდა სარგებელს იმ პირობებში, როდესაც მოპასუხე ვარაუდობდა მისთვის თანხის გადაცემას იყო ნამდვილი უფლების საფუძველზე.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო პალატის ზემოაღნიშნული დასკვნა და მოცემულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებით განმარტა, რომ მოდავე მხარეთა შორის ფორმის დაუცველად დადებული უცილოდ ბათილი გარიგების შედეგად წარმოშობილია კანონისმიერი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა (სკ-ის 59-ე, 316-317-ე მუხლები), რომლის ძალითაც მხარეები ვალდებული არიან, ალადგინონ პირვანდელი მდგომარეობა და ერთმანეთს დაუბრუნონ ის, რაც მათ არარა გარიგებით მიიღეს. ასეთ სამართლებრივ შედეგს ითვალისწინებს სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია, მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მი-

სი უკან დაბრუნება, თუ ვალდებულება, გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო, არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში.

საკასაციო სასამართლომ მსგავს დავაზე მიღებულ გადაწყვეტილებაზე<sup>63</sup> დაყრდნობით მიუთითა, რომ სკ-ის 981-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 ნინადადებით გათვალისწინებულ ფულად ვალზე პროცენტის გადახდის ვალდებულება იმპერატიულია, რაც დაკავშირებულია ამ ნივთის (ფულის) თავისებურებებთან. ამ ქონების (ფულის) უნიკალური თვისებიდან გამომდინარე, ივარაუდება, რომ ფულად საშუალებებს ყოველთვის შეუძლია, მოუტანოს სარგებელი მის მესაკუთრეს. ამდენად, ისეთი ქონების მიღების დროს, როგორიცაა ფული, უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის მიხედვით, მისმა მიმღებმა, სკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უნდა დაადასტუროს, რომ ამ ქონებამ (ფულმა) მას არანაირი სარგებელი არ მოუტანა, რაშიც მას ბრალი არ მიუღვის, ანუ მისთვის შეუძლებელი იყო ამ ქონებიდან სარგებლის მიღება. ნინააღმდეგ შემთხვევაში, ივარაუდება, რომ შესაძლებელი იყო, ფულად სახსრებს მოეტანა მიმღებისათვის სარგებელი, რაც მან ბრალეულად არ მიიღო მისი არასათანადოდ გაძლოლის შედეგად.

საკასაციო სასამართლოს აზრით, ყოველგვარ დასაბუთებასაა მოკლებული სააპელაციო პალატის დასკვნა, რომ, კონკრეტულ შემთხვევაში, არ არსებობს სკ-ის 981-ე მუხლის მეორე პუნქტით მონესრიგებული ურთიერთობა, რადგან მოსარჩელეს მოპასუხისათვის 5000 აშშ დღოლარი არ გადაუციი უნაცვალგებოდ, მან ეს თანხა მოპასუხეს გადასცა გარიგების საფუძველზე, რის საფუძველზეც მფლობელობაში მიიღო მოპასუხის კუთვნილი საცხოვრებელი ბინა. მხარეებს სადაცოდ არ გაუხდიათ ის გარემოება, რომ თანხის გადაცემა უძრავი ნივთის ნასყიდობის მიზნით განხორციელდა, თუმცა ნასყიდობაზე შეთანხმება გარიგებისთვის კანონით სავალდებულო წერილობითი ფორმის დაცვის გარეშე შედგა. სკ-ის 183-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, მოსარჩელეს უძრავ ნივთზე საკუთრება არ შეუძენია, რის გამოც მხარეთა ზეპირი შეთანხმება ნივთის ნასყიდობაზე ბათილია.

სკ-ის 981-ე მუხლის პირველი ნაწილით, თუ მიმღებმა მიღებისას

<sup>63</sup> მითითებულია სუს განჩინება, 20 ივნისი, 2007, №ას-24-379-07.

იცოდა ან, უხეში გაუფრთხილებლობის გამო, მისთვის უცნობი იყო სამართლებრივი საფუძვლის ხარვეზის არსებობა და ამის შესახებ მოგვიანებით შეიტყობს ან გადაცემის თაობაზე მოთხოვნა მიღებულია სასამართლო წარმოებაში, მაშინ მიმღებს ეკისრება პასუხისმგებლობა ხარვეზის თაობაზე ცნობების მიღების ან სასამართლო წარმოებაში გადაცემის დროიდან 979-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 980-ე მუხლის, ასევე, ქვემოთ მოყვანილი წესების საფუძველზე.

აღნიშნული ნორმა არაუფლებამოსილ მიმღებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას აკისრებს მაშინ, როდესაც სამართლებრივი საფუძვლის გარეშე სხვისი ქონებრივი სიკეთის დაუფლებისას იცოდა ან უხეში გაუფრთხილებლობით არ იცოდა მიღებული სამართლებრივი საფუძვლის ხარვეზიანობა. შესაბამისად, მოპასუხეს თანხის გადაცემისთანავე უნდა სცოდნოდა უძრავი წივთის შეძენისათვის კანონით იმპერატიულად დადგენილი სავალდებულო წინაპირობების (გარიგების წერილობითი ფორმა და საჯარო რეესტრში რეგისტრაცია) დაუცველად დადებული გარიგების საფუძველზე მიღებული ფულის არაკანონიერების შესახებ. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხეს არ გააჩნდა რაიმე საფუძველი, ევარაუდა, რომ სადავო თანხა ნამდვილი უფლების საფუძველზე იყო გადაცემული. ამ დასკვნას ადასტურებს მოცემულ საქმეზე უდავოდ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, რომ მოპასუხეს 2004 წლიდან მიღებული აქვს მოსარჩელისგან ბინის ნასყიდობის 5000 აშშ დოლარი, სადავო ბინა კი, 2008 წლიდან საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია მოპასუხის სახელზე.

სასამართლოს აზრით, მოპასუხეს უნდა გაეთვალისწინებინა, რომ ვალდებულების გარეშე მოსარჩელის ქონების, ფულის სამართლებრივი საფუძვლის გარეშე განკარგვის გამო, მოსარჩელეს მიადგებოდა ზიანი, ხოლო მოპასუხეს სხვისი ქონებით – ფულით უკანონო სარგებლობით უსაფუძვლოდ გამდიდრდა.

სხვა საქმის ფაბულის მიხედვით<sup>64</sup> საცხოვრებელ სახლს რამდენიმე თანამესაკუთრე ჰყავს. რადგან შენობა სიძველისა და დიდოვალობის გამო ინგრედი, ერთ-ერთმა თანამესაკუთრემ (შემდეგში, მოსარჩელემ) 1999 წელს შესთავაზა დანარჩენ თანამესაკუთრეებს, ერთად დაეწყოთ სახლის აღდგენითი სამუშაოები, რაზედაც

<sup>64</sup> სუს განჩინება, 4 ოქტომბერი, 2011, №ას-649-610-2011.

უარი მიიღო. ამის შემდეგ მან თანამესაკუთრეებს კუთვნილი საზიარო სახლის ოთახების შესყიდვა შესთავაზა, რაზედაც მათგან მიიღო ხელწერილები წილზე უარის თქმის თაობაზე. მოსარჩელის საცხოვრებელი სახლის თანამესაკუთრეებს თავიანთი უფლება საზიარო საცხოვრებელ სახლზე არ დაუთმიათ კანონით გათვალისწინებული წესით, ანუ ქონება არ გადაუფორმებიათ საჯარო რესტრში რეგისტრაციის გზით, ე.ი. საზიარო უფლება არ გაუქმდებულა. მოსარჩელემ საზიარო სახლის აღდგენა საკუთარი ხარჯებით დაიწყო 1999 წლის აგვისტოში და დაასრულა 2000 წელს. საზიარო საგანს თავად უვლიდა და პატრონობდა და შენახვისათვის საჭირო ლონისძიებები დამოუკიდებლად შეასრულა.

საკასაციო პალატამ სკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილით მიიჩნია, რომ თანამესაკუთრეებს მათ მიერ გაცემული ხელწერილებით მოსარჩელისთვის არ დაუთმიათ თავიანთი წილები, თუმცა, ხელწერილებიდან გამომდინარე, უშვებდა რა სამართლებრივ შეცდომას, მოსარჩელეს შეექმნა რწმენა იმისა, რომ იგი სადაცო სახლის ერთადერთი მესაკუთრე იყო, რის გამოც განია მნიშვნელოვანი ხარჯი, ფაქტობრივად, დანგრეული სახლის აღსადგენად. პალატის აზრით, აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩინდება ვარაუდი იმისა, რომ მოსარჩელეს უსაფუძვლო გამდიდრების მარეგულირებელი ნორმებიდან გამომდინარე, აქვს შესაძლებლობა, მოითხოვოს განეული დანახარჯების ანაზღაურება.

სასამართლომ აღნიშნა, რომ უსაფუძვლო გამდიდრების საფუძვლით პირის მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის უნდა ვლინდებოდეს გარკვეული კუმულაციური წინაპირობები, კერძოდ: მოპასუხე უნდა გამდიდრდეს, მოპასუხე უნდა გამდიდრდეს მოსარჩელის ქმედების შედეგად, ქმედებასა და შედეგს შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი, მოპასუხის გამდიდრება, როგორც შედეგი, უნდა იყოს უკანონო, ანუ მას არ უნდა ჰქონდეს კანონის მიერი შესაძლებლობა, კომპენსაციის გარეშე მიითვისოს აღნიშნული ქონება.

საქმეზე დადგენილი ფაქტების ანალიზით ეჭვგარეშეა, რომ თანამესაკუთრეებმა მოსარჩელის ქმედებათა შედეგად ნახეს მნიშვნელოვანი სარგებელი, ანუ, ზემოთ დასახელებული მოპასუხის გამდიდრება და მიზეზობრივი კავშირი მოსარჩელის ქმედებასა და მოპასუხის გამდიდრებას შორის უდავოდ არსებობს, თუმცა წინაპირობების არსებობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს მოთხოვნის დაკ-

მაყოფილების გარდაუვალობას. საკასაციო სასამართლომ უსაფუძვლო გამდიდრების სუბსიდიურ ხასიათზე მითითებით დაასკვნა, რომ მხარეთა შორის რაიმე სახის სახელშეკრულებო ურთიერთობა არ წარმოშობილა, ასევე არ დგინდება არც უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებით მოთხოვნის კანონიერება და არც დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება, თუმცა მოსარჩელის განმარტება ამ ვალდებულებათა არსებობის ნიშნებს შეიცავს. სასამართლომ გამორიცხა რა უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების საფუძველზე ვალდებულების წარმოშობა, განმარტა, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს არც დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულება. კერძოდ, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როდესაც შემსრულებელი სხვისი საქმეებს წარმართავს ისე, რომ საამისოდ არც მოვალეობა და არც უფლებამოსილება არ აქვს. აღნიშნულთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ მოსარჩელეს ჰქონდა უფლებამოსილება, დანარჩენ თანამესაკუთრეთა ნებართვის გარეშეც აღედგინა სადაც სახლი, სკ-ის 956-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, შესაბამისად, იგი არ იყო არაუფლებამოსილი პირი და არ ასრულებდა „სხვის“ საქმეებს, თუმცა ობიექტურად ასეც რომ ყოფილიყო დავის გადაწყვეტისას დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების ნესები მაინც ვერ იქნებოდა გამოყენებული, რადგან, სუბიექტურად მოსარჩელე მოქმედებდა რწმენით, რომ იგი ასრულებდა თავის და არა სხვის საქმეს, რაც, სკ-ის 975-ე მუხლიდან გამომდინარე, გამორიცხავს 969-974-ე მუხლების გამოყენების შესაძლებლობას.

საბოლოოდ, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული დავა საზიარო უფლებებისა და სოლიდარული ვალდებულების ნორმებით (სკ-ის 953-ე, 956-ე, 960-ე, 463-ე, 464-ე, 473-ე) უნდა მოწესრიგდეს, ვინაიდან, მოდავე მხარეთა შორის ურთიერთობა სწორედ ამ საფუძვლით წარმოიშვა.

ზემოაღნიშნული ნორმების ანალიზით სასამართლომ დაასკვნა, რომ სხვა მოწილეთა თანხმობის გარეშე საგნის შენახვისათვის საჭირო ღონისძიებების ჩატარაებასა და განეული ხარჯების ანაზღაურებას კანონის მითითებული ნორმები ითვალისწინებს, შესაბამისად, მოსარჩელის მოთხოვნა გაწეული ხარჯების ანაზღაურების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს.

ერთ-ერთი საქმის ფაბულის მიხედვით,<sup>65</sup> მოსარჩელე მოპასუხე-ებს, ზეპირი გარიგების საფუძველზე, შეუთანხმდა, რომ 70000 აშშ დოლარად შეიძენდა მათ კუთვნილ ბინას. ვინაიდან მოსარჩელემ დათქმულ ვადაში ვერ შეძლო თანხის მთლიანად გადახდა, ნასყი-დობის ხელშეკრულება მხარეებს შორის არ გაფორმდა და ბინა და-უბრუნდა მოპასუხებს. მოსარჩელემ მოითხოვა გადახდილი 60000 აშშ დოლარის უკან დაბრუნება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მო-პასუხებს სოლიდარულად დაეკისრათ 53 866 აშშ დოლარის ეკვი-ვალენტი ლარის გადახდა, მოპასუხეთა შეგებებული სარჩელი, ერ-თი წლის განმავლობაში სადავო სახლის სასტუმროდ გამოყენების შედეგად მიღებული სარგებლის – 69000 აშშ დოლარის, ასევე, სახ-ლის არასწორი ექსპლუატაციის გამო, მიყენებული ზარალის და-კისრების მოთხოვნით, არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამარ-თლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს არ წარუდგენია მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ მან მოპასუხებს გადაუხადა არა მათ მიერ აღიარებული 17 200 აშშ დოლარი, არამედ 60 000 აშშ დო-ლარი. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მხარეთა შორის არ-სებობს კონდიქციური ვალდებულებითი ურთიერთობა, რომე-ლიც გულისხმობს უსაფუძვლოდ მიღებული ქონების დაბრუ-ნებას. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ 1997 წლის ოქტომ-ბრიდან, ე.ი ზეპირი გარიგების დადების მომენტიდან მხარეთათ-ვის ცნობილი იყო, მათ შორის ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება არ იდებოდა კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. აქედან გამომდი-ნარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხები 1997 წლის ოქტომ-ბრიდან უსაფუძვლოდ ფლობენ თანხას, რომელიც უნდა დაბრუნ-დეს იმ სარგებლით, რომელიც მათ მიიღეს ან უნდა მიეღოთ თან-ხის სწორად გამოყენებით. შეგებებულ სარჩელთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელე სადავო ბი-ნას ფლობდა ერთი წლის მანძილზე და იყენებდა სასტუმროდ. სა-სამართლოს მოსაზრებით, მოპასუხებმა ვერ დაადასტურეს, რომ მოსარჩელემ ბინის სასტუმროდ გამოყენებით 41 400 აშშ დოლა-რის სარგებელი მიიღო.

საკასაციო სასამართლომ დააკმაყოფილა მოპასუხეთა (ბინის მე-საკუთრეთა) საკასაციო საჩივარი, გაუქმა გასაჩივრებული გადაწ-

<sup>65</sup> სუს განჩინება, 20 ივნისი, 2007, № ას-24-379-07.

ყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა სააპე-ლაციო სასამართლოში.

საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ სააპელაციო სასამართლოს გა-დაწყვეტილება მოპასუხეთათვის 53 866 აშშ დოლარის დაკისრე-ბის ნაწილში სწორია.

საკასაციო პალატის აზრით, სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა და განმარტა სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი (პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებ-ლად რაიმე გადასცა, შეუძლია, მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ ვალდებულება გარიგების ბა-თილობის ან სხვასაფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში). უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულე-ბის არარსებობის გამო მხარეთა შორის არ წარმოშობილა სამარ-თლებრივი ურთიერთობა და ამდენად, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მიღებული მხარეებმა უნდა დაუბრუნონ ერთმანეთს. ამას-თან ერთად, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ უსაფუძვლოდ გამ-დიდრების ინსტიტუტის მიზანს წარმოადგენს უსაფუძვლოდ, უსა-მართლოდ შეძენილი ქონების ამოღება, ანუ სამართლებრივი წო-ნასწორობის აღდგენა, გაუმართლებლად შეძენილ ქონებაში იგუ-ლისხმება შედავათის, უპირატესობის, უფლების ამოღება, ე.ი. ქო-ნებრივი ნამატის ამოღება იმ პირის სასარგებლოდ, რომლის ხარ-ჯზეც სხვა პირის ქონება გაიზარდა და არა ქონებრივი დანაკლი-სის შევსება. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ ქონება გადავიდა სამართლებრივი საფუძლის გარეშე. ანუ, ერთი მხრივ, ვალდებულე-ბის გარეშე გადაეცა თანხა, ხოლო, მეორე მხრივ-ბინა. სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ფრა-ზაში – „რაიმე გადასცა“ ივარაუდება ერთი მხარის ხარჯზე მეორე მხარის გამდიდრება. კონკრეტულ შემთხვევაში სადავო ურთიერ-თობის ორივე მხარე უსაფუძვლოდ გამდიდრდა.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ იმის გათვალისწინებით, რომ მოპასუხები სამართლებრივი საფუძლის გარეშე ფლობდნენ მოსარჩელისგან მიღებულ თანხას, სააპელაციო სასამართლომ მო-პასუხეთათვის მიღებულ თანხაზე პროცენტის დაკისრების ნაწილ-ში სწორად იხელმძღვანელა სკ-ის 981-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სკ-ის 981-ე მუხლის მე-2 ნაწი-ლის მნიშვნელობის განხილვისას უსაფუძლო გამდიდრების ინ-

სტიტუტში, უპირველეს ყოვლისა, უნდა დახასიათდეს იურიდიული პასუხისმგებლობის თავისებურება, კერძოდ, უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტისათვის დამხასიათებელია იურიდიული პასუხისმგებლობის უფლება – აღდგენითი ფუნქცია, როდესაც უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად წარმოშობილი ვალდებულებები აკისრებს ვალდებულ პირს კრედიტორის ადრინდელი ქონებრივი მდგომარეობის აღდგენას. უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სკ-ის 981-ე მუხლის მე-2 ნაწილს.

განსახილველი მუხლის პირველი ნაწილი უთითებს პასუხისმგებლობის თავისებურებებზე, რომლებიც უკავშირდება ამავე კოდექსის 979-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 980-ე მუხლით და ამავე კოდექსით გათვალისწინებულ სხვა წესებს.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სკ-ის 981-ე მუხლი ითვალისწინებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას ანუ ადგენს პასუხისმგებლობის ზომას მიმღების ბრალის არსებობისას. ამ შემთხვევაში უნდა განისაზღვროს იურიდიული პასუხისმგებლობის წინაპირობები, კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილი აწესრიგებს ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ ვალდებულებას, რომლის თანახმად, თუ მიმღებმა მიღებისას იცოდა ან, უხეში გაუფრთხილებლობის გამო, მისთვის უცნობი იყო სამართლებრივი საფუძვლის ხარვეზის არსებობა და ამის შესახებ მოგვანებით შეიტყობს ან გადაცემის თაობაზე მოთხოვნა მიღებულია სასამართლო წარმოებაში, მაშინ მიმღებს ეკისრება ვალდებულება ხარვეზის თაობაზე ცნობების მიღების ან სასამართლო წარმოებაში გადაცემის დროიდან, ანუ აღნიშნული ნორმის გამოყენების სამართლებრივი წინაპირობებია შემდეგი: ზიანის არსებობა; მიმღებმა იცოდა ან უხეში გაუფრთხილებლობის გამო მისთვის უცნობი იყო სამართლებრივი საფუძვლის ხარვეზის არსებობა, ან გადაცემის თაობაზე მოთხოვნა მიღებულია სასამართლო წარმოებაში. ამ შემთხვევაში კუმულაციურად უნდა არსებოდეს ზიანის, არამართლობირი ქმედებისა და მასში მიმღების ბრალის შესახებ არსებული იურიდიული ფაქტები. ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც უსაფუძვლო გამდიდრების მოვალე უფრო მკაფრ პასუხისმგებლობას ექვემდებარება, ვიდრე მხოლოდ მიღებულის დაბრუნება.

საკასაციო პალატამ კონკრეტულ შემთხვევაში, სადაც ურთიერთობის თავისებურებიდან გამომდინარე, ყურადღება გაამახვილა

სკ-ის 979-ე მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებზე, რომლებიც ითვალისწინებს როგორც იურიდიული პასუხისმგებლობის უფლებააღდგენით (მათ შორის საკომპენსაციო), ასევე, „საჯარიმო“ ფუნქციებს. ამ შემთხვევაში აღნიშნული პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის, ზემოაღნიშნულის გარდა, უნდა არსებობდეს უსაფუძვლოდ მიღებული ქონებით შეძენილი მიღებული სარგებელი, აგრეთვე, ყველა ის გარემოება, რაც მიუთითებს მიღებული საგნის განადგურებით, დაზიანებით ან ჩამორთმევით მიღებულ ანაზღაურებაზე, ასევე იურიდიული ფაქტები, რომლებიც მიუთითებს გადაცემული საგნის დაბრუნების შეუძლებლობაზე.

პალატის დასკვნით, სკ-ის 981-ე მუხლის მე-2 ნაწილი ასევე, ითვალისწინებს იურიდიული პასუხისმგებლობის ე.წ. „საჯარიმო“ და უფლებააღდგენით (ამ შემთხვევაში საკომპენსაციო) ფუნქციას. აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის უმთავრესი განსხვავება ისაა, რომ მისი რეალიზაციისას დაზარებულს უნდა აუნაზღაურდეს ის სარგებელი, რომელიც მიმღებმა ვერ მიიღო მეურნეობის არასათანადოდ გაძლილის გამო და ამაში მიმღებს მიუძღვის ბრალი. კონკრეტულ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია მხედველობაში მისალებია ის შემოსავალი, რომელიც უნდა მიღებულიყო სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შემთხვევაში. ამდენად, ყურადღება გამახვილებულია მიმღების, ანუ უსაფუძვლოდ გამდიდრებული პირის შესაძლებლობებზე, კერძოდ, აღნიშნული ნორმის კვალიფიკაციისათვის უნდა არსებობდეს გარემოება, როდესაც ქონების მიმღებს მისი ნორმალური სამეურნეო გაძლილის შემთხვევაში შეეძლო, მიეღო სარგებელი, მაგრამ ეს არ გააკეთა ბრალეული ქმედებით. ამ შემთხვევაში მტკიცების ტვირთის მატარებელია დაზარალებული, რომელმაც უნდა დაადასტუროს მიმღების ბრალი მიღებული ქონების არასათანადოდ გაძლილისა და ამის შედეგად მოგების მიუღებლობის შესახებ ფაქტობრივი გარემოებები სსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად.

ბრალის განმსაზღვრელი კრიტერიუმები, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია თვით ამ ქონების თავისებურებებთან, მისი ბრუნვაუნარიანობასთან და „საშუალო“ მესაკუთრის მიერ ამ ქონების ჩვეულებრივი სამეურნეო მიზნებით მოხმარებასთან ანუ, ამ ქონების თავისებურებებიდან გამომდინარე, შესაძლებელი უნდა იყოს „საშუალო“ მესაკუთრის მიერ მისმა სათანადო სამეურნეო გაძლილამ მას მოუტანოს სარგებელი. „საშუალო“ მესაკუთრეში

იგარაუდება მესაკუთრე, რომელსაც შეუძლია, მიიღოს ამ ქონები-დან სარგებელი თავისი პირადი და განსაკუთრებული თვისებების გარეშე. სარგებელი, რომელიც შესაძლებელია მიღებულ იქნეს ამ ქონების ჩვეულებრივი მოხმარების შედეგად, მაგრამ განსხვავებული შემთხვევას სკ-ის 981-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 ნინადა-დებით გათვალისწინებულ ფულად ვალზე პროცენტის გადახდის ვალდებულების წარმოშობის დროს.

პალატის განმარტებით, კანონის ნორმა იმპერატიულად მოითხოვს, რომ ფულად ვალზე გადახდილ უნდა იქნეს პროცენტი. აღნიშნული იმპერატიულობა დაკავშირებულია ამ (ფულის) ქონების თავი-სებურებებთან, რაც უნდა განვიახვავოთ სხვა ქონებრივი ურთიერთობების ობიექტებისაგან, კერძოდ, როდესაც ყურადღებას ვამახვილებთ ფულად საშუალებებზე (ფულზე) უნდა გავითვალისწინოთ ამ ქონების უნიკალური თვისება, რაც ნიშნავს იმას, რომ ფულადი სახსრები, როგორც საყოველთაო ეკვივალენტი შესაძლებელია გაცვლილ იქნეს ქონებრივი ურთიერთობების თითქმის ნებისმიერ ობიექტზე, რომლებსაც აქვთ სასყიდლიანი ხასიათი ანუ ფულადი სახსრების საშუალებით შეიძლება დაიფაროს თითქმის ყველა ვალი. ზუსტად ამ ქონების უნიკალური თვისებიდან გამომდინარე, ივარაუდება, რომ ფულად საშუალებას ყოველთვის შეუძლია მოუტანოს სარგებელი მის მესაკუთრეს. ამდენად, ისეთი ქონების მიღების დროს როგორიცაა ფული, უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის მიხედვით, მისმა მიმღებმა, სსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უნდა დაადასტუროს, რომ ამ ქონებამ (ფულმა) მას არანაირი სარგებელი არ მოუტანა, რაშიც მას ბრალი არ მიუღიოს, ანუ მისთვის შეუძლებელი იყო ამ ქონებიდან სარგებლის მიღება. ნინააღმდეგ შემთხვევაში, ივარაუდება, რომ შესაძლებელი იყო ფულად სახსრებს მოეტანა მიმღებისათვის სარგებელი, რაც მან ბრალეულად არ მიიღო მისი არასათანადოდ გაძლოლის შედეგად. ზუსტად ამ ქმედების შედეგად მიუღებელი შემოსავალი, რაც უნდა მიღებულიყო ფულადი სახსრების სათანადო გაძლოლის გზით, წარმოადგენს მიყენებულ ზიანს. ამრიგად, განსახილები ნორმა განსხვავდება უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტისათვის დამახასიათებელი საერთო მიზნისაგან. აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როდესაც უსაფუძვლოდ გამდიდრებულ პირს ეკისრება მიუღებელი ქონების ანაზღაურება.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ პროცენტის დაკისრების ნაწილ-

ში არსებობს ყველა ის სამართლებრივი წინაპირობა, რომელიც აუცილებელია სკ-ის 981-ე მუხლის მეორე ნაწილის გამოყენებისათვის, კერძოდ, მოსარჩელისგან მოპასუხეთა მიერ უსაფუძვლოდ (ბათილი გარიგების საფუძველზე) თანხის მიღების ფაქტი, ამ თანხის დაუბრუნებლობის ფაქტი, ამ ქონების (ფულის) არასათანადო გაძლილით სარგებლის მიუღებლობის ფაქტი, რაშიც ბრალი მიუძღვის მიმღებს, მოსარჩელისთვის ზიანის მიყენების ფაქტი, რაც გამოიხატა სარგებლის მიუღებლობაში, რომელიც მათ (მოპასუხეებმა) ბრალულად ვერ მიიღეს მეურნეობის არასათანადო გაძლოლის შედეგად.

საკასაციო პალატის განმარტებით, მოპასუხეთა შეგებებული სარჩელის გათვალისწინებით, განსახილველი სამართლებრივი ურთიერთობა გულისხმობს არა იმ შემოსავალს, რომელსაც მიიღებდა ბინის მოსარგებლე, არამედ ამ ბინის სარგებლობით უკვე მიღებულ სარგებელს. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ კონდიქციურ მოთხოვნათა ინსტიტუტის გათვალისწინებით არ არის დაცული მხარეთა ქონებრივი ბალანსი. კონკრეტულ შემთხვევაში, ფულად ვალზე პროცენტის დაკისრების შესახებ მოთხოვნის სწორ შეფასებასთან ერთად სასამართლომ სამართლებრივად სწორად უნდა შეაფასოს ქონებიდან მიღებული სარგებლის შესახებ კონდიქციური მოთხოვნების საფუძვლიანობა. საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი გახდა სააპელაციო სასამართლოს მიერ მოსარჩელის მიერ ბინის სასტუმროდ გამოყენებისას მიღებული სარგებლის ოდენობის დადგენა.

სხვა საქმეში<sup>66</sup> სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, მოსარჩელის მიერ შპს-ს ანგარიშზე თანხის შეტანა. სასამართლო კოლეგიამ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია, რომ წინამდებარე დავა ვალდებულებითი სამართლის ინსტიტუტთან-უსაფუძვლო გამდიდრებასთანაა დაკავშირებული.

სასამართლოს მოსაზრებით, კანონმდებელი უსაფუძვლო გამდიდრების ცნებას არ გვთავაზობს, მაგრამ თავად ამ ინსტიტუტის მნიშვნელობისა და შინაარსის მიხედვით უსაფუძვლო გამდიდრება აწესრიგებს იმ ურთიერთობას, რომლებიც აღმოცენდება ერთი პირის მიერ, იმ ქონების სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შეძენის შედეგად, რომელიც სხვა პირის კუთვნილებაა (სკ 976.1 მუხლი).

<sup>66</sup> სუს განჩინება, 1 აპრილი, 2005, №ას-1441-1560-04.

კოლეგიამ დადასტურებულად მიიჩნია, რომ მოსარჩელის ქონება (ფული) ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლებისა თუ წანამძღვრების გარეშე აღმოჩნდა არაუფლებამოსილ პირთან, ამ შემთხვევაში მოპასუხეებთან (მოპასუხეები შპს-ს დამფუძნებლები არიან). მოსარჩელეს ეგონა, რომ აღნიშნული თანხის შეტანით იგი ზრდიდა თავის წილს შპს-ში. ამგვარი ფიქრის საფუძველს კი, მას თავად მოპასუხეთა პოზიცია და შეთავაზება აძლევდა.

„მენარმეთა შესახებ“ კანონი, სახელდობრ, 46.7 მუხლი (ადრე მოქმედი რედაქცია), მკაცრად არეგულირებდა პარტნიორთა მიერ დამატებითი შენატანების განხორციელების წესსა და რიგს. ამ დანაწესის თანახმად, დამატებითი შენატანების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღება პარტნიორთა კრების განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნებოდა და ეს ფუნქცია არ შეიძლებოდა გადასცემოდა არც ცალკეულ პარტნიორებს და არც პარტნიორთა ჯგუფს.

ვინაიდან პარტნიორის მიერ ზემოაღნიშნული დამატებითი შენატანის თაობაზე არ არსებობდა პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება, მოსარჩელის მოქმედებას სამართლებრივი საფუძველი თუ წანამძღვრარი არ ჰქონია, ანუ არ არსებობდა საწარმოს მიერ მოსარჩელის ქონების (ამ შემთხვევაში ფულის) მიღების სამართლებრივი საფუძველი. კოლეგიის აზრით, კონკრეტულ შემთხვევაში ვლინდება უსაფუძლო გამდიდრების ნორმათა საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულების არსებობის სამართლებრივი წანამძღვრები. შახელდობრ, მიმღები გამდიდრდა შემსრულებლის ხარჯზე, რაც გამოიხატა მისი ქონების შეძენაში ან დაზოგვაში. უდავოა, რომ მოპასუხეებმა შეიძინეს (მიიღეს) მოსარჩელის ქონება (ფული). ამ ქონების შეძენას კანონიერი საფუძველი არ ჰქონია. მიმღების უკანონო გამდიდრებით ზიანი მიადგა შემსრულებელს, რაც გამოიხატა მისი ქონების შემცირებასა და შემდგომი სარგებლის მიუღებლობაში. ამასთან კონკრეტულ შემთხვევაში პირდაპირი უშუალო მიზეზობრივი კავშირი არსებობს მოპასუხეთა უსაფუძვლო გამდიდრებასა და მოსარჩელისათვის მიყენებულ ზიანს შორის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ კანონიერად მიიჩნია, სკ-ის 976.1. „ა“ მუხლის საფუძველზე მოპასუხეებისათვის მათ მიერ მოსარჩელისაგან უკანონოდ, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მიღებული თანხის დაკისრება, ხოლო, სკ-ის 979-ე მუხლის მიხედვით,

აღნიშნული შემოსავლით მიღებული სარგებლის ანაზღაურება.

მოპასუხეთა განმარტებით, სადაც თანხა ხორბლის შესაძენად სა-ნარმოდან მესამე პირზე გაიცა, ამიტომ სასამართლომ, სკ-ის 981-ე მუხლის შესაბამისად, მოსარჩევლის მოთხოვნა დამატებითი სარ-გებლის მიღებაზე, რომელიც მეურნეობის სათანადო გაძლიერის შედეგად იქნებოდა მიღებული, კანონშესაბამისად ჩათვალა. თუ მიმღები ვერ იღებს სარგებელს, რომელიც მას შეეძლო მიღო მე-ურნეობის სათანადო გაძლიერის შედეგად, მაშინ მას ანაზღაურე-ბის მოვალეობა ეკისრება. კვოლებიამ მიიჩნია, რომ მესამე პირის მიერ აღნიშნული თანხის დაბრუნება უთუოდ მოახდენდა გავლე-ნას საწარმოს შემოსავლებზე, მათ შორის-იმ თანხის ოდენობაზეც, რისი მიღების უფლებაც მოსარჩევეს გააჩნდა.

ერთ-ერთ საქმეში<sup>67</sup> მოსარჩევემ მოითხოვა მოპასუხისათვის გა-დაცემული თანხის დაკისრება. საქმის მასალებით, მხარეები 2011 წლიდან იცნობენ ერთმანეთს, დაკავშირებული იყვნენ საერთო სამეცნარმეო საქმიანობით და ინაზილებდნენ მიღებულ მოგებას. მო-სარჩელის მიერ წარდგენილი ხელწერილის შინაარსით არ დადას-ტურდა ის გარემოება, რომ მიღებული თანხა სამეცნარმეო საქმია-ნობიდან მიღებული მოგებაა, რასაც ხელწერილი ადასტურებდა. შესაბამისად, სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მტკიცება, რომ ხელწერილში მითითებული თანხები, რომლის გასწვრივაც მო-პასუხის ხელმოწერაა, წარმოადგენდა საერთო სამეცნარმეო საქმი-ანობიდან მიღებულ მოგებას.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სკ-ის 316-ე მუხლით, 317-ე მუხლის პირველი ნაწილით, 976-ე-991-ე მუხლებით. სააპელა-ციონ პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის თან-ხის გადაცემის ფაქტი ვალდებულებითსამართლებრივი საფუძვლის გარეშე, სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წეს-რიგდება და, შესაბამისად, მიღებული შესრულება ექვემდებარება დაბრუნებას. საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო სასა-მართლოს დასკვნები და მოსაზრებები საქმის, როგორც ფაქტობ-რივ გარემოებებზე, ისე, სამართლებრივ კვალიფიკაციაზე.

სხვა საქმეში<sup>68</sup> სარჩელით მოთხოვნილი იყო საქართველოს ფინა-

<sup>67</sup> სუს განჩინება, 27 დეკემბერი, 2017, №ას-929-869-2017.

<sup>68</sup> სუს განჩინება, 11 ოქტომბერი, 2017, №ას-665-621-2017.

სთა სამინისტროსათვის 600 000 ლარის დაკისრება, ხოლო მოთხოვნის ფაქტობრივ საფუძველს ქმნიდა 2010 წლის 12 ივლისის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის №1/ბ-693-10 განაჩენის აღსრულების მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტში ჯარიმის თანხის გადახდა. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ მას სასჯელის საბოლოო სახედ და ზომად დაუდგინდა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, ასევე, დამატებით სასჯელად, სკოის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, განესაზღვრა 600 000 ლარის გადახდა, რომელიც მან გადარიცხა სახელმწიფო ბიუჯეტში. მოგვიანებით კი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 2 აგვისტოს №1ა/გ-1830-13 განაჩენით სკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულმა სასჯელმა შთანთქა ამავე მუხლით განსაზღვრული ნაკლებად მძიმე სასჯელი (ჯარიმის 600 000 ლარის გადახდა). მოსარჩელის განცხადებით, მსჯავრდებულის მიერ გადახდილ ჯარიმაზე სახელმწიფოს არ გააჩნდა საკუთრების მოპოვების სამართლებრივად ვარგისი საფუძველი, რის გამოც, სადაც თანხაზე საკუთრების უფლება კვლავ მოსარჩელეს უნდა დაბრუნებოდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოპასუხე-ფინანსთა სამინისტროს დაკისრა 600000 ლარის გადახდა. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, მართალია, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 12 ივლისის განაჩენით არსებობდა ფულადი ვალდებულების შესრულების საფუძველი, თუმცა ეს ვალდებულება შემდგომში შეწყდა. მოთხოვნის დაკმაყოფილებას სამართლებრივ საფუძვლად დაედო სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი და ზოგადი ნორმა სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა ქცევის კეთილსინდისიერების შესახებ (მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი).

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, განსახილველ შემთხვევაში, იმგვარი მოცემულობა, რომ მოსარჩელემ უფლების დასაცავად აღძრა სამოქალაქო სარჩელი, ხოლო სააპელაციო სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ განჩინების უცვლელად დატოვების დასაბუთებისას იხელმძღვანელა სკ-ის 976-ე-991-ე მუხლებით, ვერ გახდება დავის სამოქალაქო წესით განსჯადად მიჩნევის საფუძველი.

საკასაციო პალატამ იმის გათვალისწინებით, რომ თანხა, რომლის

დაკისრებასაც მოსარჩელე მოითხოვდა მოპასუხისათვის გადახდილ იქნა სახელმწიფო ბიუჯეტში კანონიერ ძალაში შესული განაჩენის აღსრულების მიზნით (ჯარიმის თანხა), აღნიშნა, რომ მატერიალური თვალსაზრისით, კერძოსამართლებრივ ნორმებთან შესაბამისობის კუთხით ექვემდებარებოდა შემოწმებას ადმინისტრაციული წესით. სარჩელის სამართლებრივი საფუძველი თანხის უკან დაპრუნების შესახებ არ გამომდინარეობდა სამოქალაქო კანონმდებლობიდან, რამდენადაც შესამოწმებელი იყო განაჩენის აღსრულების საკითხი, რომელსაც საერთო არაფერია კვს სამოქალაქო კანონმდებლობასთან. საბოლოოდ, საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, საქმის განსჯადობის წესების დაცვით იმავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატისათვის გადაცემის საკითხის გადასაწყვეტად.

სამოქალაქოდავაში<sup>69</sup> დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე გამდიდრდა მოსარჩელის ხარჯზე.

სასამართლომ აღნიშნა, რომ, სკ-ის 976-991-ე მუხლებიდან გამომდინარე, პირის ქონების გაზრდა ან დაზოგვა სხვა პირის ხარჯზე კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფუძვლის გარეშე, წარმოადგენს უსაფუძვლო გამდიდრებას და წარმოშობს უსაფუძვლოდ შეძენილის ან დაზოგილი ქონების უფლებამოსილი პირისათვის გადაცემის ვალდებულებას. მოცემულ ნორმათა ძირითადი დებულება ისაა, რომ სხვა პირის ხარჯზე მიღებული სარგებლის (რაც შეიძლება გამოიხატოს ქონების დაზოგვაშიც) უკან დაბრუნების ვალდებულება წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირი ამით გამდიდრდა.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოპასუხის უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტი ისაა, რომ მოსარჩელის უძრავ ქონებას 2008 წლის 20 ოქტომბრიდან 2011 წლის 10 ივნისამდე პერიოდში, მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ, არამართლზომიერად ფლობდა და სარგებლობდა მოპასუხე. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება კი, თავის მხრივ, წარმოშობდა მოპასუხის უკანონო მფლობელობის პერიოდში დაზოგილი ქონების (უძრავი ქონების სარგებლობისათვის გადასახდელი ქირის) უფლებამოსილი პირისათვის გადა-

<sup>69</sup> სუს განჩინება, 3 ოქტომბერი, 2013, №ას-460-436-2013.

ცემის ვალდებულებას.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სკ-ის 317-ე მუხლის პირველ ნაწილზე და განმარტა, რომ კანონმდებელი ვალდებულების ნარმოშობის საფუძველად მიიჩნევს კანონს ან გარიგებას. შესაბამისად, როდესაც დგება უსაფუძვლო გამდიდრების გამო შეძენილი ქონების (შეღავათის, უპირატესობის, უფლების) ამოღების და ამგვარად, ქონებრივი წონასწორობის, „სამართლიანობის“ აღდგენის საკითხი, პირველ რიგში, უნდა დადგენილიყო, თუ რამდენია შეღავათი, რითაც ისარგებლა ქონების არამართლზომიერმა მფლობელმა. აუდიტის დასკვნის საფუძველზე მოპასუხეს დაეკისრა ქირის, ყოველთვიურად 200 აშშ დოლარის, საერთო ჯამში 6305.6 აშშ დოლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ.

ერთ-ერთი საქმის<sup>70</sup> ფაბულის მიხედვით, მოსარჩელემ საქმიანობის განხორციელების მიზნით გადაწყვიტა მოპასუხისაგან მიწის ნაკვეთის შეძენა. 2011 წლის 15 სექტემბერს მოსარჩელემ მოპასუხეს გადაურიცხა უძრავი ქონების ღირებულების ნაწილი, რის შემდეგაც მხარეთა მორის უნდა შემდგარიყო გარიგება და შეძენილ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია. მიუხედავად აღნიშნულისა, მოპასუხემ გარიგება არ გააფორმა, 2011 წლის 3 ოქტომბერს მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების მიტოვების რეგისტრაციის თხოვნით. ამით მოპასუხემ განკარგა და სახელმწიფოს საკუთრებაში აღირიცხა მიწის ნაკვეთი, რომლის შეძენასაც მოსარჩელე აპირებდა. სარჩელი მოპასუხისათვის უკვე გადახდილი თანხის დაბრუნების დაკისრების მოთხოვნით დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 33 000 ლარის გადახდა.

პალატამ დადასტურებულად მიიჩნია ის გარემოება, რომ მოსარჩელემ მოპასუხეს, მის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენის მიზნით, წინასწარ, ნასყიდობის ფასის ანგარიშში ჩაურიცხა 33000 ლარი, რომელიც **არა ბე, არამედ ავანსია.** სასამართლომ გადაწყვეტილება სკ-ის 976-ე მუხლზე დააფუძნა.

განსახილველ დავაში<sup>71</sup> მოსარჩელემ მოპასუხეთათვის (მესაკუთ-

<sup>70</sup> სუს განჩინება, 25 ივნისი, 2013, №ას-448-424-2013.

<sup>71</sup> სუს განჩინება, 29 დეკემბერი, 2011, №ას-1075-1105-2011.

რის მემკვიდრეთათვის) ნივთის გაუმჯობესებისათვის გაღებული ხარჯის დაკისრება მოითხოვა. საქმის მასალების მიხედვით, მოსარჩელე ზეპირად შეუთანხმდა უძრავი ნივთის მესაკუთრეს ნივთის შესყიდვაზე, მაგრამ ნასყიდობის ხელშეკრულება არ გაფორმებულა და საჯარო რეესტრში არ დარეგისტრირებულა. მოსარჩელემ ნივთი გაარემონტა. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ შესრულებული სარემონტო სამუშაოების შედეგად უძრავი ნივთის ღირებულება არსებითად გაიზარდა. მესაკუთრის მემკვიდრეებმა მიიღეს შესრულებული სამუშაოები და შედეგად გაზრდილი ღირებულების მქონე ქონება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, რამაც მათი გამდიდრება გამოიწვია.

პალატამ სკ-ის 980-ე და 981-ე მუხლის პირველი ნაწილების თანახმად, მიიჩნია, რომ, თუ მიმღებისათვის ცნობილი იყო სამართლებრივი საფუძვლის ხარვეზის არსებობა, მას ეზღუდება უფლება, მოითხოვოს ხარჯებისა და დანაკლისის ანაზღაურება – წესი, რომლის მიხედვითაც, მიმღები უფლებამოსილია, მოითხოვოს ხარჯების ანაზღაურება, გამოიყენება მაშინ, თუ საგანი იძლევა იმის საფუძველს, რომ იგი მიჩნეულ იქნეს სამუდამოდ შეძენილად, თუმცა სასამართლომ ჩათვალა, რომ სკ-ის 164-ე მუხლი, რომელიც არაკეთილისინდისიერ მფლობელს ანიჭებს უფლებას, მოითხოვოს ხარჯების ანაზღაურება და ამავე კოდექსის 980-981-ე მუხლები ერთმანეთს არ გამორიცხავს, არამედ – ავსებს. უფრო ზუსტად, სკ-ის 164-ე მუხლი პირს ანიჭებს მოთხოვნის უფლებას, ხოლო 980-ე და 981-ე მუხლები განსაზღვრავს ამ მოთხოვნის ფარგლებს. ანალოგიურად წესრიგდება დელიქტური ვალდებულებიდან წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობები (სკ-ის 992-ე და 414-ე-415-ე მუხლები).

სააპელაციო პალატის მითითებით, მართალია, უსაფუძვლოდ განეული ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს არაკეთილისინდისიერ მფლობელსაც, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მისთვის ცნობილია (ან უნდა იყოს ცნობილი) სამართლებრივი საფუძვლის ხარვეზი, მისი მოთხოვნის ფარგლები მცირდება. ზეპირი გარიგება უძრავი ქონების შეძენის თაობაზე, ცხადია, საერთოდ არ ქმის ქონების შეძენილად მიჩნევის საფუძველს და ამის თაობაზე, თავიდანვე ცნობილი იყო მოსარჩელისათვის. ამდენად, სკ-ის 981-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მას ეკისრება პასუხისმგებლობა ბათილი გარიგების საფუძველზე უძრავი ქონების დაუფლების მომენტიდან.

შესაბამისად, სასამართლომ შეამცირა მოსარჩელის სასარგებლოდ ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა (რადგან მოსარჩელე თანაპარ-წილად არის პასუხისმგებელი) და მის მიერ მისაღები თანხა გან-საზღვრა ქონების გაზრდილი ღირებულების 1/2-ით.

ერთ-ერთ საქმეში<sup>72</sup> მოპასუხის კანონიერი წარმომადგენლის მი-მართ აღძრული სარჩელით მოითხოვა უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული და გადახდილი 10000 აშშ დოლარის დაბრუნება; ნასყიდობისა და იპოთეკის ხელშეკრულე-ბების რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯის, ასევე, იპოთე-კური სესხის პროცენტის მოპასუხისათვის დაკისრება. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა სარჩელი დააკმაყოფილეს.

საქმის მასალების მიხედვით, გამყიდველსა (მოპასუხე) და მყიდ-ველს (მოსარჩელე) შორის სანოტარო წესით გაფორმდა უძრავი ქო-ნების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მოპასუ-ხემ მოსარჩელეს მიჰყიდა საცხოვრებელი სახლი და დამხმარე ნა-გებობა 10000 აშშ დოლარად;

მოსარჩელემ საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით დაირეგის-ტრირა საცხოვრებელი სახლი და დამხმარე ნაგებობა, რამაც საშუ-ალება მისცა საკრედიტო დაწესებულებიდან გამოეტანა პინის შე-საძენი თანხა, რომლის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირ-თა შექნილი უძრავი ქონება. რაიონული სასამართლოს გადაწყვე-ტილებით მოპასუხე აღიარებულ იქნა ქმედუნაროდ და დაენიშნა მეურვე. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით ნასყიდობის ხელშეკრულება გაბათილდა. სასამართლო სადაცვო საკითხის გადაწ-ყვეტისას დაეყრდნო სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასა-მართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნას, რომლის თა-ნახმად ხელშეკრულების დადების დროს, შიზოტოპური აშლილო-ბის შედეგად მოპასუხეს არ შეეძლო, გაეცნობიერებინა თავისი ქმე-დების მნიშვნელობა ან გაეკონტროლებინა იგი.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სკ-ის 976-ე მუხლით და აღნიშნა, რომ, უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების ბა-თილობის გამო, ხელშეკრულებით მიღებული სარგებელი მხარეებ-მა ერთმანეთს უნდა დაუბრუნონ.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ პირის ქმედუნარია-

<sup>72</sup> სუს განჩინება, 12 დეკემბერი, 2011, №ას-1590-1588-2011.

ნობა ქმნის სკ-ის 58-ე მუხლის (ძველი რედაქციით) თანახმად, გარიგების ბათილობის საფუძველს, თუმცა ეს გარემოება არ ათავითუფლებს პირს უსაფუძვლოდ მიღებული თანხის დაბრუნებისა და მეორე მხარის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მოცემული შემთხვევის კვალითიკაციისათვის, პირველი ინსტანციის სასამართლოს უნდა გამოყენებინა სკ-ის 980-ე მუხლი. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად წარმოშობილი ვალდებულებები აკისრებს ვალდებულ პირს – ვითომ კრედიტორს ადრინდელი ქონებრივი მდგომარეობის აღდგენას, რა დროსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სკ-ის 980-ე მუხლის 1-ლი ნაწილის დისპოზიციას. ამ მუხლის დანაწესით, თუ მიმღებმა განია ხარჯები ან მას წარმოეშვა ქონებრივი დანაკლისი იმასთან დაკავშირებით, რომ საგანი სამუდამოდ შეძენილად მიაჩნდა, მაშინ იგი მოვალეა, დააბრუნოს საგანი ხარჯებისა და დანაკლისის ანაზღაურების პირობით. ეს წესი არ გამოიყენება, როცა გადაცემული საგანი არ ქმნის იმის საფუძველს, რომ იგი მიჩნეულ იქნეს სამუდამოდ შეძენილად. ნორმის შემადგენლობისათვის უნდა არსებოდეს კუმულაციური პირობა, კერძოდ, უსაფუძვლო გამდიდრება და განეული ხარჯები. ეს ის შემთხვევაა, როდესაც უსაფუძვლო გამდიდრების მოვალე უფრო მკაცრ პასუხისმგებლობას ექვემდებარება, ვიდრე მხოლოდ მიღებულის დაბრუნება. სასამართლომ იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩევემ მოპასუხის კუთვნილი ბინის შესაძენად ბანკიდან გამოიტანა სესხი წლიური 20%-ით, რასაც იხდიდა გრაფიკის შესაბამისად, მიიჩნია, რომ აღნიშნული საბანკო სესხის გამო მოსარჩელის მიერ გაწეული ხარჯებისათვის პასუხისმგებელი იყო მოპასუხე, ამიტომ, სწორედ მას უნდა აენაზღაურებინა მოსარჩელისათვის პროცენტის სახით გადახდილი თანხა.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გაწეული ხარჯების ანაზღაურების ნაწილში არსებობდა ყველა ის სამართლებრივი წინაპირობა, რომელიც აუცილებელია სკ-ის 980-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გამოყენებისათვის, კერძოდ, გამოიკვეთა მოპასუხის მიერ (ბათილი გარიგების საფუძველზე) თანხის მიღების, ამ თანხის დაუბრუნებლობისა და ამ პერიოდის განმავლობაში სესხზე დარიცხული პროცენტის არსებობის ფაქტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელის მიერ სარჩელის აღძვრის მომენტისათვის

პროცენტის სახით გადახდილი თანხის ანაზღაურების ვალდებულება მოპასუხეს უნდა დაპკისრებოდა.

ერთ-ერთ საქმეში<sup>73</sup> მოსარჩელე (სსიპ-ის დირექტორი) მოპასუხე სსიპ-ს მიმართ ითხოვდა თანხის დაკისრებას, იმ საფუძვლით, რომ დირექტორმა მის მიერ საბანკო კრედიტის ხელშეკრულების საფუძველზე აღებული თანხა თანამშრომელთა სახელფასო დავალანების დასაფარავად გამოიყენა.

სააპელაციო სასამართლომ სარჩელი არ დაკმაყოფილა. სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობს მოპასუხისათვის თანხის გადაცემის ვალდებულება და არც თეატრის უსაფუძვლოდ გამდიდრება.

სასამართლოს მოსაზრებით, დირექტორი საბანკო დაწესებულებიდან კრედიტს იღებდა იმ მიზნისათვის, რომ გაესტუმრებინა დასაქმებულთა ერთი თვის ხელფასი, მაშინ, როდესაც სახელმწიფო დაფინანსების გზით მიღებული თანხა ფარავდა აღნიშნული წლის 12 თვის ხელფასის ოდენობას. პალატის განმარტებით, ვინაიდან, მოპასუხის დებულების მე-7 მუხლის თანახმად, დაფინანსების პირველად წყაროს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნები წარმოადგენდა, რომლის საფუძველზეც თანამშრომელთა შრომა ნაზღაურდებოდა, დირექტორმა თანამშრომლებისათვის ხელფასის მიცემის გზით ის ვალდებულება შეასრულა, რომელიც მას არ ეკისრებოდა, თუმცა იგი აღნიშნული საქმის შესრულებისას ვარაუდობდა, რომ თავისი უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედება და დაშესაბამისად, მოკლებულია შესაძლებლობას დავალების გარეშე სხისი საქმეების შესრულების საფუძვლით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. სასამართლომ მიიჩნია, რომ სადაცო ურთიერთობა უსაფუძვლო გამდიდრების მარეგულირებელი ხორმებიდან გამომდინარეობს და სკ-ის 976-ე მუხლის პირველ ნაწილზე მითითებით აღნიშნა, რომ, როდესაც დირექტორმა გაუცემელი ხელფასი შემდეგი წლის ბალანსში ასახა, მას არ ჰქონდა დასაქმებულთა ხელფასის გასასტუმრებლად კრედიტის აღების ვალდებულება, უფრო მეტიც, იგი უფლებამოსილიც კი არ იყო, აელო კრედიტი ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი თანხმობის გარეშე. ამით მან ვალდებულების არსებობის გარეშე გადასცა თეატრის თანამშრომლებს თანხა, თუმცა სკ-ის 976-ე მუხლის საფუძველზე, აუცილებელია

<sup>73</sup> სუს განჩინება, 21 ნოემბერი, 2011, №ას-1430-1445-2011.

გაირკვეს, თუ ვის გადაეცა თანხა შესაბამისი ვალდებულების არსებობის გარეშე, ანუ ვინან რა არის მოცემულ სამართალურ-თიერთობაში ვითომ კრედიტორი თეატრი თუ თეატრის თანამ-შრომლები. პალატამ დადგენილად მიიჩნია ის ფაქტი, რომ 2006 წლის დეკემბრის ხელფასის დავალიანება გადატანილ იქნა 2007 წლის წლიურ ბალანსში, რის გამოც თანამშრომლების მიმართ და-ვალიანება საქმის განხილვის მომენტშიც ერიცხება, შესაბამისად, თანხის მიმღებად მოპასუხე ვერ განიხილება, ვინაიდან დოკუმენ-ტურად მოპასუხეს გაუცემელი ხელფასის სახით ვალი აქვს და და-ვალებული პირი ვითომ კრედიტორი არაა. შესრულება მოპასუხე ორგანიზაციის თანამშრომლებმა მიიღეს, ის შესრულება, რომლის განხორციელების ვალდებულება შემსრულებელს არ გააჩნდა და შესრულების დაბრუნებაზეც ვალდებული პირი თითოეული თანამ-შრომელია და არა მოპასუხე. პალატამ მიუთითა, რომ თანამშრომ-ლების მიერ აღნიშნული თანხის ხელფასის სახით მიღების ვა-რაუდი და მათი მხრიდან თანხის დაბრუნების ლეგიტიმურობა სცილდება მოცემული დავის ფარგლებს.

სააპელაციო სასამართლომ სკ-ის 986-ე მუხლის შესაბამისად, გან-მარტა, მართალია, აღნიშნული ნორმა გასტუმრებული ვალის ანაზ-ლაურების შესაძლებლობას იძლევა, თუმცა, იმისათვის, რომ გას-ტუმრებული ვალი ანაზღაურებას დაექვემდებაროს, აუცილებე-ლია, დადგინდეს ვალის წარმოშობის საფუძვლები, ვალის გამსტუმ-რებლის პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები ვალის წარმოშობაში და ვალის რეალურად გასტუმრების ფაქტი. მოცე-მულ შემთხვევაში, მოპასუხე ორგანიზაციის ფინანსური მართვა და ხარჯების განაწილება სწორედ დირექტორის კომპეტენცია იყო, შესაბამისად, როდესაც დირექტორი კრედიტით იმ ხარჯს ისტუმ-რებს, რომლის დასაფარად თანხები გამოყოფილია, სარწმუნოდ უნ-და დასტურდებოდეს გამოყოფილი თანხის სიმცირე და არასაკმა-რისობა პირველადი ხარჯის – დასაქმებულის შრომის ანაზღაურე-ბის დასაფარად, გარდა ამისა, ვალი რეალურად უნდა იყოს გას-ტუმრებული, მოცემულ შემთხვევაში კი გამოვლინდა 2007 წლის ბიუჯეტში ასახული 2006 წლის დეკემბრის თვის დავალიანება, რო-მელიც არ დაფარულა. დირექტორისათვის თანხის დაბრუნება არც სკ-ის 986-ე მუხლის შემადგენლობის მიხედვით არის შესაძლებე-ლი, მით უმეტეს, რომ საქმის მასალებით დადგენილია 2006 წლის დეკემბრის ხელფასის 2007 წლის ბალანსში ასახვის ფაქტი და ისიც, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები 12 თვის ხელ-

ფასის ჯამს ფარავდა.

სხვა საქმეში<sup>74</sup> საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა თბილისის მერიამ მოპასუხის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა და უსაფუძვლოდ გაწეული ხარჯების დაბრუნება. სამიერე ინსტანციის სასამართლომ დავა არა-ერთხელ განიხილა. საბოლოოდ, საპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში არ დაკმაყოფილდა, ამავე გადაწყვეტილებით საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება უძრავი ნივთის გაუმჯობე-სებაზე (რემონტზე) დახარჯული თანხის ანაზღაურების თაობაზე სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ მამკვიდრებელმა მისი საკუთრება (უძრავი ნივთი) უანდერდა მოსარჩელეს-მერიას (ქართველ ხალხს), მოგვიანებით გააუქმა აღნიშნული ანდერძი და ქონება მოპასუხეს უანდერძა, რომელსაც ანდერძის შედგენიდან ერთ თვეში აჩუქა სადავო ქონება. სასამართლომ ასევე დაადგინა მჩუქებლის ქონებაზე მოსარჩელის მიერ ხარჯების განცვის (რემონტის ჩატარების) ფაქტი. მოპასუხე, გარდა იმისა, რომ ჩუქების საფუძველზე გახდა მჩუქებლის კუთვნილი უძრავი ქონების მესაკუთრე, იმავდროულად წარმოადგენდა მჩუქებლის მემკვიდრეს, ამასთან, მას მიღებული ჰქონდა სამკვიდროში შემავალი მოძრავი ქონება მჩუქებლის ფერწერული ტილოების სახით.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სკ-ის 317-ე (ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების, უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებით) და სკ-ის 977-ე მუხლებზე (პირს, რომელიც მეორე პირს გადასცემს რაიმეს არა ვალდებულების შესასრულებლად, არამედ იმ მიზნით, რომ ამ უკანასკნელმა შესასრულოს ან არ შესასრულოს რაიმე მოქმედება, შეუძლია, გადაცემულის გამოთხოვა, თუ მეორე პირის მოქმედება არ შეესაბამება მოსალოდნელ მიზანს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით, უკან დაბრუნების მოთხოვნა გამორიცხულია, თუ მიზნის მიღწევა თავიდანვე შეუძლებელი იყო და გადამცემშა ეს იცოდა ან გადამცემშა მიზ-

<sup>74</sup> სუს განჩინება, 17 ოქტომბერი, 2011, ას-1166-1186-2011.

ნის მიღწევას არაკეთილსინდისიერად შეუშალა ხელი) და განმარტა, რომ მიზნის მიუღწევლობა ასეთ შემთხვევაში უთანაპრდება ქონების მიღების უსაფუძვლობას. ამ ნორმით გათვალისწინებული შემთხვევები არაა დაკავშირებული რაიმე ვალდებულების შესრულების პირობებიდან გამომდინარე ქონების გადაცემასთან.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ სადავო ქონების რემონტისათვის საჭირო თანხა მერიის მიერ გადაცემულია იმ მიზნით, რომ მჩუქებლის გარდაცვალების შემდეგ, მერიას მიეღო მისივე დაფინანსებით დაფუძნებული მუზეუმი. მერიის მიზანი რომ მჩუქებლის (მამკვიდრებლის) უძრავი ქონების მუდმივ მუზეუმად ფუნქციონირებისათვის ადგილობრივ საკუთრებაში მიღება იყო, ცალსახადა დადგენილი მუზეუმის შექმნის შესახებ დადგენილებით. მერიამ სწორედ ამ ინტერესის გამო მიღო დადგენილება მუზეუმის შექმნისა და მისი დაფინანსების შესახებ.

სკ-ის 977-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, უკან დაბრუნების ვალდებულება არ წარმოიშობა, იმ შემთხვევაში, თუ მიზნის მიღწევა თავიდანვე შეუძლებელი იყო და გადამცემმა ეს იცოდა. განსახილველ შემთხვევაში, მიზნის მიღწევა რომ რეალური იყო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან ირკვეოდა (საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობისადმი გაგზავნილი წერილები, ანდერძი). ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მჩუქებლის ქონებაზე ხარჯის განევის საფუძველი გახდა ამ ქონების მიმართ, ქალაქ თბილისის მერიის ინტერესი, რაც უკავშირდებოდა მუზეუმის მუდმივ ფუნქციონირებასა და გამჩუქებლის ქონების ადგილობრივ საკუთრებში მიღებას.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ სწორად მიიჩნია, განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხის ქონებაზე განეული ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნის შეფასებისას, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ხარჯი მოსარჩელის მიერ განეულია ანდერძის გაუქმებამდე, ანუ იმ დრომდე, ვიდრე მოსარჩელე ვარაუდობდა, რომ ქონება, რომელზეც გაიღო ხარჯი, მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ, მისი საკუთრება გახდებოდა. მოსარჩელეს განეული ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება წარმოეშვა იმ დროიდან, როდესაც მამკვიდრებელმა შეცვალა მის სასარგებლოდ

შედგენილი ანდერძი და ცხადი გახდა, რომ მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ, უძრავ ქონებას მერია ვერ მიიღებდა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სკ-ის 977-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გარემოებები, რომლებიც გამორიცხავდა უკან დაბრუნების მოთხოვნას, განსახილველ შემთხვევაში არ დადგენილა.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მერიამ ვერ მიაღწია მიზანს, კერძოდ, მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ, მან ადგილობრივ საკუთრებაში ვერ მიიღო ქონება, იმის გამო, რომ გაუქმდა მერიის სასარგებლოდ შედგენილი ანდერძი, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩევეს, სკ-ის 977-ე მუხლის შესაბამისად, წარმოეშვა ქონების რემონტისათვის განეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, ხოლო მჩუქებელს (მამკვიდრებელს) ამ ხარჯის ანაზღაურების ვალდებულება.

სკ-ის 453-ე მუხლის თანახმად, მოვალის გარდაცვალება იწვევს ვალდებულების შეწყვეტას, თუ შესრულება შეუძლებელია მისი პირადი მონაწილეობის გარეშე. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოვალის გარდაცვალება საერთო წესის მიხედვით არ იწვევს ვალდებულების შეწყვეტას, რამდენადაც გარდაცვლილის უფლებები და ვალდებულებები გადადის მემკვიდრეებზე. მოვალის გარდაცვალება მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიწვევს ვალდებულების შეწყვეტას, თუ ვალდებულების შესრულება მისი პირადი მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მამკვიდრებელს სიკვდილის მომენტისათვის ჰქონდა მერიის მიმართ შეუსრულებელი ვალდებულება, შესასრულებელი ვალდებულების სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში, მოვალის გარდაცვალების შემდეგ მისი შესრულების ვალდებულება გადადის თავის მემკვიდრეებზე.

სკ-ის 1344-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოპასუხე წარმოადგენდა გარდაცვლილი მჩუქებლის ანდერძისმიერ მემკვიდრეს. ამავე კოდექსის 1433-ე მუხლის თანახმად, მიღებული სამკვიდრო მემკვიდრის საკუთრებად ითვლება მემკვიდრეობის გახსნის დღიდან. 1328-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სამკვიდრო ქონება შეიცავს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლე-

ბების, ისე მოვალეობების ერთობლიობას, რომელიც მას სიკვდილის მომენტისათვის ჰქონდა. 1484-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მემკვიდრეები ვალდებული არიან მთლიანად დააკმაყოფილონ მამკვიდრებლის, კრედიტორთა ინტერესები, მაგრამ მიღებული აქტივების ფარგლებში თითოეულის წილის პროპორციულად. 316-ე მუხლის 1-ლი ნაწილის პირველი წინადადების მიხედვით, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია, მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე, როგორც მამკვიდრებლის ანდერძისმიერი მემკვიდრე (რომელმაც მემკვიდრეობით მიიღო სამკვიდროში შემავალი მოძრავი ქონება – ფერწერული ტილოები), ვალდებული იყო, გადაეხადა მამკვიდრებლის კრედიტორისათვის, მერიისათვის სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, მისი ქონების რემონტისათვის დახარჯული.

ერთ-ერთ საქმეში,<sup>75</sup> სადაც მოსარჩელე-მერია მოითხოვდა მოპასუხე-სანარმოსათვის უსაფუძვლოდ გადახდილი თანხის დაბრუნებას, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გადაწყვეტილება სარჩელის დაქმაყოფილების შესახებ და საქმე ხელახლა განსახილევად დაბრუნა სააპელაციო სასამართლოში შემდეგი მოსაზრებებით. სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ მხარეთა შორის გაფორმდა უძრავი ქონების გაცვლის ხელშეკრულება. შეაფასა რა სააპელაციო სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლად სკ-ის 976-ე მუხლის გამოყენების საკითხი, საკასაციო სასამართლომ აღნინა, რომ უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად წარმოშობილი ვალდებულებების უპირველესი ფუნქციაა კრედიტორის ადრინდელ ქონებრივ მდგომარეობაში აღდგენის სამართლებრივი უზრუნველყოფა. ქონების უსაფუძვლოდ შეძენა ნიშნავს შემძენის ქონების გაზრდას სხვა პირის სარჯზე კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფუძვლების გარეშე. სკ-ის 976-ე მუხლი შეიცავს სხვისთვის გადაცემული ქონების უკან დაბრუნების საფუძვლების ჩამონათვალს, კერძოდ, ქონების უკან გამოთხოვა შესაძლებელია, თუ ვალდებულება ფაქტობრივად არ არსებობს ან გარიგება გაბათილებულია და არარსებულად ითვლება ან არსებობდა, მაგრამ შემდგომში შეწყდა.

<sup>75</sup> სუს განჩინება, 4 ივნისი, 2009, №ას-839-1053-08.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლების განხილვისას სააპელაციო სასამართლოს უნდა შეემოწმებინა, არსებობდა თუ არა ყველა ის სამართლებრივი წინაპირობა, რომელიც აუცილებელია სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის გამოყენებისათვის. სააპელაციო სასამართლომ ერთი მხრივ, აღნიშნა მერიის მიერ მოპასუხისათვის თანხის გადაუხდელობის ფაქტი, ხოლო მეორე მხრივ, დაადგინა, რომ მერიას თანხის გადახდის ვალდებულება არ გააჩნდა. აღნიშნული დასკვნები ურთიერთგამომრიცხავი და იმდენად დაუსაბუთებელია, გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

სამოქალაქო დავაში<sup>76</sup> სასამართლომ ბათილად ცნო თავდებობის ხელშეკრულება, იმ საფუძვლით, რომ თავდები, რომელმაც ბანკთან გააფორმა თავდებობის ხელშეკრულება, იურიდიულ პირად რეგისტრირებული არ ყოფილა,, „მენარმეთა შესახებ“ კანონის მოთხოვნათა დაცვით, იგიარ იყო რეგისტრირებული არც საწარმოს ფილიალად „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე. ამიტომ თავდებობის ხელშეკრულება ბანკმა არაუფლებამოსილ პირთან გააფორმა. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ, როგორც სამოქალაქო კოდექსი, ასევე, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი ცალსახად განსაზღვრავს, რომ მხოლოდ კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებული საწარმო წარმოადგენს იურიდიულ პირს. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2.5 მუხლის თანახმად, საწარმოს რეგისტრაცია სავალდებულოა. საწარმო, როგორც ამ კანონით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობათა სუბიექტი, წარმოიშობა მხოლოდ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან, ამასთან, მხოლოდ ამავე კანონის 2.1 მუხლით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით. სხვა არცერთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა სამეწარმეო საქმიანობის სფეროში არ ჩინოვლება იურიდიულ პირად. თავდები წარმოადგენდა მოსარჩელე-შპს-ს სატრუქტურულ ერთეულს. სასამართლომ დააკმაყოფილა შპს-ს სარჩელი მოპასუხე-ბანკის წინააღმდეგ და ამ უკანასკნელს სკ-ის 976-ე მუხლის საფუძველზე დააკისრა სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მიღებული თანხა.

სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით<sup>77</sup>

<sup>76</sup> სუს განჩინება, 22 თებერვალი, 2008, №ას-282-611-07.

<sup>77</sup> სუს განჩინება, 26 დეკემბერი, 2007, №ას-474-822-07.

დადგენილია, რომ მოპასუხეს გადასცა გარკვეული თანხა ფართის პრივატიზაციის განსახორციელებლად იმ მიზნით, რომ პრივატიზაციის შემდეგ მხარეთა შორის დაიდებოდა ნასყიდობის ხელშეკრულება. მოპასუხემ განახორციელა ფართის პრივატიზაცია, მაგრამ მხარეთა შორის ნასყიდობის ხელშეკრულება არ დაიდო. სადაცო ფართი მოპასუხემ მესამე პირს მიჰყიდა, რაზეც მათ შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება. მოპასუხემ მოსარჩელეს ამ უკანასკნელის მიერ გადაცემული თანხა არ დაუბრუნა. ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა სარჩელი დააკმაყოფილეს. მოპასუხეს სკ-ის 976-ე მუხლის საფუძველზე მოსარჩელის სასარგებლოდ, დაეკისრა ამ უკანასკნელის მიერ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გადაცემული თანხა.

ერთ-ერთი საქმის<sup>78</sup> ფაბულის მიხედვით მოსარჩელე მოპასუხის-შპს-ს მიმართ აღძრული სარჩელით მოითხოვდა თანხის დაკისრებას იმ საფუძვლით, რომ სამინისტროს ავტოსატრანსპორტო საწარმოსა და შპს-ს (პირველი საწარმო) შორის დაიდო ხელშეკრულება ერთობლივი საქმიანობის შესახებ. ხელშეკრულების თანახმად, ერთობლივი საქმიანობის განხორციელების მიზნით, პირველ საწარმოს უნდა ესარგებლა ავტოსაწარმოს ადმინისტრაციული და სხვა შენობა-ნაგებობებით, თავის მიმდებარე ტერიტორიაზე საზღვარგარეთიდან შემოსული ავტოტრანსპორტის სადლელამისო სადგომის მოსაწყობად, ასევე, მძღოლებისა და მათი თანხმლები პირების მომსახურებისათვის. შენობა-ნაგებობების შეკეთებას ორივე მხარე აწარმოებდა ერთობლივი ფინანსებით.

მოპასუხე სამინისტროს ავტოსაწარმოს სამართალმემკვიდრეს წარმოადგენდა.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ პირველმა საწარმომ სამინისტროს ავტოსატრანსპორტო საწარმომი სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები შეასრულა, საიდანაც მოპარჩელეს დაუთმო მოპასუხის მიმართ დავალიანების მოთხოვნის უფლება.

ამდენად, პირველი საწარმოს უფლებამონაცვლეს წარმოადგენდა მოსარჩელე, ხოლო სამინისტროს ავტოსატრანსპორტო საწარმოს უფლებამონაცვლეს – მოპასუხე, რაც მიუთითებდა იმაზე, რომ საერთო საქმიანობის შესახებ სახელშეკრულებო ურთიერთობის მო-

<sup>78</sup> სუს განჩინება, 21 ნოემბერი, 2007, №ას-643-973-07.

ნაწილები არიან მოსარჩელე და მოპასუხე. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა ის არსებითი ნიშნები, რომლებიც დამახასიათებელია აღნიშნული ურ-თიერთობისათვის და ამდენად, არ განსაზღვრა ის უფლება-ვალ-დებულებები, რომლებიც წარმოიშვა საერთო საქმიანობის ხელშეკ-რულების მონაწილეებს შორის და რაც არსებითია ამ ურთიერთო-ბის კვალიფიკაციისათვის.

საკასაციო პალატამ სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოპასუხეს არ შეიძლება, დაეკისროს პასუხისმგებ-ლობა, რადგან პირველი საწარმოს წილი საერთო ქონებიდან გან-კარგა სახელმწიფომ პირველი საწარმოს ანუ თანამესაკუთრის თან-ხმობის გარეშე და უსაფუძვლოდ გამდიდრდა არა მოპასუხე, არა-მედ სახელმწიფო, დაუსაბუთებლად მიიჩნია.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ ყუ-რადღება არ გაამახვილა იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლი-თაც განისაზღვრება უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის თა-ვისებურება საერთო საქმიანობის ხელშეკრულებიდან გამომდი-ნარე ურთიერთობის დროს. საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაირკვეს, თუ ვინ წარმოადგენს მოვალეს კონკრეტულ დავაში, მოპასუხე თუ მისი დამფუძნე-ბელი. ამისათვის უნდა დადგინდეს და შეფასდეს სასარჩელო მოთ-ხოვნის საფუძველი, უსაფუძვლო გამდიდრების სამართლებრივი წინაპირობები, ანუ კონკრეტულ შემთხვევაში, მოვალისაგან ნამა-ტის ამოღების საფუძველი და ამ უკანასკნელის შემთხვევაში რო-მელი იურიდიული ფაქტები თუ იურიდიული შემადგენლობა მიუ-თითებს უსაფუძვლო გამდიდრების საფუძველზე (რაში გამოიხა-ტა უსაფუძვლო გამდიდრება). იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე უსა-ფუძვლოდ გამდიდრდა, აუცილებელია, გამომდიჯნოს იურიდიული პი-რის საკუთრება წილზე მისი დამფუძნებლის საკუთრებისაგან, ასე-ვე, საზოგადოების საკუთრება საერთო საქმიანობაში არსებული მისი წილის საკუთრებისაგან.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სკ-ის 1507-ე მუხლის მე-3 ნაწი-ლის გათვალისწინებით, საერთო საქმიანობის ხელშეკრულებიდან (რომელიც შეწყდა 1997 წლის ივნისში) და ასევე, უსაფუძვლო გამ-დიდრების ინსტიტუტიდან გამომდინარე, სამართლებრივი ურთი-ერთობა უნდა მოწესრიგდეს 1964 წლის 26 დეკემბრის სამოქალა-ქო კოდექსით, რადგან მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერ-

თობიდან წარმოშობილი იურიდიული ფაქტები უკავშირდება 1997 წლის 25 ნოემბრამდე მოქმედი და ამჟამად ძალადაკარგული ნორმატიულ აქტს, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 499-ე მუხლის მე-2 აბზაცის თანახმად, საერთო საქმიანობის ხელშეკრულების მონაწილეების ფულადი ან სხვა ქონებრივი შენატანები, აგრეთვე, საერთო საქმიანობის შედეგად შექმნილი და შეძენილი ქონება მათ საერთო საკუთრებას წარმოადგენს. საკასაციო პალატის აზრით, სააპელაციო სასამართლომ სწორად დაადგინა, რომ სამინისტროს ავტოსატრანსპორტო საწარმოს (რომლის უფლებამონაცვლეს წარმოადგენს მოპასუხე) მიერ საერთო საქმიანობაში შეტანილი უძრავი ქონება, შენობა-ნაგებობები თავისი მიმდებარე ტერიტორიით, ხოლო პირველი საწარმოს (რომლის სამართალმემკიდრეს წარმოადგენს მოპასუხე) ფულადი შენატანი, რაც გამოიხატა აღნიშნულ ტერიტორიაზე მის მიერ ჩატარებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ღირებულებაში, მხარეთა საერთო საკუთრებაა.

საკასაციო პალატის განმარტებით, მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს საერთო საქმიანობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესასრულებელი და ვალდებულების (სამართლებრივი საფუძვლის) გარეშე შესრულებული მოქმედებები.

აღნიშნულის გათვალისწინებით პალატამ დაასკვნა, რომ საერთო საქმიანობის მიზნით შესრულდა მოქმედებები, მათ შორის, რომ-ლებიც დაკისრებული ჰქონდა, კონკრეტულ შემთხვევაში, პირველ საწარმოს, როგორც საერთო საქმიანობის ერთ-ერთ წევრს, საერთო მიზნის მისაღწევად, ერთ შემთხვევაში, ხოლო, მეორე შემთხვევაში, განხორციელებული მოქმედებები, რომლის დროს პირველი საწარმოს ხარჯზე მეორე საწარმო უსაფუძვლოდ გამდიდრდა.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში პირველი საწარმო (მისი სამართალმემკიდრე მოსარჩევე) შეიძლება, წარმოადგენდეს კრედიტორს, როდესაც მას შეუძლია, პირადად თავის სასარგებლოდ მოითხოვოს ვალდებულების შესრულება საერთო საქმიანობის ხელშეკრულების მეორე მონაწილისაგან. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება უსაფუძვლოდ, სხვის ხარჯზე გამდიდრების ფაქტს. ამასთან ერთად, უნდა განისაზღვროს, თუ რაში გამოიხატა ამგვარი გამდიდრება და მისი საფუძველი (კონდიქციის წინაპირობები).

ანუ, ერთ შემთხვევაში პირველმა საწარმომ შეასრულა სამშენებ-

ლო-სარემონტო სამუშაოების ჩატარების თაობაზე, მეორე შემთხვევაში კი, გამოვლინდა პირველი სანარმოს ხარჯზე უსაფუძვლოდ გამდიდრება.

სააპელაციო სასამართლოს მიერ საერთო საქმიანობის შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტის ფაქტის დადგენის მიუხედავად, გადაწყვეტილებიდან არ ირკვევა აღნიშნული ფაქტი უკავშირდება თუ არა მოსარჩელის მოთხოვნას უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტს.

საკასაციო პალატამ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (1964 წლის 26 ივნისის ოდაქცია) 486-ე მუხლის პირველი და მეორე აბზაცის თანახმად („პირი, რომელმაც კანონით ან გარიგებით დაგენილი საფუძვლის გარეშე შეიძინა ქონება სხვის ხარჯზე, მოვალეა, დაუპრუნოს უკანას კერძეს უსაფუძვლოდ შეძენილი ქონება“... „ასეთი მოვალეობა წარმოიშობა იმ შემთხვევაშიც, როცა ქონების შეძენას შემდეგში საფუძველი მოაკლდა“), განმარტა, რომ უსაფუძვლოდ მიღებული ნამატის ან სხვა შეღავათის მოთხოვნის ერთერთ საფუძველია შემთხვევა, როდესაც ქონების შეძენას შემდეგში საფუძველი მოაკლდა ანუ ვალდებულება შეწყდა (ან მოიშალა). ამ შემთხვევაში იგულისხმება საერთო საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულების შეწყვეტა, უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტი გულისხმობს ისეთ ვითარებას, როდესაც ვალდებულება არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში და ამის შედეგად ამ ვალდებულების ადგილი დაიკავა კანონის მიერმა ვალდებულებით-მა ურთიერთობამ. აღნიშნულის გათვალისწინებით მნიშვნელობა ენიჭება შესრულების კონდიციას, როდესაც შესრულება არს შევწყული და მიზანმიმართული მოქმედება, რომელიც იწვევს შესრულების მიმღების მიერ ქონებრივი შეღავათის მიღებას. აქედან გამომდინარე, გათვალისწინებული უნდა იყოს ვალდებულების შეწყვეტის (ან მოშლის) თავისებურებები, რომლის შედეგად მიმღები დარჩა გამდიდრებული.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების შეწყვეტა არ უდევს საფუძვლად უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნას და სასამართლომ მიიჩნია, რომ უსაფუძვლოდ გამდიდრდა სახელმწიფო, დასადგენია, სახელმწიფომ საერთო ქონების ნილის განკარგვით რა შეიძინა ან დაზოგა, რამაც მოახდინა გავლენა მოსარჩელის ქონებრივ ინტერესებზე. ამ შემთხვევაში უნდა ჩანდეს, რომ დაზოგილი ქონება, მიღებული ნამა-

ტი წარმოიშვა გადამცემი პირის ქონების ხარჯზე. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ, აღნიშნული მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ ფაქტობრივად მიუთითა, ხელყოფის კონდიქციაზე. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ანალიზი იძლევა ვარაუდის შესაძლებლობას, რომ ხელყოფის ობიექტად სასამართლო გულისხმობს სანივთო უფლებას – საერთო ქონების წილს (წარმომადგენლიც ეკუთვნის პირველ საწარმოს და რომლის განმკარგვებლიც არის სახელმწიფო, მაგრამ სააპელაციო სასამართლომ არ გაარკვია რომელი შესრულებისა თუ ხელყოფის კონდიქცია უდევს საფუძვლად სასარჩელო მოთხოვნას (ანუ მოსარჩელის მიერ საქმეში წარდგენილი მტკიცებულებები და არგუმენტები მიუთითებს მის მიერ სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების ჩატარების შედეგად მოპასუხის უსაფუძვლოდ გამდიდრებაზე, თუ ამ უკანასკნელის უსაფუძვლო გამდიდრებას საფუძვლად უდევს საერთო ქონებიდან წილის განკარგვა). ამ გარემოებების გარკვევას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ისინი ახდენს გავლენას, როგორც მოპასუხის (ანუ მიმღების), ასევე, სამართლებრივი დასაბუთების განსაზღვრაზე.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, მთავარია დადგინდეს მოსარჩელის მიერ გადახდილი თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნის საფუძველი, კერძოდ, საერთო საქმიანობის ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ან სხვა საფუძვლით აღნიშნული ნამატი დარჩა მიმღებებს (მოპასუხეს) თუ სახელმწიფოს მიერ საერთო ქონების წილის გასხვისებით ეს უკანასკნელი გამდიდრდა, რომლის ამოღებას (მოსარჩელის მიერ დახარჯული თანხის გათვალისწინებით) ითხოვს მოსარჩელე.

საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ თავისებურებებზე, რომლებიც ახასიათებს იურიდიულ პირს, როგორც ნამატის, შეღავათის მიმღებს უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის თანახმად.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოპასუხის პარტნიორის (სახელმწიფოს) წილი განსხვავდება მოპასუხის, როგორც საერთო საქმიანობის ხელშეკრულების მონაწილის ქონების წილისაგან, რადგან ამ წილების წარმოშობას საფუძვლად უდევს განსხვავებული სამართლებრივი წინაპირობები და წარმოადგენს საკუთრების სხვადასხვა ობიექტს.

შპს-ს პარტნიორის მიერ წილის განკარგვა გავლენას არ ახდენს თვით ამ იურიდიული პირის (მოპასუხის, როგორც საერთო საქმია-

ნობის ხელშეკრულების ერთ-ერთი მონაწილის) პასუხისმგებლობის განსაზღვრაზე, რადგან საზოგადოების საკუთრება განსხვავდება მისი დამფუძნებლის საკუთრებისაგან. სახელმწიფოს, როგორც მოპასუხე საწარმოს დამფუძნებელს, საზოგადოებაში თავისი შენატანის გამო მხოლოდ წილზე ჰქონდა საკუთრების უფლება, ანუ ის შენატანი, რომლითაც დამფუძნებელმა (კონკრეტულ შემთხვევაში სახელმწიფო) დააფუძნა საზოგადოება, წარმოადგენს საზოგადოების და არა დამფუძნებლის საკუთრებას.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, თუ სახელმწიფოს მიერ მოპასუხე საწარმო დაფუძნებული იყო იმ ქონებით, რომლითაც მან მონაწილეობა მიიღო საერთო საქმიანობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნების მიღწევაში, ამ შემთხვევაშიც საზოგადოების (მოპასუხის) საკუთრება ქონების წილზე (საერთო საქმიანობის ხელშეკრულების მონაწილეების ფულადი ან სხვა ქონებრივი შენატანები წარმოადგენს მათ საერთო საკუთრებას) განსხვავდება ამავე საზოგადოების წილზე დამფუძნებლის საკუთრებისაგან. ქონება, რომელიც საერთო საქმიანობის მიზნების განსახორციელებლად იქნა შეტანილი, საერთო საქმიანობის წევრების საერთო საკუთრებაა. სახელმწიფოს (დამფუძნებლის) მიერ საზოგადოებაში არსებული მისი წილის გასხვისება არ ნიშნავს საერთო საქმიანობაში არსებული საერთო ქონებიდან წილის გასხვისებას (წილი ამ შემთხვევაში შეიძლება დავახსასიათოთ, როგორც მისი მესაკუთრის უფლება, მოითხოვოს ამ წილის შესაბამისი შემოსავალი). დამფუძნებლის მიერ საზოგადოებაში თავისი წილის განკარგვით იცვლება მხოლოდ პარტნიორი, ხოლო ქონება, რომელიც შეტანილი იყო ამ საზოგადოების დასაფუძნებლად, რჩება საზოგადოების საკუთრებად და, ამდენად, ის იურიდიულ გავლენას არ ახდენს საერთო საქმიანობის ხელშეკრულების მონაწილეების (მოსარჩელი-სა და მოპასუხის) უფლება-ვალდებულებებზე.

საკასაციო სასამართლომ დააპრუნა რა საქმე სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად მიუთითა, რომ, თუ სასამართლო გადაწყვეტილებიდან ვივარაუდებთ, რომ მის დასაფუძნებლად სახელმწიფოს მიერ შეტანილი ქონებით მოპასუხე საწარმომ მონაწილეობა მიიღო საერთო საქმიანობაში, ხოლო სახელმწიფომ (დამფუძნებელმა) გაასხვისა ამ საზოგადოებაში არსებული წილი, არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფომ ამით განკარგა საერთო საქმიანობაში საზოგადოების მიერ ჩადებული საერთო ქონება და ამდენად, ეს არ შეიძლება, მიუთითებდეს სახელმწიფოს უსაფუძვლო

გამდიდრებაზე.

განსახილველ დავაში<sup>79</sup> მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის უძრავი ნივთის გაუმჯობესებაზე დახარჯული თანხის დაკისრება. მოსარჩელის განმარტებით, მხარეები სიტყვიერად შეთანხმდნენ, მოპასუხის კუთვნილი უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების დადებაზე. ხელშეკრულების დადებამდე მოსარჩელე დაეუფლა აღნიშნულ შენობას და მიიჩნევდა რა მას შეძენილად, გარე ფასადი და შემოგარენი გაარქმონტა.

სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა. მოსარჩელე (კასატორი) არ მიიჩნია სკ-ის 163-ე მუხლის შესაბამისად არაუფლებამოსილ კეთილსინდისიერ მფლობელად და მიუთითა, რომ პირი შეიძლება მხოლოდ მაშინ იქნეს მიჩნეული კეთილსინდისიერ მფლობელად, თუ მას არ შეეძლო, გაეცნობიერებინა ურთიერთიობის არსებული დეფექტი, ხოლო, თუ მფლობელს მოეთხოვებოდა, დაენახა მფლობელობის ხარვეზიანობა, იგი ჩაითვლება არაკეთილსინდისიერ მფლობელად. მოსარჩელეს არ შეეძლო, მიერჩია შენობა შეძენილად სკ-ის 183-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით და ამ შემთხვევაში მოეთხოვებოდა, დაენახა მისი მფლობელობის ხარვეზიანობა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ფართის ყიდვის სურვილი არ წარმოშობს ფართის ფლობის მართლზომიერებას. თუ მხარეთა შორის ურთიერთობა შეფასდება, როგორც თხოვების ხელშეკრულება, სკ-ის 619-ე მუხლის თანახმად, მონათხოვრემ უნდა განიოს ნათხოვარი ნივთის მოვლისათვის საჭირო ჩვეულებრივი ხარჯები, სხვა ხარჯები კი ანაზღაურდება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების წესებით. გარე ფასადის რემონტი არ შეიძლება, ჩაითვალის ნივთის მოვლისთვის საჭირო ჩვეულებრივ ხარჯებად. რაც შეეხება სხვა ხარჯებს, ამ თანხების ანაზღაურება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებისას, დაუშვებელია, თუ შესრულება ეწინააღმდეგება მეპატრონის ნებას ან არ შეესაბამება მის ინტერესებს (სკ-ის 974-ე მუხლი). საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ მეპატრონემ (მოპასუხემ) გამოხატა ნება შენობის გარეფასადის შეკეთების თაობაზე.

საკასაციო სასამართლომ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად არ მიიჩნია არც სკ-ის 980-ე მუხლი, ვინაიდან აღნიშნული

<sup>79</sup> სუს განჩინება, 26 ივლისი, 2005, №ას-243-565-05.

ნორმის საფუძველზე ხარჯებისა და დანაკლისის ანაზღაურების წესი არ გამოიყენება, როცა გადაცემული საგანი არ იძლევა იმის საფუძველს, რომ იგი მიჩნეულ იქნეს სამუდამოდ შეძენილად.

სხვა საქმეში<sup>80</sup> სასამართლომ მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დააკისრა სესხად გადაცემული თანხა 9000 ევრო, ასევე, 2000 ევრო-სკ-ის 976.1. „ა“ ქვეპუნტის საფუძველზე, საბოლოოდ, მოპასუხეს დაეკისრა 11 000 აშშ ევრო, ასევე, ამ თანხის წლიური 10%-ის გადახდა, სარჩელის წარდგენის დღიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე. მოპასუხის განმარტებით, მან 2000 ევრო მიიღო ერთობლივი სამენარმეო საქმიანობის მიზნით შეთანხმების სარეალიზაციოდ, თუმცა, სასამართლოს დასკვნით, მოპასუხემ დაკისრებულ მტკიცების ტვირთს ვერ გაართვა თავი და სათანადო მტკიცებულებების წარდგენით ვერ დაადასტურა მოსარჩელის მიერ მისთვის გადაცემული თანხის, ერთობლივი საქმიანობის შესახებ შეთანხმების ფარგლებში, გახარჯვის ფაქტი. სასამართლომ სკ-ის 411-ე, 412-ე მუხლების საფუძველზე განმარტა, რომ მიუღებელი შემოსავალი წარმოადგენს სავარაუდო შემოსავალს, მის დასადგენად აუცილებელია, გათვალისწინებულ იქნეს, თუ რამდენად მოსალოდნელი იყო მისი მიღება. საპაზრო ეკონომიკის პირობებში, ფული განიხილება, როგორც ყველაზე ბრუნვაუნარიანი საგანი, მისი ფლობა უპირობოდ იძლევა შემოსავლის მიღების პრეზუმციას, შესაბამისად, სასამართლომ სკ-ის 981.2-ე მუხლის საფუძველზე მიიჩნია, რომ ქვემდგომმა სასამართლომ გონივრულ, სამართლიან ანაზღაურებად და მოვალისათვის სავარაუდო ზიანად მართებულად ჩათვალა გადაუხდელი თანხის წლიური 10% და მოპასუხეს სწორად დააკისრა მისი ანაზღაურება სარგებლის სახით.

პრაქტიკულ შემთხვევაში<sup>81</sup> მოსარჩელეებმა მოითხოვეს მოპასუხეთათვის გადაცემული თანხის დაკისრება, იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელეები შეუთანხმდნენ მოპასუხებს შპს-ს საკუთრებაში საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის შეძენაზე (რათა შემდგომში ამ მიწის ნაკვეთზე აეშენებინათ საცხოვრებელი სახლი). მხარეებს სკ-ის 319-ე მუხლის პირველი ნაწილის, 327-ე მუხლის პირველი ნაწილის, 183-ე მუხლის, 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონით გათვალისწინებული წერილობითი ფორმით გარიგე-

<sup>80</sup> სუს განჩინება, 22 სექტემბერი, 2016, №ას-439-421-2016.

<sup>81</sup> სუს განჩინება, 22 მარტი, 2012, №ას-124-119-2012.

ბა არ დაუდიათ, რის გამოც სასამართლომ ნასყიდობის თაობაზე შეთანხმება პათილად მიიჩნია და სკ-ის 976.1.ა. მუხლის საფუძველზე მოთხოვნა დააკმაყოფილა.

ერთ საქმეში მოსარჩელემ,<sup>82</sup> რომელმაც მოითხოვა მოპასუხეთა მფლობელობის შეწყვეტა მის საკუთრებად რეგისტრირებულ საცხოვრებელ ბინაზე, აღიარა მოპასუხეთაგან საცხოვრებელი ბინის შეძენისას 4500 აშშ დოლარის მიღების ფაქტი. მოპასუხებმა მოსარჩელის წინააღმდეგ შეგებებული სარჩელი შეიტანეს და მოითხოვეს, მათ სასარგებლოდ, მესაკუთრესთან ერთად შეძენილი უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების – 11,53%-ის შესაბამისი თანხის, ბინის რემონტისათვის, ასევე, კომუნალური გადასახადებისათვის გადახდილი თანხის მოსარჩელისათვის დაკისრება. მესაკუთრის სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხების უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნა მოსარჩელის კუთვნილი ბინა და გამოთავისუფლებული ნივთი გადაეცა მას.

მოპასუხეთა შეგებებული სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოსარჩელეს (ბინის მესაკუთრეს), მოპასუხეთა სასარგებლოდ, დაეკისრა 4 500 აშშ დოლარის, ასევე, 4500 აშშ დოლარის ნლიური 4%-ის გადახდა, სარჩელის აღძვრიდან ამ თანხის გადახდამდე, მაგრამ არაუმეტეს მის მიერ მოთხოვნილი 7606 აშშ დოლარისა. ჩატარებული რემონტის ღირებულებისა და კომუნალური გადასახადების დაკისრების ნაწილში შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ კომუნალური გადასახადებისათვის განეული ხარჯის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნაურყო სკ-ის 976-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის (უკან დაბრუნების მოთხოვნა გამორიცხულია, თუ შესრულება შეესაბამება ზნეობრივ მოვალეობებს) საფუძველზე;

სასამართლომ სკ-ის 170-ე, 172-ე, 312-ე და სსკ-ის 102-ე მუხლის საფუძველზე მიიჩნია, რომ მოპასუხებმა ვერ უზრუნველყოვეს დაკისრებული მტკიცების ტვირთის შესრულება და ვერ დაადასტურეს სადაცონივთის ფლობის მართლზომიერი საფუძვლების არსებობა.

სასამართლოს დასკვნით, მოპასუხები სადავო ქონებას ფლობდნენ კანონისმიერი და სახელშეკრულებო საფუძვლის გარეშე, რაც გამორიცხავს მესაკუთრის მხრიდან მოპასუხეთა მიერ სადავო ბი-

<sup>82</sup> სუს განჩინება, 14 დეკემბერი, 2016, №ას-493-473-2016.

ნის ფლობისას თმენის ვალდებულების არსებობას.

სასამართლომ მოდავე მხარეთა შორის ურთიერთობა უძრავი ნივთის თხოვებად დააკვალიფიცირა და, სკ-ის 615-ე, 621-ე მუხლების საფუძველზე, ნივთის გამოთხოვის მოთხოვნა და ამ ნაწილში გასაჩინორებული გადაწყვეტილება კანონიერად მიიჩნია.

სასამართლომ, სკ-ის 317-ე მუხლზე და 987-ე მუხლზე (იმ პირს, რომელმაც შეგნებულად ან შეცდომით ხარჯები გაწია მეორე პირის ქონებაზე, შეუძლია, მისგან მოითხოვოს თავისი დანახარჯების ანაზღაურება, თუ მეორე პირი ამით გამდიდრდა. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, გამდიდრების არსებობა განისაზღვრება იმ მომენტით, როცა მოვალეს უბრუნდება თავისი ნივთი ან იგი ღირებულების გაზრდის შედეგად სხვაგვარად იღებს სარგებელს) მითითებით, სააპელაციო საჩივარი ბინის სარემონტო სამუშაოებისათვის გალებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ არ დააკმაყოფილა და აღნიშნა, რომ მოხმობილი ნორმის თანახმად, სხვა პირის ქონებაზე შეგნებულად ან შეცდომით გაწეული ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირი ამით გამდიდრდა. თუ გამდიდრების ფაქტი არ ვლინდება, მაშინ მარტომდენ ხარჯის გაწევა არ წარმოშობს კონდიქციურ ვალდებულებას. სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით არ დგინდებოდა იმ ფაქტობრივი გარემოებების არსებობა, რომლებიც აუცილებელი იყო ურთიერთობის სკ-ის 987-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სკ-ის 981.2-ე მუხლის დეფინიციიდან გამომდინარე, მოსარჩევემ, რომელმაც მოპასუხეთაგან მიიღო 4500 აშშ დოლარი, იმთავითვე იცოდა, რომ ბინის შესაძენად ნათესავებისაგან მიღებული თანხით, ეს უკანასკნელები ვერ გახდებოდნენ უძრავი ქონების მესაკუთრეები. უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების მოპოვების წინაპირობები დადგენილა სკ-ის 183-ე მუხლით, რომლის თანახმად: „უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემძენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში“, ხოლო სკ-ის 312.1-ე მუხლით „რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმეცია, ე.ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა“.

სკ-ის 981.2-ე მუხლი სამართლებრივი სიკეთის (4500 აშშ დოლარის სახით მიღებული ქონების) მიმღების (ამ შემთხვევაში მოსარჩევის), კუთვნილი ნორმაა, რომელიც კონკრეტულ უძრავ ქონებას, მისი ღირებულების გათვალისწინებით, ვერ შეიძენდა მოპასუხეთაგან მიღებული თანხის გარეშე. ამ უკანასკნელებმა კი, თავის მხრივ, უსაფუძვლოდ, ვალდებულების გარეშე გადაიხადეს თანხა, რადგან მოსარჩელისათვის გადაცემული ფულის სანაცვლოდ, მთა არ მოუპოვებიათ საკუთრების უფლება უძრავი ქონების ნაწილზე.

სასამართლომ მოპასუხეთა მოთხოვნა ფულად ვალზე პროცენტის გადახდის (სკ-ის 981.2-ე მუხლი) დაკისრების ნაწილში კანონიერად მიიჩნია და დაკამაყოფილა.

სკ-ის 981-ე მუხლის მეორე ნაწილის („თუ მიმღები არ იღებს სარგებელს, რომელიც მას შეეძლო მიეღო მეურნეობის სათანადოდ გაძლილის შედეგად, მაშინ ანაზღაურების მოვალეობა ეკისრება იმ შემთხვევაში, თუ მას ბრალი მიუძღვის. ფულად ვალზე გადახდილ უნდა იქნეს პროცენტი. საგნიდან მიღებული შემოსავალი უნდა დაბრუნდეს“) თანახმად, სასამართლომ განმარტა, რომ მხარეთა შორის განსაზღვრული გარემოებების მტკიცების ტვირთის განაწილების, ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ საპაზრო ეკონომიკის პირობებში, ფული განიხილება, როგორც ყველაზე ბრუნვაუნარიანი საგანი და მისი ფლობა უპირობოდ ქმნის შემოსავლის მიღების პრეზუმეციას, გონივრულ და სამართლიან ანაზღაურებას, ასევე, სავარაუდო ზიანს ნარმოადეგენს გადასახდელი თანხის 4500 აშშ დოლარის წლიური 4%, რომლის ათვლა უნდა დაიწყოს სარჩელის აღძვრიდან და გაგრძელდეს ამ თანხის გადახდამდე, ამასთან, თანხის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შეგებებული სარჩელის ავტორების მიერ მოთხოვნილ ოდენობას.<sup>83</sup>

ერთ-ერთი საქმის<sup>84</sup> მასალების მიხედვით, მოსარჩელემ მოპასუხეს მოთხოვა მოძრავი ნივთებისა და თანხის დაბრუნება შემდეგი საფუძვლებით: მოსარჩელის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე გამამტკუნებელი განაჩენის საფუძველზე მოსარჩელეს აღეკვეთა თავისუფლება. პატიმრობის პერიოდში მან კუთვნილი ძვირ-

<sup>83</sup> შეადარე, შნიტგერი ჰ, შატბერაძევილი ლ, უსაფუძვლო გამდიდრების ნორმათა კომენტარი, ველი 106-107, 62-63., GCCC.GE, 27.06.2018.

<sup>84</sup> სუს განჩინება, ას-325-580-08, 20 ოქტომბერი, 2008.

ფასეულობა მიაბარა მოპასუხეს. სასჯელის მოხდის შემდეგ მოსარჩელემ მოპასუხეს მიბარებული ნივთების დაბრუნება მოსთხოვა. მოპასუხის თხოვნით, ხსენებული ნივთები შეტანილ იქნა ბანკში სესხის მისაღებად. მითითებული სესხი და მასზე დარიცხული პროცენტი მოსარჩელემ დაფარა, მოპასუხეს კი არც აღნიშნული თანხა და არც ძვირფასეულობა არ დაუბრუნებია. საპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს დაეკისრა სარჩელით მოთხოვილი თანხის ნაწილის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ, ასევე, მოსარჩელის კუთვნილი ოქროს ნივთების დაბრუნება. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სკ-ის 102-ე მუხლის მესამე ნაწილით, მე-4, 103-ე მუხლებით და ჩათვალა, რომ, ვინაიდან მოპასუხეს მოსარჩელი-სათვის მის სახლში ნაპოვნი ძვირფასეულობის კუთვნილების, ასევე, მოპასუხის კრედიტის დაფარვის მიზნით გადახდილი თანხის დაბრუნების დამადასტურებელი მტკიცებულება არ წარუდგენია, სკ-ის 976-ე და 172-ე მუხლების შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან ძვირფასეულის გამოთხოვის, ბანკში გადახდილი თანხის ანაზღაურების თაობაზე საფუძვლიანია.<sup>85 86</sup>

<sup>85</sup> უსაფუძვლო გამდიდრების მარეგულირებელი ნორმების გამოყენებისას, საჭიროა გადაწყვეტა, თუ რამდენად გამოიყენება 976-ე და შემდგომი მუხლების ნორმები ვინდიკაციაზე. მესაკუთრის მოთხოვნები უკანონო მფლობელის მიმართ (163-ე და 164-ე მუხ.). ანესრიგებს კანონისმიერ ვალდებულების ურთიერთობის ფარგლებში ნივთის ნაყოფისა და მასზე განუელი სარჯების ანაზღაურების მოთხოვნებს. უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი მოთხოვნები სარგებლის დაბრუნებისა და ნივთზე განეული სარჯების კომპენსაციის შესახებ, დამოუკიდებელი მოთხოვნების სახით შესაძლებელია არსებობდეს ვინდიკაციის მოთხოვნის პარალელურად, თუმცა მისათვის, რომ თავიდინ იქნეს აცილებული კოლიზია, უნდა მოხდეს ნორმების პარმიზაცია მათ გამოიყენებისას. ხელშეკრულების პათოლობისას კი, სანივთო სამართლის (ვინდიკაცია 172-ე მუხ.) და/ან უსაფუძვლო გამდიდრების მომნესრიგებული ნორმების მიხედვით. მაგალითად, თუ შესრულების საგანს წარმოადგენს არამატერიალური სარგებელი (მომსახურება) ან ფული, მისი უკან გამოთხოვა შესაძლებელია მხოლოდ შესრულების კონდიქციით, ხოლო ნივთიერი შესრულებისას ორივე მოთხოვნით – კონდიკაციით და კონდიქციით. მითითებულია შნიტგერი ჰ., შატბერაშვილი ლ., უსაფუძვლო გამდიდრების ნორმათა კომენტარი, მე-16-17 ველი, 9., GCCC.GE, 27.06.2018.

<sup>86</sup> ვინდიკაციისა და შესრულების კონდიქციის მოთხოვნებს შორის კონცურნციის საკითხისთვის იხილეთ რუსაშვილი გ., უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი: შესრულების კონდიქცია, თბ., 2017, 106.

## თავი III

### ხელყოფის კონდიცია (მუხ. 982-985)<sup>87</sup>

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა და გამოიყენა სკ-ის 984.1. მუხლი.

კონკრეტულ დავაში<sup>88</sup> მოსარჩელემ მოპასუხისათვის მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არამართლზომიერი სარგებლობისათვის და გამოთავისუფლებული ქონების გადაცემამდე, ყოველდღიურად გარკვეული თანხის დაკისრება მოითხოვა. საქმის ფაბულის მიხედვით, მოპასუხეს 1984 წლიდან ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ჰქონდა დაკავებული სადაცო უძრავი ქონება, რომელიც 2009 წლის თებერვლიდან მოსარჩელის საკუთრებად ირიცხებოდა. სააპელაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნა ნაწილობრივ დაქმაყოფილდა, მოპასუხეს 107.48 ლარის გადახდა დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის კერძო სამართლებრივი ურთიერთობა უნდა მოწესრიგებულიყო სკ-ის კა-

<sup>87</sup> ხელყოფის შედეგად წარმოშობილი მოთხოვნის უფლებისას უსაფუძვლოდ გამდიდრებული პირი თავად ხელყოფს „განმდიდრებულის“ უფლებებს, რომლებიც, როგორც წესი, აბსოლუტურ უფლებებს წარმოადგენს, ესაა პარალელი დელიქტურ სამართლიან. მაშინაც კა, თუ ხელყოფისას არ იკვეთება პირის ბრალეულობა და ამგვარად დაზარალებულს არ აქვს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, მაინც ხომ სამართლიანი იქნებოდა, რომ ხელყოფს ის მაინც დაებრუნებინა, რაც მან ხელყოფის შედეგად მიიღო (გამდიდრება). აქაც მხედველობის მიღმა არ უნდა დარჩეს პარალელები დელიქტურ სამართლიან, სწორედ მშინ, როდესაც იკვეთება გამდიდრებული პირის მიერ ბრალეულობს გარეშე განხორცილებულ ხელყოფა, გაუმართებლია, თუ ის უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად უფრო მეტს გადაუსდის კონდიქციის კრედიტორს, ვიდრე ეს იქნებოდა დაზარალებულის მხრიდან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების განხორცილების შემთხვევაში, რადგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების არსებობა უკვე გულისხმის დელიქტის ჩამდენი პირის ბრალეულობას და, შესაბამისად არსებობს იმის მოლოდნი, რომ ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა უფრო მაღალი იქნება, ვიდრე მიღებულის დაბრუნების მოთხოვნის ოდენობა ბრალეულობის გარეშე უსაფუძვლო გამდიდრების შემთხვევაში. მითითებულია შინიტგერი ჰ, შატბერაშვილი ლ, უსაფუძვლო გამდიდრების ნორმათა კომენტარი, მე-7 ველი, 4., იქვე 67-85., GCCC.GE, 27.06.2018.

<sup>88</sup> სუს გადაწყვეტილება 30 მაისი, 2017, №ას-197-186-2017.

ნონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობისათვის დადგენილი წე-  
სებიდან – უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებით და არა საჯარო  
სამართლებრივი ნორმებით, რასაც „სახელმწიფო ქონების შესა-  
ხებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებდა;

სასამართლომ მისი გათვალისწინებით, რომ მოპასუხემ 2014 წლის  
13 მაისამდე არ იცოდა სადაცო ქონებაზე მოსარჩელის საკუთრე-  
ბის ნარმოშობისა და თავისი უფლებამოსილების ხარვეზის თაობა-  
ზე, ამ დრომდე ფართის სარგებლობის საფასურის გადახდის მოთ-  
ხოვნა, სკ-ის 984.1 მუხლის მიხედვით, არ დააკმაყოფილა;

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ სააპელაციო  
სასამართლოს მიერ მატერიალურსამართლებრივი ნორმის არას-  
წორად გამოყენებისა და განმარტების კუთხით დასაშვები და და-  
საბუთებული პრეტეზზია წარადგინა და მიუთითა, რომ იმ სამარ-  
თლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩე-  
ლეს სურს, მოპასუხის მხრიდან სადაცო უძრავი ქონების საკუთ-  
რების უფლებაში არამართლზომიერი ჩარევის შედეგად მიღებუ-  
ლი სარგებლის ანაზღაურების მოთხოვნა, სკ-ის 982-ე და 408-ე  
მუხლის პირველი ნაწილის („პირი, რომელიც ხელყოფს მეორე პი-  
რის სამართლებრივ სიკეთეს მისი თანხმობის გარეშე განკარგვის,  
დახარვევის, სარგებლობის, შეერთების, შერევის, გადამუშავების  
ან სხვა საშუალებით, მოვალეა აუნაზღაუროს უფლებამოსილ პირს  
ამით მიყენებული ზიანი“, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზ-  
ღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარ-  
სებებდა, რომ არ დამდგარიყო აანაზღაურების მავალდებულებელი  
გარემოება“) დაანახესიდან გამომდინარეობს.

საკასაციო სასამართლოს აზრით, სააპელაციო სასამართლომ სწო-  
რად დაადგინა მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმებით გათვალის-  
წინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ფაქტობ-  
რივი გარემოებები (სამართლებრივი წინაპირობები), კერძოდ: მხა-  
რეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა არ არსებობს; მო-  
სარჩელე 2009 წლის თებერვლიდან სადაცო უძრავი ქონების რე-  
გისტრირებული მესაკუთრეა; ამ ქონებით 2014 წლის 19 სექტემ-  
ბრამდე სარგებლობდა მოპასუხე; ის სამენარმეო დანიშნულებით  
იყენებდა მოსარჩელის ქონებას, ისე რომ მას არც მესაკუთრისა-  
გან და არც კანინის საფუძველზე არ ჰქონდა მინიჭებული შესაბა-  
მისი უფლებამოსილება; მან დაზოგა საკუთარი ფულადი სახსრე-  
ბი, რადგანაც არ იხდიდა ფართით სარგებლობის საფასურს, ანუ

გამდიდრდა მოსარჩელის ხარჯზე; მოპასუხემ ხელყო მოსარჩელის უფლება, ესარგებლა თავისი ქონებით, რითაც ამ უკანასკნელს მი-ადგა ზიანი.

სკ-ის 982-ე მუხლის მიზანთან დაკავშირებით, საკასაციო პალატამ უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაზე<sup>89</sup> დაყრდნობით განმარტა, რომ „განსახილველი ნორმით გათვალისწინებული „ზიანი“ არა ზიანის ანაზღაურების შემთხვევა, არამედ, გამდიდრების გათანაბრებაა. ამ შემთხვევაში ყურადსალებია, რომ ხსენებული ნორმა მოცემულია უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტით, რაც მიგვითითებს ამ ნორმით გათვალისწინებული ზიანის გათანაბრებაზე უსაფუძვლო გამდიდრებასთან, ანუ, როგორც ხელყოფის კონდიციისათვის არის დამხასიათებელი, ამ ნორმით გათვალისწინებული იურიდიული შედეგი არის ის, რომ ხელმყოფმა უნდა გაუთანაბროს უფლების მქონე პირს საკუთარ უფლებაში ჩარევა. აქედან გამომდინარე, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებულ ზიანში იგულისხმება, მიღებულის დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში, მისი ღირებულების ანაზღაურება, ანუ ესაა არა ზიანის ანაზღაურება, არამედ გამდიდრების გათანაბრების შემთხვევა“.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს შეფასება, მოცემულ შემთხვევაში, სკ-ის 984-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესის (თუ ხელმყოფმა არ იცოდა უფლებამოსილების ხარვეზი, გარდა უხეში გაუფრთხილებლობისა, იგი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება, თუ ანაზღაურების მოთხოვნის სასამართლოში განხილვის მომენტისათვის აღარ არსებობს გამდიდრების ნიშნები) გამოყენებისა და, შესაბამისად, ხელყოფის მოპასუხის მიერ რეგისტრირებული მესაკუთრის შესახებ შეტყობის მომენტიდან ათვლის თაობაზე. სასამართლოს აზრით, სკ-ის 984.1. მუხლი კეთილსინდისიერ პირს აძლევს უფლებას, დაეყრდნოს გამდიდრების საფუძვლის მოსპობას. კეთილსინდისიერება გამოირიცხება უხეში გაუფრთხილებლობით არცოდნის შემთხვევაში. ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხეს საერთოდ არ გააჩნდა ნივთით სარგებლობის უფლებამოსილება (არაუფლებამოსილი, არაკეთილსინდისიერი მფლობელი), ამ ნორმის გამოყენების საფუძველიც არ არსებობდა.

<sup>89</sup> სუს გადაწყვეტილება 05.12.2013, №ას-472-448-2013. (ნიშანდობლივია, რომ აღნაშნულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლო სკ-ის 982-ე მუხლის განმარტება-გამოყენებასთან დაკავშირებით ხშირად ეყრდნობა.)

დადგენილი ფაქტია, რომ მოპასუხე გამდიდრდა და მისი უსაფუძვლო გამდიდრება, სადაც ოქონების მოსარჩელის საკუთრებად აღრიცხვის დღიდან (2009 წლის 11 თებერვლიდან) დაიწყო. ამდენად, მოპასუხემ დაზოგა თანხა, რასაც ის ამხელა ფართის ქირაობის შემთხვევაში გადაიხდიდა.

საბოლოოდ, საკასაციო პალატამ ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი სრულად დაკავშაყოფილა და მოპასუხეს დაკისრა მის მიერ 2009 წლის 11 თებერვლიდან 2014 წლის 19 სექტემბრამდე პერიოდზე ნივთის სარგებლობისათვის დაზოგილი ქირა-2193.48 ლარი.

ერთ-ერთ საქმეში<sup>90</sup> მოსარჩელემ მოპასუხეთა უკანონო მფლობელობიდან მის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრირებული უძრავი ნივთების გამოთხოვა, გათავისუფლებული ბინების გადაცემა და მიუღებელი შემოსავლის სახით მიყენებული ზიანის ანაზღაურება მოითხოვა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, რომელიც უცვლელად დატოვა სააპელაციო სასამართლომ, სარჩელი დაკმაყოფილდა. მოპასუხეთა უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნა მოსარჩელის საკუთრებაში არსებული უძრავი ქირება და გამოთავისუფლებული გადაეცა მოსარჩელეს. მოპასუხებს დაეკისრათ ფიქსირებული თანხა და სარჩელის აღძვრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველთვიურად გარკვეული თანხა (თითოეული ბინის ქირის ოდენობით). ორივე ინსტანციის სასამართლომ მოთხოვნა იურიდიულად გამართლებულად მიიჩნია და გადაწყვეტილების სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში: სსკ-ის) 230-ე და სკ-ის 172.1 და 411-ე მუხლებზე.

საკასაციო პალატამ დაუშვებლად ცნონ მოპასუხეთა საკასაციო საჩივრები. გაზიარა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ, მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობდა სსკ-ის 233-ე მუხლით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები და სკ-ის 172.1 მუხლის საფუძველზე, მოსარჩელის პირველი მოთხოვნა მოპასუხეთა უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის თაობაზე იურიდიულად გამართლებულად მიიჩნია.

<sup>90</sup> სუს განჩინება, 16 დეკემბერი, 2016, №ას-678-649-2016.

საკასაციო პალატა არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მოსარჩელის მეორე მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სკ-ის 411-ე მუხლი და აღნიშნა, რომ სარჩელში მითითებული და დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მეორე მოთხოვნას იურიდიულად ამართლებს სკ-ის 982-ე მუხლის საფუძველზე. პალატის აზრით, სკ-ის 411-ე მუხლი არ ქმნის მოთხოვნის დამოუკიდებელ საფუძველს. ეს მუხლი აზუსტებს სკ-ის 408-ე მუხლში მოცემულ ზიანის ანაზღაურების პრინციპს იმის შესახებ, რომ ზიანი უნდა ანაზღაურდეს სრულად. თავის მხრივ, სკ-ის 408-ე მუხლის გამოყენება უკავშირდება მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევას. სწორედ მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევა ანიჭებს უფლებას კრედიტორს, მოითხოვოს ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება სკ-ის 394.1 მუხლის საფუძველზე.

პალატის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში, მხარეები ერთმანეთთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში არ იმყოფებიან, ამიტომ მოსარჩელის მოთხოვნა ფულადი ანაზღაურების თაობაზე სახელშეკრულებო ნორმებს ვერ დაეფუძნება. საკასაციო პალატის მოსაზრებით, არც დელიქტიდან წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება იკვეთება (სკ-ის 992-ე მუხლი), ვინაიდან უძრავი ქონების უკანონო მფლობელობით მოპასუხებას მოსარჩელისათვის ფაქტობრივი ქონებრივი დანაკლისის სახით რაიმე ზიანი არ მიუყენებიათ. პალატამ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, მოსარჩელის ფულადი ანაზღაურების მოთხოვნაზე გაავრცელა ხელყოფის კონდიქციის სპეციალური წესი, რომელიც მოცემულია სკ-ის 982-ე მუხლით (პირი, რომელიც ხელყოფს მეორე პირის სამართლებრივ სიკეთეს მისი თანხმობის გარეშე განკარგვის, დაბარჯვების, სარგებლობის, შეერთების, შერევის, გადამუშავების ან სხვა საშუალებით, მოვალეა, აუნაზღაუროს უფლებამოსილ პირს ამით მიყენებული ზიანი). საკასაციო პალატამ სკ-ის 982-ე მუხლი განმარტა მსგავსი ფაქტობრივი გარემოებების მქონე ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით (სუსგ, 05.12.2013წ., საქმე #ას-472-448-2013).

სხვა საქმის<sup>91</sup> ფაბულის მიხედვით, მოსარჩელე წლების განმავლო-

<sup>91</sup> სუს განჩინება, 6 ივნისი, 2016, №ას-543-515-2016.

ბაში მოპასუხის ნებართვის გარეშე ცხოვრობდა ამ უკანასკნელის სახელზე რიცხულ ბინაში. მოსარჩელემ მის მიერ საცხოვრებელ ბინაში გაწეული სარემონტო ხარჯების ანაზღაურება, ხოლო მოპასუხემ შეგებებული სარჩელით მიყენებული ზიანის ანაზღაურება მოითხოვა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ორივე სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მესაკუთრის (შეგებებული სარჩელის ავტორის) მოთხოვნა უკავშირდება მოსარჩელის მიერ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მფლობელობას, სადაც შემთხვევაზე უნდა გავრცელდეს ხელყოფის კონდიქციის სპეციალური წესი, რომელიც მოცემულია სკ-ის 982-ე მუხლით.

პალატამ განმარტა ზიანი სსკ-ის 982-ე მუხლის მიხედვით.<sup>92</sup>

სასამართლოს დასკვნით, კონკრეტულ საქმეზე სადაც ფაქტობრივი სიტუაცია არ ითვალისწინებს ზიანის ინსტიტუტს სკ-ის 992-ე მუხლის მიხედვით.

სასამართლოს მითითებით, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოსარჩელის მიერ მოპასუხის (მესაკუთრის) საკუთრებაში არსებული ბინის უკანონო მფლობელობის გამო, ამ უკანასკნელმა დაკარგა გარკვეული სიკეთის მიღების შესაძლებლობა, მას უფლებას აძლევს, ამოიღოს ეს ქონება ხელმყოფისაგან. აღნიშნული ქონებრივი წონასაწირობის აღდგენას ემსახურება სკ-ის 982-ე მუხლი, რომლის თანახმად, ხელმყოფმა უნდა გაუთანაბროს უფლების მქონე პირს მის უფლებაში ჩარევა.

სააპელაციო სასამართლომ მნიშვნელოვნად მიიჩნია გათანაბრების ოდენობის განსაზღვრის საკითხი და ამ მხრივ ყურადღება მი-

<sup>92</sup> მოთხოვნილი „ზიანი“ არა ზიანის ანაზღაურების შემთხვევა, არამედ გამდიდრების გათანაბრებაა. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ განსახილები ნორმა მოცემულია უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტით, რაც მიუთითებს ამ ნორმით გათვალისწინებული ზიანის გათანაბრებაზე უსაფუძვლო გამდიდრებასთან, ანუ, როგორც ხელყოფის კონდიქციისათვის არის დამასახიათებელი, ამ ნორმით გათვალისწინებული იურიდიული შედეგი არის ის, რომ ხელმყოფმა უნდა გაუთანაბროს უფლების მქონე პირს საკუთარ უფლებაში ჩარევა.

აღნიშნულ ნორმაში მითითებულ ზიანში იგულისხმება, მიღებულის დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში, მისი ღირებულების ანაზღაურება, ანუ ზიანი კი არ უნდა ანაზღაურდეს, არამედ გამდიდრება გათანაბრდეს.

აქცია შესრულების კონდიქციის რეგულირების მექანიზმს, კერძოდ, სკ-ის 979-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უკან დაბრუნების მოთხოვნა ვრცელდება შეძენილზე, მიღებულ სარგებელზე, ასევე, სხვა ყველაფერზე, რაც მიმღებმა შეიძინა მიღებული საგნის განადგურების, დაზიანების ან ჩამორთმევის სანაცვლო ანაზღაურების სახით. მის გათვალისწინებით, რომ „შესრულების დაბრუნება“ შეუძლებელია, ზემომითითებული ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად, უფლების მქონე პირმა შეიძლება, გამოიყენოს ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა, **რაც შეიძლება, დადგინდეს მსგავსი ბინის ქირის ოდენობით.**

სააპელაციო პალატამ გაიზიარა მოპასუხის (მესაკუთრის) სააპელაციო საჩიგვრის მოთხოვნა იმ ნაწილში, რომლითაც იგი მიიჩნევს, რომ პირველი ინსტაციის სასამართლომ მისი მოთხოვნა არასწორად დააკმაყოფილა მხოლოდ ბოლო სამი წლის პერიოდის მიუღებელი ქირის ფარგლებში.

იმ მოსაზრების გათვალისწინებით, რომ ამ ურთიერთობაზე ვრცელდება არა დელიქტური ვალდებულებების, არამედ უსაფურქლო გამდიდრების ინსტიტუტი, პალატამ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნაზე უნდა გავრცელებულიყო ხანდაზმულობის საერთო ვადა – 10 წელი. სასამართლომ იხელმძღვანელა სკ-ის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით და მიუთითა, რომ მოსარჩელის (მფლობელის) მიერ მესაკუთრის საკუთრებაში არსებულ ბინაში ცხოვრებით მესაკუთრეს არ მიუღია ფაქტობრივი ქონებრივი დანაკლისი, შესაბამისად, ამ ურთიერთობაზე არ ვრცელდება სკ-ის 992-1008-ე მუხლები.

პალატამ განმარტა, რომ მესაკუთრის მიერ თავისი საკუთრების, როგორც ასიოლუტური უფლების დაცვაზე, ხანდაზმულობის ინსტიტუტი არ ვრცელდება, ხოლო მიუღებელი სარგებლის თაობაზე მოთხოვნის წარმოშობა და მოცულობა განპირობებულია საკუთრების უკანონო ხელშეშლის ხანგრძლივობით. ხანდაზმულობა წარმოადგენს ვადას, რომლის განმავლობაში უფლებადარღვეულ პირს ეძლევა შესაძლებლობა, მოითხოვოს თავისი უფლების იძულებით განხორციელება ან დაცვა (კონკრეტულ დავაში ხელმყოფისაგან უფლების მქონე პირისათვის მის უფლებაში ჩარევის გათანაბრების მოთხოვნა).

პალატის მოსაზრებით, მფლობელის მიერ გაწეული სამუშაოების ღირებულების მოთხოვნისას მესაკუთრის მიმართ გამოიყენება სკ-

ის 164-ე მუხლი, თუ მფლობელი არაუფლებამოსილი და არაკეთილ-სინდისიერია და ამავე კოდექსის 163-ე მუხლი, თუ არაუფლებამო-სილი და კეთილსინდისიერია. განსახილველი ურთიერთობის გათ-ვალისწინებით კი, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის (არა-უფლებამოსილი მფლობელის) მოთხოვნის სამართლებრივ სა-ფუძველს წარმოადგენს არა სკ-ის 987-ე მუხლი, არამედ 164-ე მუხლი. უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტი სუბსიდიური ხასიათისაა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ამ ინსტიტუტის გა-მოყენება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს ურ-თიერთობის სპეციალური მომწერლი გენერატორი ნორმა, როდესაც იკვეთება უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის გამოყენე-ბის უპირატესობა.

უსაფუძვლო გამდიდრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელე-მენტს წარმოადგენს მოპასუხის გამდიდრება. ამასთან, სკ-ის 991-ე მუხლი ითვალისწინებს უსაფუძვლო გამდიდრების გენერალურ დათქმას, რაც გულისხმობს, პირის მიერ იმ სიკეთის სხვისთვის დაბ-რუნებას, რომლითაც იგი უსაფუძვლოდ გამდიდრდება. ამდენად, პირის გამდიდრებას იწვევს სხვისი ქონების გამოყენება, გამდიდ-რებული პირი სარგებლობს სხვა პირის ქონებით, რითაც არღვევს სხვა პირის უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს.

უსაფუძვლო გამდიდრების სამართლებრივი ინსტიტუტის მიზანი არის უსაფუძვლოდ და გაუმართებლად შეძენილი ქონების ამოღე-ბა და ამგვარად ქონებრივი წონასწორობის აღდგენა. ამ მიზნით ქონებრივი შელავათი იმ პირს უნდა დაუუბრუნდეს, რომლის ხარ-ჯზეც გაიზარდა სხვა პირის ქონება, ანუ უსაფუძვლოდ გამდიდ-რდა. ამ ინსტიტუტის უმთავრესი დაწიშნულება პირის თავდაპირ-ველ ქონებრივ-სამართლებრივ მდგომარეობაში აღდგენა, ანუ გამ-დიდრების გათანაბრებაა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს უზენაესი სა-სამართლოს 2013 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე საქმეზე №ას-472-448-2013 და აღნიშნა, რომ მოსარჩელის (არაუფლება-მოსილი მფლობელის) მოთხოვნასთან მიმართებით, იკვეთება სანივთო-სამართლებრივი ინსტიტუტის გამოყენების საჭირო-ება და მფლობელის მოთხოვნა სკ-ის 164-ე მუხლის საფუძველ-ზე დააკმაყოფილა. საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელა-ციო სასამართლოს დასკვნები და სამართლებრივი მოსაზრებები და გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა.

ერთ-ერთ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების<sup>93</sup> მიხედვით, რომელიც მსგავსი ტიპის დავებზე მყარი სასამართლო პრაქტიკის საფუძველი გახდა, მოსარჩელე (არაუფლებამოსილი მფლობელი) მოპასუხის (მესაკუთრე) ბინაში წლების მანძილზე ცხოვრობდა. მესაკუთრე შეგებებული სარჩელით მფლობელისაგან სადაც უძრავი ნივთის მფლობელობის პერიოდში მისი კუთვნილი უძრავი ქონებით სარგებლობის შეუძლებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება მოითხოვა, იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელე უკანონოდ ფლობდა მის საკუთრებას, რითაც მოესპო ქონებით შემოსავლის მიღება-გაქირავების შესაძლებლობა. ფაქტობრივად, მესაკუთრემ მოითხოვა ზიანის ანაზღაურება არაუფლებამოსილი მფლობელის მიერ ფართში ცხოვრების გამო. საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მესაკუთრის შეგებებული სარჩელის მოთხოვნა დელიქტური ხასიათისაა სკ-ის 992-ე მუხლის მიხედვით. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაზე არ ვრცელდება დელიქტური ვალდებულებების ინსტიტუტი, რადგან უკანონო მფლობელობის პერიოდში ბინის გამოყენებას მესაკუთრისათვის ფაქტობრივი ქონებრივი დანაკლისის სახით რაიმე ზიანი არ მიუყენება. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ უკანონო მფლობელობით ამ უკანასკნელის ქონება არ შემცირებულა, რასაც გულისხმობს სკ-ის 992-ე მუხლი, კერძოდ, პირი, რომელიც სხვა პირს მართლასაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი, შესაბამისად, მესაკუთრეს მოსარჩელის სადაც ბინაში სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ცხოვრებით ფაქტობრივი ქონებრივი დანაკლისი არ მიუღია.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, იმის გამო, რომ მოსარჩელის მოთხოვნა უკავშირდება მოპასუხის მიერ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მფლობელობას, სადაც შემთხვევაზე უნდა გავრცელდეს ხელყოფის კონდიქციის სპეციალური წესი, რომელიც მოცემულია სკ-ის 982-ე მუხლით, კერძოდ, განსახილველი მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირი, რომელიც ხელყოფს მეორე პირის სამართლებრივ სიკეთეს მისი თანხმობის გარეშე განკარგვის, დახარჯვის, სარგებლობის, შეერთების, შერევის, გადამუშავების ან სხვა საშუალებით, მოვალეა, აუნაზღაუროს უფლებამოსილ პირს

<sup>93</sup> სუს გადაწყვეტილება 05.12.2013, №ას-472-448-2013 .

ამით მიყენებული ზიანი. პალატის დასკვნით, **როგორც ზემოთ აღინიშნა**, განსახილველი ნორმით გათვალისწინებული „ზიან“ არა ზიანის ანაზღაურების შემთხვევა, არამედ, გამდიდრების გათანაბრებაა. ამ შემთხვევაში ყურადსალებია, რომ განსახილველი ნორმა მოცემულია უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტით, რაც მიუთითებს ამ ნორმით გათვალისწინებული ზიანის გათანაბრებაზე უსაფუძვლო გამდიდრებასთან, ანუ, როგორც ხელყოფის კონდიქციისათვის არის დამახასიათებელი, ამ ნორმით გათვალისწინებული იურიდიული შედეგი არის ის, რომ ხელმყოფმა უნდა გაუთანაბროს უფლების მქონე პირს მის უფლებაში ჩარევა. ნორმაში მითითებულ ზიანში, იგულისხმება მიღებულის დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში მისი ლირებულების ანაზღაურება, ანუ არა ზიანის ანაზღაურება, არამედ გამდიდრების გათანაბრება. ამდენად, სადავო ფაქტობრივი სიტუაცია არ ითვალისწინებს ზიანის ინსტიტუტს სკ-ის 992-ე მუხლის მიხედვით.

იმის გათვალისწინებით, რომ ბინის უკანონო მფლობელობის გამო, მესაკუთრემ დაკარგა გარკვეული სიკეთის მიღების შესაძლებლობა, მას უფლებას აძლევს, ამოილოს ეს ქონება ხელმყოფისაგან. აღნიშნული ქონებრივი წონასწორობის აღდგენას ემსახურება სკ-ის 982-ე მუხლი, რომლის თანახმად, ხელმყოფმა უნდა გაუთანაბროს უფლების მქონე პირს მის უფლებაში ჩარევა. პალატამ გათანაბრების ოდენობის განსაზღვრის საკითხთან მნიშვნელოვნად მიიჩნია შესრულების კონდიქციის რეგულირების მექანიზმი, კერძოდ, სკ-ის 979-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უკან დაბრუნების მოთხოვნა ვრცელდება შეძენილზე, მიღებულ სარგებელზე, ასევე სხვა ყველაფერზე, რაც მიმღებმა შეიძინა მიღებული საგნის განადგურების, დაზიანების ან ჩამორთმევის სანაცვლო ანაზღაურების სახით. იმის გათვალისწინებით, რომ „შესრულების დაბრუნება“ (არაუფლებამოსილი მფლობელის მიერ უკანონო სარგებლობით მიღებული სიკეთე) შეუძლებელია, ზემომითითებული ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად, უფლების მქონე პირს (მესაკუთრეს) შეუძლება, გამოიყენოს ლირებულების ანაზღაურების მოთხოვნა, რაც შეიძლება დადგინდეს მსგავსი ბინის ქირის ოდენობით.

ზემომითითებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებისას, ინტერესს იწვევს სკ-ის 164-ე მუხლი, რომლის თანახმად, არაკეთილსინდისიერმა მფლობელმა უფლებამოსილ პირს უნდა დაუბრუნოს, როგორც ნივთი, ასევე, მიღებული სარგებელი,

ნივთის ან უფლების ნაყოფი. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მესაკუთრის მოთხოვნასთან მიმართებით, არ იკვეთება სკ-ის 164-ე მუხლის გამოყენების უპირატესობა, რადგან „მიღებული სარგებლის“ დაპრუნება შეუძლებელია, რადგან ამ შემთხვევაში „მიღებულ სარგებელს“ წარმოადგენს ამ ფართით სარგებლობა, რაც შესაძლებელია გამდიდრების გათანაბრების ოდენობასთან დაკავშირებული სამართლებრივი დანაწესების გამოყენებით.

საკასაციო პალატა არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ მესაკუთრის შეგებებულ სარჩელზე, რომლითაც ეს უკანასკნელი ითხოვს ზიანის ანაზღაურებას მიუღებელი შემოსავლის სახით, უნდა გავრცელდეს სკ-ის 1008-ე მუხლით გათვალისწინებული სამწლიანი ვადა და და შეგებებული სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ სამი წლის ნაწილში.

პალატამ მიუთითა, რომ, ვინაიდან განსახილველ საქმეში არსებულ ურთიერთობაზე ვრცელდება არა დელიქტური ვალდებულებების, არამედ – უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტი, გამოყენებულ უნდა იქნეს ხანდაზმულობის საერთო ვადა – 10 წელი სკ-ის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად. ეს ვადა დადგენილია ყველა იმ ურთიერთობებისათვის, რომელიც არ ითვალისწინებს სპეციალურ ვადას, მაგალითად, უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტი. საკასაციო პალატის ვარაუდით, სააპელაციო სასამართლო ითვალისწინებდა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების ხანდაზმულობის ინსტიტუტს.

პალატამ აღნიშნა, რომ მესაკუთრის უფლების დარღვევა გრძელდებოდა არაუფლებამოსილი მფლობელის გამოსახლებამდე. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო იმას თუ, როდის შეიტყო მესაკუთრებისათვის, უფლების დარღვევის თაობაზე, არამედ, ასევე იმას, თუ როდის დასრულდა მისი უფლების დარღვევა, რამაც შემდეგ განაპირობა ამით დაკარგული სარგებლის მოთხოვნის დაყენება.

პალატის აზრით, ვინაიდან მესაკუთრის მოთხოვნა უკავშირდება მის მოთხოვნას-უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვას, შესაბამისად, მესაკუთრის მიერ თავისი საკუთრების, როგორც აბსოლუტური უფლების დაცვაზე ხანდაზმულობის ინსტიტუტი არ ვრცელდება. ხოლო მიუღებელი სარგებელის თაობაზე

მოთხოვნის წარმოშობა და მოცულობა განპირობებულია საკუთრების უკანონო ხელშეშლის ხანგრძლივობით. ხანდაზმულობა წარმოადგენს ვადას, რომლის განმავლობაში უფლებადარღვეულ პირს ეძლევა, შესაძლებლობა მოითხოვოს თავისი უფლების იძულებით განხორციელება ან დაცვა (კონკრეტულ დავაში ხელმყოფისაგან უფლების მქონე პირისათვის მის უფლებაში ჩარევის გათანაბრების მოთხოვნა). შესაბამისად, სხვისი საკუთრების უკანონო ხელშეშლის ფაქტის გამო წარმოშობილი ვალდებულება არ შეიძლება, შეფასდეს, როგორც პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულება (პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას წარმოდგენს ვალდებულება, რომელიც კანონით ან ხელშეკრულებით გარკვეული დროის მონაკვეთში უნდა შესრულდეს განსაზღვრული პერიოდულობით, რა დროსაც თითოეული დარღვევა (ცალ-ცალკე წარმოშობს მოთხოვნის უფლებას). განსახილველ სადაცვო ურთიერთობის გათვალისწინებით საკუთრების უფლების ხელყოფის შედეგად და კარგულმა სიკეთემ წარმოშვა არა პერიოდულად შესასრულებელი, არამედ ერთიანი ვალდებულება, ხოლო მიუღებელი ქირა მოთხოვნის ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმია. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ არაუფლებამოსილ მფლობელს აქვს მესაკუთრისგან სადაცვ ბინაზე განეული დანახარჯების მოთხოვნის უფლება. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლების შემოწმებასთან მიმართებით წარმოშობა სკ-ის 987-ე და 164-ე მუხლებს შორის კონკურენცია.

სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა სკ-ის 987-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, პირს, რომელმაც შეგნებულად ან შეცდომით ხარჯები განია მეორე პირის ქონებაზე, შეუძლია, მის-გან მოითხოვოს თავისი დანახარჯების ანაზღაურება, თუ მეორე პირი ამით გამდიდრდა.

პალატის აზრით, განსახილველი ნორმა წარმოადგენს ე.წ დანახარჯების კონდიქციას, რომლითაც განისაზღვრება იმ პირის უფლებები, ვინც სხვის ქონებაზე განია ხარჯები, მაგრამ ამ ნორმის გამოყენებისას მნიშვნელობა ენიჭება განსახილველ ფაქტობრივ სიტუაციას, რომლის თანახმად, მფლობელმა არა მარტო შეგნებულად თუ შეცდომით განია ხარჯი სხვის ქონებაზე, არამედ თავის მხრივ, ნივთის უკანონო მფლობელობით სარგებელი მიიღო. ამ ფაქტობრივ სიტუაციაზე სკ-ის 987-ე მუხლის პირველი ნაწილის გამოყენებას გამორიცხავს ამავე კოდექსის 984-ე მუხლის მე-2 ნა-

**წილი**, რომლის თანახმად, ხელმყოფი პირის მიერ გამოყენებული სიკეთის მიმართ გაწეული ხარჯები არ ამცირებს მისი გამდიდრების ოდენობას. ჩარევის კონდიქციის განსახილველი ნორმიდან გამომდინარე, თუ ხელმყოფი პირი გამდიდრდა გამოყენებული სიკეთით, ამ გამდიდრების ოდენობა ვერ შემცირდება მის (ხელმყოფი პირი) მიერ გამოყენებული სიკეთის მიმართ გაწეული ხარჯებით, ანუ განსახილველი ნორმა ითვალისწინებს არა მარტო იმ შემთხვევას, როდესაც სხვისი სიკეთის მიმართ იღებენ ხარჯებს, არამედ, როდესაც ამით ხელმყოფი პირი მდიდრდება.

საკასაციო პალატის დასკვნით, განსახილველი ურთიერთობის გათვალისწინებით მფლობელის მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს არა სკ-ის 987-ე, არამედ 164-ე მუხლი.

პალატამ მიუთითა, რა უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის სუბსიდიურ ხასიათზე,<sup>94</sup> აღნიშნა, რომ არაუფლებამოსილი მფლობელის მოთხოვნასთან მიმართებით გამოყენებულ უნდა იქნეს სანივთოსამართლებრივი ინსტიტუტი, კერძოდ, სკ-ის 164-ე მუხლი, რომლის თანახმად, არაკეთილსინდისიერმა მფლობელმა უფლებამოსილ პირს უნდა დაუბრუნოს როგორც ნივთი, ასევე, მიღებული სარგებელი, ნივთის ან უფლების ნაყოფი. მფლობელი ვალდებულია, აანაზღაუროს ის ნაყოფი, რომელიც მან ბრალეულად არ მიიღო. ნივთზე გაწეული ხარჯები და გაუმჯობესებანი მას შეუძლია, მხოლოდ მაშინ მოითხოვოს, თუ ნივთის უკან დაბრუნების მომენტისათვის უფლებამოსილი პირი გამდიდრდა. სხვა მოთხოვნები არაკეთილსინდისიერი მფლობელის მიმართ უცვლელად რჩება.

განსახილველი ნორმის გამოყენების წინაპირობას წარმოადგენს ის, რომ ნივთის მფლობელი, რომელმაც განია ხარჯები და გაუმჯობესებანი, უნდა იყოს არაუფლებამოსილი და არაკეთილსინდისიერი ნივთის მფლობელობის მიმართ (არაუფლებამოსილი, მაგრამ კეთილსინდისიერი მფლობელის მიმართ გამოიყენება 163-ე მუხლი, რაც 164-ე მუხლისაგან განსხვავებულ წესებს ითვალისწინებს).

საქმის ფაბულის მიხედვით, მოსარჩელე წარმოადგენს არაკეთილსინდისიერ მფლობელს სკ-ის 164-ე მუხლის მიხედვით. განსახილ-

<sup>94</sup> იხ. 54-ე სქოლით.

ველი ნორმის თანახმად, უფლებამოსილი პირისაგან ნივთზე გაწეული ხარჯები და გაუმჯობესებანი არაკეთილსინდისიერ მფლობელს შეუძლია, მხოლოდ მაშინ მოითხოვოს, თუ ნივთის უკან დაბრუნების მომენტისათვის უფლებამოსილი პირი გამდიდრდა.

მფლობელის მოთხოვნა სხვის საკუთრებაზე გაწეული სარემონტო ხარჯის ანაზღაურებაა. მესაკუთრემ გაუმჯობესებული ფართი მიიღო, რაც მის გამდიდრებაზე მიუთითებს.

საკასაციო პალატამ არ გაზიარა მესაკუთრის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მფლობელის მიერ ნივთის გაუმჯობესება შეესაბამებოდა ზნეობრივ ნორმებს და ამდენად, მისი უკან დაბრუნება გამორიცხულია სკ-ის 976-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, განსახილველი სიტუაცია (მფლობელის მოთხოვნასთან დაკავშირებით) არ შეიძლება, შეფასდეს, უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტით. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, უსაფუძვლო გამდიდრების ხელყოფის კონდიქცია-ასა და სანივთოსამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმებს შორის კონკურენციისას, საკასაციო პალატამ სა-დავო ურთიერთობაზე გავრცელა ეს უკანასკნელი ინსტიტუტი. რაც შეეხება მესაკუთრის მიერ მითითებულ ნორმას, იგი წარმოადგენს შესრულების კონდიქციას, რომელიც მიუთითებს შეგნებულად და მიზანმიმართულად განხორციელებულ მოქმედებას, რაც იწვევს შესრულების მიმღების „ვითომ კრედიტორის“ მიერ ქონებრივი შეღავათის მიღებას (გამდიდრებას). იმ შემთხვევაში, თუ ეს მოქმედებები არ არის გააზრებული და მიზანმიმართული (ანუ, როდესაც ეს მოქმედებები შეგნებულად და მიზანმიმართულად არ ხორციელდება, „ვითომ კრედიტორის“ მიმართ), მაშინ შესრულების კონდიქცია არ იარსებებს და, ამდენად, არ გამოიყენება მითითებული ნორმა. მოცემულ შემთხვევაში, მფლობელმა ხარჯი განია არა მესაკუთრისთვის, არამედ სათავისოდ, რაც გამორიცხავს შესრულების კონდიქციის ინსტიტუტს, შესაბამისად, სკ-ის 976-ე მუხ-ლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის გამოყენებას. ზუსტად ამიტომ, ნორმათა შორის კონკურენცია წარმოიშვა არა შესრულების, არა-მედ ხელყოფის კონდიქციის (სკ-ის 987-ე მუხლი) და სანივთოსა-მართლებრივ (სკ-ის 164-ე მუხლი) ნორმებს შორის.

**სარჩელის უარყოფას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ**

## **მოსარჩელეებმა ვერ დაადასტურეს მოპასუხის მიერ ქონების დაზოგვის და, შესაბამისად, მისი გამდიდრების ფაქტი.**

სამოქალაქო დავაში<sup>95</sup> მოსარჩელეებმა (სადავო ქონების მესაკუთრებმა) მოითხოვეს მოპასუხისათვის თანხის დაკისრება, იმ საფუძვლით, რომ მოპასუხე სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ფლობდა რა წლების მანძილზე უძრავ ნივთს, ამით დაზოგა თავისი ქონება. საკასაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი უარყოფილ იქნა. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე და აღნიშნა, რომ, ვინაიდან „სადავო ქონება“ მოპასუხის ფლობა-სარგებლობაში აღმოჩნდა ბათილი გარიგების საფუძველზე, მოსარჩელე უფლებამოსილი იყო, მოეთხოვა და მიეღო (დაებრუნებინა) „სადავო ქონება“ მოპასუხისგან, რაც განხორციელდა კიდეც, მოსარჩელის მოთხოვნით სადავო ქონებაზე მოპასუხის მფლობელობის შეწყვეტისას. განსახილველი სარჩელით კი, მოთხოვნილია იმ ზიანის ანაზღაურებაც, რაც „სადავო ქონებით“ უსაფუძვლო სარგებლობით მიიღო მოპასუხემ, ამით გამდიდრდა და, შესაბამისად – დაზარალა მოსარჩელენი.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად წარმოშობილი ვალდებულებების უპირველესი ფუნქცია კრედიტორის ადრინდელ ქონებრივ მდგომარეობაში აღდგენის სამართლებრივი უზრუნველყოფა. ქონების უსაფუძვლოდ შეძენა ნიშნავს შემძენის ქონების გაზრდას სხვა პირის ხარჯზე, კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფუძვლების გარეშე. პირს სხვა პირის ხარჯზე მიღებული სარგებლის (რაც შეიძლება გამოიხატოს ქონების დაზოგვაში) უკან დაბრუნების ვალდებულება წარმოშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირი ამით გამდიდრდა. თუ გამდიდრების ფაქტი ვლინდება, მაშინ მხოლოდ ქონების დაზოგვა არ წარმოშობს კონდიქციურ ვალდებულებას.

სასამართლომ დავის გადასაწყვეტად გამოიყენა სკ-ის 982-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, პირი, რომელიც ხელყოფს მეორე პირის სამართლებრივ სიკეთეს მისი თანხმობის გარეშე განკარგვის, დახარჯვის, სარგებლობის, შეერთების, შერევის, გადამუშავების ან სხვა საშუალებით, მოვალეა, აუნაზღაუ-

<sup>95</sup> სუს განჩინება, 8 დეკემბერი, 2015, №ას-220-207-2015.

როს უფლებამოსილ პირს ამით მიყენებული ზიანი, თუმცა, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, საქმის განხილვის შედეგად, არ დამტკიცებულა, რომ 1998 წლის 25 სექტემბრიდან მოპასუხე, სადაც ქონებას დაეუფლა ქონების მესაკუთრის თანხმობის გარეშე; ქონების მომავალმა მესაკუთრეებმა (პოტენციურმა მემკვიდრეებმა) მიიღეს გარკვეული თანხა, როგორც ნასყიდობის ფასი და დაუთმეს ქონება მოპასუხეს. პრეტენზია ქონების უსაფუძვლო ფლობასთან დაკავშირებით მოსარჩელემ მოპასუხეს წაუყენა მხოლოდ 2011 წელს. მთელი ამ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, ფლობდა „სადაც ქონებას“, მი განზრახვით, რომ მასში ფულის გადახდის შედეგად, ადრე თუ გვიან, მოიპოვებდა საკუთრების უფლებას მასზე, ე.ი. მოპასუხის ნება თანხის გადახდის დროს მიმართული იყო არა ქირავნობის, არამედ – უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისაკენ.

ამდენად, სააპელაციო პალატის აზრით, მოპასუხის მიზანს წარმოადგენდა „სადაც ქონების“ შეძენა, რის გამოც უსაფუძვლო იყო მოსარჩელეთა მითითება, რომ მოპასუხემ „სადაც ქონების“ ფლობა-სარგებლობით დაზოგა ქირა. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ შემძენება საკუთრების უფლება ვერ გადავიდა, მოსარჩელებს მიღებული ნასყიდობის ფასი უკან ნებაყოფლობით არ დაუბრუნებიათ მოპასუხისათვის და საამისოდ აუცილებელი გახდა სასამართლოში დავის დაწყება.

სკ-ის 979-ე მუხლზე მითითებით, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელეებმა, სსკ-ის 102-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით დადგენილი წესით, ვერ წარადგინეს სათანადო მტკიცებულებები იმ გარემოების დასადასტურებლად, რომ მათ ჰქონდათ კონკრეტული ოფერტი მესამე პირისაგან „სადაც ქონების“ სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით, რის შედეგადაც ისინი მართლაც მიიღებდნენ გარკვეულ შემოსავალს ქირის სახით. მოპასუხის მიერ სადაც ქონების გაქირავების ფაქტობრივი გარემოება არ არის დამტკიცებული საქმეში წარდგენილი, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებებითაც. ამდენად, არ მტკიცდება მოპასუხის მიერ „სადაც ქონებით“ სარგებლობისაგან რაიმე სარგებლის მიღებისა და გამდიდრების ფაქტი.

საქმის ფაზულის მიხედვით,<sup>96</sup> მოსარჩელეები (მეუღლეები-იძულე-

<sup>96</sup> სუს გადაწყვეტილება, 22 აპრილი, 2015, №ას-445-420-2014.

ბით გადაადგილებული პირები) ცხოვრობდნენ მოპასუხის საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლში. მათ დაკავებულ ბინაში ჩატარებული სარემონტო სამუშაოების ანაზღაურება მოითხოვეს, ხოლო მოპასუხემ (მესაკუთრემ) შეგებებული სარჩელით მოსარჩელეთათვის იმ მიუღებელი შემოსავლის დაკისრება მოითხოვა, რასაც სადაც ფართის გაქირავების შედეგად მიიღებდა. საპეტაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, სარჩელი ნაწილობრივ დაკამაყოფილდა, ხოლო შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა. შეგებებულ სარჩელზე უარის თქმის საფუძვლად სასამართლომ მიიჩნია ის გარემოება, რომ მესაკუთრემ ვერ დაადასტურა ფაქტი, რომ აპირებდა სადაც ბინის გაქირავებას და ასევე ვერ დაადასტურა ზიანის არსებობა, ვინაიდან ბინის პირდაპირი დანიშნულებაა საცხოვრებლად გამოყენება, მასში ბინადრობა და იგი ყოველთვის არ არის გამიზნული იმისათვის, რომ მესაკუთრეს გაქირავებით რამებ შემოსავალი/მოგება მოუტანოს.

ქვემდგომი სასამართლოს მოსაზრებით, ვინაიდან მესაკუთრის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის ანაზღაურება, სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, ემსჯელა მოსარჩელეების სამოქალაქო პასუხისმგებლობაზე კონდიქციური ვალდებულებიდან გამომდინარე, უსაფუძვლოდ მიღებულის ან დაზიგილის ფარგლებში – ბინის ქირის ოდენობით.

საკასაციო სასამართლომ დააკმაყოფილა მესაკუთრის საკასაციო საჩივარი, მიიღო ახალი გადაწყვეტილება და დააკმაყოფილა მესაკუთრის შეგებებული სარჩელი. მოსარჩელეებს (სადაც ბინის მფლობელებს) დააკისრა მესაკუთრის მიერ მოთხოვნილი თანხა. საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად არასწორად გამოიყენა სკ-ის 992-ე და 411-ე მუხლები, რადგან მოსარჩელეთა მიერ უკანონო მფლობელობის პერიოდში ბინის გამოყენებას მესაკუთრისათვის ფაქტობრივი ქონებრივი დანაკლისის სახით რამე ზიანი არ მიუყენებია. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ უკანონო მფლობელობით ამ უკანასკნელის ქონება არ შემცირებულა, რასაც გულისხმობს სკ-ის 992-ე მუხლი, სადაც ბინაში სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ცხოვრებით ფაქტობრივი ქონებრივი დანაკლისი მესაკუთრეს არ მიუღია.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ, ვინაიდან მესაკუთ-

რის მოთხოვნა უკავშირდება მოსარჩელეთა მიერ სამართლებ-რივი საფუძვლის გარეშე მფლობელობას, სადაც შემთხვევა-ზე უნდა გავრცელდეს ხელყოფის კონდიქციის სპეციალური წესი, რომელიც მოცემულია სკ-ის 982-ე მუხლით.

საკასაციო სასამართლომ განმარტარა სკ-ის 982-ე მუხლში მი-თითებული ზიანი<sup>97</sup> აღნიშნა, რომ, სადაც ფაქტობრივი სიტუ-აცია არ ითვალისწინებს ზიანის ინსტიტუტს სკ-ის 411-ე მუხ-ლის მიხედვით.

იმის გათვალისწინებით, რომ არაუფლებამოსილი მფლობელე-ბის მიერ განხორციელებული ფლობით მესაკუთრემ დაკარგა გარკვეული სიკეთის მიღების შესაძლებლობა, მას უფლება ეძ-ლევა, ამოილოს ეს ქონება ხელმყოფისაგან. რადგან „შესრუ-ლების დაბრუნება“ (მოსარჩელების მიერ უკანონოსარგებლო-ბით მიღებული სიკეთე) შეუძლებელია, სკ-ის 979-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფლების მქონე პირმა (მესაკუთრემ) შე-იძლება, გამოიყენოს ღირებულების ანაზღაურების მოთხოვ-ნა, რაც დგინდება მსგავსი ბინის ქირის ოდენობით.

საკასაციო სასამართლომ, როგორც ზემოთ არაერთგზის აღი-ნიშნა, მიუთითა, რომ მესაკუთრის მოთხოვნასთან მიმართებით არ იკვეთება სკ-ის 164-ე მუხლის გამოყენების უპირატესობა, რადგან „მიღებული სარგებლის“ დაბრუნება შეუძლებელია, ამ შემთხვევაში „მიღებულ სარგებელს“ წარმოადგენს ფართით სარგებლობა, რაც შესაძლებელია გამდიდრების გათანაბრების ოდენობასთან დაკავშირებული სამართლებრივი დანაწესების გამოყენებით.

მსგავს საქმეში<sup>98</sup> მოსარჩელემ (მესაკუთრემ) მოითხოვა მოპასუ-ხისათვის (არაუფლებამოსილი მფლობელისათვის) ამ უკანასკნე-ლის მიერ ფართით უკანონოდ სარგებლობისათვის ზიანის ანაზღა-ურება 2002 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 ივნისამდე, ყოველთვი-ურად 300 აშშ დოლარის, მთლიანობაში 37500 აშშ დოლარის ოდე-ნობით. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2009 წლის 29 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული გა-დაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მესაკუთრის სარჩელი და მოპა-

<sup>97</sup> იხ. 92-ე სქოლიო.

<sup>98</sup> სუს გადაწყვეტილება, 25 მაისი, 2015, №ას-838-796-2013.

სუხის (არაუფლებამოსილი მფლობელის) უკანონო მფლობელობი-დან გამოთხოვილ იქნა მოსარჩელის საკუთრებაში არსებული 50 კვ.მ საერთო ფართის ნაწილი – 21 კვ.მ დამხმარე ფართი (ანტრესოლით). ამავე გადაწყვეტილებით მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 10800 აშშ დოლარის ანაზღაურება. ზემომითითებული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა და გაიცა სააღსრულებო ფურცელი;

მიუხედავად სასამართლო გადაწყვეტილებისა და სააღსრულებო ბიუროში წარდგენილი სააღსრულებო ფურცლისა, მოპასუხე აგ-რძელებდა მოსარჩელის ფართით უკანონოდ სარგებლობას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლე-გის გადაწყვეტილებით, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 2002 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 ივნისამდე (ანუ 10 წლისა და 5 თვის განმავლობაში) მოსარჩელის ფართით სარგებლო-ბისათვის ზიანის ანაზღაურება, ყოველთვიურად 300 აშშ დოლა-რის, ჯამში 37500 აშშ დოლარის გადახდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალა-ტის გადაწყვეტილებით მესაკუთრის სარჩელი ნაწილობრივ დაკ-მაყოფილდა.

მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის ანაზღა-ურება 2009 წლის 29 ოქტომბრიდან 2012 წლის 1 ივნისამდე, თვეში 300 აშშ დოლარის გადახდა. დავის გადაწყვეტისას, სააპელაციო სასამართლო იხელმძღვანელა სკ-ის 164-ე მუხლით, 317-ე მუხ-ლის პირველი ნაწილით, 992-ე, 408-ე, 411-412-ე მუხლებით.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სკ-ის 144-ე მუხლზე, რომ-ლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ ვალდე-ბული პირი უფლებამოსილია, უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე. ვინაიდან სარჩელის ავტორი ითხოვდა განგრძობად ზიანს 2002 წლიდან 2012 წლის 1 ივნისამდე, ანუ 10 წლისა და 5 თვის გან-მავლობაში, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი შეიძლებოდა, დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ 3-წლიანი ხან-დაზმულობის ნაწილში.

საკასაციო სასამართლომ დააკმაყოფილა მესაკუთრის საკა-საციო საჩივარი და ახალი გადაწყვეტილებით მოპასუხეს (არა-უფლებამოსილ მფლობელს) დაკისრა 115 თვის ქირა მესაკუთ-

**რის სასარგებლოდ. მეორე კასატორის (არაუფლებამოსილი მფლობელის) საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.**

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ მართებულად გამოიყენა სკ-ის 166-ე მუხლი (რომლის მიხედვით, თუ პირი ნივთს ფლობდა დროის გარკვეული მონაკვეთის დასაწყისში და ბოლოს, ივარაუდება, რომ იგი ფლობდა ამ ნივთს დროის შუა პერიოდშიც) და სწორად დაადგინა, რომ, ვინაიდან მოპასუხე სადაცო უძრავ ნივთს ფლობდა დროის გარკვეული მონაკვეთის დასაწყისში – 1998-2001 წლებში და ბოლოს – 2012 წლის 7 ივნისს, მოსარჩელის სასარგებლოდ მოქმედებს ნივთის ფლობის უწყვეტობის ვარაუდი, რაც იმას ნიშნავს, რომ მოპასუხე სადაცო უძრავ ქინებას ფლობდა 1998 წლიდან 2012 წლის 7 ივნისამდე. აღნიშნული ვარაუდის გაქარწყლების ტვირთი ეკისრებოდა მოპასუხეს, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ სწორად დააკისრა მას იმ გარემოების დამტკიცების ტვირთი, რომ სადაცო პერიოდში იგი მოსარჩელის კუთვნილ უძრავ ქონებას არ ფლობდა.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოტივაცია და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტი იმის თაობაზე, რომ 1998-2001 წლებში სადაცო კომერციული ფართის გაქირავება შესაძლებელი იყო თვეში 300 აშშ დოლარად, სსკ-ის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პრეიუდიციულ ფაქტად მიიჩნია. საკასაციო პალატის აზრით, მითითებული პრეიუდიციული ფაქტი იძლევა იმ ვარაუდის დაშვების შესაძლებლობას, რომ სადაცო ფართი 2001 წლის შემდეგაც სულ ცოტა 300 აშშ დოლარად გაქირავდებოდა, ვინაიდან, კომერციული ფართების გაქირავების ფასი, როგორც წესი, ყოველწლიურად იზრდება. ამ საერთო წესიდან შესაძლებელია, არსებობდეს გარკვეული გამონაკლისებიც, რომლებიც გამოწვეულია ეკონომიკური ხასიათის რყევებით და სხვა ობიექტური გარემოებებით, მაგრამ მათი არსებობის დამტკიცების ტვირთიც მოპასუხეს ეკისრება. ეს უკანასკნელი კი ვერ უთითებს ისეთ გარემოებებზე, რაც, მოცემულ შემთხვევაში, გამონაკლისის არსებობას დაადასტურებდა.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა კასატორის (მფლობელის) მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მოპასუხის ნინააღმდეგ 2001 წელს ზიანის ანაზღაურების თაობაზე სარჩელის შეტანით შეწყდა იმ მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა, რომელიც განსახილველი დავის საგანს წარმოადგენს. საკასაციო სასამართლომ განმარ-

ტა, რომ სარჩელის შეტანით ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის ინსტიტუტი გამოიყენება იმავე სარჩელის მიმართ. სარჩელი კი იმ შემთხვევაშია იგივე, თუ იგივეა: ა. სასარჩელო მოთხოვნა (სარჩელის საგანი). ბ. სარჩელის საფუძველი (ფაქტობრივი გარემოები, რომელზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას) და გ. მხარეები. ამასთან, სამივე ეს ელემენტი ერთდღოულად უნდა არსებობდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგივე სარჩელი არ გვექნება. განსახილველ დავაში სარჩელის საგანი განსხვავდება იმ სარჩელის საგნისაგან, რომელზედაც უკვე არსებობს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაზე ვერ გავრცელდება სკ-ის 138-ე მუხლის დანაწესი.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება დავის სამართლებრივ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით და განსახილველი ურთიერთობის მიმართ გამოიყენა უსაფუძვლო გამდილების ინსტიტუტი და, შესაბამისად, სკ-ის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ხანდაზმულობის საერთო (10-წლიანი) ვადა.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, ვინაიდან მოსარჩელის მოთხოვნას 2002 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 ივნისამდე პერიოდში მისი კუთვნილი უძრავი ქონებით სარგებლობის შეუძლებლობით მოპასუხის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება წარმოადგენს, ხოლო მოთხოვნის საფუძვლად დასახელებულია ის გარემოება, რომ სადაც პერიოდში მოპასუხე უკანონოდ ფლობდა მის საკუთრებას და ამით მას მოესპო ქონების გაქირავებით შემოსავლის მიღების შესაძლებლობა, არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მოსარჩელის მოთხოვნა დელიქტური ხასიათისაა სკ-ის 992-ე მუხლის მიხედვით. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაზე არ ვრცელდება დელიქტური ვალდებულებების ინსტიტუტი, რადგან სადაც უძრავი ქონების უკანონო მფლობელობით მოპასუხეს მოსარჩელისათვის ფაქტობრივი ქონებრივი დანაკლისის სახით რაიმე ზიანი არ მიუყენებია.<sup>99</sup>

<sup>99</sup> აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო ავითარებს იმავე მსჯელობას, რაც მითითებულია სუს 2015 წლის 22 აპრილის №ას-445-420-2014 გადაწყვეტილებაში.

საკასაციო პალატის მსჯელობით, არასწორია მოსაზრება, რომ მოსარჩელის მოთხოვნაზე უნდა გავრცელდეს ხანდაზმულობის სამზღვიანი ვადა და სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ სამი წლის ნაწილში, რადგან მოსარჩელე ითხოვს ზიანს მიუღებელი შემოსავლის სახით, ვინაიდან განსახილველ ურთიერთობაზე ვრცელდება არა დელიქტური ვალდებულებების, არამედ – უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტი. ამდენად, ამ ურთიერთობის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს ხანდაზმულობის საერთო ვადა – 10 წელი სკ-ის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად.

საკასაციო სასამართლოს დასკვნით, ვინაიდან სარჩელი შეტანილია 2012 წლის 29 ოქტომბერს, მოსარჩელის მოთხოვნა ხანდაზმული არაა 2002 წლის 29 ოქტომბრიდან 2012 წლის 1 ივნისამდე, რაც შეადგენს 115 თვეს. შესაბამისად, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 34500 (115x300) აშშ დოლარის გადახდა.

ერთ-ერთი საქმის ფაბულის მიხედვით,<sup>100</sup> მხარეებს შორის შორის არსებობდა ზეპირი შეთანხმება, რომლის თანახმადაც, მოსარჩელე (მფლობელი) შეიძნდა მოპასუხის (მესაკუთრის) კუთვნილ ორ ოთახს. მოსარჩელე (მფლობელი) მოითხოვდა მესაკუთრისათვის 24000 აშშ დოლარის დაკისრებას, ხოლო მესაკუთრე შეგებებული სარჩელით-მფლობელისათვის საცხოვრებელი სახლით სარგებლობის შედეგად დაზოგილი თანხის (9750 ლარის) დაკისრებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით, როგორც სარჩელი, ასევე, შეგებებული სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. მესაკუთრეს დაეკისრა 23232 ლარის გადახდა მფლობელის სასარგებლოდ, ხოლო მფლობელს – 9750 ლარის გადახდა მესაკუთრის სასარგებლოდ. საბოლოოდ, მხარეთათვის დაკისრებული გალდებულებების გაქოთვის შედეგად, მესაკუთრეს დაეკისრა 13482 ლარის გადახდა მფლობელის სასარგებლოდ.

მხარეთა შორის დადებული გარიგებების, აგრეთვე, თავად მესაკუთრის მიერ წარდგენილი ხელწერილის ერთობლივი ანალიზის შედეგად სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მესაკუთრე მფლობელისგან პერიოდულად გარკვეულ თანხებს იღებ-

<sup>100</sup> სუს განჩინება, 10 მარტი, 2015, №ას-1022-980-2014.

და. აღნიშნულმა თანხებმა, ერთობლივად, 12000 აშშ დოლარი შეადგინა. მესაკუთრის აღიარება დამატებით 12000 აშშ დოლარის დაბრუნების თაობაზე, სააპელაციო სასამართლომ, ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებად – პირგასამტებლოდ მიიჩნია. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მესაკუთრეს უნდა დაჰჰქისრებოდა ფორმადაუცველი გარიგების საფუძველზე მიღებული თანხის, 12000 აშშ დოლარის, **როგორც უსაფუძვლოდ მიღებულის, დაბრუნება, ხოლო, რაც შეეხება პირგასამტებლოს** 12000 აშშ დოლარის ოდენობით, პირგასამტებლოს ბუნებისა და დანიშნულების გათვალისწინებით, ასევე, მესაკუთრის ასაკის, ჯანმრთელობისა და ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით, უნდა მიჩნეულიყო შეუსაბამოდ მაღალ პირგასამტებლოდ და შემცირებულიყო 1200 აშშ დოლარამდე.

სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების სამართლებრივი და-საბუთებისას გამოიყენა სკ-ის 59-ე, 976-ე მუხლის პირველი წანი-ლი „ა“ ქვეპუნქტი და 982-ე მუხლები. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, იმის გათვალისწინებით, რომ მესაკუთრის ბინის შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მფლობელობის გამო, ამ უკანასკნელმა დაკარგა გარკვეული სიკეთის (ბინის ქირის) მიღების შესაძლებლობა, მას უფლებას აძლევს, ამოიღოს ეს ქონება ხელმყოფისაგან სკ-ის 982-ე მუხლის საფუძველზე, რომლის თანახმად, ხელმყოფმა უნდა გაუთანაბროს უფლების მქონე პირს მის უფლებაში ჩარევა.

სხვა საქმის ფაბულის მიხედვით,<sup>101</sup> მოსარჩელე მის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის (საცხოვრებელი ბინის) გასხვისების შემდეგ 12 წელი ცხოვრობდა იმავე ბინაში. მოგვიანებით, მან სარჩელი აღძრა მოპასუხის (მესაკუთრის) მიმართ და მოითხოვა ბინაში ჩატარებული სარემონტო სამუშაოების ანაზღაურება. **ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა სარჩელი არ დააკმაყოფილეს, იმ მოტივით, რომ მოპასუხე არ გამდიდრებულა.** სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ უსაფუძვლო გამდიდრების დროს მოსარჩელეს არა აქვს უფლება, მოითხოვოს მისი შესრულების სრული ანაზღაურება. ამ შემთხვევაში, ძირითადი კრიტერიუმია, თუ რამდენად გაუმჯობესდა მოპასუხის მდგომარეობა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ბინაში სარემონტო სამუშაოების შესახებ არსებული ტექნიკური მონაცემები ნასყიდობის ხელშეკრულებამდე და

<sup>101</sup> სუს განჩინება, 5 მაისი, 2014, №ას-860-818-2013.

ბინის მესაკუთრისათვის დაბრუნების მომენტში. სასამართლომ მიუთითა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია ბინაში სარემონტო სამუშაოების შესახებ არსებული ტექნიკური მონაცემები მესაკუთრისათვის ქონების დაბრუნების მომენტში. ამასთან, მოსარჩელის მიერ არ არის ნარდგენილი ნასყიდობის ხელშეკრულებამდე არსებული მდგომარეობის ამსახველი მტკიცებულებები, რასაც დავის გადაწყვეტისათვის, კერძოდ, უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტის დადგენის მიზნებისათვის, არსებითი მნიშვნელობა აქვს.

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია მოპასუხის მიერ მოსარჩელის ქონებრივ უფლებებში, საკუთრების უფლებაში ჩარევის ფაქტი, რაც გამოიხატება მოპასუხის მხრიდან მოსარჩელის ბინაში უნებართვო ცხოვრებით. სასამართლომ განმარტა, რომ უსაფუძვლო გამდიდრების სამართლებრივი ინსტიტუტის მიზანია უსაფუძვლოდ და გაუმართლებლად შეძენილი ქონების ამოღება და ამგვარად, ქონებრივი მიმოქცევის წონასწორობისა და სამართლიანობის აღდგენა. ამ მიზნით ქონებრივი შეღავათი იმ პირს უნდა დაუბრუნდეს, რომლის ხარჯზეც გაიზარდა სხვა პირის ქონება, ანუ უსაფუძვლოდ გამდიდრდა. ამ ინსტიტუტის უმთავრესი დანიშნულება არის არა ქონებრივი დანაკლისის შევსება, მაგ. ზიანის ანაზღაურება, არამედ ქონებრივი ნამატის ამოღება, პირის თავდაპირველი ქონებრივი და სამართლებრივი ვითარების აღდგენა, ანუ გამდიდრების გათანაბრება. ვალდებულების ამ ორი სახის განსხვავება პირველ რიგში ისაა, რომ ისინი სხვადასხვა საფუძვლებიდან წარმოიშობიან. ზიანის მიყენებით წარმოშობილი ვალდებულებების საფუძველი, როგორც წესი, დელიქტია (სამართალდარღვევა). გამდიდრების უსაფუძვლობა კი, შეიძლება, ემყარებოდეს სხვადასხვა გარემოებებს, მათ მორის, – მართლზომიერ ქმედებებსაც. ამასთან დაკავშირებით, კანონში მითითებული გამონაკლისების გარდა, ზიანის მიყენების შედეგად ვალდებულება მხოლოდ იმ შემთხვევაში წარმოიშობა, როცა არსებობს ზიანის მიმყენებლის ბრალეული ქმედება.

უსაფუძვლო გამდიდრების დროს კი, მნიშვნელობა არა აქვს ბრალს, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ერთი პირის ქონების გადასვლის ფაქტი მეორე პირის საკუთრებაში სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. განსახილველ ვალდებულებათა სახეებს შორის განსხვავებაა ასევე მათ შინაარსშიც. ზიანის მიყენებიდან წარმოიშობილი ვალდებულება უზრუნველყოფს დაზარალებულის ქონებრივი სფე-

როს ალდგენას სრულად. ამ შემთხვევაში ანაზღაურება მიყენებული ზიანის ტოლია. უსაფუძვლო გამდიდრების დროს კი, ასეთი ტოლობა შეიძლება, არ გვქონდეს. ასეთ შემთხვევაში დაზარალებულს ზიანი აუნაზღაურდება იმდენით რამდენითაც მიმღები გამდიდრდა. ამ ვალდებულებებში განსხვავებულია პასუხისმგებლობის იურიდიული ბუნებაც. ზიანის ანაზღაურება დელიქტურ ვალდებულებებში ეს არის სამოქალაქო სამართლის პასუხისმგებლობის სახე, ანუ მოვალის ქონებრივი სფერო მცირდება და იზრდება კრედიტორის ქონებრივი სფერო. უსაფუძვლო გამდიდრების დროს კი, ასეთი შემცირება-გაზრდა არ ხდება. შესაბამისად, უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე, პირის თავდაპირველი ქონებრივი და სამართლებრივი ვითარების ალდგენა და გამდიდრების გათანაბრება არ არის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის სახე.

სკ-ის 985-ე მუხლის იურიდიული შედეგი არის სწორედ ის, რომ ხელმყოფმა უნდა გაუთანაბროს უფლების მქონე პირს მის უფლებაში ჩარევა. გათანაბრების მოთხოვნის მოცულობის დადგენისას უნდა გამოვიყენოთ სკ-ის 979-ე მუხლის პირველი ნაწილი, ანუ მიღებული სარგებელი უნდა დაბრუნდეს. შესაბამისად, აღნიშნული მუხლის მიხედვით, ხელმყოფმა უნდა აანაზღაუროს საერთო ლირებულება, რაც, მოცემულ შემთხვევაში, ადგილის შესაბამისად მსგავსი ბირის ქირის ოდენობით უნდა განისაზღვროს.

ერთ-ერთ საქმეში<sup>102</sup> სარჩელი საიჯარო ქირის ასანაზღაურებელი თანხისა და მიუღებელი შემოსავლის სახით მიყენებული ზიანის დაკისრების შესახებ დაკმაყოფილებულია.

საიჯარო ქირის სახით ასანაზღაურებელი თანხის (3500 ლარი) დაკისრების ნაწილში სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმ გარემოებებსა და სამართლებრივ შეფასებაზეა დაფუძნებული, რომ მოსარჩელეს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ორი წლის ვადით სარგებლობაში გადაეცა უძრავი ქონება (ფართი), საიჯარო ქირის – თვეში 500 ლარის გადახდის პირობით. მოიჯარე 2013 წლის თებერვლიდან 2014 წლის მაისის ჩათვლით იხდიდა საიჯარო ქირას. დადგენილია, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მოპასუხის მიერ საიჯარო ფართის თვითნებურად დაკავების გამო, მოსარჩელეს არ უსარგებლია საიჯარო ფართით.

<sup>102</sup> სუს გადაწყვეტილება, 12 იანვარი, 2018, №ას-1006-927-2017.

საკასაციო პალატამ გაიზიარა საიჯარო ქირის სახის გადახდილი თანხის მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების (სკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაზილი) სამართლებრივი შეფასება, გამომდინარე იქიდან, რომ იჯარის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მოსარჩელის უფლება საიჯარო ფართზე დაცული იყო სკ-ის 159-ე-161-ე მუხლების სამართლებრივი საფუძვლით, ხოლო საიჯარო ქირის სახით გადახდილი თანხის უკამოთხოვნის ნაწილზე სწორად გავრცელდა ხელყოფის კონდიქციის 982-ე მუხლით გათვალისწინებული სპეციალური წესი.

საკასაციო პალატამ უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაზე დაყრდნობით,<sup>103</sup> მიუთითა, რომ სკ-ის 982-ე მუხლში მითითებული ზიანი გულისხმობს მიღებულის დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში მისი ღირებულების ანაზღაურებას და მაშასადამე, გამდიდრების გათანაბრებას.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ მოსარჩელე იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, 2013 წლის თებერვლიდან 2014 წლის მაისის ჩათვლით იხდიდა საიჯარო ქირას თვეში 500 ლარს. ამასთან, მოსარჩელეს 2013 წლის ნოემბრიდან არ უსარგებლია საიჯარო ქინებით. მოპასუხემ კი, უკანონოდ დაზოგა თანხა, რისი გადახდაც მოუწევდა, როგორც კეთილსინდისიერ მფლობელს დარაც მოსარჩელემ გადაიხადა. შესაბამისად, სარჩელის მოთხოვნა, საიჯარო ქირის სახით გადახდილი 3500 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში, სწორად დაკმაყოფილდა, მის საპირისპიროდ კი, კასატონს დასაბუთებული და დასაშვები საკასაციო შედავება (პრეტენზია) არ წარუდგენია.

განსახილველი დავის ფაბულის მიხედვით,<sup>104</sup> მოსარჩელე მოპასუხებთან ერთად საცხოვრებელი სახლის თანამესაკუთრეა. მან მოთხოვნის ფაქტობრივ საფუძვლად მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ წლების მანძილზე მოპასუხები უკანონოდ ფლობენ მის საკუთრებას, რის გამოც მოსარჩელე ვერ აქირავებს თავის ქონებას და, შესაბამისად, ვერ იღებს შემოსავალს. შესაბამისად, მოითხოვა 10 წლის განმავლობაში მისი კუთვნილი უძრავი ქონებით სარგებლობის შეუძლებლობით მოპასუხეთა მიერ მიყენებული ზიანის

<sup>103</sup> მითითებულია სუს განჩინება, 05 დეკემბერი, 2013, №ას-472-448-2013.

<sup>104</sup> სუს განჩინება, 22 დეკემბერი, 2017, №ას-685-639-2017.

ანაზღაურება. სააპელაციო სასამართლომ ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი არ დააკმაყოფილა. სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხები ფლობენ მთლიან სადავო უძრავ ქონებას და, შესაბამისად, მოსარჩელის კუთვნილ ფართს. სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმ გარემოებას ემყარება, რომ, რადგან გამიჯნული არ არის მხარეთა იდეალური წილები, შესაბამისად, იდეალურ წილში არსებული ქონების გაქირავებით მიღებული შემოსავალი, მიუღებელი შემოსავლის კონტექსტში, ზიანად ვერ განიხილება, რადგან მოსარჩელე ვერ გაქირავებდა სადავო უძრავ ქონებას მოპასუხეთა, როგორც საზიარო საგნის თანამესაკუთრეთა, თანხმობის გარეშე. სააპელაციო სასამართლომ თავისი პოზიცია სკ-ის 172.2.-ე, 173.2.-ე, 408-ე, 411-ე, 412-ე, 531-ე, 956-ე მუხლებზე დააფუძნა.

საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა სააპელაციო სასამართლოში შესაბამისი მითითებით.

სასამართლოს აზრით, იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე ითხოვს მოპასუხეთა მიერ სამართლებრივი საფუძვლის გარემე მოსარჩელის ქონების ფლობის გამო, საკუთრების განკარგვის შეუძლებლობით მიყენებულ ზიანს, უნდა დადგინდეს არსებობს თუ არა სკ-ის 982-ე მუხლის შესაბამისი ფაქტობრივი წინაპირობები. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ დამატებით უნდა იმსჯელოს იმაზე, რომ, თუკი მოსარჩელე საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების უკანონო მფლობელობის გამო დაკარგა გარკვეული სიკეთის მიღების შესაძლებლობა, მას უფლება აქვს, ამოილოს ეს ქონება ხელმყოფისაგან. სწორედ აღნიშნული ქონებრივი წონასწორობის აღდგენას ემსახურება სკ-ის 982-ე მუხლი, რომლის თანახმად, ხელმყოფმა უნდა გაუთანაბროს უფლების მქონე პირს მის უფლებაში ჩარევა.

სხვა საქმეში<sup>105</sup>, სასამართლომ დავა არა 982-ე მუხლით, არა-მედ სკ-ის 992-ე მუხლით გადაწყვიტა. საქმეში დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, მოსარჩელემ 2003 წელს შეიძინა 115 კვ.მ უძრავი ქონება. 2004 წლის 18 თებერვალს მისმა დეიდაშვილმა აღნიშნული ფართის ნაწილი – 68 კვ.მ, ყალბი მინდობილობის საფუძველზე, მიჰყიდა მოპასუხებებს. მოსარჩელემ მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ნასყიდობის ხელშეკრულების ბა-

<sup>105</sup> სუს განჩინება, 29 ნოემბერი 2017, №ას-1247-1167-2017.

თილად ცნობა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის განაჩენით მოსარჩევის დეიდაშვილის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანეს.

2008 წლის 28 მაისს მოპასუხებმა, რომლებიც ზემოაღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობდნენ, ჩაიბარეს სამოქალაქო დავაზე სასამართლო გზავნილი და 2008 წლის 30 მაისს გაასხვის სადაცო ფართი. მოსარჩელემ კი, წარადგინა გაზრდილი სასარჩელო მოთხოვნა 2008 წლის 30 მაისს მოპასუხებსა და მესამე პირს შერის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ.

სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, 2004 წლის 18 თებერვალს სანოტარო წესით გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება მოსარჩელის კუთვნილ 68 კვ.მ-ზე, ცნობილ იქნა ბათილად. აღნიშნულის მიუხედავად, მოსარჩელეს კუთვნილი ფართი არ დაბრუნებია, რადგან შემძენი სასამართლომ კეთილსინდისიერად ცნო.

მოსარჩელის განმარტებით, მან კუთვნილი უძრავი ნივთი ვერ დაიბრუნა, ხოლო მოპასუხები სხვისი ქონების ხარჯზე 103 000 აშშ დოლარით გამდიდრდნენ.

მოსარჩელის მითითებით, მან ვერ მიიღო შემოსავალი წლიურად 103 000 აშშ დოლარის 11%, რომელსაც იგი მიიღებდა, თუ 2008 წლის 30 მაისს საკუთარი პინის რეალიზაციის შედეგად მოპასუხების მიერ უკანონოდ მითვისებულ თანხას – 103 000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარს შეიტანდა ბანკში.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოპასუხებს სოლიდარულად დაეკისრათ 88 400 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხებმა იცოდნენ მათი საკუთების უფლების (საჯარო რეესტრის ჩანაწერების) ხარვეზიანობის შესახებ, თუმცა გაასხვისეს უძრავი ნივთი, შესაბამისად, პალატის აზრით, ისინი მოქმედებდენ არა მხოლოდ არაკეთილსინდისიერად, ასევე მართლსაწინააღმდეგოდ და მესამე პირზე სადაცო ქონების გაყიდვით მოსარჩელეს ჩამოართვეს საკუთრების დაბრუნების შესაძლებლობა, რითაც ამ უკანასკნელს მიაყენეს მნიშვნელოვანი ზიანი.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ მოსარჩელეს მხოლოდ იმი-

ტომ არ დაუბრუნდა საკუთრება, რომ შემძენი კეთილსინდისიერად იქნა მიჩნეული. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემული დავა სკ-ის 992-ე მუხლით უნდა გადაწყვეტილიყო.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელი ნორმების განმარტებასთან დაკავშირებით და მიუთითა, რომ უსაფუძვლო გამდიდრების 982-ე მუხლით დადგენილი წინაპირობებისათვის არ არის აუცილებელი ბრალი. ხელყოფის კონდიქცია ჰგავს დელიქური ვალდებულებიდან წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას, მაგრამ იგი წინაპირობად არ აყენებს ბრალეულობას.

სასამართლოს აზრით, ხელყოფის მოთხოვნის წამოყენების საფუძველი ხელყოფის არამართლზომიერებაში მდგომარეობს, რადგან თავად მოქმედება აკრძალული არ არის (ამ შემთხვევაში იქნებოდა დელიქტი და ზარალის ანაზღაურების მოთხოვნა), არამედ გადამწყვეტი გარემოება არის ის, რომ მოპოვებული ქონებრივი შეღავათი სხვას ეკუთვნოდა. ასეთ შემთხვევაში, მოთხოვნის კრედიტორი არის უფლებამოსილი პირი, ე.ი. განკარგვის უფლების მქონე (მესაკუთრე, კეთილსინდისიერი მფლობელი), მოთხოვნის მოპასუხე არის არაუფლებამოსილი პირი, ე.ი. პირი, რომელსაც არა აქვს განკარგვის უფლება (იგი არც უფლების მესაკუთრეა და არც განკარგვაზე უფლებამოსილი). მოპასუხე განკარგვს საგანს ანუ დებს სამართლებრივ გარიგებას, რის შედეგადაც მესაკუთრის საკუთრების უფლება იზღუდება ან სრულად იკარგება. სასყიდლიანი განკარგვის შემთხვევაში, ხდება კონდიქცია განმკარგველის მიმართ. აღნიშნული განპირობებულია იმ მოსაზრებით, რომ კეთილსინდისიერი სასყიდლიანი შემძენი დაცული უნდა იყოს სამართლებრივი ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით. ამასთან, სასამართლომ ყურადღება გააამახვილა, სკ-ის 982-ე მუხლით გათვალისწინებული „ზიანის“ ბუნებაზე, რაზეც ზემოთ არაერთხელ აღინიშნა.<sup>106</sup>

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობებში კრედიტორს წარმოადგენს დაზარალებული, ხოლო მოვალეს

<sup>106</sup> იხ. 92-ე სქოლიო.

– ქონებრივი შეღავათის მიმღები პირი, რომელმაც უსაფუძვლოდ შეიძინა ან შეინარჩუნა ქონება. უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი ვალდებულებების ძირითადი დანიშნულება სწორედ დაზარალებულის ხარჯზე უსაფუძვლოდ გამდიდრებული ან ქონებადაზოგილი შემძენის მიერ დაზარალებულისათვის ქონებრივი დანაკარგის ანაზღაურების უზრუნველყოფა. უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე ვალდებულებებიც წარმოადგენს ერთიან დამოუკიდებელ არასახელშეკრულებო ინსტიტუტს, რომელიც ემსახურება საკუთრების უფლებისა და სხვა ქონებრივი უფლებების დაცვას. ამ სახის ვალდებულების წარმოშობისათვის მნიშვნელოვანია თვით უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტი და არა კონკრეტული საფუძველი, რასაც მოჰყვა გამდიდრება. ასეთ ფაქტად შეიძლება მივიჩნიოთ გამდიდრებული პირის, როგორც მართლზომიერი, ისე არამართლზომიერი მოქმედება, ასევე, დაზარალებულისა და მესამე პირთა იმავე სახის მოქმედებები.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ სკ-ის 982-ე მუხლის გამოყენებისათვის აუკილებელი წინაპირობაა გამდიდრება, განსხვავებით 992-ე მუხლისაგან. ისეთ პირობებში როდესაც, მხარემ იყიდა უძრავი ქონება, ხოლო მოგვიანებით გაყიდა იგი, ამასთან, არც ერთმა და არც მეორე მხარემ ნასყიდობის დადებისას არ იცოდა მისი საკუთრების ხარვეზიანობის შესახებ (რომ გამყიდველი, ვისგანაც იყიდა უძრავი ნივთი არ იყო მესაკუთრე), ასეთი გამყიდველი არ შეიძლება, მივიჩნიოთ უსაფუძვლოდ გამდიდრებულად და მის წინააღმდეგ მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან ორივე მხარე გარიგების დადებისას მოქმედებდა კეთილსინდისიერად, მართლზომიერად და არ გამდიდრებულა, რადგან იყიდა და მოგვიანებით გაყიდა მის საკუთრებაში არსებული და, მისი აზრით, ნამდვილი გარიგებით შეძენილი უძრავი ქონება. პალატამ განმარტა, რომ მოცემული დავის შეფასებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოპასუხების, გამყიდველების სუბიექტურ დამოკიდებულებას და სოციალურ კეთილსინდისიერებას გარიგების დადებისას. როგორც პალატამ აღნიშნა, მოპასუხეებმა მართლსაწინააღმდეგოდ გაყიდეს სადაცო უძრავი ქონება, რის გამოც მოსარჩელეს მიაყენეს ზიანი, შესაბამისად, სკ-ის 408-ე მუხლის თანახმად, მათ უნდა აანაზღაურონ მიყენებული ზიანი, აღადგინონ პირვანდელი მდგომარეობა და, ნივთის დაპრუნების შეუძლებლობის გამო (კეთილსინდისიერი შემძენისგან მისი გამოთხოვა შეუძლებელია), სკ-ის 409-ე მუხლის თანახმად, მოპასუხეებს დაე-

კისრათ ფულადი კომპენსაცია.

სხვა სამოქალაქო საქმის<sup>107</sup> ფაბულის მიხედვით, მოსარჩელე (შვილი) დავობს მოპასუხის (მამის) წინააღმდეგ სამკვიდროს წილის კომპენსაციის სახით თანხის გადახდის მოთხოვნით. მოსარჩელის განმარტებით, მამკვიდრებლის (მოსარჩელის ბებია და მოპასუხის დედა) ანდერძით მოსარჩელეს და მოპასუხეს ეანდერძათ მამკვიდრებლის საცხოვრებელი ბინა. კერძოდ, მოსარჩელეს ეანდერძა ბინის ერთი ოთახი, ხოლო მოპასუხეს ორი ოთახი. მოსარჩელემ ნაანდერძები ბინა საჯარო რეესტრში თავის სახელზე დაარეგისტრირა და გაასხვითა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა მამკვიდრებლის ნაანდერძები ბინის 1/3-ის ღირებულება.

სასამართლოს მოსაზრებით, ვინაიდან მამკვიდრებელმა, რომელიც ბინათმშენებლობის კოოპერატივის მეპაიე წევრი იყო და 1992 წლის 1 თებერვალს სადავო ბინის ღირებულება მთლიანად გადახდილი ჰქონდა, მოპოვა მასზე საკუთრების უფლება.

სასამართლომ აღნიშნა, რომ, მიუხედავად იმისა, რომ მამკვიდრებელს სიცოცხლეში სადავო ბინაზე საკუთრების უფლება არ დაურეგისტრირებია, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვალის 107 დადგენილების მე-10 პუნქტის საფუძველზე, მამკვიდრებელს მოპოვებული ჰქონდა მასზე საკუთრების უფლება და ნებისმიერ დროს შეეძლო ამ უფლების დარეგისტრირება საჯარო რეესტრში, შესაბამისად, გარდაცვალების შემდეგ ეს უფლება შევიდა მის სამკვიდროში აქტივის სახით. ბუნებრივია, სიცოცხლეში მამკვიდრებელი უფლებამოსილი იყო, ამ ბინაზე მოპოვებული უფლება განეკარგა ანდერძით, რაც მან განახორციელა კიდეც.

საქმის მასალებით პალატამ დადგენილად ჩათვალა ის ფაქტი, რომ მოპასუხემ სადავო სამკვიდრო აქტივის სრულად განკარგვით ხელყო მოსარჩელის სამართლებრივი სიკეთე (სამკვიდროში კუთვნილი წილი), რითაც ამ უკანასკნელს ზიანი მიაყენა.

სასამართლომ გადაწყვეტილების სამართლებრივ საფუძვლად გამოიყენა სკ-ის 316-ე და 317-ე მუხლების პირველი ნაწილები და სკ-

<sup>107</sup> სუს განჩინება, 14 აპრილი, 2014, №ას-1169-1115-2013.

ის 982-ე მუხლი. სკ-ის 982-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პალატამ მიუთითა, რომ, ვინაიდან სადაც უძრავი ნივთის ღირებულება შეადგენს 57 050 ლარს, რომლის 1/3 არის 19 000 ლარი, მოსარჩევე კი ითხოვს მოპასუხისმოვალის 14 115 ლარის დაკისრებას. მოთხოვნა სსკ-ის 248-ე მუხლის გათვალისწინებით ექვემდებარება და დაკმაყოფილებას.

ერთ-ერთ საქმეში<sup>108</sup> მოსარჩევე მოპასუხე, ყოფილი მეუღლისგან მოითხოვდა მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების გასხვისებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელიც უცვლელად დატოვა სააპელაციო სასამართლომ, სარჩელი დაკმაყოფილდა, კერძოდ, მოპასუხეს დაეკისრა მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვით მიყენებული ზიანის ანაზღაურება სარჩელში მოთხოვნილი თანხის (255 000 ლარის) ოდენობით მოსარჩელის სასამარგებლოდ.

სააპელაციო სასამართლომ დადგინა, რომ, მიუხედავად იმისა, რომ უძრავი ნივთები სკ-ის 1158-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, წარმოადგენდა მოსარჩელისა და მოპასუხის თანასაკუთრებას, როგორც მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება, მოპასუხემ ისინი დამოუკიდებლად, თანამესაკუთრეს-თან შეუთანხმებლად განკარგა.

სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ საქმეში წარდგენილი აუდიტორული დასკვნების თანახმად, გასხვისებული სადაც უძრავი ნივთების საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 133 000 ( $32000 + 64 000 + 37000$ ) აშშ დოლარითა და 289 500 ლარით. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მითითებულ გარემოებათა საპირისპირო მტკიცებულება, მოპასუხეს არ წარუდგენია, შესაბამისად, უძრავი ქონების განკარგვით მიყენებული ზიანი უნდა განისაზღვროს სადაც ქონების მოსარჩელის კუთვნილი 1/2 ნილის შესაბამისად – 255 000 ლარით.

სააპელაციო სასამართლომ განჩინების სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა სკ-ის 982-ე მუხლზე.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მი-

<sup>108</sup> სუს განჩინება, 11 თებერვალი, 2013, №ას-1136-1067-2012.

ერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ არის საკმარისი სა-სამართლოს მიერ მიღებული სამართლებრივი დასკვნებისათვის. საკასაციო პალატამ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა სააპელაციო სასამარ-თლოში და მიუთითა, რომ **დასაზუსტებელია, რას ითხოვს მოსარ-ჩელე ქონების განკარგვით მიღებულ სარგებელს თუ მიყენე-ბულ ზიანს.** საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ იმ შემთხვევ-ვაშიც, თუ მოსარჩელე ითხოვს არა სარგებელს, არამედ – ქონების განკარგვით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, სააპელაციო სა-სამართლოს სამართლებრივი მსჯელობა უკავშირდება სარგებლის დაბრუნების დასაბუთებას და, შესაბამისად, ყურადღებას არ ამახ-ვილებს, ზიანის შესაბამისი მატერიალურსამართლებრივი ნორმე-ბის საფუძველზე, ზიანთან დაკავშირებულ ფაქტობრივ გარემოე-ბებზე.

**საკასაციო სასამართლომ განმარტა და გამიჯნა სარგებელი (სკ-ის 1160.3 მუხლი) და ზიანი (სკ-ის 982 მუხლი).** საკასაციო პა-ლატის აზრით, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის პირობებში, ზი-ანს წარმოადგენს აქტივის შემცირება და პასივის გაზრდა. კონ-კრეტული ვითარების გათვალისწინებით, გამოვლინდა მეუღლის მიერ ურთიერთშეთანხმების პრინციპის დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსი იცნობს სხვადასხვა სახის ზიანის ინსტიტუტს, მათ შორის, რეალურ ზიან-სა და მიუღებელ შემოსავალს, კერძოდ, სკ-ის 411-ე მუხლი, მიუ-ხედავად იმისა, რომ უკავშირდება მიუღებელი შემოსავლის ანაზ-ღაურების ინსტიტუტს, მიუთითებს იმაზე, რომ ზიანი შეიძლება, წარმოადგენდეს ფაქტობრივ ქონებრივ დანაკლისა და მიუღებელ შემოსავალს. კონკრეტული სადავო ურთიერთობის ფარგლები განმარტებას მოითხოვს ზიანი, როგორც ფაქტობრივად მიღებუ-ლი ქონებრივი დანაკლისი, რადგან საკითხი უკავშირდება მეუღ-ლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების არამართლზომიერი განკარგვით მიყენებულ ზიანს.

ფაქტობრივი ქონებრივი დანაკლისი დადებითი, ანუ მატერიალი-ზებულ ზიანია, რაც ხელყოფის, ვალდებულების შეუსრულებლო-ბის ან არაჯეროვანი შესრულების (და ა.შ.) შედეგია.

**პალატის დასკვნით, თუ გასათვალისწინებელია ქონების განკარ-**

**გვით მიღებული თანხა,** მაშინ ეს არა ზიანი, არამედ – **სარგებელია.** თუ საყურადღებოა მეუღლის მიერ თანასაკუთრებაში არსებული ქონების ისეთი განკარგვა, რომლის სარგებელი არის იმაზე ნაკლები, ვიდრე ქონების რეალური ღირებულება, მაშინ ეს შესაძლებელია იყოს ზიანი, მაგრამ ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც კვლევას მოითხოვს ისეთი ფაქტები, როგორიცაა: გასხვისების დროს არ-სებული ქონების ღირებულება; შემცირებული ღირებულების განმაპირობებელი გარემოებები და ა.შ.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადაცო ურთიერთობაზე, სკ-ის 1160-ე მუხლის მე-3 ნაწილის ნაცვლად, უნდა გამოყენებულიყო ამავე კოდექსის 982-ე მუხლის პირველი ნაწილი, 408-ე, 409-ე და 412-ე მუხლები.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ, სკ-ის 1160-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მეუღლეს, როგორც თანამესაკუთრეს, უფლება აქვს, მოითხოვოს ქონების განკარგვით მიღებული სარგებელი. აღნიშნული ნორმა უშუალოდ უკავშირდება ამავე მუხლის პირველ და მეორე ნაწილებს, ე.ი. იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირდებით ქონების დაბრუნების წინაპირობები, მეუღლეს შეუძლია, მოითხოვოს ქონების განკარგვით მიღებული სარგებელი, რაც, კონკრეტულ შემთხვევაში, იმ თანხის ნახევარია (მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების თავისი წილის ღირებულება), რაც ქონების განკარგვით მიიღო მოპასუხემ.

სკ-ის 982-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირი, რომელიც ხელყოფს მეორე პირის სამართლებრივ სიკეთეს მისი თანხმობის გარეშე განკარგვის, დახარჯვის, სარგებლობის, შეერთების, შეუვის, გადამუშავების ან სხვა საშუალებით, მოვალეა, აუნაზღაუროს უფლებამოსილ პირს ამით მიყენებული ზიანი, ანუ ხელმყოფმა უნდა გაუთანაბროს უფლების მქონე პირს მის უფლებაში ჩარევა. მსგავსად შესრულების კონდიქციისა, გათანაბრების მოთხოვნის ოდენობის დაფგენისას გამოყენებულ უნდა იქნეს ამავე კოდექსის 979-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები, რომლის ანალიზის თანახმად, მიღებული სარგებლის დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში (სარგებელი „გახარჯულია“ მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განსხვისებით), მიმღებმა უნდა დააბრუნოს მისი ღირებულება (ამ შემთხვევაში მიღებული თანხის ნახევარი).

აღნიშნულიდან გამომდინარე, სკ-ის 1160-ე მუხლის მე-3 ნაწილი იმავე სამართლებრივ შედეგს ითვალისწინებს, რადგან ამ ნორმის კონტექსტში „სარგებელს“ წარმოადგენს არა უშუალოდ გასხვი- სებული ქონების დაბრუნება, არამედ გასხვისების შედეგად მი- ღებული სიკეთე. შესაბამისად, სკ-ის 982-ე მუხლის პირველ ნაწილ- ში მითითებულ ზიანში იგულისხმება მისი ღირებულების ანაზღაუ- რება მიღებულის დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში.

უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის გათვალისწინებით, კრე- დიტორს შეუძლია, მოითხოვოს მოგება, რომელიც აღემატება ქო- ნებრივ დანაკლისს ამავე კოდექსის 985-ე მუხლის პირველი ნაწი- ლის თანახმად, კერძოდ, თუ ხელმყოფმა განზრას არ გაითვალის- წინა სხვა პირის უფლებამოსილება, მაშინ ამ უკანასკნელს შეუძ- ლია, მოითხოვოს ის მოგება, რომელიც აღემატება ქონებრივ და- ნაკლისს, მაგრამ, კონკრეტულ შემთხვევაში, გასაჩივრებული გა- დაწყვეტილების თანახმად, ხელყოფის განზრახვის ფორმა არ არ- სებობს. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ განსხვავე- ბით 985-ე მუხლისაგან სკ-ის 411-ე მუხლი ზიანის ანაზღაურებას აკისრებს მოვალეს, მიუხედავად იმისა, ეს უკანასკნელი კეთილ- სინდისიერი იყო თუ არა.

საკასაციო პალატის განმარტებით, სარგებლის დაბრუნების მოთ- ხოვნასა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას აქვს სხვადასხვა საფუძვლები. სკ-ის 1160-ე მუხლის მე-3 ნაწილი, როგორც აღინიშ- ნა, უფლებას აძლევს დაზარალებულ მეუღლეს, მოითხოვოს მე- უღლეთა თანასაკაუთრებაში არსებული ქონების განკარგვით მი- ღებული სარგებელი, იმ პირობებში, როდესაც შეუძლებელია პირ- ვანდელი მდგომარეობის აღდგენა. სარგებელს წარმოადგენს ის აქტივი, რაც მიიღო მეუღლემ (მოპასუხემ) და რომლის ნახევრის მიღების უფლება აქვს მეორე მეუღლეს, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მეორე მეუღლემ ამით მიიღო ზიანი (გაეზარდა პასივი), მას, ასევე შეუძლია, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რაზედაც უნდა დამატებით მიუთითებდნენ შესაბამისი ფაქტები.

საკასაციო პალატამ გაიზიარა კასატორის მოსაზრება იმასთან და- კავშირებით, რომ სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა საქმეში არსებული იმავე მხარეებს შორის გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, კერძოდ, ამ გადაწყვეტილების თანახ- მად, უდავო ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენდა ის, რომ 2009 წლის სხვადასხვა რიცხვებში მოპასუხებ გაასხვისა მეუღლეთა თა-

ნასაკუთრებაში არსებული ქონება, რომლის საერთო ღირებულება შეადგენდა 68 500 ლარს.

**საკასაციო პალატამ იმსჯელა პრეიუდიციული მნიშვნელობის ფაქტებზე** და აღნიშნა, რომ, სსკ-ის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ, არ საჭიროებს დამტკიცებას.

ამ ფაქტების პრეიუდიციულ მნიშვნელობას განსაზღვრავს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც გამოტანილია იმავე მხარეების მიმართ. აღნიშნულ ფაქტებში იგულისხმება ისეთი იურიდიულად მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები, რომლითაც განსაზღვრულია მხარეთა მატერიალურსამართლებრივი ურთიერთობით გათვალისწინებული უფლებები და ვალდებულებები, რაც საფუძვლად დაედო გადაწყვეტილების გამოტანას.

ამდენად, განსახილველი ნორმის თანახმად, ფაქტების პრეიუდიციული მნიშვნელობის შემოწმების დროს მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო იმ პროცესუალურსამართლებრივ კრიტერიუმებს, რომლითაც განისაზღვრება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ფორმალური მოთხოვნები (კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოება თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ), არამედ ამ გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივი გარემოების შინაარსს (რომელი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზეც იქნა მიღებული გადაწყვეტილება). კონკრეტულ შემთხვევაში, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებიდან ვლინდება, რომ უდავოდ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს გასხვისებული ქონების ღირებულება.

კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილ ამ ფაქტებს მნიშვნელობა აქვს არა მარტო სარგებლის, არამედ ზიანის მოთხოვნის საფუძვლების შესამნებლად. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელე ითხოვს არა სარგებელს, არამედ ზიანის ანაზღაურებას, მაშინ შესაბამის შეფასებას მოითხოვს როგორც ზემომითითებული გადაწყვეტილება, ასევე, საქმეში წარდგენილი აუდიტორული დასკვნები, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს განჩინებიდან არ ირკვევა აუდიტორული დასკვნე-

ბის მიხედვით გასხვისებული ქონების ღირებულების შეფასების პერიოდი, ანუ დროის რომელ პერიოდს მოიცავს ქონების ღირებულება.

სხვა საქმეში<sup>109</sup> მოსარჩელემ (მფლობელმა) მოითხოვა მოპასუხის (მესაკუთრის) უძრავი ნივთისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება, ხოლო მოპასუხემ შეგებებული სარჩელით მოსარჩელისათვის უძრავი ნივთით სარგებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება მოითხოვა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია მესაკუთრის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონების მოსარჩელის მიერ ფლობისა და ამ უკანასკნელის მიერ სადავო უძრავ ქონებაზე მიშენებისა და სარემონტო სამუშაოების განხორციელების ფაქტი, რასაც შედეგად უფლებამოსილი პირის გამდიდრება მოჰყვა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ორივე სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. საყურადღებოა, რომ სასამართლომ გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე დააფუძნა როგორც სკ-ის 164, ისე 976-991-ე, 987-ე მუხლებს, ხოლო მესაკუთრის, მოპასუხის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებისას გამოიყენა სკ-ის 982-ე მუხლი.

კონკრეტულ დავაში<sup>110</sup> მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხე შპს-სათვის პატენტის უკანონო გამოყენების გამო გარკვეული თანხის დაკისრება იმ საფუძვლით, რომ მოპასუხე 2007 წლის იანვრიდან აგრძელებს და იყენებს 3369 პატენტს და ანარმობს ე.წ. „სპეცპროდუქტს“, თუმცა, სანაცვლოდ, მოსარჩელეს ანაზღაურებას არ უხდის. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. საქართველოს „საპატენტო კანონის“ პირველი მუხლის, მეორე მუხლის „ვ“ პუნქტის, 68<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი პუნქტის, 48-ე მუხლის, სკ-ის 982-ე მუხლის თანახმად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე მოსარჩელის თანხმობის გარეშე, სარგებლობდა მოსარჩელის ინტელექტუალური სიკეთით – პატენტმფლობელის გამოგონებით, №3469 პატენტით, შესაბამისად, იგი მოვალეა, აუნაზღაუროს მას ამ სიკეთით (პატენტით) სარგებლობით მიყენებული ზიანი, რომელიც უნდა გა-

<sup>109</sup> სუს განჩინება, 14 ნოემბერი, 2011, №ას-1308-1328-2011.

<sup>110</sup> სუს განჩინება, 27 ოქტომბერი, 2011, №ას-1340-1358-2011.

მოანგარიშდეს არარეალიზებული, არამედ წარმოებული სპეცპრო-დუქტის ოდენობით.

ერთ-ერთ<sup>111</sup> საქმეში მოსარჩელემ მოპასუხისათვის მისი უძრავი ქონებით სარგებლობისათვის უსაფუძვლოდ მიღებული თანხის – 3700 ლარის ანაზღაურება მოითხოვა. საქმის მასალების მიხედვით, მოსარჩელეს საკუთრების უფლებით, რეგისტრირებული აქვთ 12 კვ.მ მიწის ნაკვეთი. მოპასუხესთან გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, მოსარჩელის კუთვნილ ტერიტორიაზე ჩადგმულ ჯიხურში სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებდა მოიჯარე (მესამე პირი), რომელმაც ჯიხურის ჩადგმაზე ნებართვა მიიღო მოპასუხისაგან.

სასამართლომ დავის გადასაწყვეტად გამოიყენა სკ-ის 983-ე მუხლი. სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული მუხლის დანაწესიდან გამომდინარებს უფლებამოსილი პირის უფლება იმ პირის მიმართ, რომელმაც სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მიიღო ფული ან გვაროვნული ნივთი, მოითხოვოს ამ სიკეთის კრედიტორისათვის დაბრუნება, ასევე არაუფლებამოსილი პირის ვალდებულება, დააბრუნოს ყველაფერი, რაც უსაფუძვლოდ მიიღო. კანონმდებელი აღნიშნული ნორმის გამოყენებისათვის სავალდებულოდ მიიჩნევს შესრულების მიღების ნამდვილობის დადგენას, რადგანაც კანონისმიერი ამ ვალდებულებითი ურთიერთობის ძირითად საფუძველს არაუფლებამოსილი პირის მიერ შესრულების მიღება წარმოადგენს, რაც ვინდიკაციური სარჩელის მსგავსად, არაუფლებამოსილი პირის მიერ მიღებული შესრულების უფლებამოსილი პირისათვის დაბრუნების უალტერნაცივო წინაპირობაა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ მითითებული გარემოება უტყუარად არ იქნება დადგენილი, სამართლებრივი ურთიერთობის უსაფუძვლო გამდიდრებად კვალიფიკაციის წინაპირობა არ იარსებებს.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ სრულყოფილად არ იყო გარკვეული საქმის არსებითად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე-იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის, შესაბამისად, მისი ხანგრძლივობის ფაქტი, რის გამოც, სსკ-ის 412-ე მუხლის შესაბამისად, საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა.

<sup>111</sup> სუს განჩინება, 3 ოქტომბერი, 2011, №ას-348-331-2011.

## თავი IV

### განეული ხარჯების კოდეიცია (მუხ. 986-987)<sup>112</sup>

ერთ-ერთი საქმის<sup>113</sup> ფაბულის მიხედვით, მოდავე მხარეები ერთობ-ლივი საქმიანობის ხელშეკრულების მონაწილეები არიან. ხელშეკ-რულების საფუძველზე, მოსარჩელეებმა სრულად შეასრულეს სა-კუთარი ვალდებულება, რომლის სანაცვლოდ უნდა მიეღოთ კონ-კრეტული უძრავი ქონება, თუმცა, შეუძლებელი აღმოჩნდა, რად-გან ამხანაგობის ინვესტორმა წევრმა (მოპასუხები) არ შეასრულა საკუთარი ვალდებულება.

ამხანაგობის გამგეობის გადაწყვეტილებით მშენებლობის დასრუ-ლებისა და დაგროვებული დავალიანებების გასტუმრების მიზნით, ამხანაგობის წევრებმა (მოსარჩელეებმა) ივალდებულეს ამხანაგო-ბაში დამატებითი შენატანების შეტანა. გამგეობის გადაწყვეტი-ლებითვე მოპასუხეს დაევალა ამხანაგობაში შენატანის განხორ-ციელება. საბოლოოდ, ამხანაგობის წევრთაგან (მოსარჩელეთაგან) დამატებით მოზიდული სახსრებით, მოხერხდა შენობის ექსპლუა-ტაციაში მიღება და მოსარჩელეებისათვის კონკრეტული ფართე-ბის გადანაწილება.

მოსარჩელეებმა მათთან გაფორმებული ამხანაგობის ხელშეკრუ-ლების საფუძველზე ნაკისრი თანხის გადახდის ვალდებულება, რომლის სანაცვლოდაც უნდა გადასცემოდათ ფართები, ჯეროვ-

<sup>112</sup> განეული ხარჯების კონდიქციის შემთხვევაში საქმე უკავშირდება ხარჯების გამნევს, რომელიც თავად წევს ხარჯებს უცხო ქონების გასუმჯობესებ-ლად და ამგარად ხელს უწყობს მა ქონების ლირებულების მატებას. თუმცა, ამ განეული ხარჯებით, მას არ სურს ვალდებულებითსამართლებრივი ვალ-დებულების შესრულება (აქედან გამომდინარე, საქმე არ უკავშირდება შესრულების კონდიქციას). ის უფრო სხვა საფუძვლების გამო მოქმედებს იმ სამართლებრივ წრეში, რომელიც ობიექტურად იმ პირს მიეწერება, რომე-ლიც გამდიდრდა, თუმცა მოთხოვნის უფლება, რომელიც გამომდინარეობს დავალების გარეშე სხვისი საქმის ნარმოებდან, შეძლება მაყნც არ არსებობდეს იმიტომ, რომ პირმა არ იცოდა, რომ სხვისი ქონება იყო (მუხ. 975, საკუთარი საქმის შესრულების ვარაუდი). ის კიდევ იმიტომაც შეიძლება არ არსებობდეს, თუ უფლებამოსილების გარეშე მიმდინარეობდა საქმის ნარ-მოება (974-ე მუხლი), შესაბამისად, მსგავს შემთხვევებში შესაძლებელია არსებობდეს უსაფუძვლო გამდიდრებიდან ნარმოშობილი მოთხოვნის უფლება. შენტგერი ჰ., შატბერაშვილი ლ., უსაფუძვლო გამდიდრების ნორ-მათა კომენტარი, მე-7 ველი 4., იქვე 85-97., GCCC.GE, 27.06.2018.

<sup>113</sup> სუს განჩინება, 16 იანვარი, 2017, №ას-762-730-2016.

ნად და კეთილსინდისიერად შეასრულეს.

შენობის დასრულებისა და ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ ამ-სანაგობის ინვესტორი წევრის მიმართ აღძრული სარჩელით მო-სარჩელებმა მოითხოვეს მათ მიერ მოპასუხისმომის ნასესხები თან-ხის დაბრუნება.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყო-ფილდა, მოპასუხეს დაეკისრა თითოეული მოსარჩელის მიერ მე-ნობის დასრულებისთვის გადახდილი თანხა და მიუღებელი შემო-სავალი თითოეული მოსარჩელის სასარგებლოდ დაკისრებული თან-ხის ნლიური 8%-ის ოდენობით. სასამართლომ სარჩელის დაკმაყო-ფილების სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა სკ-ის 930-ე-940-ე, 394.1.-ე, 130-ე, 411-ე მუხლებით.

სააპელაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა საქალაქო სასა-მართლოს გადაწყვეტილება, გაზიარა საქალაქო სასამართლოს მი-ერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მხოლოდ შეცვალა გა-დაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება. სააპელაციო სასა-მართლომ იმსჯელა მოსარჩელეთა მოთხოვნაზე, სკ-ის 935-ე მუხ-ლის მეორე ნაწილზე („თითოეულ მონაწილეს უფლება აქვს, მოს-თხოვოს ყოველ მონაწილეს ერთობლივი საქმიანობიდან გამომდი-ნარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება“) და 937-ე მუხ-ლის პირველ ნაწილზე („ხელშეკრულების მონაწილეები ერთობ-ლივი საქმიანობიდან წარმოშობილი ვალებისათვის პასუხს აგებენ სოლიდარულად. ერთმანეთთან ურთიერთობაში პასუხისმგებლო-ბის ოდენობა განისაზღვრება მონაწილეთა წილის შესაბამისად, თუ ხელშეკრულება სხვარამეს არ ითვალისწინებს“), მითითებით გან-მარტა, რომ, განსახილველ შემთხვევაში, დადგინდა ხელშეკრუ-ლების ერთი მონაწილის მხრიდან ვალდებულების დარღვევა, მის ნაცვლად ხელშეკრულების სხვა მონაწილეების მიერ ვალდებულე-ბის გარეშე შესრულება და ვლინდება ასეთი შესრულების უკუმოთ-ხოვნა. შესაბამისად, ამხანაგობის წევრებს შორის ისეთი სამართა-ლურთიერთობაა, რა დროსაც ამხანაგობის წევრები ერთმანეთის მიმართ გვევლინებიან, როგორც მოვალეები და კრედიტორები. მო-სარჩელები მოთხოვნის საფუძვლად მიუთითებენ იმ გარემოება-ზე, რომ პროექტის განხორცილებისთვის ფინანსური რესურსების გაღების ვალდებულება მოპასუხეს (ინვესტორ წევრს) ეკისრებო-და, რაც მან არ განახორციელა და საბოლოოდ პროექტი მოსარჩე-ლეთა მიერ, დამატებით შეტანილი თანხებით დასრულდა, დაფი-

ნანსებაზე პასუხისმგებელმა პირმა კი, მათი შენატანით პროექტის დასრულების შემდეგ ცხრა ერთეული უძრავი ქონება მიიღო, შესაბამისად, ამ უკანასკნელმა პროექტის დასაფინანსებლად საჭირო ფინანსური რესურსი მათ ხარჯზე დაზოგა, რითაც უსაფუძვლოდ გამდიდრდა. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მოპასუხის საკუთრებად რიცხულ ქონებაზე და აღნიშნა, რომ მშენებლობის განხორციელებისთვის საჭირო თანხები, რომლის გაღების ვალდებულებაც მოპასუხეს ეკისრებოდა, მოსარჩევთა ხარჯზე დაზოგა, შესაბამისად, იგი უსაფუძვლოდ გამდიდრდა.

სააპელაციო სასამართლომ, მიუთითა სკ-ის 385-ე მუხლზე: „ის, რაც ვალდებულების გარეშე გადახდილი, შეიძლება უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ წესების მიხედვით უკან იქნეს მოთხოვილი“, ასევე, 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე: „პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია, მოსთხოვოს ვითომ კრედიტორს მისი უკან დაბრუნება, თუ ვალდებულება გარიგების პათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში“ და დაასკვნა, რომ აღნიშნული ნორმის დანართებიდან გამომდინარე, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია, რომ ერთი პირი გამდიდრდეს მეორის ხარჯზე და ასეთი გამდიდრება მოკლებული იყოს იურიდიულ საფუძველს, რომელიც ან თავიდანვე არ არსებობს, ან შემდგომში წყდება. ამასთან, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს იმ გარემოებას, თუ რისი შედეგია უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტი – თავად დაზარალებულის მოქმედების, გამდიდრებულის მოქმედებისა თუ მესამე პირთა მოქმედების, ან განხორციელდა იგი მათი ნების სანინააღმდეგოდ, ასევე, არ აქვს მნიშვნელობა ამ სამართლურთიერთობაში მონაწილე სუბიექტთა ბრალეულობას, კეთილსინდისიერებასა და მათი მოქმედებების მართლზომიერებასა თუ მართლწინააღმდეგობას. სარჩელის დასაკმაყოფილებლად მნიშვნელოვანია მხოლოდ ოპიექტური შედეგი – ერთი პირის მიერ მეორე პირის ხარჯზე რაიმე სამართლებრივი სიკეთის შეძენა (დაზოგვა) შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის გარეშე. აუცილებელია, გამდიდრება სხვის ხარჯზე, რის შედეგადაც ერთი პირის ქონება გაიზარდა მეორე პირის ქონების შესაბამისი შემცირების შედეგად. უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტის არსებობის შემთხვევაში, იგულისხმება, რომ პირმა ქონება მიიღო (შეიძინა) შესაბამისი იურიდიული საფუძვლის გარეშე, რის გამოც აღნიშნული შე-

ნაძერი უფლებამოსილი პირისათვის დაბრუნებას ექვემდებარება, ანუ უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის ნორმები აღჭურვილია დაცვითი ფუნქციით, უზრუნველყოფს რა არაუფლებამოსილი სუბიექტისაგან უსაფუძვლოდ მიღებული ქონების ამოღებას და მისი უფლებამოსილი პირისათვის გადაცემას. შედეგობრივი თვალსაზრისით, სამართლისათვის აბსოლუტურად არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, თუ რა საშუალებით გამდიდრდა პირი – მიღლო თუ დაზოგა ქონება. ფაქტი ერთია ვითომ კრედიტორის ქონებრივ სფეროში აღმოჩნდა ქონება, რომელსაც იქ არსებობის იურიდიული საფუძველი არ გააჩნია და, აქედან გამომდინარე, ექვემდებარება უფლებამოსილი პირისათვის დაბრუნებას.

საკასაციო სასამართლომ დაუშვებლად ცნო მოპასუხის საკასაციო საჩივარი და აღნიშნა, რომ, განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩევთა მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი გამომდინარეობს სკ-ის 986-ე მუხლიდან: „პირს, რომელიც შეგნებულად ან შეცდომით სხვის ვალებს ისტუმრებს, შეუძლია, ამ პირს მოხსოვნოს თავისი ხარჯების ანაზღაურება“.

მოხმობილი ნორმის მიხედვით, სხვისი ვალის გადახდა კონდიქციური ვალდებულების საფუძველი გახდა იმის გამო, რომ უსაფუძვლოდ დაიზოგა სხვისი ქონება. იგულისხმება, რომ პირი შეგნებულად ან შეცდომით აკეთებს ამას. ორივე შემთხვევაში, ვალის გადამხდელს უფლება აქვს, მოითხოვოს უსაფუძვლოდ დაზოგილის უკან დაბრუნება. მოსარჩევებმა შეგნებულად გაისტუმრეს სხვისი, ანუ ინვესტორი წევრის (მოპასუხის) ვალდებულება. სკ-ის 986-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის მისაღებად აუცილებელია, დადგინდეს, რომ არსებობს სხვისი ვალი და იგი არა მოვალემ, არამედ მესამე პირმა გაისტუმრა. ამ შემთხვევაში არსებობდა ინვესტორი წევრის, ანუ სხვისი დავალიანება ამხანაგობისადმი, რაც არა მოვალემ, არამედ მესამე პირებმა, ანუ მოსარჩევებმა შეგნებულად გაისტუმრეს მშენებლობის დასასრულებლად.

მოსარჩევებმა მოითხოვეს თანხის ანაზღაურება საცხოვრებელ ფართზე ნივთის გაუმჯობესების შედეგად მისი ღირებულების გაზრდის ოდენობით.<sup>114</sup> სააპელაციო პალატამ უცვლელად დატოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილე-

<sup>114</sup> სუს განჩინება, 10 ივნისი, 2016, №ას-348-333-2016.

ბის თაობაზე. სასამართლომ საქმეში წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურებულად მიიჩნია, რომ მოსარჩელეები მათ მიერ დაკავებულ ფართს მიიჩნევდნენ საკუთარ ქონებად და, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით, ჩაატარეს სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები. ამდენად, უდავოა, რომ მათ ეს ხარჯები შეცდომით განიერს მეორე პირის – მოპასუხის ქონებაზე, ამ ქონების დაბრუნებამ კი, გამოიწვია მიმღების უსაფუძვლო გამდიდრება. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სკ-ის 163-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 164-ე მუხლითა და 987-ე მუხლის პირველი ნაწილით და განმარტა, რომ, როგორც კეთილსინდისიერი, ისე არაკეთილსინდისიერი მფლობელის მიერ ნივთის გაუმჯობესების ხარჯები შეიძლება ანაზღაურდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნივთის უკან დაბრუნება უფლებამოსილი პირის უსაფუძვლო გამდიდრებას იწვევს. სკ-ის 987-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, სხვა პირის ქონებაზე შეცდომით გაწეული ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირი ამით გამდიდრდა (5.04.2012, №ას-268-259-2012).

სხვა საქმეში<sup>115</sup> მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის ამ უკანასკნელის საცხოვრებელი ბინის რემონტისათვის დახარჯული თანხის დაკისრება. სააპელაციო სასამართლომ სარჩელი არ დაკმაყოფილა. საკასაციო პალატამ უცვლელად დატოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნები და მოსაზრებანი საქმის ფაქტობრივ გარემოებებსა და სამართლებრივ საფუძვლებზე. სკ-ის 316-ე და 317-ე მუხლების პირველი ნაწილების საფუძველზე პალატამ მიუთითა უსაფუძვლო გამდიდრების სუბსიდიურ ხასიათსა<sup>116</sup> და ამ საფუძვლით მოთხოვნის დაკმაყოფილების კუმულაციურ წინაპირობებზე.<sup>117</sup> რომელიმე ამ პირობის არარსებობა გამორიცხავს უსაფუძვლო გამდიდრების წესების შესაბამისად, პირის მოთხოვნის დაკმაყოფილებას. თუ გაირკვა, რომ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების სახელშეკრულებო ან სხვა კანონისმიერი საფუძველი არ არსებობს, თითოეული მათგანის არსებობა ერთობლივად უნდა დადგინდეს.

სასამართლომ განმარტა, რომ სკ-ის 987-ე მუხლის პირველი ნაწი-

<sup>115</sup> სუს. განჩინება, 10 სექტემბერი, 2015, №ას-542-514-2015.

<sup>116</sup> იხ. 54-ე სქოლით.

<sup>117</sup> იხ. 59-ე სქოლით.

ლი წარმოადგენს ე.წ დანახარჯების კონდიქციას, რომლითაც განისაზღვრება იმ პირის უფლებები, ვინც სხვის ქონებაზე განია ხარჯები. ამ ნორმის უმთავრესი დებულება არის ის, რომ სხვა პირის ქონებაზე შეგნებულად ან შეცდომით განეული ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირი ამით გამდიდრდა, ხოლო, თუ გამდიდრების ფაქტი არ არსებობს, მაშინ მხოლოდ ხარჯების გაწევა არ წარმოშობს კონდიქციურ ვალდებულებას. კანონი ითვალისწინებს ისეთ კონკრეტულ გარემოებებს, რომელთა არსებობა გამორიცხავს სხვის ქონებაზე განეული ხარჯების მოთხოვნის უფლებას, კერძოდ, სკ-ის 987-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, მოთხოვნა გამორიცხულია, თუ პრეტენზის წარმდგენმა პირმა ბრალეულად დააყოვნა შეტყუბინება ხარჯების მოთხოვნის შესახებ, ანდა პირმა, რომელსაც წაეყენება პრეტენზია, სადაც გახადა ხარჯები მათ განხორციელებამდე.

სასამართლოს დასკვნით, სკ-ის 987-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, არ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობები შემდეგ გარემოებათა გამო: სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმის მასალების მიხედვით, ნივთის ღირებულება გაიზარდა მასში ჩატარებული სარემონტო სამუშაოების შედეგად, თუმცა მნიშვნელოვანი იყო, თუ როდის წარუდგინა მესაკუთრემ მფლობელს პრეტენზია ნივთის ფლობასთან დაკავშირებით. მოსარჩელე სადაც ვო ბინას ფლობდა 2001 წლის აპრილიდან. უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესახებ სარჩელით მოპასუხემ სასამართლოს მიმართა 2002 წლის სექტემბერში. სარჩელის აღძვრამდე მოსარჩელის მეუღლისათვის ცნობილი იყო ბინის მესაკუთრის ვინაობა და მისი პრეტენზია ბინის უკანონო ფლობასთან დაკავშირებით. საქმის მასალებით არ დგინდება, რომ სარემონტო სამუშაოებისათვის ხარჯი განეულ იქნა 2002 წლის სექტემბრამდე, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესახებ სარჩელის წარდგენამდე. ამდენად, მესაკუთრე შეცადა, გამოეთხოვა უკანონო მფლობელობიდან ნივთი, რაც განხორციელდა 2013 წლის 31 მარტს, იძულებითი აღსრულების გზით. შესაბამისად, მოსარჩელის ქმედება ნივთზე განეულ დანახარჯებთან დაკავშირებით, ემსახურებოდა მისივე ინტერესებს, რომ დროებით უზრუნველეყო ნივთის საყოფაცხოვრებო დანიშნულებით გამოყენება. საქმის მასალებით არ დგინდება მოპასუხის განზრახი მოქმედება (უმოქმედობა), რომელიც ხელს შეუწყობდა მის სასარგებლოდ ქონე-

ბის შეძენას ან დაზოგვას. პრეტენზიის წარდგენის პირობებში, სარემონტო სამუშაოების ჩატარება ვერ განიხილება მესაკუთრის ინტერესების შესაბამის მოქმედებად და ნივთზე განეული ხარჯები, პალატის შეფასებით, უნდა შეფასდეს, როგორც მესაკუთრისათვის თავს მოხვეული გამდიდრება.

ერთ-ერთ საქმეში<sup>118</sup> მოსარჩელე მოითხოვდა მის საკუთრებად არასწორად რეგისტრირებულ ფართზე განეული ხარჯების ანაზღაურებას, იმ საფუძვლით, რომ მოპასუხე უსაფუძვლოდ გამდიდრდა. კონკრეტულ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ სხვის ქონებაზე განეულ ხარჯებზე მოსარჩელის მოთხოვნის შესაძლო დაკმაყოფილების საფუძველს ქმნის სკ-ის 987-ე მუხლით გათვალისწინებული კონდიქციური ვალდებულება რომლითაც განსაზღვრულია პირის მიერ შეგნებულად ან შეცდომით, მაგრამ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, სხვის ქონებაზე განეული ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნის სტანდარტი, კერძოდ, სკ-ის 987-ე მუხლის პირველი ნაწილის ანალიზი ცხადყოფს, რომ ასეთი ხარჯის ანაზღაურების განსაზღვრისას უტყუარად უნდა დადგინდეს მიმღების გამდიდრების ფაქტი. ამავდროულად, გამდიდრების ოდენობა უნდა განისაზღვროს იმ მომენტისათვის, როცა უფლებამოსილ პირს უბრუნდება ნივთი.

ამ ტიპის დავებზე სასამართლომ უნდა დაადგინოს, მოსარჩელემ კონკრეტულად რა სახის ხარჯები გაიღო, რამდენად აუცილებელი იყო ამ ხარჯის განვეა და ამით გაუმჯობესდა თუ არა სადავო ნივთი, თუ იგი მხოლოდ მოსარჩელის, როგორც ნივთის მოსარგებლის სპეციალური ინტერესებიდან გამომდინარე იქნა განეული. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ, სსკ-ის 102-ე მუხლიდან გამომდინარე, სწორედ მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს, რა სახის ხარჯები გაიღო მოპასუხის უძრავ ნივთზე და ამ დანახარჯების შედეგად კონკრეტულად რამდენით გამდიდრდა მოპასუხე. პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეზე მოსარჩელემ ვერ შეძლო თავისი წილი მტკიცების ტვირთის რეალიზება, რის გამოც სარჩელი არ დააკმაყოფილა.

სანივთო და უსაფუძლო გამდიდრების სამართლის ნორმათა კონკურენციის საკითხის გადაწყვეტის თვალსაზრისით საინტერესოა, უზენაესი სასამართლოს განჩინება,<sup>119</sup> რომლის მიხედვით მოსარ-

<sup>118</sup> სუს განჩინება, 21 ივლისი, 2014, №ას-305-287-2014.

<sup>119</sup> სუს განჩინება, 31 იანვარი, 2012, №ას-1245-1265-2011.

ჩელესა და მოპასუხეს შორის შედგა უძრავი ნივთების (საცხოვრებელი ბინების) გაცვლის ზეპირი ხელშეკრულება. ფაქტობრივად შესრულებული ნასყიდობის ხელშეკრულება (გაცვლა) საჯარორეგული არ დარეგისტრირებულა. მხარეთა შორის წარმოშობილი დავის შედეგად მოსარჩელემ მოითხოვა მის მიერ სადაც ბინის ფლობის პერიოდში გაწეული დანახარჯების (სარემონტო სამუშაოების ღირებულების) დაკისრება მოპასუხისათვის. მოპასუხებუარი განაცხადა სარჩელის დაკმაყოფილებაზე, იმ მოტივით, რომ თანახმა, ბინა ჩაიბაროს პირვანდელი სახით. ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა სარჩელი დააკმაყოფილეს. უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მხარეთა მიერ ორი ურთიერთმფარავი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართული იყო საცხოვრებელი სახლის გაცვლის ხელშეკრულების დასადებად და მათ მიერ გამოხატული ნება სადაც არ გამხდარა, გაცვლის ხელშეკრულებას შესაბამისი სამართლებრივი შედეგები არ მოჰყოლია – მხარეები მიღებული ფართების მესაკუთრეები არ გამხდარან, რადგან არ ყოფილა დაცული არსებული გარიგების ნამდვილობისათვის კანონით დადგენილი სავალდებულო ფორმა. გარიგების ნამდვილობა, მოცემულ შემთხვევაში, კანონის იმპერატიულ ნებას ეფუძნება და არა შესარეთა შეთანხმებას. მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელე არაერთგან მიუთითებს, რომ კეთილსინდისიერად დაეუფლა სადაც ფართის და მიიღოთ იგი, სანაცვლოდ კი, მოპასუხეს ორთახიანი ბინა გადასცა, საკასაციო პალატამ იგი კეთილსინდისიერ მფლობელად არ მიიჩნია.

პალატამ განმარტა, რომ, სკ-ის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ყოველი პირი მიიჩნევა კანონის მცირდნედ. შესაბამისად, არასწორი სამართლებრივი შეფასების რისკი მოლიანად მხარეზეა გადატანილი, მით უმეტეს განსახილველ შემთხვევაში, რადგანაც უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებაზე მსჯელობისას ვარაუდის დაშვება შეუძლებელია: საკუთრება პირდაპირ ვლინდება საჯარორეგულისათვის ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს ჩანაწერებიდან. აქედან გამომდინარე, მიიჩნევა, რომ მოსარჩელე მოქმედება უსწევი გაუფრთხილებლობის ფარგლებში, იგი თავისი ქმედებით არღვევდა აუცილებელი ყურადღებიანობის მოთხოვნებს მაღალი ხარისხით, რის გამოც მის მიერ დაშვებულ სამართლებრივ შეცდომას საპატიოდ ვერ მივიჩნევთ. პირის მიერ კანონის ცოდნის პრეზუმაციის გამო, მიიჩნევა, რომ მოსარჩელეს უნდა სცოდნოდა მის მიერ სადაც ფართის მფლობელობის საფუძვლის ხარვეზის არსე-

ბობის შესახებ, შესაბამისად, სკ-ის 159-ე მუხლიდან გამომდინარე, რომელიც კეთილსინდისიერი მფლობელის ლეგალურ დეფინიციას გვაწვდის, მოსარჩელე არაკეთილსინდისიერი მფლობელია, რადგან არ შეიძლება, უფლებამოსილ პირად იქნეს მიჩნეული ურთიერთობების საჭირო გულმოდგინე შემოწმების საფუძველზე.

პალატამ ასევე განმარტა, რომ მფლობელობის მართლზომიერება ობიექტური, ნორმატიული შეფასების საგანია, ხოლო მფლობელის კეთილსინდისიერება კი-სუბიექტური. ამ უკანასკნელში ვლინდება პირის დამოკიდებულება ნივთის ფლობის სამართლებრივი საფუძვლის, მართლზომიერების მიმართ. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე, ერთი მხრივ, უშვებდა არასაპატიო სამართლებრივ შეცდომას და მიაჩნდა, რომ ის მართლზომიერი მფლობელია, მაგრამ მისი მართლზომიერ, კეთილსინდისიერ მფლობელად განხილვა შეუძლებელია, რადგან მას, კანონის ცოდნის პრეზუმაციიდან გამომდინარე, უნდა სცოდნოდა მფლობელობითი უფლებამოსილების ნაკლის შესახებ. არაკეთილსინდისიერი მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის სამართლებრივ შედეგებს სკ-ის 164-ე მუხლი არეგულირებს, შესაბამისად, მოსარჩელეთა მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად აღნიშნულიც განიხილება. ამავდროულად, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნა სხვის ნივთზე განეული ხარჯის ანაზღაურებაზე, მოტივირებულია მოპასუხის უსაფუძვლო გამდიდრებით. ამდენად, არსებობს უსაფუძვლოდ განეულ ხარჯებზე მოსარჩელეთა მოთხოვნის შესაძლო დაკმაყოფილების ორი სამართლებრივი საფუძველი (მოთხოვნათა კონკურენცია): სანივთო-სამართლებრივი (სკ-ის 164-ე მუხლი) და კონდიქციურ-ვალდებულებითი (სკ-ის 987-ე მუხლის პირველი ნაწილი).

სასამართლომ მიუთითა უსაფუძვლო გამდიდრების სუბსიდიურ ხასიათსა და მოთხოვნის კუმულაციურ საფუძვლებზე.<sup>120</sup>

სკ-ის 164-ე მუხლის თანახმად, არაკეთილსინდისიერმა მფლობელმა უფლებამოსილ პირს უნდა დაუბრუნოს როგორც ნივთი, ასევე, მიღებული სარგებელი, ნივთის ან უფლების ნაყოფი. მფლობელი ვალდებულია, აანაზღაუროს ის ნაყოფი, რომელიც მან ბრალეულად არ მიიღო. ნივთზე განეული ხარჯები და გაუმჯობესებანი მას შეუძლია, მხოლოდ მაშინ მოითხოვოს, თუ ნივთის უკან დაბრუნების მომენტისათვის უფლებამოსილი პირი გამდიდრდა. სხვა მოთ-

<sup>120</sup> იხ. 54-ე და 59-ე სქმლით.

ხოვნები არაკეთილსინდისიერი მფლობელის მიმართ უცვლელად რჩება.

მითითებული ნორმით განსაზღვრული მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის აუცილებელია ამ ნორმით გათვალისწინებული აუცილებელი წინაპირობები, კერძოდ, 1. უფლებამოსილი პირის გამდიდრების ფაქტის არსებობა, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უტყუარად უნდა დადგინდეს, 2. უფლებამოსილი პირი უნდა გამდიდრდეს არაკეთილსინდისიერი მფლობელის მიერ ნივთზე განეული ხარჯებისა და გაუმჯობესების შედეგად, 3. ნივთზე განეული ხარჯები და გაუმჯობესება მიმართული უნდა იყოს არსებულიდან უკეთესისაკენ და იგი უნდა ზრდიდეს ნივთის ღირებულებას. მხოლოდ ამ გარემოებათა დადასტურებისას შეიძლება არაკეთილსინდისიერი მფლობელის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ურთიერთობის მსგავს, მაგრამ უფრო დაზუსტებულ რეგულაციას ადგენს უსაფუძვლო გამდიდრების ნორმები, რომლითაც განსაზღვრულია პირის მიერ შეგნებულად ან შეცდომით საკუთარი ინტერესებით, მაგრამ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე სხვის ქონებაზე განეული ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნის ფარგლები, კერძოდ, სკ-ის 987-ე მუხლის პირველი ნაწილით, პირს, რომელმაც შეგნებულად ან შეცდომით ხარჯები გასწია მეორე პირის ქონებაზე, შეუძლია, მისგან მოითხოვოს თავისი დანახარჯების ანაზღაურება, თუ მეორე პირი ამით გამდიდრდა. ამასთან, ამავე მუხლის მეორე ნაწილით, გამდიდრების არსებობა განისაზღვრება იმ მომენტით, როცა მოვალეს უბრუნდება თავისი ნივთი ან იგი ღირებულების გაზრდის შედეგად სხვაგვარად იღებს სარგებელს.

აღნიშნული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ სხვის ქონებაზე განეული ხარჯის ანაზღაურების განსაზღვრისას, უტყუარად უნდა დადგინდეს მიმღების გამდიდრების ფაქტი. ამავდროულად, გამდიდრების ოდენობა უნდა განისაზღვროს იმ მომენტისათვის, როცა უფლებამოსილ პირს უბრუნდება ნივთი.

პალატის აზრით, მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან სკ-ის 164-ე მუხლი უფრო ზოგადი ხასიათისაა, ვიდრე სკ-ის 987-ე მუხლი, რომელიც კონკრეტულად მიუთითებს არაკეთილსინდისიერი მფლობელისაგან ნივთის გამოთხოვის სამართლებრივ შედეგებზე, უპირატესობა უნდა მიენიჭოს სკ-ის 987-ე მუხლს.

საბოლოოდ, უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პა-

ლატამ საქმე დაბრუნა რა ხელახლა განსახილველად, მიუთითა, რომ უნდა გაირკვეს საკითხები, რომელთა გარეშეც უფლებამოსილი პირის გამდიდრების ფაქტის დადგენა და დავის კანონიერი გადაწყვეტა შეუძლებელია, კერძოდ: სკ-ის 987-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, მოსარჩელეთა მიერ რა სახის ხარჯები იქნა განეული კონკრეტულად, რამდენად აუცილებელი იყო ამ ხარჯის განევა და ამით სადაცო ნივთი გაუმჯობესდა, თუ იგი მხოლოდ მოსარჩელეთა, როგორც ნივთის მოსარგებლეთა სპეციალური ინტერესებიდან გამომდინარე გაიღეს. გამოსაკვლევია და შესაფასებელი ის გარემოებაც, რომ შესაძლებელია, ზოგ შემთხვევაში, აუცილებელი საჭიროების გამო, ნივთზე განეული ხარჯები უფლებამოსილი პირის ინტერესში ყოფილიყო და, ბუნებრივია, მას მესაკუთრის გამდიდრება მოჰყოლოდა.

პალატის მოსაზრებით, მოცემული დავის რეგულაცია სკ-ის 980-ე მუხლის ნორმის საფუძველზე დაუშვებელია, რადგან ამ ნორმით თუ მიმღებმა განია ხარჯები ან მას წარმოეშვა ქონებრივი დანაკლისი იმასთან დაკავშირებით, რომ საგანი სამუდამოდ შეძენილად მიაჩნდა, მაშინ იგი მოვალეა, დააბრუნოს საგანი ხარჯებისა და დანაკლისის ანაზღაურების პირობით. ეს წესი არ გამოიყენება, როცა გადაცემული საგანი არ ქმნის სამუდამოდ შეძენილად მიაჩნევის საფუძველს. ამავე ნორმის შინაარსიდან და საქმის მასალებიდან გამომდინარე, უძრავი ნივთი არ იძლევა იმის ობიექტურ შესაძლებლობას, რომ პირს იგი სამუდამოდ შეძენილად მიაჩნდეს, თუკი ასეთ ჩანაწერს არ გვაწვდის საჯარო რეესტრი.<sup>121</sup>

ერთ-ერთ საქმეზე<sup>122</sup> სასამართლომ სარჩელი საცხოვრებელ ბინაში განეული ხარჯების დაკმაყოფილების შესახებ არ დაკმაყოფილა, იმ საფუძვლით, რომ ბინაში გარკვეული სახის სარემონტო-სამშენებლო სამუშაოები ჩატარდა უფრო ადრე, ვიდრე უძრა-

<sup>121</sup> სუს 2012 წლის 2 ოქტომბრის №ას-1055-989-2012 განჩინებით აღნიშნულ დავაზე მოპასუხის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველი დაუშვებლობის გამო. შედეგად, ძალაში შევიდა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი უზენაესი სასამართლოს მითითების შესაბამისად, სკ-ის 987-ე მუხლის საფუძველზე დაკმაყოფილდა.

<sup>122</sup> სუს განჩინება, 1 აპრილი, 2014, №ას-1166-1112-2013.

ვი ქონება ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მოპასუხის საკუთრებაში გადავიდოდა. მოთხოვნის სამართლებრივი კვალი-ფიკაციის მიზნებისათვის სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ, სკ-ის 976-991-ე მუხლებიდან გამომდინარე, პირის ქონების გაზრდა ან დაზოგვა სხვა პირის ხარჯზე კანონით ან ხელშეკრუ-ლებით გათვალისწინებული საფუძვლის გარეშე, წარმოადგენს უსა-ფუძვლო გამდიდრებას და წარმომობას უსაფუძვლოდ შეძენილის ან დაზოგილი ქონების უფლებამოსილი პირისათვის გადაცემის ვალდებულებას. ამასთან, მოცემულ ნორმათა ძირითადი დებულება სწორედ ისაა, რომ სხვა პირის ხარჯზე მიღებული სარგებლის (რაც შეიძლება გამოიხატოს ქონების დაზოგვაშიც) უკან დაბრუნების ვალდებულება წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირი ამით გამდიდრდა. ამავე კოდექსის 987-ე მუხლის სამართლებრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ დანახარჯების ანაზღაურების უფლება პირს წარმოებობა მხოლოდ გარკვეული გარემოებების არსებობის შემთხვევაში, კერძოდ, თუ სხვის ქონებაზე ხარჯები გაიღო. დანა-ხარჯების შედეგად ნივთის ღირებულება უნდა გაიზარდოს. ამას-თან, გაზრდილი ღირებულება უნდა არსებობდეს ნივთის დაბრუ-ნების მომენტისათვის. ე.ი. გამდიდრების ფაქტის დადგენისას, გამ-დიდრების ოდენობა უნდა განისაზღვროს იმ მომენტისათვის, რო-ცა უფლებამოსილ პირს უბრუნდება თავისი ნივთი, ანუ, მოცემულ შემთხვევაში, გადამწყვეტია იმის დადგენა, გაზრდილია თუ არა ღირებულება ნივთის დაბრუნების მომენტისათვის.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ქონების ამჟამინდელი მესაკუთრე ვერ მიიჩნევა ვალდებულ პირად, აანაზღაუროს ბინის სარემონტო სა-მუშაოების ღირებულება, იმ თვალსაზრისით, რომ მხოლოდ სარე-მონტო სამუშაოების ჩატარება არ წარმოშობს მისი ღირებულების, უსაფუძვლო გამდიდრების წესებიდან გამომდინარე, აანაზღაურე-ბის ვალდებულებას, არამედ, ასევე მნიშვნელოვანია იმის დადგენა, გამოიწვია თუ არა უფლებამოსილი პირის გამდიდრება გაწეულმა დანახარჯმა. საქმეზე დადგენილი გარემოება კი იმის შესახებ, რომ ბინის სარემონტო სამუშაოები ჩატარდა მოპასუხის საკუთრების უფ-ლების წარმოშობამდე, ცალსახად გამორიცხავს მის ვალდებულე-ბას, აანაზღაუროს სარემონტო სამუშაოების ხარჯები.

იგივე გადაწყვეტილება მიიღო სასამართლომ მსგავსი ფაბულის საქმეზე.<sup>123</sup> სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის

<sup>123</sup> სუს განჩინება, 1 აპრილი, 2013, №ას-1669-1565-2012.

უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების მიზანია, გაათანაბროს ისე-თი ქონებრივი მოძრაობა, რომელიც სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მოხდა, ისე, რომ არსებული ქონებრივი მდგომარეობა კე-თილსინდისიერების პრინციპის დებულებებს შეესაბამებოდეს. ვი-ნაიდან მოპასუხისათვის უძრავი ქონების გადაცემისას არსებობ-და სამართლებრივი საფუძველი – ნასყიდობის ურთიერთობა, ამს-თან, მოსარჩელის მიერ შესრულებული სარემონტო სამუშაოები წინ უსწრებდა ამ ქონებაზე მოპასუხის საკუთრების უფლების წარ-მოშობას, სასამართლომ მიიჩნია, რომ არარსებობდა სკ-ის 981-ე მუხ-ლით გათვალისწინებული სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვე-ლი. სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელის მიერ განცეული ხარჯები, მხოლოდ იმ შემთხვევაში წარმოშობდა მოპასუხის მი-მართ კონდიქციურ ვალდებულებას, თუკი ხარჯები განცეული იქნებოდა მოპასუხის საკუთრებაში ქონების აღრიცხვის შემ-დგომ.

სხვა საქმის<sup>124</sup> ფაბულის მიხედვით, მოსარჩელის (რძლის) სასარ-ჩელო მოთხოვნა მოპასუხისათვის (დედამთილისათვის) ამ უკანას-კნელის საცხოვრებელ სახლზე განცეული ხარჯების დაკისრებაა, რისი სამართლებრივი საფუძველი უსაფუძვლო გამდიდრების ინ-სტიტუტით გათვალისწინებული სკ-ის 976-ე და 987-ე მუხლებია. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩი-ნებით საქმეზე დაინიშნა ექსპერტიზა იმ ფაქტობრივი გარემოე-ბების დასადასტურებლად, საცხოვრებელი სახლის რემონტის შე-დეგად რა სარგებელი მიიღო მოპასუხება და რამდენით გამდიდ-რდა. დასახელებული სამოქალაქო საქმე დაბრუნდა ექსპერტის დასკვნის გარეშე იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელემ არ დაფარა ექ-სპერტიზის ხარჯები.

საქმეზე კანონშესაბამის მტკიცებულებათა არარსებობის გამო, პა-ლატამ დაუდასტურებლად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება, რომ მოსარჩელის მიერ გაღებული რემონტის ხარჯების შედეგად მოპა-სუხე გამდიდრდა და, შესაბამისად, სარჩელი არ დააკმაყოფილა.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველი დავა უსაფუძ-ვლო გამდიდრებით დადგენილი სამართლებრივი ნორმებით უნდა მოწესრიგდეს.

<sup>124</sup> სუს განჩინება, 17 მარტი, 2014, №ას-877-835-2013.

სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და 987-ე მუხლის თანახმად, სასამართლომ მიუთითა უსაფუძვლო გამდიდ-რების სუბსიდიურ ხასიათსა და მოთხოვნის კუმულაციურ წინაპი-რობებზე.<sup>125</sup> პალატამ მიიჩნია, რომ სამი პირობიდან, რომელიმე პი-რობის არარსებობა გამორიცხავს უსაფუძვლო გამდიდრების სა-ფუძველზე პირის მოთხოვნის დაკამაყოფილებას. სწორედ ამიტომ, თუ დადგინდება, რომ სასარჩელო მოთხოვნის დაკამაყოფილების სახელშეკრულებო ან სხვა კანონისმიერი საფუძველი არ არსებობს, თითოეული ამ პირობის არსებობა ერთობლივად უნდა დადგინდეს, ანუ სხვა პირის ქონებაზე შეგნებულად ან შეცდომით განეული ხარ-ჯების ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა მხოლოდ იმ შემ-თხვევაში, თუ ეს პირი ამით გამდიდრდა. თუ გამდიდრების ფაქტი არ არსებობს, მაშინ მხოლოდ ხარჯის განევა არ წარმოიშობს კონ-დიქციურ ვალდებულებას.

სააპელაციო პალატამ დანიშნა ექსპერტიზა იმ ფაქტობრივი გარე-მოების დასადგენად, გაუმჯობესებული ქონების მიმღები გამდიდ-რდა თუ არა და, დადგებით შემთხვევაში, რამდენით, თუმცა ექსპერ-ტიზის ჩატარებას ხელი მოსარჩელემ შეუშალა, რადგან თანხა არ გადაიხადა. მიუხედავად სასამართლოს კანონიერ ფარგლებში მოქ-ცეული მცდელობისა, მხარეს ესარგებლა სამართლიანი სასამარ-თლოს უფლებით, რაც გამოიხატა, სკ-ის 103-ე მუხლის მეორე ნა-ნილის თანახმად, სასამართლოს მიერ ექსპერტიზის დანიშვნაში, მოსარჩელემ სრულიად შეგნებულად დაბარკოლა და ხელი შეუშა-ლა მისთვის მეტად საჭირო და აუცილებელი მტკიცებულების, ექ-სპერტიზის დასკვნის მოპოვებას იმ მოსაზრებით, რომ საქმეში იყო საკმარისი მტკიცებულებები სარჩელის დაკამაყოფილებისათვის.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ, კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-3 ნაწილის, მე-4, 102-ე, 105-ე მუხლების თანახმად, მოსარჩე-ლეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია სანდო და უტყუარი მტკი-ცებულება, რაც დაადასტურებდა ფაქტობრივ გარემოებას იმის შე-სახებ, რომ მოპასუხე ნამდვილად გამდიდრდა კონკრეტული თან-ხით.

სხვა საქმეზე<sup>126</sup> სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელეებსა (მე-უღლებები) და მოპასუხეებს (მეუღლებები) შორის წერილობით გა-

<sup>125</sup> იხ. 54-ე და 92-ე სქოლიო.

<sup>126</sup> სუს განჩინება, 7 თებერვალი, 2013, №ას-1084-1015-2012.

ფორმდა შეთანხმება, რომლითაც მოპასუხები მოსარჩელეების ოჯახს პირად საკუთრებაში გადასცემდნენ საცხოვრებელ ბინას 2002 წლის 1 მაისამდე 1800 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ. მოპასუხებს 2001 წლის 1 მაისის შეთანხმების საფუძველზე, 23.05.2011 წლს მიღებული აქვთ 110 აშშ დოლარი და 30 ლარი. მოსარჩელეები ცხოვრობდნენ სადაცო ბინაში მოპასუხეთა მიერ მათ გამოსახლებამდე, რა დროსაც თვითონებულრად მიაშენეს, თუმცა შეთანხმებით გათვალისწინებული თანხა მესაკუთრისათვის არ გადაუხდიათ. არსებული უკანონო მიშენების დემონტაჟის თაობაზე შიდა ქართლის რეგიონული არქმშენინსპექციის სარჩელზე შეწყდა წარმოება გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 4 ივნისის განჩინებით, მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო. აღნიშნული განჩინებითვე დადგინდა, რომ „პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით ამენებული ობიექტებისათვის, ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის №660 ბრძანებულებით განისაზღვრა უნებართვი მშენებლობების დაკანონების წესები და პროცედურა, რის გამოც გორის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ არქმშენინსპექციის უარი სარჩელზე არ ენინააღმდეგებოდა მოქმედ კანონმდებლობას. მთავარი არქმშენინსპექციის დადგენილება მესაკუთრის 2000 ლარით დაჯარიმების თაობაზე არ აღსრულებულა. მიშენების გამო მოპასუხის ოჯახი ნაცვლად საკუთრებად რეგისტრირებული 33,71 კვ.მ ფართისა, 53,25 კვ.მ ფართით სარგებლობს. მოსარჩელეებმა მოითხოვეს მოპასუხებისათვის სადაცო ბინის გასაუმჯობესებლად განეული ხარჯის დაკისრება. განხორციელებული გაუმჯობესების-განეული ხარჯების ანაზღაურება. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხეთა კუთვნილი ნივთის გასაუმჯობესებლად განეული ხარჯების ანაზღაურების თაობაზე დაკმაყოფილდა.

საკასაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სკ-ის 987-ე მუხლის საფუძველზე (პირს, რომელმაც შეგნებულად ან შეცდომით ხარჯები განია მეორე პირის ქონებაზე, შეუძლია, მისგან მოითხოვოს თავისი დანახარჯების ანაზღაურება, თუ მეორე პირი ამით გამდიდრდა; გამდიდრების არსებობა განისაზღვრება იმ მომენტით, როცა მოვალეს უბრუნდება თავისი ნივთი, ან იგი ღირებულების გაზრდის შე-

დეგად სხვაგვარად იღებს სარგებელს) და გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ საქმეზე დადგენილი გარემოებები მოპასუხეთა გამდიდრებას ადასტურებს და მოსარჩელის მხრიდან დანახარჯის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას წარმოშობს.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო ბინის მესაკუთრეები მოპასუხებები არიან, ხოლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შეუძლიათ უნებართვოდ მიშენებული ფართის დაკანონება. ალნიშნული შესაძლებლობით სარგებლობა მათ ნებაზეა დამოკიდებული. სადავო მიშენება, რომლის დაკანონებისა და საკუთარი სურვილის შესაბამისად განკარგვის პერსპექტივაც მოპასუხებს აქვთ, აშენებულია მოსარჩელის მიერ, შესაბამისად, ის გარემოება, რომ ადმინისტრაციული საქმისნარმოებისას მესაკუთრე მხარედ ჩაბმული არ ყოფილა, განსახილველი სამოქალაქო დავის გადაწყვეტაზე გავლენას ვერ მოახდენს, ვინაიდან, მოპასუხები კვლავ სარგებლობენ სადავო მიშენებით და მათ არ ესპობათ ამ მიშენების დაკანონების შესაძლებლობა.

საკასაციო სასამართლომ ალნიშნა, რომ ვინაიდან მოსარჩელებ 2001 წლის 1 მაისის შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულა, მოპასუხემ იგი ბინიდან გამოასახლა. ხელშეკრულებით ნაკისრი პირველადი ვალდებულების შეუსრულებლობა ამ ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველია და არ გამორიცხავს შემძინის მიერ წილით გასაუმჯობესებლად გალებულ ხარჯების ანაზღაურების შესაძლებლობას, ამდენად, მიშენების ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის თვალსაზრისით, უსაფუძვლოა მოპასუხის არგუმენტი, რომ მოსარჩელე ბინაში წლების მანძილზე ცხოვრობდა და და ნასყიდობის ფასი არ გადაუხდია.

ერთ-ერთ საქმეში<sup>127</sup> მოსარჩელეები (შეგებებულ სარჩელში) მოითხოვდნენ ნივთზე განწეული დანახარჯების ანაზღაურებას. საქმე რამდენჯერმე იყო სააპელაციო და უზენაესი სასამართლოების მსჯელობის საგანი. საბოლოოდ, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით (რომელიც უცვლელად დარჩა უზენაესი სასამართლოს განჩინებით, საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის გამო), შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა. მოპასუხეს (შეგებებულ სარჩელში) დაეკისრა ამ უკანასკნელის საცხოვრებელ სახლზე შეგებებული სარჩელის მოსარჩელეთა მიერ შესრულებული

<sup>127</sup> სუს განჩინება, 19 აპრილი, 2012, №ას-206-199-2012.

სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ღირებულება. სასამართლომ იხელმძღვანელა სკ-ის 164-ე მუხლით, 987-ე მუხლის პირველი ნაწილით და მიუთითა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარდგენილი მტკიცებულებებით უდავოდ დასტურდება მოწინააღმდეგ მხარეების მიერ დაკავებული ფართის საკუთარ ქონებად მიჩნევის ფაქტი. ისინი სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებს ასრულებდნენ საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით. ამდენად, უდავოა, რომ მათ ეს ხარჯები შეცდომით განიერ მეორე პირის – მოსარჩელის ქონებაზე და სადავო ურთიერთობა დაგალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებად ვერ ჩაითვლება. ამასთან, ამ ქონების დაპრუნება იწვევს მოსარჩელის უსაფუძლო გამდიდრებას.

სხვა საქმეზე<sup>128</sup> მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხეთათვის ამ უკანასკნელთა უძრავ ქონებაზე შეცდომით განეული ხარჯების დაკისრება სოლიდარულად.

ქვემდგომმა სასამართლოებმა სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილეს. სააპელაციო სასამართლომ დავის გადაწყვეტისას გამოიყენა სკ-ის 987-ე, 991-ე მუხლები, 979-ე მუხლების მე-2 და მე-3 ნაწილები. საქმის მასალების მიხედვით, მხარეთა შორის დაიდო ზეპირი გარიგება მოპასუხეთა კუთვნილ მინის ნაკვეთზე, მოსარჩელეს 40კვ.მ-ზე უნდა დაესრულებინა აფთიაქისათვის განკუთვნილი შენობა. მოსარჩელემ შეასრულა არაერთი სამუშაო (სადავოა მათი ღირებულება) და გარკვეული პერიოდის განმავლობაში (დაახლოებით 4 თვე) ენეოდა აფთიაქის ექსპლოატაციას, რის შემდგომაც მხარეთა შორის შეწყდა სახელშეკრულებო ურთიერთობა.

ერთ-ერთ საქმეში<sup>129</sup> მოსარჩელეებმა მოითხოვეს მოპასუხეს მათ სასარგებლოდ დაჰკისრებოდა უძრავი ქონების ნასყიდობის ბათოლი ხელშეკრულების შედეგად უსაფუძვლოდ მიღებული თანხის დაბრუნება და ნივთის გაუმჯობესების ღირებულების ანაზღაურება. იმავე მხარეებს შორის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილად იქნა ცნობილი და მოსარჩელეები საბოლოოდ გამოსახლდნენ სადავო ბინიდან. ქვემდგომი სასამართლოების გადაწყვეტილებით, სარჩელი უძრავი ნივთის ნასყიდობის საფასურის დაკისრების ნა-

<sup>128</sup> სუს განჩინება, 30 იანვარი, 2012, №ას-1810-1784-2011.

<sup>129</sup> სუს განჩინება, 1 ნოემბერი, 2011, №ას-1345-1363-2011.

წილში სრულად დაქმაყოფილდა, ხოლო ნიგთზე გაწეული დანახარჯების ნაწილში ნაწილობრივ. სასამართლომ გადაწყვეტილება და-აფუძნა სკ-ის (1964 წლის რედაქციით) 48-ე და სკ-ის 987-ე მუხ-ლებზე.

მოსარჩელეებმა მოპასუხეთა მიმართ აღძრული სარჩელით<sup>130</sup> სა-დავო საცხოვრებელ სახლზე თანაზიარი წილის უფლებით თანამე-საკუთრედ ცნობა, უკანონო მფლობელობიდან კუთვნილი წილის გამოთხოვა, ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა და თანხის დაკისრება მოითხოვეს. სააპელაციო პალატამ გაუმჯობესების ანაზღაურების ნაწილში მოთხოვნა საფუძვლიანად მიიჩნია და იგი ნაწილობრივ დააკმაყოფილა სკ-ის 987-ე მუხლის საფუძველზე.

---

<sup>130</sup> სუს განჩინება, 18 ოქტომბერი, 2011, №ას-1020-1051-2011.

## თავი V

### სამი პირის ურთიერთობები (მუხ. 988-990)<sup>131</sup>

ერთ-ერთი საქმის<sup>132</sup> ფაბულის მიხედვით, სადაც უძრავი ნივთის თავდაპირველი მესაკუთრე იყო სახელმწიფო. ამ ნივთზე აღიარებულ იქნა მოპასუხის საკუთრების უფლება სპეციალური კანონის („ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მინის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“) საფუძველზე და 2009 წლის 18 მარტიდან საჯარო რეესტრში მესაკუთრედ მოპასუხე აღირიცხა. 2009 წლის 20 მარტს მან უძრავი ნივთი აჩუქა მესამე პირს, რომელმაც 2009 წლის 5 აგვისტოს ეს ნივთი 21 000 ლარად მიჰყიდა შემძენს, ამ უკანასკნელმა კი, მოგვიანებით, 2011 წლის 14 ნოემბერს, ნივთი გაასხვისა შპს-ზე 165 000 ლარად. რაიონული სასამართლოს 2009 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, ბათილად იქნა ცნობილი მესაკუთრის სახელზე ზემოაღნიშნული საკუთრების უფლების მოწმობა, ასევე, მისი გაცემის საფუძვლად არსებული საკუთრების უფლების აღიარების კომისიის გადაწყვეტილებაც. მოსარჩევემ (ქონების მართვის საგენტომ) მოპასუხისათვის 165 000 ლარის დაკისრების ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა უსაფუძვლო გამდიდრების (კონდიქცია) ნორმებზე. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოპასუხეს 20000 ლარი დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ. აღნიშნული გდაწყვეტილება უცვლელად დატოვა საპატელაციო სასამართლომ. საკასაციო სასამართლომ ახალი გდაწყვეტილებით გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და სარჩელი არ დააკმაყოფილა. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ყველა სახის კონდიქციური

<sup>131</sup> პრაქტიკაში მსგავსი შემთხვევები ითვლება ყველაზე რთულ შემთხვევებად სამოქალაქი კოდექსმა ზოგიერთ საკვანძო შემთხვევასთან დაკავშირებით, რომელიც უკავშირდება მესამე პირებთან ურთიერთობებს, პირდაპირი რეგულაციები შემოიღო. მაგალითად, ვითომ კრედიტორი ავალებს მოვალეს მესამე პირისთვის გადახდას (988-ე მუხ. პირები ნანილი) ან, როდესაც ვითომ კრედიტორმა დათმო მოთხოვნა და მოვალე უხდის ახალ ვითომ კრედიტორს (988-ე მუხ. მე-2 ნან.). მითითებულია Rusiashvili, Georgian Law on Unjust Enrichment and Koenig's Draft Law, in: South Caucasus Law Journal, 7/2016, 220 / 61 (ინგლისურ და რუსულ ენებზე), შნიტგერი ჰ, შატბერაშვილი ლ, უსაფუძვლო გამდიდრების ნორმათა კომენტარი, მე-9 ველი, 6., იქვე 980-110., GCCC.GE, 27.06.2018.

<sup>132</sup> სუს გადაწყვეტილება, 31 მაისი, 2016, №ას-1193-1122-2015.

მოთხოვნის, მათ შორის, შესრულების კონდიქციის დროს (სკ-ის 976-981-ე მუხლები) მოპასუხე (მოვალე) აუცილებლად უნდა იღებდეს ქონებრივ სარგებელს, ანუ მდიდრდებოდეს. ამ წინაპირობის არარსებობა კი, იმთავითვე გამორიცხავს მოთხოვნას. საკასაციო სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა, რომ: „უსაფუძვლო გამდიდრების მიზანი არს სამართლებრივი საფუძვლის გარეშეშეძენილი ქონების (რომელშიც უნდა ვიგულისხმოთ უფლების ან გარკვეული შეღავათის, უპირატესობის) ამოღება, რითაც უნდა უზრუნველყოფილ იქნეს სამართლიანობის აღდგენა ანუ იმ მდგომარეობის აღდგენა, რომელიც იარსებებდა არაუფლებამოსილი პირის მიერ დაზარალებულის ხარჯზე გარკვეული შეღავათის, უფლების, უპირატესობის მიღებამდე „... უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის ნორმები აღჭურვილია დაცვითი ფუნქციით, უზრუნველყოფს რა არაუფლებამოსილი სუბიექტისაგან უსაფუძვლოდ მიღებული ქონების ამოღებას და მისი უფლებამოსილი პირისათვის გადაცემას. შედეგობრივი თვალსაზრისით, სამართლისათვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, თუ რა საშუალებით გამდიდრდა პირი – მიიღო, თუ დაზოგა ქონება. ფაქტი ერთია – ვითომ კრედიტორის ქონებრივ სფეროში აღმოჩნდა ქონება, რომელსაც იქ არსებობის სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია და, აქედან გამომდინარე, ექვემდებარება უფლებამოსილი პირისათვის დაპრუნებას“. (სუსგ. №ას-74-71-2016, 225-215-2016 25.05.2016, №ას-184-171-2015, 20.05.2016).

სასამართლოს განმარტებით, ვინაიდან მოპასუხეს სახელმწიფომ სპეციალური კანონის საფუძველზე ქონება საკუთრებაში გადასცა მიზანმიმართულად (შესრულების კონდიქცია) და მხოლოდ მოგვიანებით, ისიც მესამე პირის და არა სახელმწიფოს მოთხოვნით, გამოეცალა ამ შესრულებას სამართლებრივი საფუძველი, რაც შეიძლებოდა, საფუძვლად დასდებოდა მოსარჩელის (შემსრულებლის) მხრიდან შესრულებულის უკან დაპრუნების მოთხოვნას სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და 979-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუმცა იმის გამო, რომ მიმღებმა მიღებული უსასყიდლოდ გადასცა (აჩუქა) მესამე პირს, ხოლო ამ უკანასკნელმა კი, მოგვიანებით გაყიდა მიღებული, მოპასუხე არ წარმოადგენს იმ პირს, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე (სკ-ის 85-ე მუხლი). მოპასუხის სათანადოობა უკავშირდება სადავო მატერიალურსამართლებრივ ურთიერთობას, მისგან გამომდინარე მოთხოვნების ნამდვილობის წინაპირობებს და ამ წინაპი-

რობების განხორციელების სამართლებრივ შედეგებს. მხოლოდ იმის დადგენა, რომ ქონებრივი გადაადგილება განხორციელდა სა-მართლებრივი საფუძვლის გარეშე, არ არის საკმარისი პასუხის-მგებლობის დასაკისრებლად. აუცილებელია იმის დადგენაც, ამის შედეგად გამდიდრდა თუ არა მოპასუხე, ანუ ამ გადადგილებით გაიზარდა თუ არა მისი ქონება.

საკასაციო პალატის დასკვნით, სააპელაციო სასამართლომ უსა-ფუძვლოდ გაიზიარა ქვედა ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ მოპასუხებ მესამე პირზე ქონების გაჩუქრებით დაზოგა მისი ქონება 20 000 ლარით. ამ შემთხვევაში ქონება არ გადაცემულა ვალდებულების შესრულების სანაცვლოდ (სკ-ის 525-ე მუხლის მესამე ნაწილი) და არც დასაჩქრებულს ნარმოშობისა რაიმე სახის საპასუხო ვალდებულება, შესაბამისად, არც მისი ქონე-ბა არ გაზრდილა. სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა სკ-ის 989-ე მუხლის დანაწესით, რომლის მიხედვითაც: „თუ 976-ე და 988-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მიმღები, რო-მელიც მოვალეა დააბრუნოს მიღებული, უსასყიდლოდ გადასცემს მას მესამე პირს, მაშინ მესამე პირი ასევე მოვალეა, დააბრუნოს მიღებული ისე, თოთქოს მას კრედიტორისაგან კანონიერი საფუძ-ვლის გარეშე მიეღოს რაიმე, თუკი მიმღებისაგან დაკმაყოფილება შეუძლებელია. ზიანის ანაზღაურების მიმართ შესაბამისად გამოი-ყენება 979-981-ე მუხლების მოთხოვნები“ და, აქედან გამომდინა-რე, მოპასუხის არასათანადოობის გამო უარესობა სარჩელი.

საკასაციო სასამართლომ უარყო მოსარჩელის (მეორე კასატორის) პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ მოპასუხე თავიდანვე არა-კეთილსინდისიერად მოქმედებდა და მან მიწის ნაკვეთზე დადო რამდენიმე მოჩვენებითი გარიგება, რათა შემდეგ მიწის საბოლოო შემძნისებან საკუთრებაში მიეღო 8 საცხოვრებელი ბინა. სასამარ-თლოს მოსაზრებით, დასაბუთებისა და მტკიცების ტვირთის მქო-ნე მოსარჩელემ გასაგებად ვერ დაადასტურა, რომ მოპასუხე ამ გზით გამდიდრდა. პალატამ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩ-ნია, რომ მოპასუხებ მიწის ნაკვეთზე საკუთრება მოპოვა ადმი-ნისტრაციული ორგანოს – საკუთრების უფლების აღიარების კო-მისიის გადაწყვეტილების საფუძველზე. კომისია თავის ფუნქცი-ებს ახორციელებდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კო-დექსის VIII თავით განსაზღვრული ფორმალური ადმინისტრაციუ-ლი ნარმოებისა და სპეციალური კანონით დადგენილი წესის მი-ხედვით. სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ მიწის ნაკ-

ვეთი, რომელიც კომისიამ საკუთრებაში გადასცა მოპასუხეს, მდებარეობდა ურბანული განვითარების სტრატეგიულ ზონაში. ამ გარემოების გათვალისწინება კი, კომისიას ევალებოდა და არა მოპასუხეს. საქმეში არ არის წარდგენილი იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ 2009 წლის 20 მარტის და 5 აგვისტოს, ასევე, 2011 წლის 14 ნოემბრის გარიგებები მოსაჩვენებლად დაიღოდა ამის შედეგად მოპასუხემ რაიმე სახის სარგებელი მიიღო. პალატამ აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ სადაცო მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების მოპოვებამდე, 2007 წლის 28 დეკემბერს, უძრავი ქონების ნასყიდობის საფუძველზე წარმოეშვა შპს-ს ვალდებულება, საკუთრებაში გადაცემული 700 კვ. მინის ნაკვეთის სანაცვლოდ, მოპასუხისათვის გადაეხადა 350 000 ლარი სამი წლის განმავლობაში. მოგვიანებით, 2011 წლის 14 ნოემბრის მხარეთა შეთანხმებით კი, ფულადი შესრულება შეიცვალა სხვა შესრულებით, ანუ შპს-ს მიერ აშენებულ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში 8 ბინის საკუთრებაში გადაცემით (სკ-ის 428-ე მუხლი). საკასაციო სასამართლოს დასკვნით, მოპასუხის გამდიდრების ფაქტის არარსებობა გამორიცხავს სარჩელის საფუძვლიანობას – არა მარტო შესრულების, არამედ ხელყოფის კონდიქციიდან გამომდინარე მოთხოვნასაც (სკ-ის 982-ე მუხლი).

დავის შინაარსის მიხედვით, ავტომანქანის მესაკუთრე-მფლობელი, ფიზიკური პირი (მოსარჩელე) სადაზღვევო კომპანიის-გან (მოპასუხე) მოითხოვდა სადაზღვევო შემთხვევის გამო (ავტომანქანის დაზიანება) მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.<sup>133</sup> მოპასუხემ სარჩელი ნაწილობრივ ცნო. მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, თუ ავტომობილის ასაკი აღემატებოდა სამ წელს და სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული ნაწილები არ ექვემდებარებოდა აღდგენას, სადაზღვევო კომპანია აანაზღაურებდა აღნიშნული ნაწილების მეორეული ნაწილებით ჩანაცვლების ღირებულებას. საქმის მასალებით დადგენილია, რომ დაზღვეული ავტომანქანის მეორეული ნაწილები ბაზარზე არ იყიდება, ხოლო დაზღვეული ავტომობილის აღსადგენად საჭიროა სარჩელით მოთხოვნილი თანხა.

**სადაზღვევო კომპანია მიიჩნევდა, რომ ზიანის მოთხოვნილი სახით ანაზღაურება გამოიწვევს არა პირვანდელი მდგომარე-**

<sup>133</sup> სუს განჩინება, 20 ოქტომბერი, 2014, №ას-698-668-2014.

**ობის ალდგენას, არამედ მოსარჩელის უსაფუძვლო გამდიდრებას.** სააპელაციო პალატის შეფასებით, ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე, მხარეებს არ გაუთვალისწინებიათ ისეთი შემთხვევა, როდესაც დაზიანებული ავტომანქანა 3 წელზე მეტი ხნისაა და არ არსებობს მისი მეორეული ნაწილებით ჩანაცვლების შესაძლებლობა. ზოგადად, ხელშეკრულებით და მათ შორის, მოცემული ხელშეკრულებითაც, მხარეებმა განსაზღვრეს სამართლებრივი მოქმედების ფარგლები, თუმცა ფაქტია, რომ ისეთი საკითხი, რამაც მოცემული დავა წარმოშვა, კონტრაქტით არ წესრიგდებოდა.

პალატამ მიუთითა ხელშეკრულების დადების დროს მხარეთა ნების ავტონომის მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ ხელშეკრულების ტექსტით ბოჭვის მიუხედავად, სადაც საკითხი უნდა შეფასებულიყო და გადაწყვეტილიყო კეთილსინდისიერების პრინციპით. სამოქალაქო კოდექსის ნორმები, მაგალითად: მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი, 325-ე მუხლი შესაძლებლობას იძლევა, სასამართლომ გაითვალისწინოს როგორც კანონით, ისე მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი შეფასება თუ ფასეულობა. სამოქალაქო კოდექსის დედაზრიდან გამომდინარე, რაც ასევე წარმოადგენს საქართველოს საჯარო წესრიგს, ხელშეკრულების დადების თავისუფლების პრინციპის, გვერდით დგას კეთილსინდისიერებისა და სახელშეკრულებო სამართლიანობის პრინციპი, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია ახალი ქცევის წესისა თუ სტანდარტების ჩამოყალიბება.

მოცემული შემთხვევა უკავშირდება მზღვეველი კომპანიისაგან თავისი ვალდებულების შესრულებას იმგვარად, რაც, კონკრეტულ შემთხვევაში, არ უზრუნველყოფდა მოსარჩელის ინტერესის დაკმაყოფილებას. მოპასუხე მიუთითებდა იმ სახელშეკრულებო დათქმაზე, რომელიც მხოლოდ მეორეული ავტონაწილების ღირებულების ანაზღაურების შესაძლებლობას იძლეოდა. პალატის შეფასებით, კითხვაზე – უზრუნველყოფდა თუ არა ამგვარი ანაზღაურება მოსარჩელის რეალურ და კმაყოფილებას, პასუხი უარყოფითი იყო, იმდენად, რამდენადაც დაზიანებული ავტომანქანის ალდგენა მეორეული ნაწილებით შეუძლებელი იყო, ვინაიდან მეორეული ნაწილები ბაზარზე არ იყიდებოდა. ხელშეკრულებით კი, ზუსტად იყო მოწესრიგებული ამგვარი შემთხვევა. მაშასადამე, სავალდებულო იყო სახელშეკრულებო შეთანხმებების განმარტების წინაპირობა, რაც, სკ-ის 325-ე მუხლის პირველი ნაწილისა

და მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, უნდა განხორციელებულიყო – სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი.

პალატამ მიუთითა სკ-ის 325-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ ხელშეკრულების პირობების შემთავაზებელ მხარეს ნარმოადგენდა მოპასუხე სადაზღვევო კომპანია, რა დროსაც სავალდებულო იყო ამ პირობათა სამართლიანობის პრინციპით განსაზღვრა, რათა დაცულიყო ე.წ. „სუსტი მხარე“ – მოსარჩელე, რომელსაც ნაკლები შესაძლებლობა ჰქონდა, გავლენა მოეხდინა ხელშეკრულების პირობების შემუშავებასა თუ მოდიფიცირებაზე. სასამართლოს შეფასებით, სუსტ და ძლიერ მხარეთა შორის სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფას ემსახურებოდა ზემოაღნიშნული ნორმის დისპოზიცია, რომლის ანალიზიდანაც გამომდინარეობდა შემდეგი: ხელშეკრულების ტექსტით ბოჭკის მიუხედავად, სახელშეკრულებო პირობა სამართლიანობის საფუძველზე უნდა განიმარტოს.

მოცემულ შემთხვევაში, სადაზღვევო კომპანია მხარეს სთავაზობდა არასამართლიან შესრულებას, ანუ იმგვარ შესრულებას, რაც მოსარჩელის უფლების აღდგენას არ იწვევდა, ხოლო თავის დაცვას მთავარ ვალდებულებაზე, ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმისას, სადაზღვევო კომპანია ცდილობდა ხელშეკრულებაზე მითითებით, რაც როგორც სამართლიანობის, ისე კეთილსინდისიერი ქცევის სტანდარტს ეწინააღმდეგებოდა.

სამართალი პირთა სამართლიანობის შეგრძნებით ნაკარნახევი პრინციპები და წესებია, ამიტომ, ნებისმიერი პირი თავისი უფლება-მოვალეობების განხორციელებისას უნდა მოქმედებდეს ამ პრინციპების შესაბამისად. კეთილსინდისიერების პრინციპი კი, პირის მოქმედებას სამართლიანობის კრიტერიუმთან ურთიერთკავშირით განიხილავს. ამ პრინციპის შესაბამისად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე ვალდებულია, გამიჯნოს სამართლიანი უსამართლოსგან და თავისი ქცევა სამართლიანობის კრიტერიუმს შეუსაბამოს. ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სადაზღვევო კომპანია არ სთავაზობდა მოსარჩელეს შესაბამის ზიანის ანაზღაურებას, მისი პირობით დაზიანებული ავტომაქქანა არ უნდა აღდგენილიყო. ის გარემოება, რომ მეორეული ავტონანილები ბაზარზე არ იყიდებოდა, არ შეიძლება, მოსარჩელის საწინააღმდეგო არგუმენტად ყოფილიყო გამოყენებული. ამ-

გვარი ავტომანქანის დაზღვევის მომენტიდან ამ რისკის მატარებელი თავად დასაზღვევო კომპანია ხდებოდა.

სასამართლომ იხელმძღვანელა სკ-ის 799-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომლითაც განმარტებულია მზღვეველის ვალდებულება, აუნაზღაუროს დამზღვევის სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ზიანი და არ გაიზიარა აპელაციის განმარტება მოსარჩელის უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ. სკ-ის 991-ე მუხლის თანახმად, ქონებრივი წონასანორობის აღდგენისათვის საკმარისია შედეგის – სხვისი ქონების შეძენის, „მოხვეჭის“ ფაქტის არსებობა. წორმის თანახმად, ქონების გამრავლება მიმღების მხარეს არა გამიზნულად, არამედ სხვა გზით ხდება. ამ წორმის გამოყენების წინაპირობისათვის მნიშვნელოვანია არა უცხო პირთა უფლებებში ჩარევის ფაქტი და მართლწესრიგი კრძალავს თუ არა ასეთ ჩარევას, არამედ ის, რომ მიმღებულ უპირატესობას მართლწესრიგი სხვა პირს მიაკუთვნებს. ზემოთ განხილულ შემთხვევაში, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის გამდიდრება გამოირიცხებოდა, რადგანაც ზიანის ანაზღაურება ახალი ავტონანილების ღირებულებით, წარმოადგენდა ავტომანქანის აღდგენის ერთადერთ საშუალებას. შესაბამისად, ვლინდებოდა არა მოსარჩელის ქონებრივი უპირატესობა, არამედ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, თანახმად მხარეთა სახელშეკრულებო მოვალეობის ჯეროვანი შესრულებისა.

ერთ-ერთი საქმის ფაბულის მიხედვით,<sup>134</sup> მოსარჩელემ, რომელიც შპს-ს პარტნიორი და ღირებულებისა, სარჩელი აღძრა სანარმოს პარტნიორებისა და სანარმოს მიმართ და უსაფუძვლო გამდიდრების წორმებზე მითითებით მოითხოვა მის მიერ გადარიცხული თანხის დაკისრება, მიუღებელი სარგებლისა და ზიანის ანაზღაურება. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით, მოსარჩელემ დანარჩენი პარტნიორების წინაშე იკისრა 188 392 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულება, ასევე, მის მიერ 2000 წლის 5 ივლისიდან 12 დეკემბრის ჩათვლით განხორციელებულია ზემოაღნიშნული 5 გადარიცხვა.

მოსარჩელის აზრით, ვინაიდან მას შპს-ს წინაშე ვალდებულება არ უკისრია, მის მიერ საზოგადოებისათვის გადარიცხული თანხებიც უსაფუძვლოდ გადარიცხულად უნდა იქნეს მიწნეული.

<sup>134</sup> სუს განჩინება, 17 სექტემბერი, 2008, №ას-232-493-08.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსაწესრიგებელი ურთიერთობის თავისებურება ვლინდება იმაში, რომ ამ ურთიერთობის მონაწილეს წარმოადგენს რამდენიმე პირი, ერთი მხრივ, მოსარჩევე, მეორე მხრივ, პარტნიორები და, მესამე მხრივ – შპს.

სკ-ის 988-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირს, რომელიც, 976-ე მუხლის თანახმად, რაიმეს გადასცემს მესამე პირს ვითომ-კრედიტორზე მითითებით, შეუძლია, შესრულებულის გამოთხოვა ვითომ კრედიტორისაგან ისე, თითქოს, მისთვის გადაეცეს რაიმე, თუ ვითომ კრედიტორის მითითება საეჭვოა, მაშინ უკან დაბრუნების მოთხოვნა შეიძლება, გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მესამე პირის მიმართ.

იმისათვის, რომ სამართლებრივად სწორად შეფასდეს განსახილველი ურთიერთობა, უპირველეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს პასუხისმგებლობის წარმოშობის თავისებურება უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის თანახმად და ამ პასუხისმგებლობისათვის დამახასიათებელი „უშუალობის პრინციპი“.

იბადება კითხვა, რა აუცილებელი ელემენტები ახასიათებს განსახილველ ნორმას, რითაც შესაძლებელია ამ პასუხისმგებლობის ზემოაღნიშნული თავისებურებების ამოხსნა.

განსახილველი ნორმის თანახმად, უნდა არსებობდეს საკონდიქციო შემთხვევა, საკონდიქციო მოთხოვნის კრედიტორი და მოვალე. ამასთან ერთად ორზე მეტ პირს შორის წარმოშობილი ურთიერთობა.

სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია, მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ ვალდებულება, გარიგების ბათილობისა ან სხვა საფუძვლის გამო, არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში; ხოლო „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ვალდებულების საწინააღმდეგოდ ისეთი შესაგებელი იქნა წარდგენილი, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამორიცხულია მოთხოვნის წარდგენა.

სკ-ის 988-ე მუხლის პირველი ნაწილის კონტექსტის გათვალისწინებით, საკონდიქციო მოთხოვნის კრედიტორს წარმოადგენს პირი, რომელიც, 976-ე მუხლის თანახმად, რაიმეს გადასცემს მესამე

პირს ვითომ კრედიტორზე მითითებით, კერძოდ, განსახილველი ნორმის მიხედვით, უნდა არსებობდეს ვალდებულების შესასრულებლად რაიმეს გადაცემის ფაქტი და ამ ვალდებულების ბათოლობის ან სხვა საფუძვლის გამო, არარსებობის ან შემდგომში შეწყვეტის ფაქტი.

უშუალოდ თვით ვალდებულების შესასრულებლად განხორციელებული მოქმედებები, აღნიშნული ნორმის თანახმად, იმ თავისებურებებით ხასიათდება, როდესაც პირი (კონდიქციური კრედიტორი, ვის ხარჯზეც გამდიდრდა) ვითომ კრედიტორის მითითებით ვალდებულებას ასრულებს მესამე პირის ნინაშე, ხოლო მოთხოვნას უყენებს, ერთ შემთხვევაში, ვითომ კრედიტორს, ხოლო მეორე შემთხვევაში კი, მესამე პირს. პირველ შემთხვევაში, 976-ე მუხლითა და გამომდინარე, არ უნდა არსებობდეს სამართლებრივი საფუძველი კონდიქციურ კრედიტორსა და ვითომ კრედიტორს შორის. ამ შემთხვევაში, სკ-ის 988-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოთხოვნა მიმართული იქნება ვითომ-კრედიტორთან, თითქოს, მისთვის გადაცეს რაიმე კონდიქციურ კრედიტორს, ხოლო, თუ ვითომ კრედიტორის მითითება საეჭვოა (აქ იგულისხმება ის შემთხვევა, როდესაც ვითომ კრედიტორის მითითება არ არსებობდა, ბათილია ან სხვა საფუძვლებიდან გამომდინარე შემდგომ შეწყდა), მაშინ უკან დაბრუნების მოთხოვნა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მესამე პირის მიმართ.

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლო არ მსჯელობს და სრულად არ იკვლევს ამ ურთიერთობის კონკრეტული მომწესრიგებელი ნორმით გათვალისწინებულ ფაქტობრივ გარემოებებს და ამ გარემოებების დასადასტურებლად თუ გასაქარწყლებლად საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს, კერძოდ, სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილებაში უთითებს, მაგრამ არ აფასებს და არ იკვლევს მოსარჩელის ახსნა-განმარტებას იმის შესახებ, რომ ამ თანხებს იგი რიცხავდა პარტნიორების მიერ მითითებულ ანგარიშებზე. სკ-ის 988-ე მუხლით გათვალისწინებულ ვითომ კრედიტორზე მითითება წარმოადგენს გარივებას, აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს, ხომ არ უთითებდნენ პარტნიორები პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების შესასრულებლად მათ მიერ დასახელებულ ანგარიშებზე განსახორციელებელ გადარიცხვებზე.

სკ-ის 988-ე მუხლის შესაბამისად, იმისათვის, რომ მოსარჩელე მიჩ-

ნეული იქნეს საკონდიქციო მოთხოვნის კრედიტორად, აუცილებელია, არ არსებობდეს სამართლებრივი ურთიერთობა მოსარჩელე-სა და პარტნიორებს შორის (სკ-ის 976-ე მუხლის შესაბამისად), ან-და, ასევე, პარტნიორების მითითება უნდა იყოს საეჭვო (ვითომ კრედიტორის მითითება არ არსებობდა, ბათილია ან სხვა საფუძვლებიდან გამომდინარე შემდგომ შეწყდა).

საკასაციო საჩივარში კასატორი (მოსარჩელე) სადაც არ ხდის ამ გადარიცხვების საფუძველს (პარტნიორთა კრების ოქმის კანონი-ერებას) და უთითებს, რომ მას აღნიშნული თანხა უნდა გადაერიცხა არა შპს-სთვის, არამედ პარტნიორებისათვის. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, თუ ვის მიმართ შესაძლებელია, ალიდრას აღნიშნული მოთხოვნა. სკ-ის 988-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება, ალიდრას, ერთ შემთხვევაში, ვითომ კრედიტორის მიმართ (პარტნიორების მიმართ), როდესაც არ არსებობს სამართლებრივი საფუძველი კონდიქციურ კრედიტორსა და ვითომ კრედიტორს შორის, ხოლო, მეორე შემთხვევაში, მესამე პირის მიმართ (შპს), როდესაც ვითომ კრედიტორის მითითება საეჭვოა (აქ იგულისხმება ის შემთხვევა, როდესაც ვითომ კრედიტორის მითითება არ არსებობდა, ბათილია ან სხვა საფუძვლებიდან გამომდინარე შემდგომ შეწყდა).

იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე გადარიცხავდა პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით დანარჩენი პარტნიორების წინაშე ვალდებულების შესასრულებლად და მათი მითითებით, იმის იმედით, რომ მისი წილი საწესდებო კაპიტალში შენარჩუნდებოდა (ანუ დანარჩენ პარტნიორების მიერ ვალდებულების შესრულების იმედი ჰქონდა, რაც გამოიხატებოდა საწესდებო კაპიტალში მისი წილის შენარჩუნებაში), რაც არ შესრულდა, ამ შემთხვევაში შესაძლებელია გამოიკვეთოს გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა და არა უსაფუძვლო გამდიდრება.

საკასაციო პალატის აზრით, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოსარჩელე ზემოაღნიშნული გადარიცხვების დროს მოქმედებდა, როგორც საზოგადოების წარმომადგენელი, რადგან მხოლოდ შპს-ს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არსებობა-არარსებობის საკითხი არ გამორიცხავს უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტს. ამ შემთხვევაში აღნიშნულ უფლებამოსილებასთან ერთად მეტად დიდი მნიშ-

ვწელობა აქვს შპს-ს ვალდებულების არსებობას (გარიგება ან სხვა საფუძვლიდან წარმოშობილი ვალდებულება), რომლის შესასრულებლად მოქმედებდა მოსარჩევე და რაც გამორიცხავს უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტით მოთხოვნის საფუძველს (ანუ უნდა შემოწმდეს განსახილველი ნორმით გათვალისწინებული ფაქტობრივი გარემოებების არსებობა-არარსებობის საკითხი). პალატის მითითებით, გასარკვევია, რომელი ვალდებულების შესასრულებლად გახდა აუცილებელი, შპს-ს (თუ მოსარჩევე იყო მისი წარმომადგენელი) გადაერიცხა თანხები შპს-ში და რამდენად შესაძლებელია ასეთი გარიგების არსებობა.

## თავი VI

### გენერალური დათავა (მუხ. 991)<sup>135</sup>

საქმის ფაბულის მიხედვით,<sup>136</sup> მოსარჩელის ბინა სააღსრულებო ბიუროს მიერ გასხვისდა ელექტრონულ აუქციონზე. მოსარჩელემ აუქციონზე ბინის შემძენის (მოპასუხის) მიმართ აღძრული სარჩელით მოითხოვა ამ უკანასკნელისათვის თანხის დაკისრება იმ საფუძვლით, რომ მოპასუხემ შეიძინა უფრო დიდი ფართის საცხოვრებელი ბინა, ვიდრე თანხა გადაიხადა, რამაც მისი უსაფუძვლო გამდიდრება გამოიწვია. მოსარჩელის მოსაზრებით, მოპასუხემ სკ-ის 991-ე მუხლის საფუძველზე ნამეტი ფართის ღირებულება უნდა გადაუხადოს მოსარჩელეს.

სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი შემდეგი მოტივაციით: სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის საკუთრებაში რიცხული სადაცო უძრავი ქონების საჯარო აუქციონის წესით რეალიზაციამდე, მის საკუთრებად საჯარო რეესტრში აღრიცხული იყო 31 კვ.მ საცხოვრებელი ბინა, ხოლო, ბინის ნაწილი – აივანი და სარდაფი, რომლებიც არსებითად ზრდიდა სადაცო უძრავი ნივთის ფართს, საჯარო აუქციონის ჩატარების მომენტისათვის არ იყო რეგისტრირებული საჯარო რეესტრში.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, სადაცო არ იყო ის გარემოება, რომ სადაცო ბინა, იყო ერთიანი, მოქცეული იყო ერთ ჭერქვეშ და იყო ერთი მთლიანი. საჯარო რეესტრში დაურეგისტრირებელი ფართი – აივანი და სარდაფი, საჯარო აუქციონის ჩატარების მომენტისათვის გამოცალკევებული სახით არ არსებობდა და იგი წარმოადგენდა რეალიზებული უძრავი ქონების შემადგენელ ნაწილს. ამდენად, მოსარჩელის საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონების, რეალიზაციის შედეგად, ასევე, რეალიზებულ იქნა საჯარო რეესტრში აღურიცხავი სადაცო ფართიც. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ სკ-ის 148-ე, 149-ე და

<sup>135</sup> გენერალური დათქმა წარმოადგენს შეკრებით ნორმას ისეთი შემთხვევებისათვის, რომლებიც პირდაპირ არ არის გათვალისწინებული უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებულ ნორმებში და, შესაბამისად, გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ ამ ფუნქციით. მითითებულია: შნიტგერი ჰ, შატბერაძელი ლ, უსაფუძვლო გამდიდრების ნორმათა კომენტარი, მე-7 ველა, 4., იქვე 11-113, GCCC.GE, 27.06.2018.

<sup>136</sup> სუს განჩინება, 25 თებერვალი, 2013, №ას-3-3-2013.

150-ე მუხლებზე მითითებით, სწორად მიიჩნია, რომ საქმეში წერილობითი მტკუცებულების სახით წარდგენილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული ცნობის, ასევე, აუქციონის ჩატარების თაობაზე ინტერნეტგანცხადების მიხედვით, საჯარო აუქციონზე სარეალიზაციოდ გატანილ იქნა არა პინის ნაწილი, არამედ მთლიანი ნივთი და მართებულად აღნიშნა, რომ, მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ სარეალიზაციოდ მიქცეული ნივთის ფართი, ზემოაღნიშნული მტკუცებულებების მიხედვით, შეადგენდა 31 კვ.მ-ს (ვინაიდან გასხვისდა მთლიანი ნივთი), შემძენმა საკუთრების უფლება მოიპოვა არა მხოლოდ მის ნაწილზე, ე.ი. 31 კვ.მ-ზე, არამედ მის ყველა არსებით შემადგენელ ნაწილზე, მათ შორის, იმ ფართზეც, რაც საჯარო აუქციონის ჩატარების მომენტისათვის არ იყო რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. საჯარო რეესტრის მონაცემებისა და ინტერნეტაუქციონში აღმასრულებლის მიერ გამოქვეყნებული განცხადების უტყუარობის პრეზუმუტკიიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ უდავოდ დადასტურებულად მიიჩნია მოპასუხის კეთილსინდისიერება იმ ფაქტის მიმართ, რომ მან არ იცოდა, სადაც პინის 31 კვ.მ-ზე მეტი მოცულობის შესახებ. სასამართლომ უსაფუძვლოდ ჩათვალა მოსარჩელის მოსაზრება მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად სკ-ის 991-ე მუხლის გამოყენების შესაძლებლობაზე და მიუთითა უსაფუძვლო გამდიდრების სუბსიდიურ ხასიათზე. ამასთან, განმარტა, რომ სკ-ის 991-ე მუხლით ქონებრივი წონასწორობის აღდგენისათვის საკმარისია არაა მხოლოდ შედეგის \_ სხვისი ქონების შეძენის, „მოხვეჭის“ ფაქტის არსებობა. ისეთ პირობებში, როდესაც მიღებულ ქონებაზე სამართლებრივი ხარვეზის შესახებ პირს წინასწარ აქვს ინფორმაცია, ან ეს ხარვეზი მიმღებისთვის ცნობილი არ არის მისივე უხეში გაუფრთხილებლობის გამო, შესაძლებელია, დადგეს ამ უკანასკნელის მიმართ ზიანის ანაზღაურების საკითხი. აღნიშნულ მსჯელობას განაპირობებს სკ-ის 981-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, რომლის მიხედვითაც, თუ მიმღებმა მიღებისას იცოდა ან, უხეში გაუფრთხილებლობის გამო მისთვის უცნობი იყო სამართლებრივი საფუძვლის ხარვეზის არსებობა და მოგვიანებით შეიტყობს, ან გადაცემის თაობაზე მოთხოვნა მიღებულია სასამართლო წარმოებაში, მაშინ მიმღებს ეკისრება პასუხისმგებლობა ხარვეზის შესახებ ცნობების მიღების, ან სასამართლო წარმოებაში გადაცემის დროიდან – 979-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 980-ე მუხლის, ასევე, ქვემოთ მოყვანილი წესების საფუძველზე. მოხმობილი ნორმა განსაზღვრავს ზიანის

ანაზლაურების შემდეგ წინაპირობებს: ქონების მიმღებმა პირმა წინასწარ ან მისივე უხეში გაუფრთხილებლობით უნდა იცოდეს უფლების ხარვეზის არსებობა გადაცემულ ქონებაზე. მხოლოდ ამ გარემოებათა შემთხვევაში დგება მიმღების ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, ანუ ქონება არაუფლებამოსილი მიმღების ხელში განზრას ან უხეში გაუფრთხილებლობით უნდა გადადიოდეს. შედეგად, ასეთ შემთხვევების უფლების აღდგენის გზას წარმოადგენს გამათანაბრებელი სამართლიანობის პრინციპი – ის, რაც სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შეძენილი, უნდა დაბრუნდეს.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, რამდენადაც მოპასუხისათვის წინასწარ და მისი უხეში გაუფრთხილებლობის გარეშე უცნობი იყო სადავო ქონებაზე სამართლებრივი ხარვეზის არსებობა, კერძოდ, ვერ დადგინდა, მოპასუხის მხრიდან სადავო (ე.ნ. ნამეტი ფართის) უკანონო შეძენის ფაქტი, გამოირიცხება მისთვის თანხის დაკისრების ვალდებულება.

საქმის ფაბულით,<sup>137</sup> მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის მოსარჩელის მიერ აშენებული საცხოვრებელი სახლის საბაზრო ღირებულების – 14760 აშშ დოლარის დაკისრება. მხარეთა შორის სადავო არ არის, რომ საცხოვრებელი სახლი, რომლის ღირებულების ანაზლაურებასაც ითხოვს მოსარჩელე, მდებარეობს მოპასუხის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხულ მიწის ნაკვეთზე და აშენებულია მოსარჩელის მიერ. სასამართლო დაადგინა, რომ მოპასუხის საკუთრებაში აღრიცხული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთის) ღირებულება მოსარჩელის მიერ მასზე საცხოვრებელი სახლის აშენების შემდგომ გაიზარდა 14 760 აშშ დოლარით (საცხოვრებელი სახლის ღირებულება).

სარჩელში მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მითითებულია „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ კანონი და სამოქალაქო კოდექსის ნორმები უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ. ამდენად, მოსარჩელე სარჩელის საფუძვლად უთითებდა უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებსაც. საგულისხმოა, რომ მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა საცხოვრებელი სახლის საბაზრო ღირებულების 100%-ის ანაზლაურება და არა საცხოვრებელი სახლის ღირებულების გარკვეული ნაწილის გადახდა, როგორც ამას „საცხოვრებელი სადგომით სარ-

<sup>137</sup> სუს განჩინება, 19 აპრილი, 2012, №ას-348-333-2012.

გებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სარჩელის საფუძვლიანობა უნდა შემონმდეს სკ-ის 976-ე-991-ე მუხლების შესაბამისადაც.

სასამართლომ ჩათვალა, რომ ვანსახილველი სარჩელი კონდიქციური ხასიათისაა და მისი სამართლებრივი საფუძველი განსაზღვრა სკ-ის 991-ე მუხლით, რომელიც ადგენს კონდიქციური ვალდებულების არსებობას ყველა იმ შემთხვევაში, როცა ერთი პირი მდიდრდება მეორის ხარჯზე. მითითებული მუხლი ითვალისწინებს მიღებულის დაბრუნებას, რაც ნიშნავს, რომ, თუ გაუმჯობესება თავისი ბუნებით შესაძლებელს ხდის უშუალოდ მის დაბრუნებას, იგი უნდა გამოცალ კევდეს და გადაეცეს პირს, ვის ხარჯზეც გამდიდრდება. ამავე კოდექსის 979-ე მუხლი ადგენს უკან დაბრუნების მოთხოვნის ზოგად ფარგლებს. აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილით, თუ გაუმჯობესების გამოცალ კევება შეუძლებელია, პირს უნდა დაუბრუნდეს მისი ის ღირებულება, რაც გაუმჯობესებისას ჰქონდა ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წარმოშობის დროის მიხედვით. 979-ე მუხლის მე-3 ნაწილით, არ არსებობს ანაზღაურების მოვალეობა, თუ, მიმღები საგნის მოხმარების, სხვისთვის გადაცემის, დაღუპვის, გაუარესების ან სხვა საფუძვლების გამო, არც საგნით და არც მისი ღირებულებით არ გამდიდრებულა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ, ვინაიდან მოპასუხის კუთვნილი სადაც უძრავი ქონების ღირებულება მოსარჩელის მიერ მასზე საცხოვრებელი სახლის აშენების შემდგომ გაიზარდა 14 760 აშშ დოლარით, მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისათვის აღნიშნული ოდენობით თანხის დაკისრების თაობაზე საფუძვლიანია. შესაბამისად, სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა.

ერთ-ერთ საქმეზე<sup>138</sup> მოსარჩელე ითხოვს უსაფუძვლო გამდიდრების სამართლებრივი შედეგებიდან გამომდინარე, მოპასუხისათვის 15320 ლარის დაკისრებას, რომელიც მოპასუხებ დაზოგა 1998-2010 წლებში მოსარჩელის ქონებით უსაფუძვლო სარგებლობით, რითაც გამდიდრდა. ქვედა ინსტანციის სასამართლოთა მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სკ-ის 991-ე მუხლით და მიიჩნია, რომ მოსარჩელის კუთვნილ

<sup>138</sup> სუს განჩინება, 4 აპრილი, 2012, №ას-1249-1269-2011.

ბინაში მოპასუხის ცხოვრებას ამ უკანასკნელის ქონების დაზოგვა და უსაფუძვლო გამდიდრება არ მოჰყოლია.

საკასაციო სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის საკასაციო საჩივარი, გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გა- დაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმა- ვე სასამართლოში.

საკასაციო სასამართლომ, საქმის მასალებით მიხედვით, დადგე- ნილად მიიჩნია, რომ 1998 წლიდან 2002 წლამდე მოპასუხე სადავო ბინას ფლობდა მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო ურ- თიერთობის საფუძველზე, ხოლო 2002 წლიდან 2010 წლამდე მო- სარჩელის ბინას ფლობდა სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, ვი- ნაიდან მხარეთა შორის დაიდო უძრავი ქონების ნასყიდობის ფორ- მადაუცველი ხელშეკრულება (ბათილი გარიგება). საკასაციო სასა- მართლომ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს შეფასება, რომ მო- პასუხე სადავო ბინას კეთილსინდისიერ, თუმცა არაუფლებამოსილ მფლობელს წარმოადგენდა შესაბამისად, სკ-ის 163-ე მუხლის და- ნაწესიდან გამომდინარე, აღნიშნა, რომ გასაჩივრებულ გადაწ- ყვეტილებაში არ უმსჯელიათ იმის შესახებ, ანაზღაურდა თუ არა კეთილსინდისიერი მფლობელის მიერ სადავო ნივთზე გა- წეული ხარჯები ამ ნივთის სარგებლობით.

სააპელაციო სასამართლომ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყო- ფილებაზე უარის თქმის მთავარ საფუძვლად მიიჩნია ის გარე- მოება, რომ მოსარჩელე და მოპასუხე უსაფუძვლოდ სარგებ- ლობდნენ ერთმანეთისთვის გადაცემული ქონებით, ამასთან, თითოეული ქონება თანაბარი ძალის იყო (საცხოვრებელი ბინა და ფული) მოეტანა მისი მფლობელისთვის შემოსავალი.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს მო- ცემულ დასაბუთებას გაიზიარებდა იმ შემთხვევაში, თუკი დად- გინდებოდა ფაქტობრივი გარემოებები იმის შესახებ, რამდენი და- ზოგა მოპასუხებ 2002 წლიდან 2010 წლამდე პერიოდში ბინით სარ- გებლობით (ბინის სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ფლობის პე- რიოდი) და იმავდროულად რა სარგებელი მიიღო მოსარჩელემ მო- პასუხის თანხის სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ფლობით, ასე- ვე, ის ფაქტი, რომ თითოეული მხარის ქონებრივი სიკეთე და და- ნაკლისი თანაზომიერია. საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა გა-

მოარკვიოს მოსარჩელის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ბინის) უსაფუძვლო (არამართლზომიერი) გამოყენებით, ერთი მხრივ, გამდიდრდა თუ არა მოპასუხე, ხოლო, მეორე მხრივ-იმავ-დროულად განიცადა თუ არა ზარალი მოსარჩელემ. ამასთან, უნდა გათვალისწინდეს, არა მხოლოდ არამართლზომიერი მფლობელის ინტერესები, როგორც ეს მოპასუხესთან მიმართებით დაადგინა სააპელაციო სასამართლომ, ასევე, ბინის მესაკუთრის ინტერესები.

## თავი VII

### სამართლებრივი დასკვნა

სამართლი პირთა სამართლიანობის შეგრძნებით ნაკარნახები პრინციპები და წესებია, ამიტომ, ნებისმიერი პირი, თავისი უფლება-მოვალეობების განხორციელებისას, უნდა მოქმედებდეს ამ პრინციპების შესაბამისად. კეთილსინდისიერების პრინციპი კი, პირის მოქმედებას სამართლიანობის კრიტერიუმთან ურთიერთკავშირში განიხილავს. ამ პრინციპის შესაბამისად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე ვალდებულია, გამიჯნოს სამართლიანი უსამართლოსგან და თავისი ქცევა სამართლიანობის კრიტერიუმს შეუსაბამოს.

უფლების აღდგენის გზა გამათანაბრებელი სამართლიანობის პრინციპია – ის, რაც სამართლებრივი საფუძვლის გარეშეა შეძენილი, უნდა დაპრუნდეს.

სასამართლოს მოსაზრებით, კანონმდებელი უსაფუძვლო გამდიდრების ცნებას არ გვთავაზობს, მაგრამ თავად ამ ინსტიტუტის მნიშვნელობასა და შინაარსის მიხედვით, უსაფუძვლო გამდიდრება ანესრიგებს იმ ურთიერთობას, რომლებიც აღმოცენდება ერთი პირის მიერ, იმ ქონების სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შეძენის შედეგად, რომელიც სხვა პირის კუთვნილებაა.<sup>139</sup>

საკასაციო პალატამ არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ კონდიქციური ვალდებულების წარმოშობისათვის უნდა ვლინდებოდეს ერთი პირის გამდიდრება მეორის ხარჯზე და ასეთი გამდიდრება მოკლებული უნდა იყოს სამართლებრივ საფუძველს, რომელიც ან თავიდანვე არ არსებობდა ან, შემდგომში მოიშალა. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას თუ, რისი შედეგია უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტი – თავად დაზარალებულის მოქმედების, გამდიდრებულის მოქმედებისა თუ მესამე პირთა მოქმედების შედეგად ან განხორციელდა იგი მათი ნების საწინააღმდეგოდ, ასევე, არა აქვს მნიშვნელობა ამ სამართალურთიერთობაში მონაწილე სუბიექტთა ბრალეულობას, კეთილსინდისიერებასა და მათი მოქმედებების მართლზომიერებასა თუ მართლწინააღმდეგობას. კონდიქციური ვალდებულების არსებობის სამართლებრი-

<sup>139</sup> სუს განჩინება, 1 აპრილი, 2005, №ას-1441-1560-04.

ვი საფუძვლით, სარჩელის დასაცავის მნიშვნელოვანია, დადგინდეს მხოლოდ ობიექტური შედეგი, რაც გულისხმობს ერთი პირის მიერ მეორე პირის ხარჯზე რაიმე სამართლებრივი სიკეთის შეძენას (დაზოგვას) შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის გარეშე. ასევე, აუცილებელია გამდიდრება სხვის ხარჯზე, რის შედეგადაც ერთი პირის ქონება იზრდება მეორე პირის ქონების შესაბამისი შემცირების ხარჯზე.

საკასაციო პალატის აზრით, უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის ნორმები აღჭურვილია დაცვითი ფუნქციით, უზრუნველყოფს რა არაუფლებამოსილი სუბიექტისაგან უსაფუძვლოდ მიღებული ქონების ამოღებას და მისი უფლებამოსილი პირისათვის გადაცემას. შედეგობრივი თვალსაზრისით, სამართლისათვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, თუ რა საშუალებით გამდიდრდა პირი – მიიღო თუ დაზოგა ქონება. ფაქტი ერთია – ვითომ კრედიტორის ქონებრივ სფეროში აღმოჩნდა ქონება, რომელსაც იქ არსებობის სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია და, აქედან გამომდინარე, ექვემდებარება უფლებამოსილი პირისათვის დაბრუნებას.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ უსაფუძვლო გამდიდრების მიზანი არის სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შეძენილი ქონების (რომელშიც უნდა ვიგულისხმოთ უფლების ან გარკვეული შედავათის, უპირატესობის) ამოღება, რითაც უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სამართლიანობის აღდგენა, ანუ იმ მდგომარეობის აღდგენა, რომელიც იარსებებდა არაუფლებამოსილი პირის მიერ დაზარალებულის ხარჯზე გარკვეული შედავათის, უფლების, უპირატესობის მიღებამდე. შესაბამისად, შეცილების განხორციელების მომენტიდან, მოსარჩელის მიერ ნების გამოვლენა ითვლება ბათილად, რაც გულისხმობს იმ სამართლებრივი შედეგის გაუქმებას, რაც ამ გარიგებას მოჰყვა.

მნიშვნელოვანი და არაერთგვაროვანია უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა იმ ურთიერთობების სამართლებრივი კვალიფიკაციის თაობაზე, რომელიც ჩუქების ან ნასყიდობის ხელშეკრულებათა საფუძველზე იძულებით გადაცემული ქონების დაბრუნებას უკავშირდება. აღნიშნულ დავებში მოსარჩელეები (როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები) მოპასუხისაგან იძულების გამო საჩუქრად გადაცემული ქონების დაბრუნებას და ზანისა ანაზღაურებას მოითხოვენ. საქმეთა ფაბულა მსგავსია და განხილვის შედეგი თითქმის ერთი და იგივე იმ თვალსაზრისით, რომ მოთხოვნა

დაკმაყოფილდა, კერძოდ, უსაფუძვლოდ გადაცემული ქონება და-უბრუნდა მოსარჩელეებს, ხოლო ქონების დაპრუნების შეუძლებ-ლობის შემთხვევაში, მოპასუხეს დაეკისრა მისი ღირებულება. მხო-ლოდ მოთხოვნათა სამართლებრივი კვალიფიკაცია განსხვავებუ-ლია. ზოგიერთ დავაში<sup>140</sup> სასამართლომ სადავო გარიგებები ბა-თილად მიიჩნა მხოლოდ სკ-ის 54-ე მუხლის ან სკ-ის 85-ე, 86-ე და სკ-ის 54-ე მუხლების ერთობლიობით, ხოლო მოთხოვნის დამ-ფუძნებელ ნორმებად გამოიყენა შესრულების კონდიქციის მა-რეგულირებელი დანაწესები, კერძოდ, სკ-ის 976.1., „ა“, 979.2.-ე, 978-ე მუხლები.

რეზონანსულ საქმეში, სადაც მოსარჩელეთა მოთხოვნას ტე-ლეკომბანიის წილებზე იძულებით დადებული ნასყიდობის ხელ-შეკრულებების ბათილად ცნობა და საკუთრების უფლების აღ-დგენა/დაპრუნება წარმოადგენდა, დიდი პალატის გადაწყვე-ტილებით მოსარჩელეთა მითითებული მოთხოვნა დაკმაყოფილ-და, სასამართლომ გააუქმა სადავო წილებზე მოპასუხეთა რე-გისტრაცია და მათზე მესაკუთრედ მოსარჩელეები ცნო. დიდ-მა პალატამ თავისი გადაწყვეტილებით შეცვალა ანალოგიურ-დავებზე ადრე არსებული სასამართლო პრაქტიკა სადავო ურ-თიერთობის სამართლებრივი კვალიფიკაციის თვალსაზრისით.

მითითებულ დავაში სააპელაციო სასამართლომ სადავო გარი-გება, სკ-ის 54-ე მუხლის საფუძველზე, ბათილად ცნო ამორა-ლურობის მოტივით და მოსარჩელეთა თვის იძულებით დადე-ბული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემუ-ლი ქონება დააბრუნა (სადავო გარიგებებით მიღებული იური-დიული შედეგის უკუქცევა) უსაფუძვლო გამდიდრების (შეს-რულების კონდიქციის) ნორმებზე დაყრდნობით. უზენაესი სა-სამართლოს დიდმა პალატამ გადაწყვეტილების სამართლებ-რივ საფუძვლად, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა კონკურენციის პირობებში, სკ-ის 992-ე, 998-ე, 408-ე მუხლები გამოიყენა.

დიდმა პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს გან-მარტება სკ-ის 54-ე მუხლთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ

<sup>140</sup> სუს განჩინებები: 21 ივლისი, 2015, №ას-688-654-2015, 25 მაისი, 2016, №ას-225-215-2016, 31 იანვარი, 2017, №ას-761-729-2016, 28 აპრილი, 2017, №ას-224-213-2017.

ამ ნორმას ავტონომიური ფუნქცია არ გააჩნია, ის დეფინიციურია და კონკრეტულ სამართლებრივ შედეგს არ ითვალისწინებს.<sup>141</sup>

დიდი პალატის აზრით, მცდარია, სააპელაციო სასამართლოს შეფასება, რომ სკ-ის 54-ე მუხლი, ამორალურ გარიგებებთან მიმართებით, შეიცავს მხოლოდ იმ დათქმას, რომ იგი არის გარიგება, რომელიც არღვევს ზნეობის ნორმებს და გავლენის ბოროტად გამოყენების შედეგად ან იძულებით დადებული გარიგებებისაგან (სკ-ის 55-ე და 85-ე მუხლებისაგან) განსხვავებით, მისი ამორალურად მიჩნევისათვის აუცილებელი არ არის იმ გარემოებათა დადგენადადასტურება, რამაც განაპირობა მისი დადება. ასეთი განმარტება ეწინააღმდეგება ხელშეკრულების დადებისა და მისი შინაარსის განსაზღვრის თავისუფლების პრინციპს.

დიდმა პალატამ აღნიშნა, რომ მესაკუთრის მიერ ნივთზე საკუთრების (მფლობელობის) დაკარგვისას, მისი კანონით დაცული ინტერესების დაცვა შესაძლოა, როგორც სანივთო (სავინდიკაციო), ისე ვალდებულებით – სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო (დელიქტური) ან კონდიქციური სარჩელებით (მოთხოვნის საფუძველთა კონკურენცია). მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის დროს, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთაგან ერთ-ერთის გამოყენება სასამართლოს უფლებამოსილება და ვალდებულება.

დიდი პალატის აზრით,<sup>142</sup> „თუკი იძულებისა და მოტყუების საფუძველზე, შემცილებელ პირს ადგება ზიანი, ასეთ შემთხვევაში, როგორც იძულება, ისე, მოტყუება უნდა განხილულ იქნეს არა მარტო, როგორც გარიგების ბათილობის სახელშეკრულებო გარემოებანი, არამედ, როგორც დაუშვებელი მოქმედებანიც...“, „იძულება იმდენად აშკარად და უხეშად ხელყოფს ნების თავისუფლების მდგომარეობას, რომ ზოგჯერ იგი დელიქტის სახესაც იღებს“, „...შესაბამისად, დიდმა პალატამ მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმებად სკ-ის 408-ე და 992-ე მუხლები გამოიყენა. ზიანის ანაზღაურება უნდა მოხდეს მისგან დამოუკი-

<sup>141</sup> სუს დიდი პალატის გადაწყვეტილება, 2 მარტი, 2017, საქმე №ას-664-635-2016. &208.

<sup>142</sup> სუს დიდი პალატის გადაწყვეტილება, 2 მარტი, 2017, საქმე №ას-664-635-2016. &202.

დებლად, ნების გამოვლენა შეცილებულია თუ არა. ამდენად, მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებაზე შეიძლება წარდგენილ იქ-ნეს ერთწლიანი ვადის გასვლის შემდეგაც.<sup>143</sup>

დიდმა პალატამ მიიჩნია, რომ კანონით დადგენილ ვადაში შეცილების განუხორციელებლობის შემთხვევაშიც, თუკი იკვე-თება პირის ნების თავისუფალ ფორმირებაში აშკარა და უხეში ჩარევა, დაზარალებულს უფლება აქვს, ზიანის ანაზღაურება-ზე მოთხოვნა დააფუძნოს დელიქტურ ნორმებს.<sup>144</sup>

სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნტის დანაწესის კომენტირებისას უზენაესმა სასამართლომ არაერთ საქმეში აღ-ნიშნა, რომ მითითებული ნორმით სამართლებრივი ურთიერთობის კვალიფიკაციისათვის აუცილებელი საფუძველია: მოპასუხის (მიმ-დების) გამდიდრება, ამის შესატყვისად მოსარჩელის (შემსრულებ-ლის) ქონებრივი დანაკლისი და მატერიალურ სიკეთეთა ამგვარი გადანაცვლების უსაფუძვლობა. ასევე არაერთ საქმეში აღნიშნუ-ლია, რომ უსაფუძვლო გამდიდრების საფუძვლით პირის მოთხოვ-ნის დაკმაყოფილებისათვის უნდა ვლინდებოდეს გარკვეული კუ-მულაციური წინაპირობები, კერძოდ: მოპასუხე უნდა გამდიდრდეს, მოპასუხის გამდიდრება უნდა გამოიწვიოს მოსარჩელის ქმედებამ, – ქმედებასა და შედეგს მორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი, მოპასუხის გამდიდრება, როგორც შედეგი, უნდა იყოს უკა-ნონო, ანუ მას არ უნდა ჰქონდეს კანონისმიერი შესაძლებლობა, კომპენსაციის გარეშე მითვისოს აღნიშნული ქონება.

სასამართლოს განმარტებით, კონდიქციური ვალდებულებისას კვლევას არ საჭიროებს გარიგების ბათილად ცნობის საფუძ-ვლები ერთ-ერთი მხარის ბრალეული მოქმედების გამოვლენას-თან მიმართებით, ვინაიდან, გარიგების ბათილად ცნობის პი-რობებში უფლებამოსილი პირის მოთხოვნის შემთხვევაში, მი-ღებული უპირობო დაბრუნებას ექვემდებარება.

შესრულების კონდიქციიდან გამომდინარე ვალდებულებისას, მოვალის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ან გამდიდ-რების კრედიტორის უფლების გამომრიცხველ გარემოებად კა-

<sup>143</sup> ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბილისი, 2001, 246, 252.

<sup>144</sup> სუს დიდი პალატის გადაწყვეტილება, 2 მარტი, 2017, საქმე №ას-664-635-2016. &213.

ნონის არცერთი დანაწესი ამ ურთიერთობის სუბიექტთა და-მოკიდებულებას არ ადგენს, უფრო კონკრეტულად, კონდიქ-ციური ვალდებულების არსებობისას, არ გაითვალისწინება არც კონტრაპენტის კეთილსინდისიერება და არც ბრალეულობა. ამ ვალდებულების მიზანი სამართლებრივი საფუძვლის გა-რეშე გადანაცვლებულ მატერიალურ/არამატერიალურ ქონებ-რივ სიკეთეთა იმ სახით აღდგენაა, რომელიც იარსებებდა, რომ არ შექმნილიყო კონდიქციური ვალდებულების მახასიათებელი წინაპირობები. ქონებრივი წინასწორობის აღდგენის მიზ-ნით, კანონი განსაზღვრავს უსაფუძვლოდ გადაცემულის დაბ-რუნებას, რათა ხელი შეეწყოს სტაბილურ სამოქალაქო ბრუნ-ვას და ბრუნვის მონაწილე რომელიმე მხარე იმგვარ მდგომა-რეობაში არ აღმოჩნდეს, რომელსაც სამართლებრივი წინაპი-რობები გამდიდრების ეტაპზე არ გააჩინია.

საკასაციო პალატამ უსაფუძვლოდ მიიჩნია კომპენსაციის მოთხოვნა, მაშინ, როცა ნივთის გადაცემა ნატურით შესაძლე-ბელია და განმარტა, რომ უსაფუძვლო გამდიდრების საკითხის მარეგულირებელი არცერთი ნორმა არ ადგენს კრედიტორის უფლებადამცავ იმგვარ დანაწესს, რომელიც ქონებრივი წინას-წორობის აღდგენას კრედიტორის სუბიექტური ინტერესის შე-საბამისად დაადგენდა (შესრულების კონდიქციის მიზანი უსა-ფუძვლოდ გადაცემულის დაბრუნებაა და კომპენსაცია მხო-ლოდ კანონით გათვალისწინებული ობიექტური წინაპირობე-ბის არსებობისასაა დასაშვები). კანონის ამგვარი ნება ემყარე-ბა სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპს, რომლის ფარ-გლებშიც კონტრაპენტი თავადა განსხორციელებული შესრუ-ლების ნეგატიური შედეგების რისკის მატარებელი. იმ შემთხვე-ვაში, თუკი დადგინდება, რომ ვითომ კრედიტორს გადაცემუ-ლი ქონებით არ უსარგებლია, ნივთი ობიექტურად არსებობს, რის გამოც შესაძლებელია მისი დაბრუნება, მაშინ კონდიქცი-ური ვალდებულების არსის საპიროსპიროდ, ნივთის ღირებუ-ლების დაკისრება არა უსაფუძვლო გამდიდრების გათანაბრე-ბას, არამედ მოვალის მდგომარეობის გაუმართლებელ გაუა-რესებას გამოიწვევს. როცა შესრულების კონდიქციიდან გამომ-დინარე, გამდიდრების კრედიტორის მოთხოვნა უსაფუძვლოდ გადაცემულის უკან დაბრუნებაა, უპირველესად, უნდა შემონ-მდეს რამდენადა შესაძლებელია ამ ნივთის დაბრუნება (სკ-ის 976.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი და 979.1 მუხლი) და მისი ღირებუ-

ლების ანაზღაურებაზე მსჯელობა მხოლოდ მას შემდეგაა და-  
საშვები, თუ დამტკიცდება, რომ უკან დაპრუნება შეუძლებე-  
ლია გადაცემული საგნის მდგომარეობის ან სხვა მიზეზის გა-  
მო (სკ-ის 979.2 მუხლი), ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ სკ-ის  
979-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს კონდიქციური ვალდე-  
ბულების ფარგლებს, ხოლო მე-2 ნაწილით რეგულირებულია  
უსაფუძვლოდ გადაცემული ქონების კომპენსაციის გადახდის  
ვალდებულება თუკი თავად გადაცემული სიკეთის დაპრუნე-  
ბის შეუძლებლობა ვლინდება, ასეთ შემთხვევაში, კომპენსაცი-  
ის ოდენობა განისაზღვრება ანაზღაურების მოთხოვნის უფლე-  
ბის წარმოშობის დროის მიხედვით.<sup>145</sup>

სკ-ის 979-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები ითვალისწინებს  
როგორც იურიდიული პასუხისმგებლობის უფლებააღდგენით (მათ  
შორის საკომპენსაციო), ასევე, „საჯარიმო“ ფუნქციებს. ამ შემ-  
თხვევაში აღნიშნული პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის, ზე-  
მოაღნიშნულის გარდა, უნდა არსებობდეს უსაფუძვლოდ მიღებუ-  
ლი ქონებით შექნილი, მიღებული სარგებელი, აგრეთვე, ყველა ის  
გარემოება, რაც მიუთითებს მიღებული საგნის განადგურებით, და-  
ზიანებით ან ჩამორთმევით მიღებულ ანაზღაურებაზე, ასევე, იუ-  
რიდიული ფაქტები, რომლებიც მიუთითებს გადაცემული საგნის  
დაპრუნების შეუძლებლობაზე.

სკ-ის 981-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს იურიდიული პა-  
სუხისმგებლობის ე.წ. „საჯარიმო“ და უფლებააღდგენით (ამ შემ-  
თხვევაში საკომპენსაციო) ფუნქციასაც. აღნიშნული მუხლით გათ-  
ვალისნინებული პასუხისმგებლობის უმთავრესი განსხვავება ისაა,  
რომ მისი რეალიზაციისას დაზარებულს უნდა აუნაზღაურდეს ის  
სარგებელი, რომელიც მიმღებმა ვერ მიიღო მეურნეობის არასათა-  
ნადოდ გაძლოლის გამო და ამაში მიმღებს მიუძღვის ბრალი. კონ-  
კრეტულ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის შემოსავალი, რო-  
მელიც უნდა მიღებულიყო სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური გან-  
ვითარების შემთხვევაში. ამდენად, ყურადღება გამახვილებულია  
მიმღების ანუუსაფუძვლოდ გამდიდრებული პირის შესაძლებლო-  
ბებზე, კერძოდ, აღნიშნული ნორმის კვალიფიკაციისათვის უნდა  
არსებობდეს გარემოება, როდესაც ქონების მიმღებს მისი ნორმა-  
ლური სამეურნეო გაძლოლის შემთხვევაში შეეძლო მიეღო სარგე-

<sup>145</sup> სუს განჩინება 9 სექტემბერი 2016, საქმე №ას-710-680-2016.

ბელი, მაგრამ ეს არ გააკეთა ბრალეული ქმედებით. ამ შემთხვევაში მტკიცების ტვირთის მატარებელია დაზარალებული, რომელმაც უნდა დაადასტუროს მიმღების ბრალი მიღებული ქონების არასათანადოდ გაძლიერისა და ამის შედეგად მოგების არმილების შესახებ ფაქტობრივი გარემოებები სსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად.

ბრალის განმსაზღვრელი კრიტერიუმები, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია თვით ამ ქონების თავისებურებებთან, მის ბრუნვა-უნარინაობასთან და „საშუალო“ მესაკუთრის მიერ ამ ქონების ჩვეულებრივი სამეურნეო მიზნებით მოხმარებასთან, ანუ ამ ქონების თავისებურებებიდან გამომდინარე, შესაძლებელი უნდა იყოს „საშუალო“ მესაკუთრის მიერ მისმა სათანადო სამეურნეო გაძლიერამ მას მოუტანოს სარგებელი, „საშუალო“ მესაკუთრეში ივარაუდება მესაკუთრე, რომელსაც შეუძლია, მიიღოს ამ ქონებიდან სარგებელი თავისი პირადი და განსაკუთრებული თვისებების გარეშე. სარგებელი, რომელიც შესაძლებელია მიღებულ იქნეს ამ ქონების ჩვეულებრივი მოხმარების შედეგად, მაგრამ განსხვავებული შემთხვევაა სკ-ის 981-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადებით გათვალისწინებულ ფულად ვალზე პროცენტის გადახდის ვალდებულების წარმოშობის დროს.

საკასაციო პალატის განმარტებით, კანონის ნორმა („თუ მიმღები არ იღებს სარგებელს, რომელიც მას შეეძლო მიეღო მეურნეობის სათანადოდ გაძლიერის შედეგად, მაშინ ანაზღაურების მოვალეობა ეკისრება იმ შემთხვევაში, თუ მას ბრალი მიუძღვის. **ფულად ვალზე გადახდილ უნდა იქნეს პროცენტი.** საგნიდან მიღებული შემოსავალი უნდა დაბრუნდეს“) იმპერატიულად მოითხოვს, რომ ფულად ვალზე გადახდილ უნდა იქნეს პროცენტი. აღნიშნული იმპერატიულობა დაკავშირებულია ამ (ფულის) ქონების თავისებურებებთან, რაც უნდა განვასხვავოთ სხვა ქონებრივი ურთიერთობების ობიექტებისაგან, კერძოდ, როდესაც ყურადღებას ვამახვილებთ ფულად საშუალებებზე (ფულზე) უნდა გავითვალისწინოთ ამ ქონების უნიკალური თვისება, რაც ნიშნავს იმას, რომ ფულადი სახსრები, როგორც საყოველთაო ეკვივალენტი, შესაძლებელია გაცვლილ იქნეს ქონებრივი ურთიერთობების თითქმის ნებისმიერ ობიექტზე, რომლებიც სასყიდლიანია ანუ ფულადი სახსრების საშუალებით შეიძლება, დაითვაროს თითქმის ყველა ვალი. ზუსტად ამ ქონების უნიკალური თვისებიდან გამომდინარე, ივარაუდება, რომ ფულად საშუალებებს ყოველთვის შეუძლია მოუტანონ სარ-

გებელი მის მესაკუთრეს. ამდენად, ისეთი ქონების მიღების დროს, როგორიცაა ჭყული, უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის მიხედვით, მისმა მიმღებმა, სკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უნდა დაადასტუროს, რომ ამ ქონებამ (ფულმა) მას სარგებელი არ მოუტანა, რაშიც მას ბრალი არ მიუძღვის, ანუ მისთვის შეუძლებელი იყო ამ ქონებიდან სარგებლის მიღება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ივარაუდება, რომ შესაძლებელი იყო ფულად სახსრებს მოეტანა მიმღებისათვის სარგებელი, რაც მან ბრალეულად არ მიიღო მისი არასათანადოდ გაძლოლის შედეგად. ზუსტად ამ ქმედების შედეგად მიუღებელი შემოსავალი, რაც უნდა მიღებულიყო ფულადი სახსრებით სათანადო გაძლოლის გზით, წარმოადგენს მიყენებულ ზიანს. ამრიგად, განსახილველი ნორმა განსხვავდება უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტისათვის დამახასიათებელი საერთო მიზნისაგან. აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როდესაც უსაფუძვლოდ გამდიდრებულ პირს ეკისრება მიუღებელი ქონების ანაზღაურება.

სკ-ის 981-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სასამართლომ ასევე განმარტა, რომ მხარეთა შორის განსაზღვრული გარემოებების მტკიცების ტვირთის განაწილების, ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ფული განიხილება, როგორც ყველაზე ბრუნვაუნარიანი საგანი და მისი ფლობა უპირობოდ ქმნის შემოსავლის მიღების პრეზუმაციას. ყურადსაღებია, რომ, ერთ შემთხვევაში, სასამართლომ გონივრულ და სამართლიან ანაზღაურებად, ასევე, სავარაუდო ზიანად გადასახდელი თანხის – წლიური 4%, ხოლო, სხვა შემთხვევაში, გადაუხდელი თანხის წლიური 10% მიიჩნია.

სკ-ის 980-ე და 981-ე მუხლის პირველი ნაწილების თანახმად, პალატამ მიიჩნია, რომ, თუ მიმღებისათვის ცნობილი იყო სამართლებრივი საფუძვლის ხარვეზის არსებობა, მას ეზღუდება უფლება, მოითხოვოს ხარჯებისა და დანაკლისის ანაზღაურება – წესი, რომლის მიხედვითაც, მიმღები უფლებამოსილია, მოითხოვოს ხარჯების ანაზღაურება, გამოიყენება მაშინ, თუ საგანი ქმნის სამუდამოდ შეძენილად მიჩნევის საფუძველს. თუმცა სასამართლომ მიიჩნია, რომ სკ-ის 164-ე მუხლი, რომელიც არაკეთილსინდისიერ მფლობელს ანიჭებს უფლებას, მოითხოვოს ხარჯების ანაზღაურება და ამავე კოდექსის 980-981-ე მუხლები ერთმანეთს არ გამორიცხავს, არამედ – ავსებს. უფრო ზუსტად, სკ-ის 164-ე მუხლი პირს ანიჭებს მოთხოვნის უფლებას, ხოლო 980-ე და 981-

ე მუხლები განსაზღვრავს ამ მოთხოვნის ფარგლებს. <sup>146</sup>

სკ-ის 980-ე მუხლის მიხედვით, სასამართლომ მოპასუხეს დააკის-რა არა მარტო ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას გადაცე-მული თანხა, არამედ-საბანკო კრედიტის პროცენტი, რომელიც აღ-ნიშნული ქონების შესაძენად იყო აღებული. <sup>147</sup>

სკ-ის 980-ე მუხლის მიხედვით, დანახარჯების ანაზღაურები-სას სასამართლომ განმარტა, რომ სამართლებრივ სიკეთეთა უსაფუძვლო გადანაცვლების შედეგად ქონებრივი წონასწო-რობის აღდგენას კანონმდებელი უკავშირებს ფულად ანაზღა-ურებას, რომელიც განსაზღვრება არაუფლებამოსილი მფლო-ბელის (დაზარალებულის) მიერ ფაქტობრივად გაწეული დანა-ხარჯებით გამოწვეული გამდიდრებით და არა ამ დანახარჯე-ბის საფუძველზე განხორციელებული გაუმჯობესების საბაზ-რო ლირებულებით. <sup>148</sup>

სასამართლო პრაქტიკაში მრავლადაა საქმეები, რომელსაც პი-რობითად მესაკუთრე-მფლობელს შორის დავებად მოიხსენიე-ბენ. ამ საქმეთა ფაბულის მიხედვით, მესაკუთრე, როგორც წე-სი, სავინდიკაციო სარჩელით მოითხოვს მის უძრავ ნივთზე არა-მართლზომიერი (არაუფლებამოსილი) მფლობელის მფლობე-ლობის შეწყვეტას და ნივთის დაპრუნებას, ამასთან, ნივთის არა-მართლზომიერი მფლობელობის განმავლობაში (უკანონი სარ-გებლობის გამო მიუღებელი ქირის სახით) მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, ხოლო არაუფლებამოსილი მფლობელი ნივთზე გაწეული ხარჯების ანაზღაურებას.

ბოლო წლების სასამართლო პრაქტიკა ზოგიერთი გამონაკლი-სის გარდა, ამ მხრივ, თითქმის სტაბილური და თანმიმდევრუ-ლია, რაც შემდეგში გამოიხატება: სასამართლო მესაკუთრის სავინდიკაციო სარჩელს, როგორც წესი, სკ-ის 172-ე მუხლით, ხოლო მის მოთხოვნას მიყენებული ზიანის ანაზღაურების თა-ობაზე სკ-ის 982-ე მუხლით აკვალიფიცირებს, რაც შეეხება არა-უფლებამოსილი მფლობელის სარჩელს სასამართლო მის გადა-

<sup>146</sup> სუს, განჩინება, 29 დეკემბერი, 2011, №ას-1075-1105-2011.

<sup>147</sup> სუსგ, 12 დეკემბერი, 2011, №ას-1590-1588-2011.

<sup>148</sup> სუსგ, 30 ოქტომბერი, 2015, №ას-303-285-2014.

საწყვეტად სკ-ის 163-ე, 164-ე მუხლებს იყენებს.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს ქვემდგომი სასამართლოს მოსაზრებას მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად ზიანის მაკვალიფიცირებელი ნორმების გამოყენების თაობაზე.

პალატის აზრით, სკ-ის 411-ე მუხლი არ წარმოადგენს მოთხოვნის დამოუკიდებელ საფუძველს. ეს მუხლი აზუსტებს სკ-ის 408-ე მუხლში მოცემული ზიანის ანაზღაურების პრინციპს იმის შესახებ, რომ ზიანი უნდა ანაზღაურდეს სრულად. თავის მხრივ, სკ-ის 408-ე მუხლის გამოყენება უკავშირდება მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევას. სწორედ მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევა ანიჭებს უფლებას კრედიტორს, მოითხოვოს ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება სკ-ის 394.1 მუხლის საფუძველზე.

პალატის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში, მხარეები ერთმანეთთან

სახელშეკრულებო ურთიერთობაში არ იმყოფებიან, ამიტომ მოსარჩელის მოთხოვნა ფულადი ანაზღაურების თაობაზე სახელშეკრულებო ნორმებს ვერ დაეფუძნება. საკასაციო პალატის მოსაზრებით, არც დელიქტიდან წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ვლინდება (სკ-ის 992-ე მუხლი), ვინაიდან უძრავი ქონების უკანონო მფლობელობით არაუფლებამოსილ მფლობელებს მესაკუთრისათვის ფაქტობრივი ქონებრივი დანაკლისის სახით რაიმე ზიანი არ მიუყენებიათ. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ უკანონო მფლობელობით ამ უკანასკნელის ქონება არ შემცირებულა, რასაც გულისხმობს სკ-ის 992-ე მუხლი, სადაც ბინაში სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ცხოვრებით მესაკუთრეს ფაქტობრივი ქონებრივი დანაკლისი არ მიუღია.

პალატამ მესაკუთრის ფულადი ანაზღაურების მოთხოვნაზე გაავრცელა ხელყოფის კონდიქციის სპეციალური წესი, რომელიც მოცემულია სკ-ის 982-ე მუხლით (პირი, რომელიც ხელყოფს მეორე პირის სამართლებრივ სიკეთეს მისი თანხმობის გარეშე განკარგვის, დახარჯვის, სარგებლობის, შეერთების, შერევის, გადამუშავების ან სხვა საშუალებით, მოვალეა, აუნაზღაუროს უფლებამოსილ პირს ამით მიყენებული ზიანი). სკ-ის 982-ე მუხლის მიზანთან დაკავშირებით, საკასაციო პალატამ

**უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაზე<sup>149</sup>** დაყრდნობით განმარტაა, რომ „განსახილველი ნორმით გათვალისწინებული „ზიანი“ არა ზიანის ანაზღაურების შემთხვევა, არამედ, გამდიდრების გათანაბრებაა. ამ შემთხვევაში, ყურადსალებია, რომ ხსენებული ნორმა მოცემულია უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტით, რაც მიგვითოთებს ამ ნორმით გათვალისწინებული ზიანის გათანაბრებაზე უსაფუძვლო გამდიდრებასთან, ანუ, როგორც ხელყოფის კონდიციისათვის არის დამახასიათებელი, ამ ნორმით გათვალისწინებული იურიდიული შედეგი არის ის, რომ ხელყოფმა უნდა გაუთანაბროს უფლების მქონე პირს უფლებაში ჩარევა. აქედან გამომდინარე, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებულ ზიანში იგულისხმება, მიღებულის დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში, მისი ღირებულების ანაზღაურება, ანუ ესაა არა ზიანის ანაზღაურება, არამედ გამდიდრების გათანაბრების შემთხვევა<sup>150</sup>.

ამავე მუხლის განმარტებისას, სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ უსაფუძვლო გამდიდრების სამართლებრივი ინსტიტუტის მიზანია უსაფუძვლოდ და გაუმართლებლად შეძენილი ქონების ამოღება და ამგვარად ქონებრივი მიმოქცევის წონასწორობისა და სამართლიანობის აღდგენა. ამ მიზნით ქონებრივი შეღავათი იმ პირს უნდა დაუბრუნდეს, რომლის ხარჯზეც გაიზარდა სხვა პირის ქონება ანუ უსაფუძვლოდ გამდიდრდა. ამ ინსტიტუტის უმთავრესი დანიშნულება არის არა ქონებრივი დანაკლისის შევსება, მაგ. ზიანის ანაზღაურება, არამედ ქონებრივი ნამატის ამოღება, პირის თავდაპირველი ქონებრივი და სამართლებრივი ვითარების ადგენა, ანუ გამდიდრების გათანაბრება. ვალდებულების ამ ორი სახის განსხვავება, პირველ რიგში, ისაა, რომ ისინი სხვადასხვა საფუძვლებიდან წარმოიშობა. ზიანის მიყენებით წარმოშობილი ვალდებულე-

<sup>149</sup> სუს გადაწყვეტილება, 05.12.2013., №ას-472-448-2013 (ნიშანდობლივია, რომ აღნიშნულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლო სკ-ის 982-ე მუხლის განმარტება-გამოყენებასთან დაკავშირებით ხშირად ეყრდნობა).

<sup>150</sup> დელიქტური ქმედებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებები და ხელყოფის კონდიქცია... ხშირად ერთმანეთის პარალელურად არსებობს. დელიქტიდან წარმოშობილი მოთხოვნის უფლება, რომელიც ბრალის არსებობის წინაპირობას აყენებს, ხშირად უფრო ფართოა, რადგან უნდა ანაზღაურდეს მთლიანი ზიანი, რომელიც დაზარალებულს მიადგა. ზოგ შემთხვევებში კი, პირქით, უსაფუძლო გამდიდრებიდან წარმოშობილი მოთხოვნა უფრო მოცულობითი შეიძლება იყოს, ვიდრე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. მითითებულია: შნიტგერი ჰ., შატერაშვილი ლ., უსაფუძვლო გამდიდრების ნორმათა კომენტარი, მე-15 ველი, 7., GCCC.GE, 27.06.2018.

ბების საფუძველი, როგორც წესი, დელიქტია (სამართალდარღვევა). გამდიდრების უსაფუძვლობა კი, შეიძლება ემყარებოდეს სხვა-დასხვა გარემოებებს, მათ შორის, – მართლზომიერ ქმედებებსაც. ამასთან დაკავშირებით კანონში მითითებული გამონაკლისების გარდა, ზიანის მიყენების შედეგად ვალდებულება მხოლოდ იმ შემ-თხვევაში წარმოიშობა, როცა არსებობს ზიანის მიმყენებლის ბრა-ლეული ქმედება.

უსაფუძვლო გამდიდრების დროს კი, მნიშვნელობა არა აქვს ბრალს, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ერთი პირის ქონების გადასვლის ფაქტი მეორე პირის საკუთრებაში სამართლებრივი საფუძვლის გა-რეშე. განსახილველ ვალდებულებათა სახეებს შორის განსხვავე-ბაა შინაარსშიც. ზიანის მიყენებიდან წარმომობილი ვალდებულე-ბა უზრუნველყოფს დაზარალებულის ქონებრივი სფეროს აღდგე-ნას სრულად. ამ შემთხვევაში, ანაზღაურება მიყენებული ზიანის ტოლია. უსაფუძვლო გამდიდრების დროს კი, ასეთი ტოლობა შეიძ-ლება, არ გვქონდეს. ასეთ შემთხვევაში დაზარალებულს აუნაზ-ღაურდება ზიანი იმ ოდენობით, რომლითაც მიმღები გამდიდრდა. ამ ვალდებულებებში განსხვავებულია პასუხისმგებლობის იური-დოული ბუნებაც. ზიანის ანაზღაურება დელიქტურ ვალდებულე-ბებში ეს არის სამოქალაქო სამართლის პასუხისმგებლობის სახე, ანუ მოვალის ქონებრივი სფერო მცირდება და იზრდება კრედი-ტორის ქონებრივი სფერო. უსაფუძვლო გამდიდრების დროს კი, ასეთი შემცირება-გაზრდა არ ხდება. შესაბამისად, უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე, პირის თავდაპირველი ქონებრივ-სამართლებრივი ვითარების აღდგენა და გამდიდრების გათანაბ-რება არ არის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის სა-ხე.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ არაუფლებამოსილი მფლო-ბელის მიერ უკანონო მფლობელობის გამო მესაკუთრემ დაკარგა მისი ქონებისგან გარკვეული სიკეთის მიღების შესაძლებლობა, მას უფლებას აძლევს, ამოიღოს ეს ქონება ხელმყოფისაგან.

სასამართლომ გათანაბრების ოდენობის განსაზღვრის საკითხი სკ-ის 979-ე მუხლის პირველი ნაწილის (უკან დაბრუნების მოთხოვნა ვრცელდება შეძენილზე, მიღებულ სარგებელზე, ასევე სხვა ყვე-ლაფერზე, რაც მიმღებმა შეიძინა მიღებული საგნის განადგურე-ბის, დაზიანების ან ჩამორთმევის სანაცვლო ანაზღაურების სახით). საფუძველზე გადაწყვიტა. იმის გათვალისწინებით, რომ „შესრუ-

ლების დაპრუნება“ შეუძლებელია, ზემომითითებული ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად, უფლების მქონე პირმა შეიძლება, გამოყე-ნოს ლირებულების ანაზღაურების მოთხოვნა, რაც შეიძლება, დად-გინდეს მსგავსი ბინის ქირის ოდენობით.

საკასაციო სასამართლომ არაერთგზის აღნიშნა, რომ მესაკუთრის მოთხოვნასთან მიმართებით არ იკვეთება სკ-ის 164-ე მუხლის გა-მოყენების უპირატესობა, რადგან „მიღებული სარგებლის“ დაპრუ-ნება შეუძლებელია, ამ შემთხვევაში „მიღებულ სარგებელს“ წარ-მოადგენს ფართით სარგებლობა, რაც შესაძლებელია გამდიდრე-ბის გათანაბრების ოდენობასთან დაკავშირებული სამართლებრი-ვი დანაწესების გამოყენებით.

უზენაესი სასამართლოს სტაბილური პრაქტიკის მიხედვით, უსა-ფუძვლო გამდიდრების ნორმები გამოიყენება მოთხოვნის სხვა სა-ფუძვლებთან სუბსიდიურად, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ არსებობს სასამართლო მოთხოვნის შესაძლო დაკმაყოფილების სახელშეკრუ-ლებო ან სხვა კანონისმიერი საფუძველი (მოთხოვნათა კონკურენ-ცია), უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის ნორმების, როგორც მოთხოვნის საფუძვლის გამოყენება, ბოლოს უნდა განხორციელ-დეს, ანუ მას შემდეგ, რაც გამოირიცხება მოთხოვნის დაკმაყოფი-ლება სახელშეკრულებო ან სხვა კანონისმიერი საფუძვლებიდან.<sup>151</sup>

შესაბამისად, სასამართლოს დასკვნით, არაუფლებამოსილი მფლობელის მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს წარმოად-გენს არა სკ-ის 987-ე, არამედ 164-ე მუხლი.

აღნიშნულის სანინააღმდეგოდ, სხვა საქმეში სასამართლომ სა-ნივთო და კონდიქციურ ნორმათა კონკურენციისას, სასამარ-თლომ იმსჯელა რა არაუფლებამოსილი მფლობელის მიერ გა-ნული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნაზე, უპირატესობა კონდიქციურ ნორმას მიანიჭა და აღნიშნა, რომ, ვინაიდან სკ-

<sup>151</sup> თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელი ნორმები, რომელთა მიმართაც სხვა ნორმებს უპირატესობა აქვთ, იმ გაგებით არის სუბსიდიური, რომ მათი გამოყენება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ არ არსებობს სხვა მოთხოვნის უფლება. უსაფუძვლო გამდიდრებიგან ნარმოშობილი მოთხოვნის უფლება შეიძლება აგრეთვე სახეზე იყოს სხვა მოთხოვნის უფლებების პარალელურად. მითითებულია: შნიტგერი ჰ., შატბერაშვილი ლ., უსაფუძვლო გამდიდრების ნორმათა კომენტარი, მე11-12 ველი, 6., GCCC.GE, 27.06.2018.

ის 164-ე მუხლი უფრო ზოგადი ხასიათისაა, ვიდრე სკ-ის 987-ე მუხლი, რომელიც კონკრეტულად მიუთითებს არაკეთილსინ-დისიერი მფლობელისაგან ნივთის გამოთხოვის სამართლებრივ შედეგებზე, უპირატესობა სკ-ის 987-ე მუხლს უნდა მიენიჭოს.

საყურადღებოა, რომ რამდენიმე საქმეში სასამართლომ არა-უფლებამოსილი მფლობელის მოთხოვნა მესაკუთრის მიმართ ნივთზე გაწეული ხარჯების ანაზღაურების თაობაზე დააფუძნა, როგორც სანივთოსამართლებრივ, ისე ვალდებულებითსა-მართლებრივ (კონდიქციურ) ნორმებზე,<sup>152</sup> ე.ი. როგორც სკ-ის 164, ისე-976-991-ე, 987-ე მუხლებზე.<sup>153</sup>

სასამართლოს აზრით, სკ-ის 984.1. მუხლი კეთილსინდისიერ პირს აძლევს უფლებას, დაეყრდნოს გამდიდრების საფუძვლის მოსპობას. კეთილსინდისიერება გამოირიცხება უხეში გაუფრთხილებლობით არცოდნის შემთხვევაში. ვინაიდან არაუფლებამოსილ, არაკეთილსინდისიერ მფლობელს საერთოდ არ გააჩნია ნივთით სარგებლობის უფლებამოსილება, ამ ნორმის გამოყენების საფუძველიც არ არსებობს.<sup>154</sup>

საკასაციო სასამართლომ განმარტა და გამიჯნა სარგებელი (სკ-ის 1160.3 მუხლი) და ზიანი (სკ-ის 982 მუხლი). საკასაციო პალატის აზრით, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის პირობებში, ზიანს წარმოადგენს აქტივის შემცირება და პასივის გაზრდა. კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით, ანაზღაურდა მეუღლის მიერ ურთიერთშეთანხმების პრინციპის დარღვევით მიყენებული ზიანი.

პალატის დასკვნით, ქონების განკარგვით მიღებული თანხა, არა ზიანი, არამედ – სარგებელია, ხოლო მეუღლის მიერ თანასაკუთრებაში არსებული ქონების ისეთი განკარგვა, რომლის სარგებელი ქონების რეალურ ღირებულებაზე ნაკლებია შესაძლებელი.

<sup>152</sup> აღსანიშნავია დოქტრინაში მსგავსი კვალიფიკაცია, იხ. ბერეკაშვილი დ., თოდუა მ., ჩაჩავა ს., ძლიერიშვილი ზ., კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სამოქალაქო სამართლები, თბილისი, 2015, 62. ასევე, შნიტგერი ჰ., შატბერიშვილი ლ., უსაფუძვლო გამდიდრების ნორმათა კომენტარი, მუხლი 987. 8. მე-12 ველი, GCCC.GE, 27.06.2018.

<sup>153</sup> სუს განჩინება, 14 ნოემბერი, 2011, №ას-1308-1328-2011.

<sup>154</sup> სუს გადაწყვეტილება, 05.12.2013., №ას-472-448-2013.

ლებელია ზიანი იყოს, მაგრამ ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც კვლევას მოითხოვს ისეთი ფაქტები, როგორიცაა: გასხვისების დროს არსებული ქონების ღირებულება, შემცირებული ღირებულების განმაპირობებელი გარემოებები და ა.შ.

სასამართლომ სკ-ის 982-ე მუხლის საფუძველზე მიიჩნია, რომ მოპასუხე მოსარჩელის თანხმობის გარეშე სარგებლობდა რა მოსარჩელის ინტელექტუალური სიკეთით – პატენტმფლობელის გამოგონებით, პატენტით, მოვალეა, აუნაზღაუროს მას ამ სიკეთით (პატენტით) სარგებლობით მიყენებული ზიანი, რომელიც უნდა გამოანგარიშდეს არა რეალიზებული, არამედ წარმოებული სპეცპროდუქტის ოდენობით.

შეცილებისა და ხანდაზმულობის ვადები განსხვავებული სამართლებრივი ცნებებია. არც სკ-ის 54-ე მუხლით გათვალისწინებული უცილოდ ბათილი გარიგების ბათილად ცნობას, არც უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე უკუმორთხოვნას არ გააჩნია სამოქალაქო კოდექსის სახელშეკრულებო, უძრავ ნივთებთან დაკავშირებული ან სხვა რაიმე სპეციალური ხანდაზმულობის ვადები. შესაბამისად, მათ მიმართ მოქმედებს ხანდაზმულობის საერთო – 10-წლიანი ვადა.

უსაფუძვლო გამდიდრების ნორმები მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციალურ წესს არ გვთავაზობს, შესაბამისად, მტკიცების ტვირთი მხარეთა შორის სკ-ის 102-ე მუხლით დადგენილი ზოგადი წესით ნაწილდება.

უსაფუძვლო გამდიდრების თემატიკით დაინტერესება თვალსაჩინოა პოლონ წლების ქართულ იურიდიულ სამეცნიერო ლიტერატურაში. შეიქმნა და გამოიცა რამდენიმე ახალი მონოგრაფია, დისერტაცია, სტატია, კვლევა, კომენტარი, რითაც ადრე ნაკლებად იყო „განებივრებული“ იურიდიული საზოგადოება. წინამდებარე კვლევა (უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის განზოგადება), ბუნებრივია, არ მოიცავს მათ შედარებით (ჩვეულებრივ ან მით უმეტეს კრიტიკულ) ანალიზს კვლევის მიზნიდან და დანიშნულებიდან გამომდინარე, არამედ აჩვენებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ბოლო წლების პრაქტიკის ძირითად ტენდენციებს და სამართლებრივი ვითარების დინამიკას უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელ ნორმათა გამოყენება-განმარტების თვალსაზრისით. მოსაზრებათა და შეფასებათა არაერთგვაროვნება, რაც აკადემიურ წრე-

ებში უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტთან დაკავშირებით აშ-კარად შეიმჩნევა, ზოგადად, საჭირო და აუცილებელი ტენდენცია, რაც მომავალში უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების პრაქტიკაში უფრო მეტად დამკვიდრებასა და სწორი, ერთგვაროვანი სა-სამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს.

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32  
ტელ.: (995 32) 299 04 18  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)